ბრძოლა ბათუმისთვის

1921 წლის 18-20 მარტი





ბათუმის 1912 წლის რუკა

ეა 97.333
3 ბ-ლ

ბრძოლა ბათუმისთვის
1921 წლის 18-20 მარტი

თბილისი
2011

UDC (უაკ) 94 (479.223-25)
ბ-946

ნაშრომის ავტორები:

ალექსანდრე დაუშვილი (თავი 3, პარაგრაფი 2), ოთარ გოგოლიშვილი (თავი 3, პარაგრაფი 3), ჯემალ კარალიძე (თავი 4, პარაგრაფი 4), კახა სურგულაძე (თავი 2, პარაგრაფი 2), ირაკლი მანველიძე (თავი 2, პარაგრაფი 2), მალხაზ მაცაბერიძე (შესავალი, თავი 2, პარაგრაფი 1), ერმილე მესხია (თავი 1, პარაგრაფი 1), მალხაზ სიორიძე (თავი 4, პარაგრაფი 3, თავი 5, პარაგრაფი 1), როინ ყავრელიშვილი (თავი 1, პარაგრაფი 1), დოდო ჭუმბურიძე (თავი 5, პარაგრაფი 2), ოთარ ჯანელიძე (თავი 3, პარაგრაფი 1, თავი 4, პარაგრაფი 1-2).

რედაქტორი: მალხაზ მაცაბერიძე

1/281.804

ბრძოლა ბათუმისთვის. 1921 წლის 18-20 მარტი. თბილისი, „ახალი აზრი“, 2011 - 190 გვ.

მონოგრაფია ეძღვნება 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ბოლო პერიოდს - ბრძოლას ბათუმისთვის. ნაშრომში განხილულია საკითხის ქართული და თურქული ისტორიოგრაფია, ბათუმსა და ბათუმის ოლქში არსებული ვითარება, ბათუმის გარშემო მიმდინარე დიპლომატიური ბრძოლა და თავად ბათუმისთვის გაშლილი საბრძოლო მოქმედებები. ნაშრომში ნაჩვენებია ასევე ბათუმისთვის ბრძოლაში დაღუპულთა საძმო საფლავის შემდგომი ბედი და ბათუმისთვის ბრძოლის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ISBN 978-9941-0-3250-9

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი.....5

თავი I. ბათუმისათვის ბრძოლის (1921 წლის მარტი) ისტორიოგრაფია.....8
1. ბათუმისთვის ბრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიაში 8
2. ბათუმის საკითხი (1921 წ. მარტი) თურქულ ისტორიოგრაფიაში.....23

თავი II. ბათუმის ოლქი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს 56
1. ბათუმი დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკურ გეგმებში.....56
2. 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები ბათუმში და მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია (განმათავისუფლებელი კომიტეტი და ისლამური საზოგადოება).....59

თავი III. დიპლომატიური ბრძოლა ბათუმის გარშემო.....70
1. ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში.....70
2. საქართველოს რევკომი და ბათუმის პრობლემა (1921 წლის მარტი) 93
3. ბათუმის საკითხი 1921 წლის 17-18 მარტის ქუთაისის მოლაპარაკებაში.....110

თავი IV. თურქეთის ჯარის განდევნა ბათუმიდან.....120
1. სად გადაწყდა ბათუმის ბედი 120
2. „თქვენი ვაჟკაცობა ისე არასოდეს სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ახლა!“ (ქართული მხედრობა და ბათუმის განთავისუფლება) 139

3. საქართველოს გენერალი 155
4. ჟლობას დივიზიის მისია 161

თავი V. ხსოვნა 172
1. საძმო საფლავი ბათუმში 172
2. ბათუმისათვის ბრძოლის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში 178

The Struggle for Batumi
March 18-20, 1921 194

შესავალი

1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა მოჰყვა, ერთ-ერთი უაღრესად მძიმე ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ომის წინაპირობები, მსვლელობა და შედეგები ჯერ კიდევ ელის სერიოზულ სამეცნიერო კვლევა-ძიებას. არადა, ამ ომს 90 წელი გვაშორებს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორი ათეული წელია გასული.

ხშირად, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს რუსეთ-საქართველოს ომს უწოდებენ. რა თქმა უნდა, სწორედ საბჭოთა რუსეთი დაესხა თავს საქართველოს, მოახდინა მისი ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, მაგრამ საქართველოსთვის ეს მაინც არ ყოფილა მხოლოდ ომი რუსეთთან. მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ აამოქმედა იმ დროისათვის გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი; გარდა ამისა, თურქეთი - საქართველოს კიდევ ერთი მეზობელი - ასევე ჩართული აღმოჩნდა საომარ მოქმედებებში, როდესაც ჯარი შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე და ბათუმის მიტაცებასაც შეეცადა.

სწორედ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის უკანასკნელ ეპიზოდს - ბათუმისათვის ბრძოლას ეძღვნება ეს წიგნი. იმდროინდელი პრესის, საარქივო მასალების, მემუარული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, არსებული სამეცნიერო ნაშრომების გათვალისწინებით, მონოგრაფიის ავტორები წარმოადგენენ როგორც ბათუმსა და ბათუმის ოლქში განვითარებულ მოვლენებს, ისე იმ რთულ დიპლომატიურ ბრძოლას, რასაც საფუძვლად ედო სხვადასხვა ქვეყნების, პირველ რიგში კი რუსეთისა და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა.

1921 წლის დასაწყისში საქართველო უმძიმეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. იმ დროისათვის კავკასიაში საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ინგლისი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ფაქტობრივად აღარ ცდილობდნენ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნებას. ვითარების ბატონ-პატრონი საბჭოთა რუსეთი და თურქეთი ხდებოდა. ეს ორი ქვეყანა, ერთმანეთის გამოყენებას ცდილობდა დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და თან ერთმანეთთან შეთანხმებით იყოფდნენ სამხრეთ კავკასიას.

მთავარი საფრთხე საქართველოს მაინც რუსეთიდან ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ დაეცვა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების

პირობები, არც თურქეთი წამოუყენებდა პრეტენზიებს საქართველოს და არც რუსეთის მიერ გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი იაქტიურებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მოსკოვი მაშინვე აამოქმედებდა სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. აამოქმედებდა თავის სამხედრო ძალას, რადგანაც საქართველოს შიგნით საბჭოთა რუსეთს არ გააჩნდა ისეთი დასაყრდენი, რომლის მეშვეობითაც, შიდა გადატრიალების მოწყობით მოახერხებდა თავისთვის სასურველი ხელისუფლების მოყვანას და საქართველოს გასაბჭოებას. ამის გაკეთება მხოლოდ გარედან აგრესიის შედეგად იყო შესაძლებელი. 1921 წლის თებერვალში საქართველო მარტო დარჩა საბჭოთა რუსეთის წინაშე, რომელსაც მისი დაპყრობა ქონდა გადაწყვეტილი და წითელი არმიის შემოტევის მოსაგერიელებლად ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ქონოდა.

მძიმე გეოპოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა არასწორად აფასებდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას და ვერ ხედავდა სასიკვდილო საფრთხეს. ამგვარი განწყობის შექმნას გარქვეულწილად ხელი შეუწყო დასავლეთმა. 1921 წლის იანვრის ბოლოს დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ მიჩნეული იქნა იმ მოვლენად, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობა, მით უმეტეს, რომ საქართველოს მეზობელი დიდი სახელმწიფოები - საბჭოთა რუსეთი და თურქეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ და მას ოფიციალურად კეთილმეზობლობას პირდებოდნენ.

მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციას და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და საზოგადოების მხრიდან არსებული ვითარების სათანადო შეუფასებლობას დაემატა უკვე ომის მსვლელობის დროს დაშვებული შეცდომები. ყოველივე ამის შედეგად მარცხით დამთავრდა ლორესთვის ბრძოლა და ვერ მოხერხდა თბილისის დაცვა.

თბილისის დატოვებამ საბედისწერო როლი შეასრულა ომის შემდგომ მსვლელობაში. ისევე როგორც 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის დროს, ამჯერედაც საბჭოთა რუსეთს საქართველოსთვის ომი არ გამოუცხადებია. თუკი საქართველო მოახერხებდა წითელი არმიის თავდასხმის მოგერიებას, შეიძლება მოსკოვს კი-

დევ ერთხელ დროებით უკან დაეხია და ყველაფერი გასაბჭოებული და ფორმალურად დამოუკიდებელი სომხეთ-აზერბაიჯანისთვის დაებრალებინა. მომხდარი გამოცხადებულიყო „სამხედრო კონფლიქტად“.

თბილისის აღებამ ერთი მხრივ, წარმატების იმედი გაუძლიერა საბჭოთა რუსეთს, მეორე მხრივ კი გამარჯვების რწმენა ბევრს დაუკარგა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის დატოვების შემდეგ საომარი მოქმედებები კიდევ სამი კვირის მანძილზე გრძელდებოდა, უკვე ფაქტობრივად არავის ქონდა იმედი, რომ საკუთარი ძალებით შეძლებდნენ წითელი არმიის მოგერიებას. იმედს ამყარებდნენ გარედან დახმარების მიღებაზე, პირველ რიგში კი წითელი არმიის წინააღმდეგ თურქეთის გამოყენების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამას მხოლოდ ახალი პრობლემების გაჩენა მოჰყვა. ასე აღმოჩნდა საქართველო ბათუმის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

საქართველოს ხელისუფლება კვლავ აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის. ცუდი იყო გასაბჭოება და დამოუკიდებლობის დაკარგვა, უარესი - საქართველოს გაყოფა ორი დამპყრობლის მიერ. უცხოეთში წასასვლელად გამზადებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ არჩია ბათუმი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისთვის გადაეცა და არ დაეშვა ბათუმისა და ბათუმის ოლქის თურქეთის ხელში გადასვლა.

ბათუმის საკითხი განიხილებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და „საბჭოთა საქართველოს“ სახელით მოქმედ რევკომს შორის გამართულ მოლაპარაკებებში, ბათუმის საკითხი მწვავე დიპლომატიური ბრძოლის მიზეზი იყო რუსეთსა და თურქეთს შორის, მაგრამ ბათუმის ბედი, როგორც წინამდებარე ნაშრომშია ნაჩვენები, ბათუმში განვითარებული მოვლენების შედეგად გადაწყდა. სწორედ ქართულმა ჯარმა და ქართველმა ხალხმა ქვეყნისთვის უმძიმეს დღეებში შეძლეს ბათუმის დაცვა და ამით გადაწყვიტეს მისი ბედიც.

თავი I. ბათუმისათვის ბრძოლის (1921 წლის მარტი) ისტორიოგრაფია

1. ბათუმისთვის ბრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიაში

1921 წლის მარტში ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ისტორიოგრაფიაში ჯეროვნად არაა გაშუქებული. მართალია, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ახლებურად და ობიექტურად შესწავლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოიცა ამ პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაზეც, რომლებმაც სპეციალისტთა და ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ აღნიშნულ პერიოდზე მომუშავე მკვლევართა ყურადღების მიღმა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) დარჩა 1921 წლის მარტში ბათუმში განვითარებული მოვლენები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა შეუძლებელია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის შესწავლის გარეშე. ეს არის ჩვენი ქვეყნის უახლესი პერიოდის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც არსებითად განსაზღვრა ამ კუთხის ბედი და მომავალი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა არქივებში დაცული საიდუმლო ფონდები. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ქართველ ემიგრანტთა მემუარები, ემიგრანტული ისტორიული ლიტერატურა. ყველა ეს სიახლე საკმაოდ ხელშესახებად წარმოგვიჩენენ ბათუმში და ბათუმის გარშემო არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

წყაროები

მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (საქართველოს დამფუძნებელი კრების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებულის ბათუმსა და ბათუმის ოლქში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვ. ფონდები), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (ყოფილი პრეზიდენტის არქივი), აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და სხვა საარქივო დაწესებულე-

ზებში. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი, რომელიც ინახება ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდში, ხოლო მიკროფირები, დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფონდში დაცული მიკროფირები უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავენ, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია ან გამოყენებულია სხვადასხვა ნაშრომში.

გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. პირველი ნაწილი - ადრეულ პერიოდში დაბეჭდილი საარქივო დოკუმენტები,[1] რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ტენდენციურად არის შერჩეული, ძვირფასი წყაროა განსახილველი ეპოქის ისტორიის შესასწავლად. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული, დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშები და სხვ.

გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების მეორე ნაწილი მიეკუთვნება გასული საუკუნის 90-იან წლებსა და ახალი საუკუნის დასაწყისს. ამ პერიოდში არაერთი საარქივო დოკუმენტი გამოქვეყნდა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ. ეს მასალები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქამდე უცნობ დეტალებზე, რამაც გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ამ მხრივ, საინტერესოა ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოცემულ ნაშრომზე თანდართული დოკუმენტები. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ლ. თოიძის ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით გამოცემული დოკუმენტები, რომელიც ავტორმა დაურთო თავის ნაშრომს „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ–საქართველოს 1921 წლის თებერვალ–მარტის ომის შეფასებისათვის“.[2] ნაშრომში განზოგადებულია დიდძალი ფაქტობრივი მასა-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузий, Документы и материалы (1917-1921 гг.), Тб. 1958; Борьба за победу Советской власти в Аджарий, Документы и материалы (1917-1921 гг.), Батуми, 1961; ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. დოკუმენტების კრებული, თბ., 1958; აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921–1925 წწ.), ბათუმი, 1975.

[2] ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ–საქართველოს 1921 წლის თებერვალ–მარტის ომის შეფასებისათვის, თბ., 1991.

ლა, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების მრავალი ასპექტი. წიგნი იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ შეიცავს დოკუმენტებს, რომელთა დიდი ნაწილი პროფესორმა ლ. თოიძემ შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში.

საყურადღებო დოკუმენტებია მოცემული გრ. ჟვანიას ნაშრომში „როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია"[3]; მნიშვნელოვანი მასალებია თავმოყრილი აგრეთვე დოკუმენტების კრებულებში, რომლებიც ჩვენს განსახილველ ეპოქასა და თემას ამ თუ იმ კუთხით ეხმიანება[4] და სხვ.

პერიოდული პრესა

საინტერესო ცნობები დაცულია იმ პერიოდის პერიოდულ პრესაში. თუმცა ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია კრიტიკულად უნდა იქნას განხილული და გამოყენებული, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების ბეჭდვითი ორგანოები უმეტესწილად არაობიექტურად და ტენდენციურად აშუქებდნენ მოვლენებს. გამოქვეყნებული ცნობებისა და დოკუმენტების მრავალფეროვნებითა და სიუხვით გამოირჩევა გაზეთები - „ერთობა", „საქართველოს რესპუბლიკა", „საქართველო", „სახალხო საქმე", „სამუსლიმანო საქართველო" და სხვ. მკველვართაგან უფრო მეტ კრიტიკულ მიდგომასა და სიფრთხილეს მოითხოვს გაზეთებში „ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", „ახალი ცხოვრება", „ახალი დროება", „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი", „პრავდა გრუზიი" გამოქვეყნებული ცნობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები უფრო წინაპერიოდს ეხება, ვიდრე უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო მოვლენის ქრონიკას. საომარი ვითარების გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო და პოლიტიკური პარტიების გაზეთების გამოცემა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად შეწყდა. მართალია, საკვლევ პერიოდში გამოიცემოდნენ გაზეთები „კომუნისტი", „კავკასიის კომუნა", „სოციალისტ–ფედერალისტი", „ბათომის ცხოვრება", „ბრძოლა",

---

[3] გრ. ჟვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, თბ., 1992.

[4] საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 28 თებერვლის სხდომის ანგარიში, თბ., 2006; Оккупация и фактическая аннексия Грузии (Документы и материалы), Тб. 1990; Документы внешней политики СССР, т. Ш, М., 1959.

„ულყებები“ და სხვ., მაგრამ ისინი მეტად მწირ ინფორმაციას შეიცავენ ბათუმში განვითარებული მოვლენების შესახებ.

მემუარები

ბათუმის 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების შეფასება შეუძლებელია იმ მემუარული ლიტერატურის გათვალისწინების გარეშე, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა საბჭოთა პერიოდში, ნაწილი კი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ. ცხადია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე საბჭოთა პერიოდის მემუარებს ატყვია ტოტალიტარული რეჟიმის სულისკვეთება და იდეოლოგიური შეზღუდულობა, თუმცა ბევრი მათგანი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას კომუნისტური ეპოქის მონოგრაფიული შესწავლისათვის. საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილ მემუარულ წყაროთა შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ს. ქავთარაძის მოგონებები[5]. ისინი მნიშვნელოვანია იმით, რომ, ჯერ ერთი, ავტორი უშუალო თვითმხილველია ბათუმში განვითარებული მოვლენებისა და, მეორეც, ს. ქავთარაძე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვისი განკარგულებითაც მიმდინარეობდა ისტორიული ბატალიები. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ზოგიერთი დეტალის აღწერისას ობიექტურობა ღალატობს, იგი იძულებულია აღიაროს: გიორგი მაზნიაშვილის „შეუდრეკელი სიმშვიდე გამარჯვების მტკიცე რწმენას იმედს გვინერგავდა“.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერლის, ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მხედართმთავრის გ. მაზნიაშვილის მოგონებები.[6] ეს მემუარები ერთადერთი ისტორიული წყაროა, რომელიც დეტალურად აღწერს საბრძოლო ეპიზოდებს ქართველი მხედრებისა და მოხალისეების მონაწილეობით. მასში მოხმობილი ფაქტები, განსხვავებით სხვა მემუარებისაგან, მეტი ობიექტურობით გამოირჩევა, რაც გ. მაზნიაშვილის მონათხრობს ღირსებას ჰმატებს და უფრო სანდოს ხდის კვლევაში გამოყენებისათვის.

გამოქვეყნებულ მემუარებს შორის საინტერესო ცნობებს შეიცავენ ნ. ჟორდანიას, ა. რამიშვილის, გ. კვინიტაძის, აკ. ვასაძის, მ. ტოროშელიძის,

---

[5] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, № 1; მისივე, ჩვენი ეროვნული დღესასწაული, ჟურნ. „დროშა“, 1961, № 2; მისივე, დღეები პარიზში, „მნათობი“, 1966, № 4.

[6] გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990.

ვ. გოგუაძის, სპ. კედიას, ს. ჩიჯავაძე-კედიას, კ. ჩხეიძის, ს. გოგიბერიძის, დ. ვაჩნაძის, ვ. მგელაძის, ვ. თევზაძის, ნ. მათიკაშვილის, მ. კვალიაშვილის, გრ. ურატაძის, ალ. მანველიშვილის, მ. აბაშიძის, ზ. ავალიშვილის მოგონებანი, ასევე პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი და სხვა.[7] მნიშვნელოვანი მასალაა შეტანილი კრებულში „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“.[8]

ცხადია, როგორც ყველა მემუარულ ლიტერატურას, ისე დასახელებულ ავტორთა მოგონებებსაც ტენდენციურობა ატყვია, მათში მთელი რიგი ფაქტები დამახინჯებითაა გადმოცემული და სხვა, მაგრამ ისინი ერთ-ერთ პირველწყაროს წარმოადგენენ და კრიტიკული ანალიზის შემდეგ ავსებენ ისტორიული მოვლენების შესახებ არსებულ ინფორმაციას. ბათუმის 1921 წლის მარტის მოვლენების ამსახველი მოგონებების ნაწილი (ხ. თხილაიშვილი, ქ. ნოღაიდელი, ი. ქათამაძე და სხვ.) დაცულია აჭარის სა-

---

[7] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990; აკ. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები (1918-1921), თბ., 2000; გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990; მისივე, მოგონებები, თბ., 1999; მისივე, შეგვეძლო თავიდან აგვეშორებინა დაპყრობა? ჟურნ. „გუშაგი“, 1986, № 8; მისივე, იძულებითი პასუხი, ჟურნ. „კავკასია“, 1938, № 12; აკ. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977; მ. ტოროშელიძე, ბათუმის ამბები (მოგონება), გაზ. „კომუნისტი“, 1921, 16 აგვისტო, N 136; ვ. გოგუაძე, ომი, ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული, გ. შარაძის რედაქციით, ტ.3, თბ., 1992; სპ. კედია, თებერვალი, 1921 წელი, ჟურნ. „ლაშარი“, 1991, № 3; ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენნახული, თბ., 2002; კ. ჩხეიძე, საქართველოში (პასუხად შეინმანს), ჟურნ. „კავკასიონი“, 1971, № 15; ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის (მოგონებები), ჟურნ. „მნათობი“, 1990, № 7, 9; დ. ვაჩნაძე, ქართული სულის გამოძახილი (1921 წლის ამბებიდან), ჟურნ. „კრიტიკა“, 1992, № 1; ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991; ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990; მისივე, განვლილი გზა, „მაცნე“, 1990, № 2; ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, თბ., 1990; გრ. ურატაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და კონსოლიდაცია, მიუნხენი, 1956; ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984; მ. აბაშიძე, თხზულებანი, თბ., 1998; პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.), პ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს ა. სილაგაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, ტფ. 1929.

[8] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, თბ., 1994.

ხელმწიფო მუზეუმში, რომლებიც მოვლენის თვითხილველისა თუ უშუალო მონაწილის პირად შთაბეჭდილებებს შეიცავენ.

ისტორიოგრაფია

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით უკეთესადაა შესწავლილი, ვიდრე 1921 წლის რუსეთ-საქართველოსა და თურქეთ-საქართველოს ომების ეპიზოდები.

რაც შეეხება ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას, ეს პერიოდი, სპეციალური კვლევის საგანი, შეიძლება ითქვას, დღემდე არ გამხდარა, გარდა თოთოოროლა სამეცნიერო ნაშრომისა. მიუხედავად იმისა, რომ 1918-1921 წლების ისტორიის შესახებ ბოლო ოცწლეულში დაცულ იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო მონოგრაფია თუ ნაშრომი, 1921 წლის მარტში ბათუმისათვის ბრძოლას ავტორები მეტად მოკრძალებულად ეხებიან. არადა, ბათუმის 1921 წლის მარტის მოვლენების ანალიზი შეუძლებელია იმ საბრძოლო ეპიზოდების წინაპირობების შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე, რომელიც აღწერილია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

რუსეთ-საქართველოსა და თურქეთ-საქართველოს 1921 წლის ომების თემას არაერთი ავტორი შეეხო. ამ თემაზე შექმნილი პუბლიკაციები შეიძლება ძირითადად ორ ეტაპად დავყოთ: საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნაშრომები და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ დაწერილი ნაშრომები.

ბუნებრივია, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარნი ვერ აცდნენ ეპოქის იდეოლოგიურ შეზღუდულობას. საბჭოთა სტერეოტიპების გავლენისა და წნეხის ქვეშ ძნელი აღმოჩნდა პროფესიული ეთიკისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდის მკვლევრებისათვის ბევრი დოკუმენტი ტაბუდადებული და პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო. 1920-1980-იან წლებში დაწერილ ნაშრომები ტენდენციურ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მათში მოვლენები გაყალბებულია, მიჩქმალულია ან ძუნწადაა აღწერილი ქართველი მეომრებისა და მოხალისეების გმირობა და თავდადება სამშობლოს ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლაში. სამაგიეროდ, ბოლშევიკებისა და რუსეთის საოკუპაციო ჯარების ქმედებანი გამართლებულია და გაზვიადებული.

მიუხედავად ამისა, მკვლევრები გვერდს ვერ აუვლიან ა. სურგულაძის, ხ. ახვლედიანის, პ. ცქვიტარიას, მ. ჯიჯეიშვილის, მ. ჩავლეიშვილის, ვ. ჩულოკის და სხვათა ნაშრომებს,[9] რომლებშიც, მართალია, ავტორები ცალმხრივად და მიკერძოებით, ხშირად ფაქტების დამახინჯებით გადმოგვცემენ 1921 წლის მარტში ბათუმში განვითარებულ მოვლენებს, მაგრამ ეს გამოკვლევები მაინც საინტერესოა აღნიშნული ეპოქის შესწავლისათვის.

ცალკე უნდა გამოვყოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1991 წ.) შემდგომ გამოქვეყნებილი მონოგრაფიები და ნაშრომები. 1990 წლიდან რადიკალური ცვლილებები განხორციელდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანთა მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ბუნებრივია, საბჭოთა სისტემის დემონტაჟს მოჰყვა მეცნიერების განთავისუფლება იდეოლოგიური მარწუხებისაგან. არქივებში გაიხსნა საიდუმლო ფონდები და ხელმისაწვდომი გახდა ტაბუდადებული დოკუმენტები. სამეცნიერო ლიტერატურას შეემატა ქართველ ემიგრანტთა მემუარები და სამეცნიერო ნარკვევები. ყოველივე ამან მკვლევართ შესაძლებლობა მისცა ახლებურად შეესწავლათ საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორია.

განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიას შეემატა არაერთი საყურადღებო მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ობიექტურად და სამართლიანადაა შეფასებული ფაქტები და მოვლენები. ამ პერიოდში მოღვაწე ავტორების თვალთახედვის არეში მოექცა ბათუმიც. თუმცა აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან პერიოდზე დაწერილი ნაშრომებიც შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. ნაშრომები, რომლებშიც ბა-

---

[9] ა. სურგულაძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; ხ. ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917–1921 წწ.), ბათუმი, 1971; პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევევბი, წიგნი მეორე, (1914–1921 წწ.), ბათუმი, 1962; მ. ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917), ბათუმი 1957; Чавлеишвили М. И. Великий октябрь и победа Социалистической революции в Аджарии, Батуми, 1977; его-же, Октябрьская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.), Батуми, 1987; Чулок И. Очерки истории Батумской коммунистической организаций (1890-1821 годы), Батуми, 1970.

თუმის თემა ეპიზოდურად ფიგურირებს და ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება ბათუმის თემას.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკის პრობლემატიკაზე მომუშავე ავტორები გვერდს არ უვლიან 1921 წლის მარტში ბათუმში განვითარებულ მოვლენებს, მაგრამ ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აღწერა და ანალიზი მათი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამიტომ ბათუმის თემა მათ პუბლიკაციებში მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსები, რომლებიც გულდასმით შეისწავლიან საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიას, მოვალენი იქნებიან, ყურადღება დაუთმონ ბათუმის 1921 წლის მარტის პერიოდის შესწავლასაც, რომლის გარეშე შეუძლებელია „პატარა ოქროს ხანის" (კ. ინასარიძე) დასასრულის აღწერა და ანალიზი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიოგრაფიაში ბათუმის 1921 წლის მარტის მოვლენებზე ყურადღება გამახვილებულია: აკ. და პ. სურგულაძეების, ა. მენთეშაშვილის, გრ. ჟვანიას, ე. თაყაიშვილის, მ. სვანიძის, მ. ნათმელაძის, ო. აბუთიძის, ა. დაუშვილის, ნ. დარსანიას, დ. კუხალაშვილის, ლ. სარალიძის, გ. ღამბაშიძის, ტ. ჭიღვარიას, მ. მაცაბერიძის, ტრ. ჩინჩილაკაშვილის, გ. შენგელიას, გ. ქარუმიძის, ნ. კირთაძის, დ. ჭუმბურიძის, მ. სამსონაძის, შ. ვადაჭკორიას, მ. ვაჩნაძის, ვ. გურულის, ც. ჩხარტიშვილის, ვ. ბენიძის, ა. ბენდიანიშვილის, ფ. ლომაშვილის, ლ. კერესელიძის, გ. გელაშვილის, რ. ცუხიშვილის, ი. მანველიძის, ე. მესხიას, მ. რეხვიაშვილის, გრ. ზარქუას, ო. ფხაკაძის, ნ. ნაცვლიშვილის, ნ. ყიფშიძის, ნ. ყამბაშიძის, ნ. კახიძის მონოგრაფიებსა და სტატიებში, ასევე ცალკეულ კრებულებში გამოქვეყნებულ სხვათა ნაშრომებში.[10]

---

[10] აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991; Ментешашвили, А. Грузия - РСФСР (1920-1921 годы), Литературная Грузия, 1990, N2; გრ. ჟვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, თბ., 1992; ე. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული გ. შარაძის რედაქციით, ტ. 2, თბ., 1991; მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918–1921 წლებში, სამეცნიერო კრებული „ქართული დიპლომატია", ტ. 10, 2003; მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921–2000), თბ., 2004; ო. აბუთიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918–1921, თბ., 1991; ა. დაუშვილი, ლორეს პროვოკაცია, სამეცნიერო კრებული „ანალები", 2005, № 1; მისივე, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009; ნ. დარსანია, იყო, თუ არა გარდაუვალი საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება, სამეცნიერო კრებული „საისტორიო

ძიებანი“, 1998, № 1; დ. კუხალაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის დაცემა და მისი მიზეზები, თბ., 2003; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის (1918–1921) მთავრობის საგარეო პოლიტიკის ისტორი-იდან, სამეცნიერო კრებული, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 2005, № 8; გ. ღამბაშიძე, საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან, 1917–1921, თბ., 1961; ტ. ჭიღვარია, საქართველო და საბჭოთა რუსეთი, სამეცნიერო კრე-ბული „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 2000, № 9; მისივე, საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა, ჟურნ. „საქართველო–ევროპა–ამერიკა“, თ., 1999, ტ. 3; მ. მაცაბერიძე, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1991, № 1, № 2; ტრ. ჩინჩილაკაშვილი, პირველი ქართული დივიზია (გიორგი მაზნიაშვილი), ჟურნ. „დროშა“, 1990, № 2; გ. შენგელია, გიორგი მაზნიაშვილი. მე არც მენშვიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარ, ჟურნ. „პოლიტიკა“, 2003, № 12; გ. ქარუმიძე, ვინ იყვნენ ძმები ქარუმიძეები და რა გმირობა ჩაიდინეს ბათუმში, ჟურნ. „გუმბათი“, 2009, № 39; ნ. კირთაძე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა: ოკუ-პაციის პირველი წლები, თბ., 1996; დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918–1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999; მისივე, ქართველი ხალხის ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, თბ., 2003; მ. სამსონაძე, საქართველო 1921–1991 წლებში, თბ., 2001; შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ–დემოკრატია 1918–1921 წლებში, თბ., 2004; მისივე, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 1998, მისივე, პოლიტიკური აზრი საქართველოს ოკუპაციის შესახებ (1921–1923), ჟურნ. „მნათობი“, 1992, № 5–6; მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთი-ერთობა: ისტორია, შედეგები, გაკვეთილები, თბ., 2001; ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა, თბ., 1998; ც. ჩხარტიშვილი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, თბ., 2008; ვ. ბენიძე, საქართვე-ლოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და სახელმწიფოებრივი დამოუკი-დებლობისათვის ბრძოლა 1920–1925 წ., თბ., 1999; ა. ბენდიანიშვილი, საქართვე-ლოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921 წწ), თბ., 2001; ფ. ლომაშვილი, საქართვე-ლოს ისტორია (1918–1991), თბ; ლ. კერესელიძე, კიდევ ერთხელ რუსულ ოკუპა-ციასა და მე-11 არმიაზე, სამეცნიერო კრებული „საქართველოს მოამბე“, 2008, 3; გ. გელაშვილი, 1. ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში, 2. ბოლშევიკების აგრესია, სამეცნიერო კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 2009; რ. ცუხიშვილი, ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთო-ბებში (1918–1921 წწ), თბ., 1996; ი. მანველიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921–1930 წლებში, ბათუმი, 2006; მისივე, საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში, სამეცნიერო კრებული, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, № 2; მისივე, ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში 1919–1921 წლებში, სამეცნიერო კრებული „საისტორიო მაცნე“, 2008, ტ. XVI–XVII; ე. მესხია, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ჟურნ.

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება რამდენიმე მათგანზე. 1921 წლის მარტში ბათუმში განვითარებული მოვლენების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ თურქეთის ხელისუფლების პოზიცია და დამოკიდებულება ბათუმისადმი. ამ მხრივ, საინტერესო ცნობებს შეიცავს რ. ყავრელიშვილის, ნ. ზოსიძის, ნ. გელავას და დ. შალიკაშვილის[11] ნაშრომებში მოტანილი ისტორიული წყაროები, რომლებიც ნათელს ჰფენენ თურქეთის ხელისუფლებაში საქართველოს მიმართ დამკვიდრებულ პოზიციას, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედზე. ამ ცნობების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია 1921 წლის მოვლენების ანალიზი და ობიექტური ისტორიის დაწერა.

К281.804
3

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომისა და ბათუმში განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო მასალაა გაანალიზებული ო. ჯანელიძის ნაშრომში „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის

„საისტორიო ვერტიკალები“, 2003, № 6; მისივე, ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის, ბათუმი, 2004; მ. რეხვიაშვილი, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, ჟურნ. „განთიადი“, 1990, № 2; გ. ზარქუა, გრ. ლორთქიფანიძე და ქუთაისის საზავო მოლაპარაკება, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1996, № 9–10; ო. ფხაკაძე, ქუთაისის მოლაპარაკება (1921), სამეცნიერო კრებული „ქართული დიპლომატია“, 2003, № 10; ნ. ნაცვლიშვილი, გიორგი მაზნიაშვილი – სამშობლოს სიყვარულისთვის დახვრეტილი გენერალი, ჟურნ. „რეიტინგი“, 2008, № 36; ნ. ყიფშიძე, ბრალდება, რომელიც გიორგი მაზნიაშვილის დისკრედიტაციისათვის შეითითხნა, სამეცნიერო კრებული „საარქივო მოამბე“, 2008, № 2; ნ. ყამბაშიძე, საქართველოს გენერალი, ჟურნ. „ბომონდი“, 2009, № 3; ნ. კახიძე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქ. № 59; კრებული „ჩვენი საქმე მართალი საქმეა, ამან უნდა გაიმარჯვოს“, თბ., 2009; კრებული „რუსეთ–საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები“, თბ., 2009; სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III ტომი, ბათუმი, 2008.

[11] რ. ყავრელიშვილი, თურქეთის მთავრობის ორი ნოტა (1921), საისტორიო კრებული „მესხეთი“, თბილისი–ახალციხე, 2005, VI-VII; ნ. გელავა, საქართველო–თურქეთის ურთიერთობა – 1921 წლის თებერვალი-მარტი, კრებული „საისტორიო მოამბე“, თბ., 1998–1999, 71–72; ნ. ზოსიძე, საქართველო–თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან (სვიმონ მდივნის წერილები), შრომების კრებული „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 2005, 14; დ. შალიკაშვილი, საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, N 1; N 2.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა".[12] პუბლიკაციაში განხილულია ის მიზეზები, რამაც დაარჩარა საქართველოს მარცხი ზემოაღნიშნულ ომში.

სამწუხაროდ, თბილისის დატოვების შემდეგ საბრძოლო სულისკვეთების მობილიზება ვერ მოხერხდა, ისევე როგორც დასავლეთის მორალური თანაგრძნობა არ გადაზრდილა რეალურ მხარდაჭერაში. ომის მეორე ეტაპზე კი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი და ზოგჯერ გაუგებარი მოქმედება, წარმატების არანაირ შანსს არ უტოვებდა ქვეყანას. დასახელებულ ავტორთა ნაშრომებსა და მონოგრაფიებში აღნიშნული თემა ობიექტურად და დეტალურადაა გაანალიზებული.

ცალკე განხილვის საგანია ის მცირერიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებიც პირდაპირ ეხება ბათუმის 1921 წლის მოვლენების ისტორიას. როგორც ზემოთ ითქვა, ამ პერიოდის შესახებ სულ რამდენიმე ნაშრომია გამოქვეყნებული. მათ შორის მოვლენის უფრო სრულად აღწერის თვალსაზრისით გამოირჩევა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან თოიძის ნარკვევი „ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი".[13] აღნიშნული ნაშრომი დიდძალ დოკუმენტურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობა, რომელიც ავტორისეული პროფესიონალიზმითა და ობიექტური შეფასებით გამოირჩევა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ლ. თოიძის გამოკვლევა ამ მოვლენის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი მონოგრაფიული შესწავლის ცდაა, რაც ამ მასშტაბით არც ერთ მკვლევარს არ გაუკეთებია. ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ავტორი ეყრდნობა როგორც ქართულ ასევე უცხოურ - რუსულ საარქივო დოკუმენტებს, თურქულ და რუსულენოვან სპეციალურ ლიტერატურას. ნაშრომში მოცემულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქამდე ბურუსით მოცული

---

[12] ო. ჯანელიძე, რუსეთ–საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, კრებულში: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები, თბ., 2009; მისივე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990; მისივე, დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000.

[13] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009; მისივე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის, თბ., 1991.

დეტალის ავტორისეული ანალიზი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საკამათოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ავტორისეული ლოგიკა და მოტანილი წყაროები იმდენად საფუძვლიანია და მყარი, რომ ეჭვის საუძველს არ გვიტოვებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ ლ. თოიძე მოვლენის ანალიზისას თურქი ისტორიკოსების ნაშრომებსაც იშველიებს, რომელიც მეტ დამაჯერებლობას მატებს თურქეთის ოფიციალური წრეების გადაწყვეტილებების შეფასებას. ამასთან, ხსენებული ნარკვევი არ ეხება მხოლოდ კონკრეტულ მოვლენას, მასში წინაისტორიის საფუძვლიანი ანალიზიცაა მოცემული, რამაც გამოიწვია 1921 წლის მარტის საბედისწერო მოვლენები და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დამთავრდა.

ლ. თოიძე ნაშრომში საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას თურქეთის აგრესიული ანტიქართული პოლიტიკისადმი ბათუმის ოლქში მოღვაწე ქართველი მამულიშვილების დამოკიდებულებაზე. მხედველობაში გვაქვს თურქეთის მთავრობის დელეგაციის მოთხოვნისადმი ბათუმის ოლქის (და არა აჭარის, როგორც ლ. თოიძის და ზოგიერთი სხვა ავტორის ნაშრომშია აღნიშნული) მეჯლისის პოზიცია. მეჯლისში გაერთიანებულმა მამულიშვილებმა უარყვეს თურქეთის „ისტორიული პრეტენზიები" ბათუმზე და მტკიცედ დაიცვეს საქართველოს ერთიანობის იდეა. ამ ფაქტზე სხვა მკვლევრებსაც (ი. სიხარულიძე, ფ. სიხარულიძე, თ. კომახიძე, ე. მესხია, ს. დუმბაძე, მ. ჩავლეიშვილი და სხვ.) აქვთ ყურადღება გამახვილებული. დღეს პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, ამ მოვლენას პოლიტიკოსების გარდა, ზოგიერთი მკვლევარიც კი იგნორირებას უკეთებს, *რაც ისტორიული სამართლიანობის და ელემენტარული ობიექტურობის დამახინჯებაა. შესაძლოა, ვინმე ფიქრობდეს, რომ მეჯლისის პოზიციას* არ შეეძლო მოეხდინა რაიმე გავლენა დიდ პოლიტიკაზე, მაგრამ თავისთავად ეს ეპიზოდი მეტყველებს ქართველი მამულიშვილების მაღალ სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზე და ამ ფაქტის აღნიშვნა ელემენტარული პატივისცემაა წარსულისადმი, ქართველ მამულიშვილთა ღვაწლისადმი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქები არ მალავდნენ თავიანთ პრეტენზიებს ბათუმზე და ხან ღია აგრესიას მიმართავდნენ, ხან კიდევ შენიღბულ მოქმედებაზე გადადიოდნენ, რამაც ბრძოლა ბათუმის განთავისუფლებისათვის აუცილებელი გახადა.

ლ. თოიძის ნაშრომში ბათუმის განთავისუფლებისათვის დიპლომატიური ბრძოლის ისტორიაზე დეტალურად არის საუბარი, რაც შეეხება

უშუალოდ ქართული ჯარის საბრძოლო ეპიზოდებს, ამაზე ავტორს თითქმის არაფერი აქვს მოთხრობილი.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. სიორიძის პუბლიკაცია „საქართველოს გენერალი“.[14] ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს გიორგი მაზნიაშვილის ღვაწლს ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და აღწერილი აქვს ბათუმისათვის ბრძოლის ეპიზოდები. ბუნებრივია, ამ ნაშრომის ძირითადი პირველწყარო გ. მაზნიაშვილის მოგონებებია. მკვლევარი აჭარის სახელმწიფო არქივსა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ მასალებსაც ეყრდნობა. მ. სიორიძეს უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდები სხვა ნაშრომებში, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი ხელნაწერი „1921 წლის მარტი ბათუმში“.

1921 წლის მარტში ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდებს მოკლედ მიმოიხილავენ თავიანთ პუბლიკაციებში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ო. გოგოლიშვილი და ფრ. სიხარულიძე.[15]

მართალია, ბათუმის ცნობილ მოვლენებს სპეციალურად არ ეხება ქართველი ემიგრანტის ვ. ნოზაძის წიგნი „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“,[16] მაგრამ ეს ნაშრომი საკვლევი თემის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში ავტორს შეტანილი აქვს ბათუმის მოვლენების თვითმხილველისა და უშუალო მონაწილის, ბათუმის ციხის კომენდანტის ი. ფურცელაძის მოგონებები, რომლებიც ეხება თურქების ბათუმში შემოსვლის, ქალაქის უბნების დაკავების და საქართველოს ხელისუფლებისა და სახალხო გვარდიის პოზიციას ამ ფაქტისადმი. მიუხედავად მოგონებათა ავტორის ზოგიერთი ტენდენციურობისა, ვ. ნოზაძის ნაშრომში შეტანილი ეპიზოდები ი. ფურცელაძის მოგონებებიდან საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დასმული პრობლემის შესწავლისათვის.

---

[14] მ. სიორიძე, საქართველოს გენერალი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1990, 5 ივნისი, № 105.

[15] ო. გოგოლიშვილი, 1921 წლის მარტი ბათუმში, ჟურნალი „რაინდი“, 2009, № 1; მისივე, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ საქართველოში 1900–1921 წლებში, ბათუმი, 2005; ფრ. სიხარულიძე, გენერალი საგანგებო მისიით, გაზ. „აჭარა“,1993, 17 აპრილი, № 59; მისივე, ბრძოლა ბათუმისათვის 1918–1921 წლებში, გაზ. „ერთობა“, 1992, ოქტომბერი, № 14.

[16] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

1921 წელს ბათუმში განვითარებული მოვლენები ასახულია უცხოურ ისტორიოგრაფიაში. ევროპის ქვეყნების მკვლევართა ნაშრომები აშკარად განსხვავდება თურქი ავტორების ნაშრომებისაგან. ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევაში ფაქტებს სუბიექტური ინტერპრეტაციით გადმოგვცემენ. მიუხედავად ამისა, მათი გათვალისწინება მიზანშეწონილია ქართულ წყაროებთან შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

აღნიშნული პერიოდის შესახებ გამოქვეყნებული ევროპელ მკვლევართა ნაშრომების ერთი ნაწილი განხილულია ა. ათანელიშვილის მონოგრაფიაში,[17] თურქი ავტორებისა კი რ. ყავრელიშვილისა და ლ. თოიძის ნაშრომებში.[18] გარდა იმისა, რომ ა. ათანელიშვილი წიგნში „სისხლიანი გაკვეთილები" საინტერესო ანალიზს გვთავაზობს თურქეთის აგრესიისა და რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის შეთანხმებაზე. საქართველოს იძულებითი სოვეტიზაცია თანამედროვე საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია როგორც საბჭოთა რუსეთის მხრიდან 1920 წლის შეთანხმების დარღვევა და საქართველოს ოკუპაცია.

1921 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე ზოგიერთი მასალა ასახულია რუსულ ისტორიოგრაფიაში. მათგან უნდა აღვნიშნოთ ნ. რავიჩის, ვ. შამბაროვის, ს. აივაზიანის, ჰეკერის და სხვების მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებულები, სტატიები და სპეციალური ანგარიშები.[19] მიუხედავად დასახელებულ ავტორთა ტენდენციურობის, შოვინისტური განწყობილებისა და არაობიექტურობისა, მათ ნაშრომებში შეტანილია არაერთი ცნობა, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას.

---

[17] ა. ათანელიშვილი, სისხლიანი გაკვეთილები (უცხოელი ავტორები საქართველოს ისტორიის შესახებ 1918–1989 წლებში), თბ., 1999.

[18] რ. ყავრელიშვილი, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002; ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009.

[19] Н. Равич, Молодость века война без фронта, М., 1972; В. Шамбаров, Белогвардеищина, М., 2002; С. Айвазян, История Россий, Армианский след, М., 2000; Всемирная история. Итоги первой мировой воины, Минск-Москва, 2000; Россия в XX веке, М., 1999; Г. А. Мартыненко, Легендарный поход 18 дивизии через Годердзский перевал, Тб., 1971; С. И. Аралов, Воспоминания советского дипломата, 1922-1923, М., 1960; გენერალ ჰეკერის „საიდუმლო მოხსენება", ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1990, № 4.

ბათუმის 1921 წლის პოლიტიკურ ისტორიაზე ცნობები დაცულია თურქი ავტორების ქ. ყარაბექირის, ს. ესინ დაის, ე. ქონუქჩუს, ო. ყიზილ-ყაის, ჯ. გიოქთეფეს, ნ. აიდინის ნაშრომებში.[20] ავტორები თურქეთის ის-ტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი სტილითა და მანერით აღწერენ აღნიშნულ მოვლენებს, რაც მკვლევრებისაგან დიდ სიფრთხილეს მოით-ხოვს.

მხატვრულ - დოკუმენტური ლიტერატურა

ბათუმის 1921 წლის პოლიტიკური ისტორია არაერთი ქართველი მწერლის ნაწარმოების თემა გამხდარა. მართალია, მხატვრულ-დოკუმენ-ტურ ლიტერატურაში მოვლენები მწერლის ინტერპრეტაციითაა წარმო-ჩენილი და ზოგჯერ შორსაა რეალობისაგან, მაგრამ აღნიშნულ ნაწარმო-ებთა გაცნობა მკვლევართა პროფესიული მოვალეობაა, მითუმეტეს თუ ამ ნაწარმოებებში ავტორები სარგებლობენ დოკუმენტური წყაროებით.

ამ მხრივ, საინტერესოა ს. გერსამიას, ირ. ქავჟარაძის, ც. არდაშელი-ას, მ. ვარშანიძის, ე. დავითაძის ი. გორაძის, ს. გამსახურდიას, ვ. კანდელა-კის, ლ. მეტრეველის, ნ. მიწიშვილის, ა. ქუთათელის, ო. ეგაძისა და სხვა-თა[21] ნაწარმოებები, რომლებიც მხატვრულად აღწერენ 1921 წლის მარტში ბათუმში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას, ქართველი მხედ-რებისა და მოხალისეების თავდადებასა და თავგანწირვას საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში.

---

[20] S. Esin Dayi, Elviye-I Selase de (Kars, Ardahan, Batumi) Mili Teskilatlanma, Erserum, 1995;Mahmut Gologlu, Cumhuruiyet dogru 1921-1922, Ankara; ქ. ყარაბექირი, ოსმა-ლეთის პროვინციები, სტამბული 1972 (თურქულ ენაზე); ე. ქონუქჩუ, აღმოსავ-ლეთ ანატოლიის უახლესი ისტორია; ო. ყიზილყაი, ყარსისა და მისი შემოგარენის სოციალური და კულტურული სტრუქტურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში; ჯ. გიოქთეფე, თურქეთის პოლიტიკური ისტორია და მისი საგარეო ურთიერთობანი (1919–1938); ნ. აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, კრებულში „ახალციხე-ყარსი“, თბ., 2002.

[21] ს. გერსამია, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960; ირ. ქავჟარაძე, ვალმოხდილი, თბ., 1978; ც. არდაშელია, და მოლანდება ასი ათასი, ბათუმი, 1981; მ. ვარშანიძე, გლო-ცავს შენი სავანე, ბათუმი, 1992; ე. დავითაძე, სოფლის აღმაშენებელი, წიგნი მე-ორე, თბ., 1992; ი. გორაძე, სიკვდილის საკანში, ბათუმი, 1995; ს. გამსახურდია, უკანასკნელი გემი (1920–1921), ისტორიული რომანი, თბ., 1991; ვ. კანდელაკი, დრო ოცდაოთხი საათი (პიესა), თბ., 1971; ლ. მეტერველი, 25 თებერვალი, თბ., 1931; ნ. მიწიშვილი, თებერვალი, თბ., 2009; ა. ქუთათელი, პირისპირ, რომანი, წგ. 3-4, თბ., 1989; ო. ეგაძე, დღენი ჩვენი ბრძოლებისა: პოლიტ. რომანი, თბ., 1988.

2. ბათუმის საკითხი (1921 წ. მარტი) თურქულ ისტორიოგრაფიაში

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში მრავალი საინტერესო მასალა და დოკუმენტია დაცული საქართველოს უახლესი ისტორიის და ბათუმის საკითხის შესასწავლად. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანი არის თურქი მეცნიერების მიერ ბათუმსა და ბათუმის გარშემო 1921 წლის მარტში მიმდინარე მოვლენების ამსახველი ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტური მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, გაანალიზება.

ამ მხრივ საინტერესოა თანამედროვე თურქი ისტორიკოსის ესინ (დერინსუ) დაის მონოგრაფიაში მოტანილი დოკუმენტური მასალა. ამავე მონოგრაფიაში დაცულ რამდენიმე დოკუმენტის გაანალიზებით მოკლედ განვიხილავთ მანამდე მიმდინარე იმ მოვლენებს, რომლებიც უშუალო კავშირშია ჩვენს თემასთან.

1920 წ. 17 მაისის გადაწყვეტილებით თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა ამავე წლის 8 სექტემბერს მეჯლისის ბათუმის ოლქის დეპუტატები ფევზი, ნურედდინი და აკიფ ბეგები სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების შექმნის მიზნით ბათუმში გამოაგზავნა. ხოლო, კიდევ ერთი ბათუმელი დეპუტატი იმამზადე მეჰმედ ედიბი, ბათუმის ოლქთან ახლოს, თურქეთის ტერიტორიის საზღვრებში, ქალაქ ხოფაში მოავლინა.[22]

მეჰმედ ედიბი ქ. ხოფადან ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროს უგზავნიდა მოხსენებით ბარათებს და აბარებდა ანგარიშებს ბათუმსა და ბათუმის ოლქში მომდინარე მოვლენების შესახებ. ხოლო, მას ინფორმაციას უგზავნიდნენ ბათუმში მყოფი ზემოაღნიშნული დეპუტატები. იგი საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ მუჰთარ ბეისაგან ღებულობდა ინსტრუქციებსა და მითითებებს, იყო კოორდინატორი ანკარასა და "ბათუმის ისლამურ საზოგადოებას" შორის.[23] მეჰმედ ედიბის მოხსენებითი ბარათები დათარიღებულია 1921 წ. 19 იანვრით, 21 იანვრით, 13 თებერვლით, 18 თებერვლით, 10 მარტით. ხოლო, საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი დათარიღებულია 1921 წ. 5 მარტით.

პირველ მოხსენებით ბარათში დაცული ცნობებიდან ვგებულობთ, რომ 1) მეჰმედ ედიბი სამსუნში შეხვედრია ბექირ სამი ბეის, რომელიც

---

[22] S. Esin (Derinsu) Dayı, Elviye-i Selase'de (Kars, Ardahav, Batum) Milli Teşkilatlanma, Erzurum, 1995, გვ. 252.

[23] იქვე, გვ. 253-268.

თურქეთის მთავრობის პირველი დელეგაციის ხელმძღვანელი იყო მოსკოვში 1920 წელს. მეჰმედ ედიბისვე განმარტებით, იმის გამო, რომ ბექირ ბეი მას ახლოს არ იცნობდა, საქმის ვითარება ბოლომდე არ გააცნო, რამაც დააეჭვა მეჰმედ ედიბი. იგი აქვე ამბობს, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა სთხოვეს მას ბათუმში ჩასვლა და ბათუმისა და ბათუმის მხარის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შესვლის წინადადების განხილვა. რაზედაც მან უარი განაცხადა, რადგან ეს არ გამოხატავდა მუსლიმი საზოგადოების ნებას, რომელსაც სურდა ბათუმისა და ბათუმის მხარე ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. 3) იგი ვრცლად ეხება, ასევე, ავტონომიის მომხრეთა საქმიანობასაც და აღნიშნავს, რომ ავტონომიის მომხრეებს მიზნად აქვთ მოიწვიონ ბათუმში ორმოცკაციანი მეჯლისი, რომელიც შეიმუშავებს და გადაწყვეტს ავტონომიის საკითხს. თუმცა, რადგან ბათუმში ქართული ჯარი დგას, ეს გადაწყვეტილება ვერ იქნება კანონიერი. 4) აღნიშნული საკითხების გარშემო მოსალაპარაკებლად „საჭიროა თქვენი ბათუმში ჩამოსვლა. მე არ მაქვს უფლებამოსილება ველაპარაკო საქართველოს მთავრობას. ამიტომ, საჭიროა ეს საკითხი განხილულ იქნას ანკარის მთავრობის მიერ დანიშნულ წარმომადგენელთან“.

21 იანვრით დათარიღებულ მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ მეჰმედ ედიბს 1) სამსუნიდან ტრაპიზონამდე გაუმართავს შეხვედრები ინტელიგენციასთან და სამხედრო ხელმძღვანელობასთან. რომელთაგანაც შეიტყო, რომ ბოლშევიკთა თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, უპრიანი იქნებოდა ბათუმის საქართველოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება ავტონომიის უფლებით. იგი აქვე მიუთითებს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც არ სურდა საქართველოს მთავრობა, თავისდაუნებურად დაეხმარებოდა ბოლშევიკებს. უეჭველია, რომ ასეთ ქმედებაზე დიდ როლს ითამაშებდა ანკარის მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის არსებული კავშირი. ამას ხელს უწყობდა ასევე ბოლშევიკთა პროპაგანდა, თითქოს, თუ ისინი მათ დაუჭერდნენ მხარს, უფრო ადვილად შეუერთდებოდნენ თურქეთს. სწორედ ეს გახდა ბათუმის ისლამური საზოგადოებასა და ბოლშევიკებს შორის თანამშრომლობის და ბათუმში ბოლშევიკობის გამოცხადების მიზეზი. მეჰმედ ედიბის დასკვნით, ბოლშევიკთა შეჩერება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ თურქების მიერ ბათუმის დაკავებით. 2) მეჰმედ ედიბის აზრით, ბოლშევიკების შეჩერება ქართველების საშუალებით არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან მუსლიმები მხარს დაუჭერდნენ ბოლშევიკებს. ამდენად, მათი შეჩერება უკეთესი იქ-

ნებოდა, თუ ავტონომია მიენიჭებოდათ თურქეთის შემადგენლობაში. 4) მეჰმედ ედიბი თავისი მოხსენების მეოთხე მუხლში აღნიშნავს, რომ ბათუმისა და ახალციხის მოსახლეობაში გავრცელებული ხმებით, თუ ბოლშევიკები აიღებდნენ თბილისს, მაშინ თურქები დაიკავებდნენ ბათუმსა და ახალციხეს. მეორეს მხრივ, თუ თურქები შევიდოდნენ ბათუმში, მაშინ ბოლშევიკები ბათუმისაკენ დაიძრებოდნენ. ამ ეტაპზე მოსახლეობას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ საით წავიდოდნენ ბოლშევიკები, თბილისისკენ, თუ ბათუმის მიმართულებით. 5-6) ბათუმში ჩატარდა ორმოცკაციანი მეჯლისის არჩევნები. აირჩა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის მომხრე 31 დეპუტატი. „ბათუმის ისლამური კომიტეტი“ მხარდამჭერთა ერთი ჯგუფით მივიდა „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან“ და გააპროტესტა აღნიშნული არჩევნები.

ასევე სინტერესოა მეჰმედ ედიბის 1 და 13 თებერვლით დათარიღებული მიმართვა ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, სადაც იგი მოითხოვს, მუდმივად იყოს ინფორმირებული ანკარაში საქართველოს საელჩოს მოთხოვნების შესახებ, რომ ბათუმის მოსახლეობას, „ბათუმის ისლამურ კომიტეტს“ მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ და ამგვარად გაუწიოს წინააღმდეგობა საქართველოს მთავრობის მოწოდებებს. 18 თებერვლით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში მეჰმედ ედიბი ანკარისაგან მოითხოვს ინფორმაციას არსებული მდგომარეობის შესახებ და სათანადო ინსტრუქციებს. აქვე არის საინტერესო მიმართვა ბათუმის მოსახლეობისადმი, რომელსაც ხელს აწერენ იმამზადე მეჰმედ ედიბი, ჰათუნზადე აჰმეთ ნურედდინი და ჰიჯაბიზადე აჰმედ აკიფი. ისინი მოუწოდებენ მოსახლეობას არ დაუჯერონ აბაშიძე თულუმბაზადეს და ხიმშიაშვილებს, რომლებიც მომხრენი არიან ბათუმისა და ბათუმის მხარის საქართველოსთან შეერთებისა და მსგავს აგიტაციას ეწევიან მოსახლეობაში, როგორც სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ასევე თავიანთი გაზეთის „სამუსლიმანო საქართველოს“ საშუალებით. „ტრაპიზონში ქართულ-თურქული დელეგაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს სანჯაყბეგმა ჰაიდარ ბეგმა თავი ბათუმის მხარის წარმომადგენლად გააცნო და ბათუმი საქართველოა, მოსახლეობა ეროვნებით ქართველია და ამ შემთხვევაში რელიგია არ არის უპირატესიო - განაცხადა. ნუ დაუჯერებთ ავტონომიის იდეას, თვალწინ გვაქვს ავტონომია, რომელიც მიეცათ სოხუმში აფხაზებს. ბათუმის მხარე ეკუთვნის ოსმალეთს და ბრესტლიტოვსკის ზავით სამი სანჯაყის მოსახლეობის მომავალიც განისაზღვრაო“ – ამბობენ ავტორები.

აქვე არის მილოცვის წერილი, გაგზავნილი ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, ხელს აწერენ დეპუტატი აჰმედ ნურედდინი, დეპუტატი მეჰმედ ედიბი. ხოლო, ისლამური საზოგადოების ხელმძღვანელის ბექირის მაგიერ ხელს აწერს თავად მეჰმედ ედიბი და აქვე იძლევა აღნიშნულის შესახებ განმარტებას, რომ ბექირმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ამ წერილით ისინი ულოცავენ თურქეთის მთავრობას ართვინისა და არტაანის მხარეების თურქეთის შემადგენლობაში შესვლას. გამოხატავენ იმედს, რომ იგივე ბედი ეწევა ბათუმსა და ბათუმის მხარეს. წერილს არ ახლავს თარიღი, მაგრამ იგი 23 თებერვლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, რადგან თურქეთის მთავრობის ნოტების სახით წარმოდგენილი ულტიმატუმების შემდეგ, ქართულმა სამხედრო შენაერთებმა დატოვეს ეს მხარეები.[24]

ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ მუჰთარ ბეი ხოფაში მყოფ მეჰმედ ედიბს 05. 03. 1921 წლით დათარიღებულ თავის პასუხში მოუწოდებდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიტუაციის დროს მათი თავი შეეკავებინათ ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც არ იქნებოდა ძირითადი პოლიტიკის ნაწილი. რომ ამ ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები გადაიდო. ისინი უნდა დალოდებოდნენ და ემოქმედათ მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის მითითებების მიხედვით.

ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილ 10. 03. 1921 წ. დათარიღებულ პასუხში მეჰმედ ედიბი ატყობინებდა, რომ იგი გადასცემდა მთავრობის ინსტრუქციებს „ისლამურ საზოგადოებას", მოუწოდებდნენ ხალხს სიმშვიდისაკენ, რომ არ გამოიჩენდნენ კერძო ინიციატივას და რომ მათ ქმედებები წინააღმდეგობაში არ მოვიდოდა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკასთან. რადგან თვლიდნენ, რომ „ეროვნული პაქტის" მიხედვით ბათუმი თურქეთის ტერიტორიად იყო აღიარებული.

ანკარაში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათებით მეჰმედ ედიბი ხელისუფლებას ურჩევდა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებას. მაგრამ, ანკარის მთავრობა, ლონდონის კონფერენციის დასრუ-

---

[24] S. Esin (Derinsu) Dayı, Elviye-i Selase'de (Kars, Ardahav, Batum) Milli Teşkilatlanma, Erzurum, 1995, გვ. 270-273; ასევე, M. Adil Özder, Artvin ve Çevresi (1828 – 1921 savaşları), Ankara, 197, გვ. 124.

ლებამდე, ასეთი სახის მოქმედებებს მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა და თავის პასუხებში მეჰმედ ედიბისაგან ლოდინს მოითხოვდა.[25]

როგორც ვხედავთ, მეჰმედ ედიბს და ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ბათუმის საკითხთან დაკავშირებული მიმოწერები 1921 წ. იანვარ-მარტის თვეებში მიმდინარეობდა.

ამ კუთხით საინტერესოა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუჰთარ ბეის გამოსვლა თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის დეპუტატთა წინაშე 1921 წ. დასაწყისში, რომლის ტექსტი მოტანილი აქვს მაჰმუთ გოლოღლუს თავის ნაშრომში "რესპუბლიკისაკენ". იგი მოიცავს თურქეთის ისტორიის 1921-1922 წწ. პერიოდს. ნაშრომის ბოლო თავში საუბარია რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებასა და ბათუმის საკითხზე.

ქვეთავს ავტორი იწყებს საქართველოსა და სომხეთის გასაბჭოებით და აღნიშნავს, რომ იმპერიალისტების წინააღმდეგ ერთად მებრძოლი ბოლშევიკები და თურქები ფაქტობრივად ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, სადაც გადასაწყვეტ პრობლემად კავკასიაში საზღვრების მოწესრიგება იკვეთებოდა, რაც მსჯელობის საგნად იქცა თურქ დეპუტატებს შორის. საინტერესოა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ მუჰთარ ბეის განცხადება, სადაც იგი ამბობს: "საქართველოს მთავრობამ ჩვენ მოგვმართა, რომ დაგვედო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმი და არდაგანი საქართველოს საზღვრებში დარჩებოდა. თუმცა, ბათუმიცა და არდაგანიც ეროვნული პაქტით დადგენილ საზღვრებში შედის. ამიტომ, მათი მოთხოვნისადმი მოუფიქრებელი პასუხის გაცემა არასწორი იქნება. თანხმობის ან უარის თქმამდე, ჩვენ გავითვალისწინეთ ყველა აღმოსავლური პრობლემა. ჩვენი ურთიერთობა დასავლეთთან და საკითხი განსჯისათვის მეჯლისში შემოვიტანეთ. დასავლეთში ანკარის მთავრობისათვის დახმარების არავითარი წყარო არ არსებობს. მაგრამ, მთავრობას ამ მძიმე ბრძოლაში აუცილებლად ესაჭიროება გარეშე ძლიერი დამხმარე ძალა, რომელსაც ის დაეყრდნობა.

რუსეთთან დამყარებული ურთიერთობების გამო შეშინებული დასავლეთის ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ამგვარ მოლაპარაკებებს. ამის გამო, რუსეთის დამოკიდებულება ჩვენდამი შეიცვალა. ჩვენმა მთავრობამ რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს გ. ჩიჩერინს

---

[25] S. Esin (Derinsu) Dayı, Elviye-i Selase'de (Kars, Ardahav, Batum) Milli Teşkilatlanma, Erzurum, 1995, გვ. 266.

გაუგზავნა შემდეგი ხასიათის ნოტა: - „ამხანაგო კომისარო, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის და დასავლეთის იმპერიალიზმის ზეწოლის საპირისპიროდ, ეროვნებათა დამოუკიდებლობის პრინციპების ერთობლივი ძალებით დასაცავად, თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისი თავს რუსეთის ბუნებრივ მოკავშირედ თვლის“ - ნოტასთან ერთად მეჯლისმა საქართველოს მოთხოვნების თაობაზე მათი დამოკიდებულებაც იკითხა. გ. ჩიჩერინმა თავის ნოტაში აღნიშნა, რომ ისინი აღიარებდნენ 1920 წ. მაისში საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს, რომლის მიხედვითაც არდაგანი და ბათუმი საქართველოს რჩებოდა. თუმცა, რუსებმა ისიც იციან, რომ ეს ტერიტორიები ეროვნული პაქტის საზღვრებში შედის. ამგვარად, ქართველებთან დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე ვდგებით. მთავრობამ ეროვნული პაქტის მიხედვით, ივალდებულა უზრუნველეყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, მოეხდინა საზოგადოებრივი აზრისა და ძალისხმევის კონცენტრაცია ერთ წერტილში. ამდენად, ასეთი მიზნებისათვის საწინააღმდეგო ხელშეკრულებას არც განიხილავს და არც ხელს მოაწერს. მაგრამ საქმის ყველაზე ძნელი და სათუთი წერტილი სწორედ ეს არის და სიმართლე, რომლის უარყოფაც შეუძლებელია, ეს არის ბათუმის განსაკუთრებული მდგომარეობა. ბათუმი კავკასიაში ყველა სახელმწიფოს, იქ მაცხოვრებელი 12 მილიონამდე ადამიანის ერთადერთი ფანჯარა და სუნთქვის საშუალებაა. აქედან გამომდინარე, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის საერთაშორისო საკითხში. ბათუმი მხოლოდ კავკასიის რესპუბლიკების ინტერესების სფეროში არ შედის, რუსეთის მთავრობასაც გარკვეული ინტერესები გააჩნია ბათუმის მიმართ. ამიტომ საფიქრებელია, რომ მთავრობას რაც უფრო ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება არდაგანის საკითხში, მით უფრო გაუჭირდება საქმე ბათუმის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამისათვის საჭიროა თქვენმა ორგანომ ეს საკითხი გაანალიზოს.

მთავრობამ პირველ რიგში უნდა მიიღოს თქვენი უმაღლესი ორგანოს თანხმობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის მდგომარეობა და მომავალი. სწორედ ამის მიხედვით უნდა მიეცეს ინსტრუქცია ჩვენს დელეგატებს მოსკოვში“.[26]

---

[26] Mehmet Gologlu, Cumhuriyete Doğru, Ankara, 1971, gv. 280.

როგოც ამ გამოსვლიდან ჩანს, თურქეთის მთავრობის მოქმედება მომავალში დამოკიდებული იქნებოდა ბოლშევიკთა შემდგომ პოლიტიკაზე კავკასიის მიმართ, რაც დადასტურდა კიდევაც.

ცნობილია, რომ ანკარაში საქართველოს საელჩოს მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო თურქეთთან საზღვრების საკითხის დადგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა რუსეთთან დადებულ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების მიხედვით აღიარებულ საზღვრებში. თუმცა, 1921 წ. 11 თებერვალს ლორეში მოწყობილი ინცინდენტის შედეგად წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით საქართველოში შემოიჭრა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა სამხედრო დახმარებისათვის ანკარის მთავრობისათვის მიემართა, რომლის საფასურადაც ანკარის მთავრობამ მოითხოვა ართვინისა და არტაანის ოლქები. რასაც მოწმობს 1921 წ. 18 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის კ. საბახტარაშვილის დეპეშა სვ. მდივნისადმი[27] და ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ანკარის მთავრობის ორი ნოტა.

დოღან ავჯიოღლუს თავის ნაშრომში „ეროვნული მოძრაობის ისტორია" დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო 1919-1921 წწ. პერიოდი. განსაკუთრებით, ანკარის მთავრობისა და ბოლშევიკების პოლიტიკური ურთიერთობები. ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში კარგად ჩანს სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ფაქტი კავკასიის რეგიონში, რამაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაკარგვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ავტორს ცალკე ქვეთავად აქვს გამოყოფილი ბათუმის საკითხი და აღნიშნავს, რომ თურქებსა და ბოლშევიკებს შორის კავკასიაში მთავარ წინააღმდეგობად რჩებოდა ბათუმის საკითხი. იგი მოკლედ განიხილავს 1918-1921 წწ. ბათუმის მხარეში მიმდინარე მოვლენებს და თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოჰყავს კიაზიმ ყარა ბექირის დეპეშის მცირე ამონაწერი, რომელიც მან მუსტაფა ქემალ ფაშას 1921 წლის 27 მარტს გაუგზავნა: „მეფის რუსეთის დროს, ფაბრიკები და რკინიგზები ბაქოს ბუნებრივი სიმდიდრეების გათვალისწინებით იყო აგებული და რა წყობაც

---

[27] m. svaniZe, diplomatiuri brZola baTumisa da baTumis olqisaTvis 1918–1921 wlebSi, qarTuli diplomatia, weliwdeuli, t. 10, Tb., 2003, gv. 174.

არ უნდა იყოს რუსეთში იგი ბაქოს გარეშე ვერ იქნება. ხოლო ბაქო, თავის მხრივ, ბათუმის გარეშე".[28]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აღმოსავლეთის ჯარების სარდლის კიაზიმ ყარა ბექირ ფაშას დეპეშა გენშტაბისადმი, დათარიღებული 1921 წ. 2 მარტით: „საბჭოთა რუსეთმა, ბათუმის აღების სურვილით, შეიძლება არაფერი ჰკითხოს თურქეთის მთავრობას და ბათუმისა და მისი მხარის დასაკავებლად დაიძრას. ასეთ სიტუაციაში ბათუმის შესანარჩუნებლად აუცილებელია იქ იმყოფებოდეს სამხედრო ძალა. მაგრამ, ბათუმს, როგორც სამხედრო ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამის გამო, ბათუმის დაკავებას მიზანშეწონილად არ მივიჩნევ".[29]

განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის კიაზიმ ყარაბექირ ფაშას მოგონებათა წიგნი „ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის", რომელშიც მრავლად არის წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ჩვენთვის საინტერესო მოვლენებთან დაკავშირებით, რადგან თვით ავტორი იყო ამ მოვლენათა ეპიცენტრში.

კიაზიმ ყარა ბექირ ფაშას 1921 წ. 16 თებერვალს თბილისში მყოფი ანკარის მთავრობის წარმომადგენელ კიაზიმ დირიქისაგან მიუღია შიფროგრამა. იგი იტყობინებოდა, რომ საქართველოს მთავრობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში თურქებისაგან დახმარებას ითხოვდა. ასევე, დახმარებას ითხოვდნენ ისლამური კომიტეტები. ყარაბექირ ფაშა კომენტარს უკეთებს შიფროგრამას და ამბობს: „თბილისში წასვლამდე კიაზიმ ბეის განვუმარტე შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ვუთხარი, რომ ბოლშევიკებსა და საქართველოს შორის ომის დროს უნდა დავრჩენილვიყავით ნეიტრალურ პოზიციაზე. რადგან რუსების დამარცხების შემთხვევაში, ჩვენ კვლავ მოვექცეოდით ანტანტის რკალში. დღეს საქართველოს მენშევიკური მთავრობა ანტანტის ხელშია და თან, სანამ ქართველებმა რუსების თავდასხმის შესახებ არ შეიტყვეს, არ სცნეს ანკარის მთავრობა, არც სომხეთთან დადებული ზავის შესახებ შეგვატყობინეს რაიმე. ისინი ვინც თბილისში არიან და რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გვაგზავნიან, გამოაშკარავდნენ. კიაზიმ ბეი ვერ ჩაუღრმავდა ჩემს ნათქვამს და სხვისი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება".[30] ყარაბექირის აზრით, რადგან თურ-

---

[28] Doğan Avcıoğlu, Milli Kurtuluş Tarihi, İstanbul, 1976, გვ. 285.

[29] იქვე, გვ. 290.

[30] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1930-1931.

ქეთი ანტანტასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიერკავკასიის ვერც ერთ მთავრობას იგი ვერანაირ მხარდაჭერას ვერ აღმოუჩენდა. ამასთანავე, აღმოსავლეთის ფრონტის უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია ბოლშევიკებთან კავშირი და ძალების დასავლეთით გადასროლა. „ახლა, ომი ბოლშევიკებთან, ნიშნავს ჩვენს მოქცევას რკალში. ამიტომ, არ უნდა შევუშალოთ ხელი ბოლშევიკებს შექმნან ფედერაცია კავკასიაში. მოსკოვში მყოფი ჩვენი დელეგაციისაგან ცუდი ამბები არ ისმის. მეორეს მხრივ, ჩვენი დელეგაცია ლონდონშიც იმყოფება. ნეტავ იქიდანაც კარგი ამბავი ხომ არ ჩამოვიდა და ეს ხომ არ გახდა მიზეზი იმისა, რომ ანკარის მთავრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ომისკენ უბიძგებენ?".[31] აქვე არის ძალიან საყურადღებო დეტალი ართვინისა და არტაანის საკითხთან დაკავშირებით. ეს არის წერილის ერთი ამონარიდი, რომელიც კიაზიმ ყარაბექირ ფაშამ გაუგზავნა თურქეთის არმიის გენშტაბს. წერილში აღნიშნულია: „ართვინისა და არტაანის მხარეების მშვიდობიანად დაკავების დრო დადგა, ისევე, როგორც ეს ქართველებმა ყარსისკენ შეტევის დროს მოიმოქმედეს, ართვინ-არდაგანი უკანონოდ მიითვისეს და გვითხრეს, რომ თუ არ გადავლახავდით ამ ორი მხარის საზღვარს, ისინი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდნენ. ჩვენც ასევე, საპასუხოდ იგივე უნდა გავაკეთოთ, ქართველებსა და ბოლშევიკებს ნეიტრალიტეტი გამოვუცხადოთ და დაუყოვნებლივ დავიკავოთ ართვინი და არდაგანი. ამისათვის ვამზადებ ერთ რაზმს. ჩემს საკავალერიო პოლკს ორ ეშელონად ზარშათისაკენ წინსვლა ვუბრძანე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკები წარმატებებს მიაღწევენ და ამ მხარეს აიღებენ, უკან დაბრუნება ძალიან გაჭირდება".[32] კიაზიმ ყარაბექირის სიტყვებიდან ჩანს, რომ ანკარის მთავრობამ მაინც გადაწყვიტა საქართველოს დახმარება. იგი ამბობს: „ჩვენი წარმომადგენელი თბილისში წერილობით მოითხოვს რუსებისაგან ქართველების დაცვას და რუსების წინააღმდეგ სამხედრო შეტევას. ამის გაკეთებას ჩემგან სასწრაფოდ ითხოვენ. ანკარის მთავრობა დაეთანხმა დახმარების მოთხოვნას და მიბრძანა ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წამოწყება. მას კავკასიის ფედერაციის ილუზია აქვს". კიაზიმ ყარაბექირი მოკლედ აჯამებს ბოლშევიკების საქართველოს სიღრმეში შემოჭრას და აღნიშნავს: „ჩვენი წარმომადგენელი თბილისში კიაზიმ ბეი ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში. ჩანს, რომ ანტანტის ქვეყნები არ ცვლიან თავიანთ გადაწყვეტი-

---

[31] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1931-1932.

[32] იქვე, გვ. 1932.

ლებებს ჩვენს მიმართ. ამიტომ მე მას მივწერე და გავაფრთხილე, რომ ასეთ სიტუაციაში ჩვენი ჩათრევა ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებაში, ცეცხლის რკალში გახვევას უდრის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები 20 თებერვალს თბილისთან დამარცხდნენ და ქართული გენშტაბი ბრძოლის გაგრძელებაზე საუბრობს, არა მგონია, საქართველომ დიდხანს გაუძლოს. ერთი ბოლშევიკი ქართველი ანკარაში მოსკოვის ელჩად ჩასულა. ეჭვი არ მეპარება, რომ მიუხედავად ერთი მარცხისა, ომის გაგრძელება საქართველოში ბოლშევიზმის დამყარების საფუძველი გახდება. ხოლო ჩვენი ყოყმანი ასეთ ვითარებაში შეიძლება გახდეს ართვინისა და არდაგანის მხარეებში ბოლშევიკური სამხედრი ნაწილების შესვლის მიზეზი".

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კიაზიმ ყარაბექირი, კიაზიმ დირიქის მოქმედებებს, რომელიც მოითხოვდა თურქეთის ჯარების შესვლას კავკასიაში, დანაშაულად მიიჩნევს და კატეგორიული წინააღმდეგია ყოველგვარი სამხედრო მოქმედებებისა ბოლშევიკების მიმართ, რაც მისი აზრით, ეროვნული ინტერესების გაწირვის ტოლფასი იყო.

როგორც ვხედავთ, კიაზიმ ყარა ბექირ ფაშას მიმდინარე მოვლენების დროს ბათუმის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. ჩანს, რომ ეს საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო მოსკოვში ბოლშევიკებსა და თურქეთის დელეგაციას, ანკარაში საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დელეგაციასა და ანკარის მთავრობას შორის. ხოლო, ზოგადად აღმოსავლეთის საკითხი დამოკიდებული იყო ლონდონის კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებებზე.

მონოგრაფიაში არის აღმოსავლეთის ფრონტის დაზვერვის განყოფილებაში დაცული წერილობითი ინფორმაცია კიაზიმ ყარაბექირის მიერ არტაანის და ართვინის აღების შესახებ. იგი თარიღდება 1921 წლის 23 თებერვლით.[33]

კიაზიმ ყარაბექირი მიუთითებს, რომ მან ბოლშევიკების მიერ 25 თებერვალს თბილისის აღების ამბავი კიაზიმ დირიქისაგან შეიტყო. იგი მას 26 თებერვალს ქუთაისიდან დაუკავშირდა ტელეგრაფით, აცნობა, რომ ბოლშევიკები ბათუმის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას და იკითხა: აპირებს თუ არა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობა ბათუმის დაკავებას. „მე ვუპასუხე, რომ მას ეცნობებინა ჩემთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის პოზიცია, რასაც შე-

---

[33] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1936-1937.

ვატყობინებ ჩვენს მთავრობას და იქიდან მიღებულ პასუხს მოგწერთ. მდგომარეობა ვაცნობე გენშტაბსაც", ამბობს კიაზიმ ყარაბექირ ფაშა.[34]

შემდეგ იგი აღწერს ახალქალაქსა და ახალციხეში ბოლშევიკების შესვლის და კავშირგაბმულობის სამი საბჭოთა ოფიცრის ყარსში მისვლის ამბავს. მათ კიაზიმ ყარაბექირს წითელი არმიის თურქეთის ჯარისადმი მეგობრული დამოკიდებულების შესახებ გადასცეს და თურქებისგანაც ანალოგიური პასუხი მიიღეს. კიაზიმ ყარაბექირმა ყოველივე დაუყოვნებლივ გენშტაბს აცნობა.[35] საყურადღებოა თურქი სარდლის დასკვნა, რომ ბოლშევიკები არც ისეთი ძლიერები არიან, რადგან გაუჭირდათ ქართული ჯარის დამარცხება. აქედან გამომდინარე, ისინი თურქეთის წინააღმდეგ რაიმე სახის სამხედრო კონფრონტაციაზე არ წავიდოდნენ.

1921 წ. 9 მარტს კიაზიმ ყარაბექირმა გენშტაბისაგან, შესაძლებლობის ფარგლებში, იმავე საღამოს, ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის დაკავების შესახებ სასწრაფო ბრძანება მიიღო. ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრომ შიფროგრამით აცნობა, რომ უნდა შეექმნათ კავკასიის კონფედერაცია. კიაზიმ ყარა ბექირმა ბოლშევიკებთან დაპირისპირების გამორიცხვის მიზნით, თავისივე სიტყვებით, მეგობრული მანევრირება დაიწყო. ახალციხის მახლობლად დისლოცირებულმა კავალერისტთა ასეულმა ადგილობრივ მილიციასთან ერთად ქალაქი დაიკავა. იგი ამბობს: „საფიქრებელი იყო, რომ ბათუმის აღებისას სისხლი დაიღვრებოდა, რადგან ქართველები სასწრაფოდ გამოაცხადებდნენ ბოლშევიკობას და დაგვიპირისპირდებოდნენ. თუმცა, ეხლა, გენშტაბთან კამათის დრო აღარ იყო. წესით მათ უნდა სცოდნოდათ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ჩემთვის გაუგებარი იყო კონფედერაციის ილუზია, ეს ვის უნდა გაეკეთებინა. დღეს თბილისში ბოლშევიკური მთავრობა შეიქმნა, იგივე მდგომარეობაა აზერბაიჯანში, სომხეთში მოვლენები მუდმივად იცვლება. ნუთუ კვლავ გადაწყვიტეს ბოლშევიკურ არმიასთან სამხედრო კონფრონტაცია? ანკარის მთავრობა იძლევა განმარტებებს ზოგადი სიტუაციის შესახებ, მაგრამ არ იძლევა ინფორმაციას თავისი მოქმედებების თაობაზე. დროდადრო განსხვავებულ სურათს ხატავს".[36]

შემდეგ ავტორი ახალციხეში მომხდარ მოვლენებსა და 9 მარტს რუსეთის XI წითელი არმიის სარდალ ჰეკერისაგან მიღებული მეგობრული

---

[34] იქვე, გვ. 1939.

[35] იქვე, გვ. 1940.

[36] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1942.

დეპეშის შესახებ საუბრობს, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო ახალციხეში წითელი არმიისა და თურქეთის ჯარების გულთბილ შეხვედრაზე.[37]

ცალკე ქვეთავად გამოყოფილ ბათუმის მოვლენების შესახებ კიაზიმ ყარა-ბექირი ამბობს, რომ მისივე ბრძანებით, 11 მარტს, შუადღისით ბათუმი დაიკავა მე-7 პოლკის ერთმა ბატალიონმა. მათ დანარჩენი სამხედრო ნაწილების ქალაქში შეუსვლელად ევალებოდათ სათანადო ღონისძიებების გატარება. „იმ დღესვე, - ამბობს ყარაბექირი, - მივიღე ინფორმაცია, რომ წითელი არმიის კავალერისტთა ერთი ბრიგადა ემზადებოდა ბათუმისაკენ შესატევად. რუსები, როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან აპირებდნენ ბათუმის დაკავებას. ქართველები ბათუმის ჩრდილო ნაწილში რუსებს ებრძოდნენ, ამ დროს ჩვენ ბათუმი დავიკავეთ. თუმცა, აქაურობა იყო ქართული არმიის ბოლო სიმაგრე. რუსებს ახალციხეში მეგობრულად შევხვდით. ამ ბრიგადას ბათუმში სამხრეთიდან შემოსვლით ქართული ჯარისათვის გზა უნდა გადაეჭრა და მუქთად ჩაეგდო ციხე ხელში, თუ ბათუმში მყოფ ჩვენს რაზმს მათთან ომი უნდა გაემართა? ანუ გამოდის, რომ ჩვენ ქართველების დასახმარებლად მივედით? მესამე ალტერნატივა - არც ერთს და არც მეორეს, ბათუმის ასაღებად ჩვენ მივედით. ამ შემთხვევაში ორივესთან მოგვიწევდა ბრძოლა? თუ მთავრობა კავკასიის კონფედერაციის გადაწყვეტილებას ღებულობს, რომ ჩვენი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე საქმე არ გაგვიუარესდეს? მაშინ მე ავუხსენი, რომ საჭირო იყო ბრძანების გაცემა. დრო ძალიან ცოტაა, კამათის დრო წავიდა. მე ჩემს ნაწილებს ბრძანება მივეცი, რომ ბრძოლების გამართვის გარეშე, არც ერთი მხარისათვის დაკავებული უბნები არ დაეთმოთ და მეგობრული დამოკიდებულება შეენარჩუნებინათ“.[38]

12-13 მარტის ღამეს კიაზიმ ყარაბექირს მიუღია მთავრობის ბრძანება დაკავებულ ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის მხარეებში ანკარის ხელისუფლების სახელით დაენიშნა მოხელეები. მან თავის მხრივ დავალების შესრულების შესახებ გასცა ბრძანება, რითაც სამხედრო ნაწილების მეთაურები, პარარელურად, უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებიც. კიაზიმ ყარაბექირისვე ცნობით, ანკარის მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, პოლკოვნიკმა კიაზიმ დირიქმა აც-

---

[37] იქვე.

[38] იქვე, გვ. 1943.

ნობა მას, რომ ბათუმის მხარეში ადგილობრივ მუსლიმებთან და მასთან მყოფ თურქეთის ჯარის ოფიცრებთან ერთად, თუ 24 საათში რაიმე განსხვავებულ ბრძანებას არ მიიღებდა, იგი, როგორც მუსლიმი შენაერთების მეთაური, აპირებდა ქართველების მხარდამხარ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ყარაბექირი ამბობს, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია, მისცა თუ არა ანკარამ კიაზიმ დირიქს ამგვარი დავალება. ამიტომ, სასწრაფოდ მიუწერია და უთქვამს, რომ იგი არის მხოლოდ წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან და ამგვარი ქმედება ადგილობრივი მუსლიმების სრულიად გაწყვეტას და მათი ომში უსარგებლოდ ჩათრევას გამოიწვევდა.[39]

კიაზიმი განაგრძობს, რომ მას 13 მარტს კიაზიმ დირიქისაგან მიუღია შიფროგრამა, რომელშიც იგი იტყობინებოდა, რომ მიიღო ყარაბექირის მითითებები, ხოლო ანკარიდან არავითარი დირექტივა არ ჰქონდა. ასევე, ანკარის მთავრობაში ქართველი ელჩისათვის მიცემული ინფორმაცია ეწინააღმდეგებოდა ყარაბექირის მიერ კიაზიმ დირიქისათვის მიცემულ ინსტრუქციებს და ამაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მისგან განმარტებებს მოითხოვდა. პასუხად ყარაბექირმა მისწერა, რომ ეტყობა რაიმე შეცდომაა, არ შეიძლებოდა ანკარის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი წარმომადგენლისთვის დირექტივა არ მიეცა და მხოლოდ ქართველი ელჩისთვის ეთქვა რაიმე. ამიტომ, მან აღნიშნულის თაობაზე უნდა მისწეროს ანკარას და გაარკვიოს. მანამდე უნდა იმოქმედოს მხოლოდ კიაზიმ ყარაბექირის დირექტივების მიხედვით და დამოუკიდებლად არავითარი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს.[40] ბათუმიდან გენშტაბისადმი გაგზავნილ შიფროგრამაში კიაზიმ ყარაბექირი წერს, რომ „ნაციონალ-დემოკრატებს სურთ აიღონ ძალაუფლება ხელში და თურქებს დახმარება სთხოვონ. თუ ბოლშევიკები მთელ საქართველოს აიღებენ, მაშინ ბათუმში თავიანთი საქმიანობის გაგრძელებას და ანატოლიაში გაქცევის შემთხვევაში, მათი უფლებების დაცვას, ოფიცრებისა და ჯარისკაცების შეფარებას მოითხოვენ. შავ ზღვას ანტანტა აკონტროლებს, ზოგმა ფრანგულმა გემმა ბოლშევიკებს ერთი ორჯერ ესროლა კიდეც. მათი ჯარები სტამბოლშია და თან ეჭვი არ ეპარებათ, რომ ქართველებს დავიცავთ. ამით ჩვენი ბოლშევიკებთან დაპირისპირება უნდათ, რითაც ორივეს უბედურ-

---

[39] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1944.

[40] იქვე.

ებაში გაგვხვევენ. თუმცა, საბოლოო მდგომარეობის გასარკვევად მხოლოდ დღე ან საათებიღა დარჩა".[41]

კიაზიმ ყარაბექირი აქვე საუბრობს 17 მარტს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ბათუმიდან გემით წასვლის შესახებ და აგრძელებს, რომ 17-18 მარტს, ღამის საათებში, მან ბათუმში ჩამოაყალიბა თურქული ხელისუფლება. იმავე დროს ბოლშევიკებმა შექმნეს რევკომი, დაესხნენ თავს საელჩოს შენობას და თურქებს ბრძოლა გაუმართეს. 18-19 მარტის ღამეს მან თბილისიდან მიიღო ორჯონიკიძის დეპეშა ბათუმის დაცლის მოთხოვნით. იგივე დეპეშა გაეგზავნა ანკარის მთავრობასაც. 20 მარტს მოსკოვიდან მიიღო შიფროგრამა, რითაც ატყობინებდნენ, რომ 16 მარტს მოსკოვში ბოლშევიკებთან ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას.[42]

22 მარტს გენშტაბისათვის მიწერილ შიფროგრამაში კიაზიმ ყარა ბექირი იტყობინებოდა, რომ ქართველებმა ბარცხანაში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილზე იერიში მიიტანეს, მათ ბოლშევიკების კავალერისტთა პოლკიც მიეხმარა. თურქების ასეული სრულიად განადგურებულა. მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, თურქებმა დაკავებული ტერიტორიები დატოვეს და ჭოროხის სამხრეთით დაიბანაკეს. ბათუმში საკონსულოს დასაცავად ერთი ასეული დატოვეს.[43]

ბათუმისა და ბათუმის ოლქის გარშემო, ასევე, ზოგადად საქართველო-თურქეთის ურთიერთობების შესახებ ყურადსაღები დოკუმენტური მასალა არის გამოქვეყნებული თანამედროვე თურქი ისტორიკოსის სერფილ სურმელის მონოგრაფიაში „თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები (1918-1921)".

ანკარის მთავრობამ ბოლშევიკებთან ურთიერთობების გასარკვევად მოსკოვში მიმავალ დელეგაციას, რომლის ხელმძღვანელი იყო ალი ფუად ჯებესოი*, წევრები: იუსუფ ქემალ თენგირშექი და დოქტორი რიზა ნური ბეი, ყარსის სანჯაყის მსგავსად არტაანისა და ბათუმის სანჯაყების თურქეთის საზღვრებში მოქცევის დირექტივა მისცა. აღნიშნული დელეგაცია 1921 წ. იანვრის თვის პირველ კვირაში ყარსში ჩავიდა, სადაც კიაზიმ ყარაბექირ ფაშამ მიიღო. სწორედ ამ დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ მუჰთარ ბეიმ 1921 წ. 3 იანვარს მიიღო ჩიჩერინის ნოტა,

---

[41] იქვე, გვ. 1951.

[42] იქვე, გვ. 1952.

[43] Kazım Karabekir, İstiklal Harbımız, 4. Cilt, İstanbul, 2000, გვ. 1953.

* სინამდვილეში, თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელი მოსკოვის მეორე კონფერენციაზე იუსუფ ქემალი იყო (რედ. შენიშვნა).

რომ რუსეთმა და საქართველომ 1920 წ. 7 მაისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რითაც არტაანი და ბათუმი საქართველოს საზღვრებში რჩებოდა. ჩიჩერინი მოუწოდებდა თურქეთს, დაედო ხელშეკრულება საქართველოსთან რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მიხედვით. მართალია, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ტექსტი ანკარაში არ ჰქონდათ, მაგრამ ჩიჩერინი კიაზიმ დირიქის და კიაზიმ ყარაბექირ ფაშას მეშვეობით ანკარაში მის გაგზავნას ჰპირდებოდა. ამ ინფორმაციამ მეჯლისის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, მითუმეტეს, რომ რუსებმა იცოდნენ ეროვნულ პაქტში დაფიქსირებული საზღვრების შესახებ და ადრინდელ განცხადებებში თანახმა იყვნენ არტაგანისა და არტაგანს იქეთა ტერიტორიების თურქეთის მიერ დაკავებაზე. როგორც ჩანს, მათ ასეთი განცხადებით სურდათ ზეგავლენა მოეხდინათ საქართველოზე. ამდენად, კავკასიის პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ ანკარასა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებით.[44]

საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ მუჰთარ ბეის განცხადებით, „ბათუმი ჩვენია და ჩვენადვე უნდა დარჩეს. თუმცა, აღმოსავლეთის პატარა ქვეყნების 12 მილიონიანი მოსახლეობისათვის სუნთქვის ერთადერთი ფანჯარა ბათუმის პორტია. ამიტომ თუ აუცილებლობა დადგება, პორტი, მასზე ჩვენი სუვერენიტეტის პირობით, შეიძლება ინტერნაციონალურად გამოცხადდეს“.[45]

ანკარაში მიმავალი საბჭოთა რუსეთის ელჩი ბუდუ მდივანი 1921 წ. იანვრის შუა რიცხვებში ყარსში შეხვდა კიაზიმ ყარა ბექირფაშას და მოსკოვში მიმავალ ელჩობას. ალი ფუად ფაშამ მას რამდენიმე საკითხთან ერთად თურქეთის ტერიტორიების ეროვნული პაქტის საზღვრებში აღიარების და დახმარების შესახებ ჰკითხა. მდივანმა უპასუხა, რომ ახლა, მოსკოვში, თურქეთის პირველი დელეგაციის ყოფნის პერიოდისაგან განსხვავებით, პოლიტიკური ამინდი შეიცვალა, თურქეთის საკითხს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და მეგობრობისა და ახლო ურთიერთობების დამყარების მიზნით მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებდა პირადად სტალინი.[46]

1921 წ. 16 იანვარს ანკარის დელეგაცია ყარსიდან გავიდა და თბილისი-ბაქო- ხარკოვის გზით მოსკოვისაკენ გაეშურა.

---

[44] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, gv. 607.

[45] იქვე, გვ. 608.

[46] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 609-610.

მონოგრაფიაში აღწერილია საქართველოს მთავრობასთან თურქეთის დელეგაციის თბილისური შეხვედრები მათი თბილისში 10-დღიანი ყოფნის განმავლობაში. ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა იმთავითვე ზრუნავდა ბოლშევიკთა შესაძლო თავდასხმის წინააღმდეგ ანკარის სახით მოკავშირის შეძენაზე, კავკასიური კონფედერაციის შექმნაზე. საქართველოს ხელისუფლება საჭიროდ თვლიდა, რომ მოსკოვში თურქეთისა და ბოლშევიკური რუსეთის დელეგაციების კონფერენციაში, როგორც კავკასიურ სახელმწიფოს, აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა, სთხოვეს კიდევაც თურქებს, რომ ეს საკითხი დაეყენებინათ და თუ ბოლშევიკები არ დათანხმდებოდნენ, მაშინ პასუხისმგებლობა ბოლშევიკებს დაეკისრებოდათ.[47]

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იუსუფ ქემალ თენგირშექის განმარტება, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისთან კავშირი ანტანტის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას ნიშნავდა, ასევე არა არის გარანტია, რომ რუსები ყველა ჩვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებდნენ. ჩვენი მოსკოვში ვიზიტი კავკასიის საქმეების გადასაწყვეტად იყო მიმართული, ამიტომ აქ არ იყო საჭირო ოფიციალური შეხვედრების მოწყობა, პირდაპირ მოსკოვში უნდა წავსულიყავით და რუსებს დავლაპარაკებოდით. აქ მხოლოდ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია უნდა მიგვეღო. საქართველოსთან ხელშეკრულების დადება-არდადების საკითხი უკვე გამოიკვეთა. კონფერენციის დროს რუსეთი გადაიქცევა სომხეთის მფარველად, აზერბაიჯანი უკვე მისია და თავისთვის გამოიყენებს. ამიტომ, საქართველოსთან ჩვენს კავშირს კონტრარგუმენტად გამოიყენებენ. თან თუ წინასწარ შევუთანხმდებით საქართველოს, გაურკვევლი დარჩება, თუ რას გამოვრჩებით მას შემდეგში. სოციალ-დემოკრატები ბოლშევიკებთან დათმობას არ აპირებენ. რამიშვილის სიტყვებიდან ჩანს, რომ საქართველოს მთავრობას ახლა ეშინია რუსების და ცდილობს რუსების წინააღმდეგ კავკასიური კონფედერაციის შექმნას. რუსების მიერ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ადრე თუ გვიან საქართველო გაბოლშევიკდება, ჩვენს წინააღმდეგ სომეხთა მხარდაჭერის მსგავსი პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში საქართველოზე არ გავრცელდება. ქართველების მონაწილეობა კონფერენციაში, შეიძლება ჩვენთვის საზიანო გამოდგეს, რადგან ისინი ეცდებიან, რომ ჩვენ და რუსებმა მათ საწინააღმდეგოდ არ მოვილაპარაკოთ რაიმე. ისინი იქ ყოფნისას რაიმის მოპოვების იმედით, როგორც ანტანტის იარაღი, მოლაპარაკე-

---

[47] იქვე, გვ. 613.

ბების შესახებ აცნობებდნენ ანტანტას და საჭიროების შემთხვევაში საქმეს ჩაშლიდნენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ქართველებთან მოლაპარაკების მიზნით თბილისში დავრჩებით, ამით რუსებს გავანაწყენებთ".[48]

აქვე არის ალი ფუად ჯებესოის მოსაზრება საქართველოს მთავრობის მცდელობებთან დაკავშირებით. იგი ამბობს, რომ „თითქოს ინგლისი ერთის მხრივ მფარველობდა საქართველოს და იგი რუსებს სატყუარასავით მიუგდო. მეორეს მხრივ, ბოლშევიკების შეტევების საწინააღმდეგოდ ძლიერ ზღუდედ მოაზრებული თურქეთის ბერძნებისა და სომხების საშუალებით პოლიტიკური სარბიელიდან მოშორებასა და გაქრობას ცდილობდა. ხოლო ქართველები ვერ ხედავდნენ იმ უბედურებას, რასაც მათი მფარველები უპირებდნენ იმ ქვეყანას, რომლის წარმომადგენლებსაც ისინი დახმარებას სთხოვდნენ".[49]

აქედან გამომდინარე, თურქეთის დელეგაციამ თავი აარიდა თბილისში ოფიციალურ მოლაპარაკებებს და ანკარას მიმართა რამდენიმე დეტალის დასაზუსტებლად: შეიძლებოდა თუ არა მოსკოვში წასვლამდე დელეგაციას გაემართა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან და დაეყენებინა თუ არა საკითხი მოსკოვის კონფერენციაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. ანკარამ აღნიშნულის შესახებ არავითარი დირექტივა არ მისცა და 1921 წ. 27 იანვარს თურქეთის დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.[50]

თურქეთ-სომხეთის ომის დროს საქართველოს ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად, ანკარის მთავრობა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობით იყო დაინტერესებული, მასთან ურთიერთობა დაამყარა და ამის გაგრძელებას შემდგომშიც აპირებდა, რადგან ეს მის მომავალ ინტერესებში შედიოდა. ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას 1920 წ. 21 ოქტომბრის ნოტით ეცნობა, ხოლო 1921 წ. 17 იანვარს თურქეთმა საქართველოს დამოუკიდებლობაც აღიარა. საქართველოს სურდა თურქეთთან მოკავშირეობა ხელშეკრულებით გაეფორმებინა და მიეღო მონაწილეობა მოსკოვის მოლაპარაკებებში, რაც სთხოვა კიდეც თბილისში მყოფ თურქეთის დელეგაციას. რადგან რუსები თურქებთან მოლაპარაკებების გამართვას ჩქარობდნენ, ამ დროს საქართველოსთან ცალკე ხელშეკრულების გაფორმება მათ გაანაწყენებდა. თურქები იცნობდნენ მოსკოვისა და თბი-

---

[48] იქვე, გვ. 614.

[49] Ali Fuat Cebesoy, Moskova Hatıraları, İstanbul , 1955, გვ. 123.

[50] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 615.

ლისის პოზიციას ბათუმის შესახებ, ამიტომ ხელშეკრულების გაფორმება საეჭვო და შეუძლებელი იყო, რაც აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავსად, ისედაც ჩახმახშემართული ბოლშევიკების საქართველოში შემოჭრას დააჩქარებდა. თურქეთის მთავრობა იძულებული იყო გაეტარებინა ჭკვიანური პოლიტიკა, რითაც ბოლშევიკებს არ დააეჭვებდა და არ გამოიწვევდა მათ მოულოდნელ სამხედრო მოქმედებებს. ამიტომ, საქართველოს მთავრობის მოთხოვნაზე, რომ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გამართულიყო მოლაპარაკებები, თურქეთის მთავრობა რისკზე არ წავიდა და თავისი დელეგაციის კითხვები უპასუხოდ დატოვა.[51]

იცოდა რა რუსეთის დამოკიდებულება ბათუმის მიმართ, თურქეთმა, ჩიჩერინის ნოტაში, სადაც აღნიშნული იყო 1920 წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შესახებ, კარგად დაინახა ბოლშევიკების მიზნები. მითუმეტეს, რომ საბჭოთა რუსეთმა ლონდონში ინგლისელებთან ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას ბაქოს ნავთობის ექსპორტირებასთან დაკავშირებით. აქ უკვე კარგად ჩანდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას იძენდა მათთვის ბათუმი.[52]

1921 წ. 19 თებერვალს თურქეთის დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა. იუსუფ ქემალ ბეიმ აუხსნა გ. ჩიჩერინს, რომ ისინი მოსკოვში პოლიტიკური და სამხედრო ხელშეკრულების დასადებად იყვნენ ჩასული და იქვე წარუდგინა ბუდუ მდივნის წერილი. წერილის ნახვის შემდეგ ჩიჩერინმა უპასუხა, რომ აქ სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგაციებს შორის უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია და ამის გამო მიიწვიეს ისინი, ხოლო თურქებთან რაიმე სამოკავშერეო ხელშეკრულების დადებას არ ფიქრობდნენ. ცალკე, ჩიჩერინმა მკაცრი საყვედური გამოთქვა ბოლშევიკების შევიწროების, თურქების სომხეთთან ომის დროს მათი, როგორც შუამავლის როლის უარყოფისათვის და მიუხედავად საბჭოთა მთავრობის პროტესტისა, გიუმრიდან ჯარის არგაყვანის გამო.[53]

თურქეთის დელეგაციამ დაინახა, რომ ჩიჩერინთან ვერ მოილაპარაკებდა. ამიტომ საჭიროდ ჩათვალა მოლაპარაკებები სტალინთან გაემართა. 22-23 თებერვლის ღამით სტალინმა თურქები მიიღო. სტალინი ჩიჩერინთან შედარებით, უფრო გაგებით ეკიდებოდა ყველაფერს და რბილად მოქმედებდა. მართალია, მანაც აღნიშნა, რომ არ აპირებდნენ თურქეთთან

---

[51] იქვე, გვ. 617.

[52] იქვე, გვ. 618.

[53] Ali Fuat Cebesoy, Moskova Hatıraları, İstanbul , 1955, გვ. 138-139.

სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას, რასაც ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას უკავშირებდა, მაგრამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ შეიძლებოდა მათ შორის გაფორმებულიყო ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება.[54]

ბოლშევიკები საქართველოში შემოჭრის შემდეგ ესწრაფვოდნენ უმოკლეს ვადაში ხელთ ეგდოთ ბათუმი, რადგან მის გარეშე ვერ გაიტანდნენ ნავთობს. ამიტომ, საქართველოს გაბოლშევიკებისათვის უსწრაფესად მოქმედებდნენ.[55]

აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობამ, რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მართალია იგი მომხრე იყო ელვიე-ი სელასეს (ბათუმის, ყარსის, არტაანის მხარეები) დარჩენილი ტერიტორიების შეერთებისა, მაგრამ რუსებთან კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, ბათუმისა და ბათუმის მხარის შეერთებას მომავალში რუსებთან მოლაპარაკების გზით თვლიდა მიზანშეწონილად. ხოლო ართვინისა და არტაანის დასაკავებლად სასწრაფო ზომების მიღებას უჭერდა მხარს. ეს მოსაზრება სარდლობამ 1921 წ. 17 თებერვალს აცნობა გენერალურ შტაბს. სწორედ, ამ დროს საქართველოს მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ თბილისში ანკარის მთავრობის წარმომადგენელს კიაზიმ დირიქს დახმარებისთვის მიმართა. მეორე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ მუჰთარ ბეიმ ჩიჩერინს ნოტა გაუგზავნა და საქართველოსთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება მოსინჯა.[56]

აქვე არის მოტანილი 20-21 თებერვლის ღამით სვ. მდივანსა და აჰმედ მუჰთარ ბეის შორის ართვინისა და არტაანის შესახებ გამართული საუბარი და სვ. მდივნის დეპეშის ტექსტი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. სადაც სვ. მდივანი ატყობინებს, რომ ანკარის მთავრობამ მოითხოვა არტაანისა და ართვინის ოლქების დაცლა. დეპეშიდან ვგებულობთ, რომ სვ. მდივანი ითვალისწინებდა რა შექმნილ ვითარებას, არ იყო წინააღმდეგი ამ ორი ოლქის თურქეთისათვის გადაცემისა, ბათუმის საქართველოს საზღვრებში დატოვების პირობით და ამის თაობაზე მთავრობისაგან სასწრაფო პასუხს ელოდებოდა.[57]

---

[54] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 634.
[55] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 635.
[56] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 637.
[57] იქვე, გვ. 637-638.

შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ზემოთ უკვე შევჩერდით, ამიტომ მოვიტანთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფევზი ჩაქმაქის შიფროგრამის შინაარს, რომელიც მან 1921 წ. 22 თებერვალს გაუგზავნა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობას. შიფროგრამაში ნათქვამია, რომ 21-22 თებერვლის ღამით, დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილების თანახმად, მინისტრთა საბჭოს მიეცა უფლება გაეცა შესაბამისი განკარგულებები ართვინისა და არტაანის მხარეების დასაკავებლად და ახალქალაქში სამხედრო ნაწილების შესაყვანად. ხოლო რაც შეეხება ბათუმს, მომავალში მისი მოთხოვნის მიზნით ამ ეტაპზე ქალაქის დაკავებისაგან თავის შეკავება გადაწყდა.[58]

ეს კარგად ჩანს ფევზი ჩაქმაქის გამოსვლიდან დიდი ეროვნული კრების სხდომაზე 1921 წლის 24 თებერვალს. როდესაც მან წაიკითხა საქართველოს მთავრობისადმი გადაცემული ნოტის შინაარსი და მას ერთ-ერთმა დეპუტატმა დაუსვა შეკითხვა: „თქვენო აღმატებულება ფაშავ, ნოტაში ბათუმის შესახებ არავერია ნათქვამიო“, - ფევზი ჩაქმაქმა უპასუხა: „ნოტაში ვაჩვენეთ ჩვენს მიერ დასაკავებელი ტერიტორიების საზღვრები. ბათუმი მთლიანად არ უნდა დავიკავოთ. ზავის აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა მივმართოთ რეფერენდუმს. მაგრამ ხელშეკრულება ჯერ არ არის ხელმოწერილი. ხელმოწერის პერიოდში ზავის პირობები, რა თქმა უნდა, მოეხსენება თქვენს აღმატებულება კომისიის წევრებს“.[59]

მართალია საქართველოს მთავრობამ არტაანისა და ართვინის დაცლის შესახებ ნოტებზე პროტესტი განაცხადა, მაგრამ, შექმნილი ვითარების გამო, იძულებული გახდა აღნიშნული მხარეებიდან გამოეყვანა სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია და ისინი თურქეთისათვის დაეთმო. რაც აღნიშნულია კიდევაც სვ. მდივნის დეპეშაში ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ მუჰთარ ბეისადმი.[60]

ეყრდნობოდნენ რა 1920 წლის აგვისტოში პარაფირებულ ხელშეკრულებას, მოსკოვის მოლაპარაკებებზე ორივე მხარე თანხმდებოდა დამატებით შექმნილიყო პოლიტიკური, იურიდიული და სარედაქციო კომისიები. თურქეთის საზღვრების საკითხი განიხილებოდა პოლიტიკურ კომისიაში, სადაც ჩიჩერინი ბათუმის თურქეთის საზღვრებში მოქცევის წინააღმდეგი იყო. თურქეთის წარმომადგენლობა არ ეთანხმებოდა ჩიჩე-

---

[58] იქვე, გვ. 640.

[59] Selahattin Tansel, Mondros'tan Mudana'ya Kadar, IV. Cilt, Ankara, 1978, gv. 58.

[60] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 645.

რინს და მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა. ჩიჩერინი საბჭოთა ლიდერებთან საუბარში აცხადებდა, რომ თურქები ულტიმატუმის ენით საუბრობდნენ.[61]

კონფერენციის დროს მოსკოვში იმყოფებოდა ენვერ ფაშაც, რომელმაც მოლაპარაკებების დაწყებამდე თურქეთის დელეგაციას გარკვეული რჩევები მისცა.

მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის შემდეგ, გამოსავალის მონახვის მიზნით, შუამავლობა იკისრეს ენვერ ფაშამ და აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ბეჰბუდ შახტახტინსკიმ. მათ სტალინისა და ჩიჩერინის სახელით იმედი მისცეს თურქეთის დელეგაციას მოლაპარაკებების განახლების შესახებ, თუ ისინი დათანხმდებოდნენ თურქეთის აღმოსავლეთის საზღვრების მცირედით შეცვლაზე. ენვერ ფაშამ ურჩია თანამემამულეებს, რომ უარი ეთქვათ ბათუმზე და საწრაფოდ მოეწერათ ხელშეკრულებაზე ხელი. მაგრამ თურქეთის დელეგაცია ჯიუტად იდგა ეროვნული პაქტით განსაზღვრულ საზღვრებისა და გიუმრის ხელშეკრულების მუხლების პრინციპებზე. ენვერ ფაშას მიხედვით, რადგან ლონდონის კონფერენციაზე 1914 წლის საზღვრის შესახებ არაფერი თქმულა, ახლა ერთი პატარა დაბის გულისათვის მოლპარაკებების გაჭიანურების გამო, შეიძლებოდა რუსებს თურქეთისადმი პოლიტიკა შეეცვალათ.[62]

3 მარტს სტალინმა პირადად მოითხოვა შეხვედრა თურქეთის დელეგაციასთან. იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ბათუმის საკითხით. თურქეთის დელეგაცია მას ეროვნული პაქტით განსაზღვრული საზღვრების შესახებ ესაუბრა და თანხმობის შემთხვევაში, ბათუმის პორტის მმართველობის ხალხისათვის გადაცემას და მის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის ერთობლივი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენებისათვის მზდყოფნას დაჰპირდა. ასევე, წინადადებას იძლეოდა ბათუმის მომავლის შესახებ აღნიშნულ ქვეყნებს შორის გამართულიყო კონფერენცია. სტალინი ამგვარი კონფერენციის ჩატარების საჭიროებას ვერ ხედავდა. თუმცა, თურქეთის დელეგაციას ამ საკითხში მაინც აიმედებდა. თურქეთის დელეგაცია თანახმა იყო აზერბაიჯანისა და თურქეთის პროტექტორატის ქვეშ ნახიჭევანის დამოუკიდებლობის. ასე-

---

[61] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 650.

[62] იქვე, გვ. 651.

ვე, გიუმრისაც დაცლიდა, თუ მიეცემოდა უსაფრთხოების გარანტია და თანხმობა ეროვნული პაქტით აღიარებული საზღვრების შესახებ.[63]

საერთო ჯამში სტალინი შეთანხმდა თურქეთის დელეგაციასთან და აიღო ვალდებულება რომ ამ საკითხებში დაარწმუნებდა საბჭოთა მთავრობას. მაგრამ მეორე დღისით მოლაპარაკებებზე ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყოდა უარს ტრაპიზონზე, თუ თურქეთი იტყოდა უარს ბათუმზე. მაგრამ მეჯლისიდან მიღებული მკაცრი ინსტრუქციის საფუძველზე, იუსუფ ქემალ ბეი არ დაეთანხმა რუსების ასეთ წინადადებას.[64]

მოსკოვსა და ლონდონის კონფერენციებზე ანკარის მიერ წამოყენებული დღის წესრიგი მეტად მძიმედ გამოიყურებოდა. იმავდროულად ბოლშევიკები ბათუმისკენ მიიწევდნენ. 26 თებერვალს, კონფერენციის დაწყების დღეს, კიაზიმ დირიქმა ქუთაისიდან კიაზიმ ყარაბექირს ბათუმის დაკავების შესახებ ტელეგრაფით ჰკითხა. კიაზიმ უპასუხა, რომ საკითხს ანკარაში დააზუსტებდა. ყარა ბექირმა 1 მარტს დეპეშა გაუგზავნა წითელი არმიის კავკასიის სარდლობას ბათუმის დაკავების თაობაზე თავიანთი მზადყოფნის შესახებ, რასაც ბათუმში ანტანტის ქვეყნების მხრიდან დესანტის გადმოსხმის საშიშროებით ხსნიდა. კავკასიის ფრონტის სარდალმა ორჯონიკიძემ აღნიშნულ დეპაშაზე სასწრაფო რეაქცია მოახდინა და კიზიმ ყარაბექირთან მყოფი წითელი არმიის მეკავშირე ოფიცრის საშუალებით აცნობა, რომ ბათუმს არ დაუტოვებდნენ თურქებს და რომ ეს საკითხი იხილებოდა მოსკოვის კონფერენციაზე.[65]

კიაზიმ ყარაბექირი თურქეთის გენშტაბის ხელმძღვანელობას ტელეგრაფით დაუკავშირდა და თბილისის დაკავების შემდეგ, წითლების სოხუმამდე მისვლის, ბათუმისაკენ წინსვლისას მდგომარეობის ბოლშევიკების სასარგებლოდ შეტრიალების, ამგვარ სიტუაციაში თურქების მხრიდან ბათუმის დასაკავებლად ქართველების თანხმობის, ან შესაბამისი ოფიციალური წინადადებით მიმართვის შესახებ ესაუბრა. ყარა ბექირი გენშტაბისაგან ინსტრუქციებს ითხოვს და დასძენს, რომ ბოლშევიკები აპირებენ საქართველოს სრულად გასაბჭოებას, რაც კავკასიის სრულ გასაბჭოებას ნიშნავდა. ამიტომ, ისინი თურქების დაუკითხავად დაიკავებდნენ კავკასიის გასასვლელს ბათუმს. ბათუმს თურქეთისათვის არ გააჩნია გან-

---

[63] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 651.

[64] იქვე, გვ. 652.

[65] იქვე, გვ. 653.

საკუთრებული სასიცოცხლო, ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა. ასევე, ბოლშევიკებთან და ანტანტასთან დაპირისპირების თავიდან აცილების, კავკასიაში მათთან შეხების წერტილის შენარჩუნების მიზნით, ამ ეტაპზე ბათუმის დაკავებას მიზანშეწონილად არ თვლიდა და ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევდა. თუმცა, მოითხოვდა, რომ ზუსტად დაფიქსირებულიყო გამყოფი ხაზი რუსებთან და ბოლშევიკურ საქართველოსთან. ეს ხაზი უნდა ყოფილიყო ჭოროხის ჩრდილოეთი მხარე. იგი მიუთითებდა, რომ თუ ჯერ ბათუმს დაიკავებდნენ და ბოლშევიკებთან მოლაპარაკების შემდეგ ისევ დაცლიდნენ, ასეთ შემთხვევაში ბათუმისა და ბათუმის მხარის მუსლიმი მოსახლეობა დაზარალდებოდა.[66] 3 მარტს პრემიერმინისტრმა და იმავე დროს თავდაცვის მინისტრმა ფევზი ჩაქმაქმა დეპეშით მიმართა გენშტაბს და მეჯლისის დავალება შეატყობინა. მას აზერბაიჯანის მთავრობისა და კავკასიაში საბჭოთა სარდლობის მეშვეობით უნდა ეცნობებინა მოსკოვისათვის, რომ საქართველოში სამხედრო ოპერაციის დროს, თურქეთის არმიის უსაფრთხოების მიზნით, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები გამოცხადებულიყო ნეიტრალურ ზონებად. იმავე დღეს კიაზიმ ყარა ბექირ ფაშა აცნობებდა გენშტაბს, რომ მიიღო ზომები ბოლშევიკების შესაძლო სამხედრო ოპერაციისაგან თავდასაცავად და გაამაგრა პოზიციები საქართველოს საზღვართან არდაგან-ახალციხის გზაზე.[67]

საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, რომელიც კიაზიმ დირიქმა აცნობა ყარა ბექირს, თურქულ ჯარებს დროებით დაეკავებინა ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმი, ყარაბექირი ეჭვის თვალით უყურებდა. ეს, მისი აზრით, გამოიწვევდა ტრაპიზონის შესუსტებას, ბოლშევიკებთან სამხედრო კონფრონტაციას და მხოლოდ ქართველებისთვის იქნებოდა სასიკეთო, რადგან მათ შეეფარებოდნენ გადარჩენილი ქართული ჯარის ნაწილები და თურქები მხოლოდ გუშაგების როლში გამოვიდოდნენ.

ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკური ექსპანსიის დროს თურქებს დროებით ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის დაკავება სთხოვა. აღნიშნული ინფორმაციის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობისათვის გადასაცემად კიაზიმ დირიქმა 6 მარტს ქუთაისიდან ხოფაში გააგზავნა მაიორი თალათ ბეი. მან 7 მარტს კიაზიმ ყარაბექირს ტელეგრაფით შეატყობინა, რომ თან ჰქონდა ჟორდანიას მიერ სვ. მდივნი-

---

[66] იქვე, გვ. 654.

[67] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 655.

სადმი გაგზავნილი შიფროგრამა, რომელიც შეიცავდა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ წინადადებას. მან, ასევე, აუხსნა ბოლშევიკებსა და საქართველოს ჯარებს შორის არსებული ფრონტის ხაზის მდგომარეობა, რომ ქართული ჯარი ვერ გაუძლებდა ბოლშევიკთა შემოტევებს, სასწრაფოდ იყო საჭირო ქართველებთან მოლაპარაკება და ნახსენები სამი მხარის დაუყოვნებლივ დაკავება.[68]

7 მარტს ყარაბექირ ფაშამ შეატყობინა გენშტაბს, რომ წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ახალქალაქსა და ახალციხეში შეიყვანდა სამხედრო ნაწილებს და აღნიშნული ნაწილების განლაგების სქემა მიაწოდა. 8 მარტს ანკარის მთავრობის მინისტრთა კაბინეტმა სვ. მდივნის კიდევ ერთი მოთხოვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის მხარეების დაკავების შესახებ. 8 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ მუჰთარ ბეიმ ყარაბექირს დეპეშა გაუგზავნა. იგი აღნიშნავდა, რომ ბათუმის ბოლშევიკების მხრიდან დაკავების შემთხვევაში აღმოსავლეთის ვილაეთებში გაიზრდებოდა ბოლშევიზმის საფრთხე. ასევე მოითხოვდა, რომ გაერკვია, თუ რა პოზიციას დაადგებოდნენ აჭარლები, თუ ბათუმის დაკავებაში მათ თურქებისაგან დახმარება ექნებოდათ. თუმცა, პასუხის გაცემამდე, კიზიმ ყარაბექირმა ბათუმის დაკავების ბრძანება მიიღო.[69]

კიაზიმ ყარაბექირმა გენშტაბისადმი 9 მარტს გაგზავნილ დეპეშაში აუწყა, რომ მან 8 მარტის № 1/8 დირექტივის საფუძველზე, 9 მარტს ბათუმის დაკავების ბრძანება გასცა. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, აცნობა წითელი არმიის სარდლობას. თუმცა, იგი აქვე მიუთითებდა, რომ ლონდონის კონფერენციის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობასთან მიღწეულ შეთანხმებას დიდი დრო არ ეწერა. იმავე დღეს გაგზავნილ კიდევ ერთ დეპეშაში კიაზიმ ყარაბექირი ატყობინებდა, რომ ჭოროხის ჩრდილოეთით და ბათუმის ჩათვლით, იგი აპირებდა ტერიტორიის განთავისუფლებას ქართული სამხედრო შენაერთებისაგან, მაგრამ შეთანხმების თანახმად სამოქალაქო ხელისუფლებას დაუტოვებდა საქართველოს მთავრობას.[70]

ბათუმის დაკავების მიზნით შეიქმნა ე.წ. ჭოროხის ჯგუფის ასეული, რომლის მეთაურად დაინიშნა მაიორი ალი რიზა ბეი, ხოლო ჯგუფის

---

[68] იქვე, გვ. 656.

[69] იქვე, გვ. 657.

[70] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 65.

ხელმძღვანელად - ხოფაში მყოფი მაიორი თალათ ბეი. 10 მარტის დეპეშით კიაზიმ ყარაბექირმა აცნობა, რომ შეჰყავდა სამხედრო შენაერთი ბათუმში. თუმცა, თავს აარიდებდა ბოლშევიკებთან შესაძლო კონფრონტაციას.

ბათუმში შესვლის შემდეგ, ინგლისელი გენერლის სტოკსის კითხვაზე, კიაზიმ ყარაბექირმა პასუხად უთხრა, რომ მათ მიერ ბათუმის დაკავება, საქართველოსთან იყო შეთანხმებული და ატარებდა დროებით ხასიათს. სტოკსი მიუთითებდა, რომ ბათუმის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ საქართველოსა და თურქეთს შორის, საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა რეფერენდუმის ჩატარებაც.[71]

10 მარტს ორჯონიკიძემ თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობას დეპეშით აცნობა, რომ მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმი დარჩა საქართველოს საზღვრებში. სარდლობამ დეპეშითვე უპასუხა, რომ მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ. სარდლობამ ორჯონიკიძის დეპეშა გენშტაბს გაუგზავნა. ანკარამ დეპეშა უარყოფითად მიიღო. აჰმედ მუჰთარ ბეიმ მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ, გენშტაბს დაავალა - იმის გამო, რომ წითლებს თურქები ფაქტის წინაშე არ დაეყენებინათ, რაც შემდეგში მდგომარეობის გამოსწორებას გააძნელებდა, მოეხდინათ ბათუმის მხარის სრული ოკუპაცია. იგივე აჰმედ მუჰთარ ბეიმ 11 მარტს დეპეშით აცნობა აღმოსავლეთის ჯარების სარდლობას, რომ მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა.[72]

ახალციხეში 7 მარტს ბოლშევიკები, ხოლო 8 მარტს თურქები შევიდნენ. მიღებული ინსტრუქციების თანახმად ორივე მხარემ ქალაქში ერთობლივი ადმინისტრაცია შექმნა. 5 მარტს ახალქალაქში ბოლშევიკური ხელისუფლება გამოცხადდა. გენშტაბი შესაძლებლობის ფარგლებში ითხოვდა ნახსენები სამი რაიონის 9 მარტამდე დაკავებას. ხოლო, საგარეო საქმეთა სამინისტროდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობასთან გამოგზავნილ დეპეშაში საუბარი იყო კავკასიური კონფედერაციის შექმნის თაობაზე. კიაზიმ ყარაბექირი ბათუმის დაკავების საკითხში ფრთხილობდა და სისხლიან შეტაკებებს ვარაუდობდა. იგი გამოთქვამდა ეჭვს კავკასიური კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით, რაც, მისი აზრით, ას-

---

[71] იქვე, გვ. 660.

[72] იქვე, გვ. 662.

ეთ სიტუაციაში სავსებით შეუძლებელი იყო. თურქეთის ჯარების ბათუმის მიმართულებით წინსვლის გამო, 10 მარტს ორჯონიკიძემ მოსკოვისაგან შემდეგი მოქმედებების შესახებ ინსტრუქციები მოითხოვა. იმავე ღამით ცენტრალურმა კომიტეტმა წითელი არმიის ბათუმისაკენ წინსვლის გადაწყვეტილება მიიღო. სტალინმა მითითება მისცა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში თავიდან აეცილებინათ თურქებთან შეტაკებები, მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, თუ საჭირო გახდებოდა დათანხმებულიყვნენ ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის ორივეს მხრიდან დაკავებას. ორჯონიკიძემ მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ჟლობას ბათუმის სასწრაფოდ დაკავება უბრძანა.

11 მარტს 12 საათისთვის ჭოროხის სამხედრო დაჯგუფების მე-7 ფეხოსანთა პოლკის მე-3 ბატალიონი მაიორ თალათ ბეის მეთაურობით ბათუმში შევიდა. 9 მარტს კიაზიმ დირიქი საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად ბათუმში ჩავიდა და პოლიციის შენობაზე თურქული დროშა აღმართა. ამგვარად, თურქულმა საჯარისო ნაწილებმა დაასწრეს ბოლშევიკებს ბათუმში შესვლა.[73]

ლონდონში მყოფმა ჩხენკელმა ლორდ კერზონს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ აცნობა. კერზონმა, თავის მხრივ ბათუმში მყოფ ინგლისის წარმომადგენელს სტოკს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვა. სტოკმა მისწერა, რომ ბოლშევიკების შეჩერება მხოლოდ კავკასიური კონფედერაციის შექმნით თუ იქნებოდა შესაძლებელი, რაც სან-რემოს კონფერენციაზე, ერთი წლის წინ, შესთავაზეს კიდევაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, მაგრამ მათ ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს. კერზონის აზრით, ასეთ სიტუაციაში საქართველომ თავი თვითონ ჩაიგდო და ახლა დახმარება ინგლისის ან სხვა სახელმწიფოთა მხრიდან უიმედო ჩანდა. მეორეს მხრივ, კერზონი ანკარიდან ჩამოსულ დელეგაციასთან საუბარში აცხადებდა, რომ მიუხედავად ბოლშევიკებთან ურთიერთობისა, ისინი არ იმყოფებოდნენ მათი ზეგავლენის ქვეშ და ყველაფერს გააკეთებდნენ საქართველოს სამხრეთი საზღვრების უსაფრთოებისათვის, მათი დამოუკიდებლობისათვის, თურქებთან ურთიერთობის მოგვარებისათვის. კერზონმა ბექირ სამი ბეისთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ჩხენკელი კავკასიური კონფედერაციის მომხრე იყო. ამგვარად, კავკასიაში გაჩნდებოდა ზღუდე ბოლშევიკებსა და თურქებს შორის. ჩხენკელისვე განმარტებით, თურქები ბათუმს დროებ-

---

[73] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 663-665.

ით დაიკავებდნენ. ბექირ სამი ბეი ინგლისელებთან საიდუმლო მოლაპარაკებებში აცხადებდა, რომ თურქების კავკასიაში ყოფნა ნიშნავდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბარიკადად აღმართვას, რაც ინგლისის ინტერესებში შედიოდა და ორივესთვის მისაღები იყო. მაგრამ, ლოიდ ჯორჯმა, მიუხედავად ბექირ სამი ბეის შეთავაზებისა, უთხრა, რომ ეს საკითხი განიხილებოდა მხოლოდ იზმირის საკითხის მოგვარების შემდეგ. სევრის ზავზე ინგლისის უარის თქმის შემთხვევაში, საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე შეიძლებოდა დაგვიანებული კავკასიური კონფედერაციის საკითხის წინ წამოწევა, მაგრამ ლონდონის კონფერენციაზე თურქეთის სასიკეთოდ არაფერი გადაწყდა. რაც აღნიშნა კიდევაც აჰმედ მუჰთარ ბეიმ 11 მარტს მეჯლისის სხდომაზე.[74]

ბათუმში შესულმა თალათ ბეიმ ბათუმის ციხის კომენდანტ ფურცელაძეს 5 პუნქტიანი მოთხოვნები გააცნო, რაც ძირითადად ყაზარმებით, ტრანსპორტით და საკვებით მომარაგების მოთხოვნაში გამოიხატებოდა. 12-13 რიცხვში თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალქალაქში, ახალციხესა და ბათუმში თურქეთის მთავრობის სახელით შექმნილიყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. 14 მარტს კიაზიმ ყარაბექირმა აცნობა გენშტაბს, რომ ადგილზე გააუქმა ქართული ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ჩამოაყალიბა ანკარის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მართვის ორგანოები.[75]

გენშტაბისადმი მიწოდებული კიაზიმ ყარაბექირის ინფორმაციით, ქ. ბათუმის მოსახლეობის უმრავლესობა არამუსლიმი იყო და თურქულ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა, ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და შექმნეს რევკომი. ასევე, მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი არ იყო მომხრე ბათუმში ერთობლივი მმართველობისა და ჯარის გამოყვანის სურვილსაც გამოთქვამდა. ყარაბექირი მოითხოვდა ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა ემოქმედა ქართულ საბჭოთა ხელისუფლებასთან მიმართებაში.[76]

13 მარტს თურქეთის არმიის მე-7 პოლკის მე-2 ბატალიონმა და ერთმა ბატარეამ დაიკავა ბათუმის შემოგარენის სიმაგრეები. იმავე პოლკის ერთი ასეული ქობულეთში იქნა გაგზავნილი. მე-11 პოლკის ორი ბატალიონი და ერთი ასეული მაიორ შუქრუ ბეის მეთაურობით აჭარის ხიდ-

---

[74] iqve, gv. 668.

[75] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 669.

[76] იქვე, გვ. 671.

თან გამაგრდა. მე-19 დივიზიის კავალერისტთა ასეულმა 14 მარტს დაიკავა ახალქალაქი და 15 მარტს ბათუმში შევიდა.

ცნობილია, რომ 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის 24 საათიან ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.[77]

16 მარტს ალი რიზა ბეიმ საქართველოს მთავრობას ბათუმიდან ქართული ჯარის გაყვანა და შეიარაღების ჩაბარება მოსთხოვა, იმ მოტივით, რომ ბოლშევიკების შემოსვლისას ეს საზიანო იქნებოდა ქართველებისათვის. მაგრამ, ქართულმა მხარემ ამაზე პასუხი არ გასცა.[78]

მენშევიკურ მთავრობასა და თბილისის საბჭოთა მთავრობას შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა, ბათუმის საკითხში დააეჭვა კიაზიმ დირიქი და მან კიაზიმ ყარაბექირ ფაშას 16 მარტს დეპეშით აცნობა, რომ ხელისუფლება ბათუმში სასწრაფოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რომელიც თანახმა იყო თურქეთის მფარველობაზე.[79]

მეტად საინტერესოა კიაზიმ ყარაბექირის პასუხი. იგი ამბობს, რომ „არც საბჭოთა საქართველო, არც მენშევიკური მთავრობა და არც საბჭოთა რუსეთის მთავრობა არასოდეს იქნებიან თანახმა, რომ ახალქალაქი და ახალციხე, მითუმეტეს ბათუმი იქნეს ჩვენს მიერ დაკავებული. ერთმანეთს დაპირისპირებულმა ორმა ქართულმა მთავრობამ დაინახა რა, რომ ბათუმს კარგავდნენ, სასწრაფოდ შეუთანხმდნენ ერთმანეთს. სამივე ხელისუფლება ეცდება თურქული ხელისუფლების ბათუმიდან გაყვანას. მენშევიკებმა, იმისათვის, რომ თავი შეინარჩუნონ, ჩვენ ბოლშევიკებთან უნდა დაგვაპირისპირონ. ხოლო, ჩვენი დაპირისპირება ბათუმში ბოლშევიკებთან ნიშნავს კავკასიაში თბილისის მოვლენების განმეორებას. აღმოსავლეთის პოლიტიკაში ჩვენი მთავრობა საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მეგობრობაზეა შეთანხმებული. ამიტომ, ნაციონალ-დემოკრატი ქართველების წინადადება ჩვენთვის მიუღებელია. მათი შეფარება, ბოლშევიკებთან ჩვენს დაპირისპირებას ნიშნავს. რაც ხელს აძლევს ანტანტას. ჩვენი ქვეყნისთვის ეხლა სიმშვიდეა მთავარი. ამიტომ ვიღაცას ჩვენი პოლიტი-

---

[77] მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918–1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 10, თბ., 2003, გვ. 185.

[78] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 673.

[79] იქვე, გვ. 673.

კის არევა და ამით ქვეყნისთვის ზარალის მოტანის უფლება არ უნდა მივცეთ. ჩემს ადრინდელ პასუხში ავღნიშნავდი, რომ როგორც კავკასიელი მუსლიმების, ასევე საქართველოს მუსლიმების ჩვენს საზღვრებში მოქცევა მისაღები იყო. ახლა, მდგომარეობის გათვალისწინებით, ბათუმის მხრიდან ქართველთა გაძევება შესაძლებელია".[80]

საქართველოს მთავრობის იმედი, რომ თურქეთი აღმოუჩენდა დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ომში, ილუზია იყო. თურქეთის მთავრობას არასოდეს განუხილავს საქართველოსათვის სამხედრო დახმარების საკითხი. ამის შესახებ თურქულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. პირიქით, თურქეთის სამხედრო სარდლობამ წითელი არმიის სარდლობას მიმართა წინადადებით, ერთად დაეწყოთ ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.[81]

რა თქმა უნდა, კიაზიმ ყარაბექირი გაძევებაში გულისხმობდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრებს.

ამ მოვლენების ფონზე 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა მეგობრობის ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის. ბოლშევიკები ბათუმს უახლოვდებოდნენ. 17 მარტს კიაზიმ დირიქმა ბათუმში გამოაქვეყნა მიმართვა, სადაც იგი აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ბათუმის დატოვების შემთხვევაში ქალაქისა და მხარის მმართველობას თვითონ აიღებდა ხელში და მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა.[82]

17 მარტს ჭოროხის დაჯგუფების მეთაურმა ალი რიზა ბეიმ სიმაგრეების ხელში ჩაგდების მიზნით თავისი ნაწილები შეტევაზე გადაიყვანა. კიაზიმ დირიქმა იმავე დღეს ბათუმის გუბერნატორის რანგში ბათუმის თურქეთთან მიერთების შესახებ 9 პუნქტიანი ბრძანებულება გაავრცელა. იგი ასევე, მოითხოვდა, რომ ქართულ ჯარს 24 საათის განმავლობაში დაეტოვა საზღვრები და ჩაებარებინა იარაღი.

17 მარტს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ იტალიური გემით ბათუმი დატოვა.

აქვე არის საქართველოს მთავრობის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება. სადაც ნათქვამია, რომ „უკეთესია ბათუმი დარჩეთ ბოლშევი-

---

[80] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 675.

[81] მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918–1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 10, თბ., 2003, გვ. 177.

[82] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 675.

კებს, ვიდრე თურქებს. რადგან ერთხელაც იქნება საბჭოები გაუქმდება. მაგრამ ეხლა თურქების ხელში გადასული ბათუმი მუდმივად თურქებს დარჩებათ".[83]

17 მარტს კიაზიმ ბეის მიერ ბათუმში თურქული ხელისუფლების გამოცხადების პარალელურად, შეიქმნა ბოლშევიკური რევკომი, ხოლო მენშევიკებმა იმავე ღამით ბათუმი დატოვეს. ბოლშევიკებმა მატარებლით სამხედრო ნაწილების შემოყვანა დაიწყეს. ჭოროხის დაჯგუფების მეთაურმა ალი რიზა ბეიმ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობას აცნობა, რომ შეუძლებელი იყო მათი შეჩერება. იმავე ღამით რევკომმა ბათუმის ციხის ადრინდელ კომენდანტ ფურცელაძესთან ერთად თურქების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია წამოიწყო და შეუტია თურქების შტაბს. მოხდა სამხედრო შეტაკებები. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ ალი რიზა ბეიმ დეპეშით აცნობა აღმოსავლეთის ჯარების სარდლობას. დეპეშაში აღწერილი იყო შექმნილი მდგომარეობა, რომ ქართული რევკომი მოითხოვდა თურქული ნაწილების დისლოცირებას რევკომისათვის მისაღებ ადგილზე და ცეცხლის შეწყვეტას. ასეთი მოვლენების ფონზე, რუსული წითელი არმია აჭარისწყლის ხიდზე გადავიდა და ბათუმისაკენ დაიძრა. ამის გამო, ჭოროხის დაჯგუფებამ ბათუმში ერთი საკომენდანტო ასეული დატოვა და აჭარისწყლის ხიდთან მოიყარა თავი. 18 მარტს წითლები აჭარის ხიდიდან და ქუთაისიდან მატარებლით ბათუმში შევიდნენ. იმავე დღეს წითელი არმიის სარდალი მივიდა კიაზიმ დირიქთან და მოლაპარაკება შესთავაზა. კიაზიმ ბეიმ განუცხადა, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა. ამდენად არ ცნობს რევკომის ხელისუფლებას. წითელი არმიის მეთაურმა უპასუხა, რომ იგი მოქმედებდა მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით და საბჭოთა საქართველოს სახელით. მოსკოვის ხელშეკრულებით ბათუმი საქართველოს დარჩა. ამდენად, იგი ლაპარაკობს არა რევკომის, არამედ საბჭოთა საქართველოს სახელით და აპირებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას. თურქების მხრიდან ამის უარყოფა უსიამოვნებებს შექმნიდა. მან საბოლოო გადაწყვეტილებამდე ერთმანეთის მიმართ თავაზიანი დამოკიდებულება შესთავაზა.[84]

18 მარტს ორჯონიკიძემ დეპეშით მიმართა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას და კიაზიმ ყარაბექირ ფაშას. დეპეშა საკმარისად ვრცელია და მასში ჩვენთვის საყურადღებო დეტალებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

---

[83] იქვე, გვ. 678.

[84] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 680.

ორჯონიკიძე ამბობდა, რომ „აქამდე მათ შორის არსებობდა თანხმობა, მაგრამ იქ შექმნილი სიტუაცია ჩვენს შეთანხმებას ეწინააღმდეგება. მოლაპარაკებების დასასრულს ასეთი სიტუაციის შექმნა ნიშნავს მის შეწყვეტას და დროის გაწელვას. ამიტომ, ვის უნდა დავუჯერო, ალი ფუად ფაშას, თუ შექმნილი სიტუაციას? თქვენს მიერ ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის დაკავება აქამდე ჩვენს შორის დადებული ყველა შეთანხმებას არღვევს, რაც ჩვენი საერთო მტრებისთვისაა მისაღები. თქვენ წინ წამოსწიეთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მუხლები, მაგრამ ყველამ იცის, რომ რუსეთის რევოლუციის შემდეგ იგივე მუხლები გაუქმებულ იქნა. ჩემი სურვილია, რომ ისე როგორც ჩვენ გავაუქმეთ ბრესტის ზავის მუხლები, თქვენც ასევე გაგეუქმებინათ სევრის ზავის მუხლები. ჩვენი სურვილია თქვენთან მეგობრობა და მოკავშირეობა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა დამარცხდა და დაგვნებდა, ჩვენმა ჯარებმა ბათუმი დაიკავეს, მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად ისინი ოლქის საზღვრებში შევიდნენ, ამ საკითხთის შესახებ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და ასევე, ეცნობა ანკარასაც. ამდენად ბათუმის საკითხთან დაკავშირებით სალაპარაკო აღარაფერი მაქვს. ჩვენს საერთო მტერს ჩვენს შორის ბათუმის საკითხის წამოჭრა სურს და თუ თქვენს სამხედრო ნაწილებს გაიყვანთ ბათუმიდან და ბათუმის მხარიდან, ამით მსოფლიოს დავანახვებთ, თუ რამდენად ურყევია ჩვენი კავშირი“.[85] 19 მარტს წითელი კავალერია ბათუმში შევიდა და საბჭოთა საქართველოს სახელით მთავრობა ჩამოაყალიბა. იმავე დღეს მე-3 დივიზიის მეთაურმა დეპეშით აცნობა აღმოსავლეთის ჯარების სარდლობას შექმნილი სიტუაციის შესახებ. ჟლობამ მე-3 დივიზის მეთაურს განუცხადა, რომ ისინი მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით მოქმედებდნენ.[86]

ამგვარად, ბათუმში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ბოლშევიკური და თურქული სამხედრო შენაერთები. 20 მარტს ქართველებმა დღის სამ საათზე სამაიასა და გოროდოკში მდგარ თურქული ბატალიონის მეორე ფეხოსანთა ასეულს და მეტყვიამფქვრევეთა რაზმს ცეცხლი გაუხსნეს. კიაზიმ ბეიმ ტელეგრაფის საშუალებით შეძლო ცეცხლის შეჩერებაზე მოლაპარაკების მიღწევა. მაგრამ, 5 საათზე ბარცხანას სიმაგრეებზე დისლოცირებულ მეტყვიამფქვრევეთა რაზმს ქართულმა კავალერიამ ცეცხლი გაუხსნა. შეტაკებების ადგილზე მივიდა წითელი არმიის კავალერისტთა

---

[85] იქვე, გვ. 682.

[86] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 683.

პოლკი. რამაც შეტაკებები შეაჩერა. წითლებმა თურქები განაიარაღეს. საღამოს სამაიასა და გოროდოკში დარჩენილი თურქული სამხედრო ნაწილები აჭარის ხიდთან დაბანაკდნენ. მომხდარმა დაძაბა ურთიერთობა ბოლშევიკებსა და თურქებს შორის. ფევზი ჩაქმაქმა ამის გამო მოითხოვა, რომ საქართველოს მთავრობას აენაზღაურებინა ზარალი და ბოდიში მოეხადა. ხოლო, ზარალის ანაზღაურებამდე არ მიეცათ საბაბი ბოლშევიკებთან დაპირისპირებისა. კიაზიმ ყარაბექირმა გენშტაბს წინადადებით მიმართა, რომ შექმნილიყო ერთობლივი ჯგუფი, რომელიც გამოიძიებდა ამ საქმეს. ასევე, შეახსენა, რომ ბათუმი თურქეთისთვის იყო პრობლემატური საკითხი, რასაც იგი ჯერ კიდევ 1920 წ. 4 დეკემბრის დეპეშაში ამბობდა. წითელი არმიის ხელმძღვანელობამ მიიღო თურქების ეს წინადადება, რომელიც მათ ჭოროხის დაჯგუფების მეთაურმა ალი რიზა ბეიმ შესთავაზა და 21 მარტიდან ქალაქში სიწყნარემ დაისადგურა.[87]

აქვე არის 21 მარტს ბათუმში ჩასული წითელი არმიის კორპუსის მეთაურის ნ. კუიბიშევის 22 მარტის მიმართვის ტექსტი, რომელიც აღმოსავლეთის ჯარების სარდლობამ სპეციალურად დაუგზავნა აღმოსავლეთში დისლოცირებულ თურქულ სამხედრო ნაწილებს. იგი შეტაკების მიზეზად ანტანტის პროპაგანდას ასახელებს და საუბრობს თურქეთსა და საბჭოთა ხელისუფლების მეგობრობაზე.

მოსკოვის ხელშეკრულების ტექსტმა ჯერ კიდევ 20 აგვისტოს მოვლენებამდე, 18 აგვისტოს ჩააღწია ანკარამდე. 20 მარტს მისი შინაარსი ეცნობა კიაზიმ ყარა-ბექირ ფაშას. 21 მარტს აჰმედ მუჰთარ ბეიმ დეპეშით აცნობა ჩიჩერინს და გამოხატა კმაყოფილება ხელშეკრულების გამო. ამგვარად, ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმი ხელშეკრულების ძალით უნდა დაცლილიყო თურქული სამხედრო შენაერთების მიერ.[88]

კიაზიმ ყარაბექირ ფაშა იმთავითვე არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად ბათუმის დაკავებას. აქვე არის ის შიფროგრამები, რომლებიც მან 20-23 მარტის რიცხვებში გაუგზავნა ჭოროხის დაჯგუფებას და სხვა სამხედრო შენაერთებს ბათუმისა და ბათუმის მხარის დაცლის შესახებ.[89]

---

[87] იქვე, გვ. 685.

[88] იქვე, გვ. 687.

[89] იქვე, გვ. 689-692

28 მარტს თურქების სამხედრო ნაწილებმა დატოვეს ბათუმის ოლქის მთელი ტერიტორია. 30 მარტს წითელმა არმიამ დაიკავა სოფელი სარფი და საზღვარზე განლაგდა.[90]

ბათუმის დაცლის შემდეგ, 28 მარტს კიაზიმ დირიქი ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა. აპრილის დასაწყისში თურქულმა სამხედრო შენაერთებმა დაცალეს ახალქალაქი და ახალციხე.[91]

მოსკოვის ხელშეკრულება მეჯლისში 201 ხმით რატიფიცირებულ იქნა. წინააღმდეგი - 5, თავი შეიკავა ერთმა დეპუტატმა.[92]

ამგვარად, ცხარე დიპლომატიური და სამხედრო ოპერაციების შედეგად ბათუმი და აჭარა დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.

---

[90] S. Esin (Derinsu) Dayı, Elviye-i Selase'de (Kars, Ardahav, Batum) Milli Teşkilatlanma, Erzurum, 1995, გვ. 282.

[91] Serpil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, გვ. 693.

[92] იქვე, გვ. 694.

თავი II. ბათუმის ოლქი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს

1. ბათუმი დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკურ გეგმებში

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის უკანასკნელ ეტაპზე ბათუმი დიდი პოლიტიკური გათვლების, დიპლომატიური ბრძოლის და შემდეგ სამხედრო დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების აზრით ქალაქი ბათუმი დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელ დასაყრდენად და სიმაგრედ უნდა გადაქცეულიყო. ამ გეგმის შესახებ თავის მოგონებებში აღნიშნავს ნოე ჟორდანია. საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს უკანასკნელი იმედი იყო - წითელი არმიის შემოტევის მაქსიმალურად დიდხანს შეკავება, იმ ვარაუდით, რომ მოვიდოდა რაიმე დახმარება, გათვლა კეთდებოდა თურქეთის მხარდაჭერაზეც. მაგრამ სწორედ თურქეთის მოქმედებამ საფუძველი გამოაცალა საქართველოს ხელისუფლების აღნიშნულ გეგმებს.[93]

1918-1920 წლებში ბათუმის დასაკუთრებას ბევრი ცდილობდა, მაგრამ 1921 წლის მარტში ასპარეზზე მხოლოდ ორი გეოპოლიტიკური მოთამაშე იყო დარჩენილი - საბჭოთა რუსეთი და თურქეთი. სწორედ ისინი იყოფდნენ საქართველოს და ბათუმის გამო ვერ თანხმდებოდნენ. უფრო სწორედ, მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ბათუმი რუსეთს უნდა დარჩენოდა, მაგრამ გამორიცხული არ იყო მოვლენათა ისეთი განვითარებაც, რომ ბათუმი თურქეთის ხელში აღმოჩენილიყო. ეს გარე-

---

[93] „ბოლოს გადავსწყვიტეთ გამაგრება რიონის მარცხენა ნაპირას - იმერეთ-გურიის ხაზზე და აქ მიცემა ბრძოლის. აქ ხალხი იყო საიმედო, შეგნებული, სურსათიც იშოვებოდა და სტრატეგიულადაც მისაღები იყო. დავბინავდით ბათუმში. მაგრამ ეს პლანი სავსებით ჩაგვინგრია ოსმალეთმა; უცებ მოულოდნელად დაგვარტყა ბათუმის მხრით და მოინდომა ქალაქის დაჭერა. აღმოვჩნდით ორ ცეცხლს შუა“ (წიგნიდან: ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. თბილისი, „სარანგი“, 1990, გვ.125).

მოება მოსკოვში სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა და საპასუხო ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებდა.

რა საფრთხე შეიძლება შექმნოდა ბათუმის დაუფლების რუსულ გეგმებს?

მოსკოვში აშფოთებდათ თურქეთის შესაძლო პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობა ანტანტის წინააღმდეგ იყო მიმართული და თურქეთს დიდი როლი უნდა შეესრულებინა ახლო აღმოსავლეთის რევოლუციური გარდაქმნის ბოლშევიკურ გეგმებში, არ გამორიცხავდნენ, რომ ანტანტას თურქეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა.[94]

მოსკოვში კარგად ხედავდნენ იმასაც, რომ ანტანტასა და რუსეთს შორის თამაშს თურქეთიც არ ერიდებოდა. 1921 წლის მარტში რუსეთთან გამართული მოლაპარაკებების პარალელურად, ლონდონში მიმდინარეობდა მეორე კონფერენცია. ეს მოსკოვის სერიოზულ უკმაყოფილებას და შეშფოთებას იწვევდა. დამახასიათებელია გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი, სადაც ნათქვამია: „თუ კი მოსკოვის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის წარმომადგენლები იმუშავებენ სამოქმედო გეგმებს თავის დასაცავად ანტანტის იმპერიალიზმისაგან, სამაგიეროთ აქ - ლონდონში, იგივე ანტანტის იმპერიალიზმი ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა მოსკოვის კონფერენციის მიზნები ჩაშალოს, ჩაფუშოს და, რითაც არ უნდა დაუჯდეს რევოლიუციონური ოსმალეთი საბჭოთა რუსეთს ჩამოაშოროს. ბევრ რამეს აღუთქვამს და პირდება ანტანტის სულის ჩამდგმელი - ინგლისის იმპერიალიზმი - ანატოლიის წარმომადგენელთ, რათა ეს უკანასკნელი (ანატოლია) ჩამოაშოროს სოციალისტურ რუსეთს და, თუკი შესაძლო გახდება, კიდევაც აამხედროს მის წინააღმდეგ".[95]

რუსეთისა და თურქეთის ინტერესები კი პირველ რიგში კავკასიაში და კონკრეტულად ბათუმში იკვეთებოდა. მოსკოვი თანახმა იყო, თურქეთთან დაკავშირებით არსებული „რევოლუციური გეგმებიდან" გამომდინარე, დაეთმო თურქეთისთვის ყარსი და არდაგანი, მაგრამ არა

---

[94] „...ანტანტა და მისი პუბლიცისტები ახლა ცდილობენ, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მორიგ დასაყრდნობად ნაციონალისტური ოსმალეთი გამოიყენონ. ისინი მზად არიან ამ მიზნის განხორციელებას შესწირონ ყველა თავისი „მაღალი პრინციპები", რომელთა დროშის ქვეშ ისინი ომს აწარმოებდნენ" (გაზ. „კომუნისტი", 17 მარტი 1921 წ.)

[95] გაზ. „კომუნისტი", 11 მარტი 1921 წ.

ბათუმი, რადგანაც ამ ქალაქს, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გამო, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

თუ რისი ეშინოდა ამ დროისათვის მოსკოვს, ეს კარგად ჩანს „საქართველოს რევკომის პროტესტში", რომელიც გაზეთ „კომუნისტში" 1921 წლის 9 მარტს გამოქვეყნდა გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მ.ორახელაშვილის ხელმოწერით: „... იმ მომენტში, როდესაც შინაური რევოლიუციონური გადატრიალება დასასრულს უახლოვდება და საბჭოთა ძალაუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მტკიცდება, ამ დროს ბალშევიკების საწინააღმდეგო ძალები იჩენენ აქტიურად მტრულ განზრახვებს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოს ნავთ-სადგური ბათუმი გახდა საგნად არა მარტო ინტრიგებისა, არამედ პირდაპირ დაპყრობით სურვილებისა, განსაკუთრებით ანტანტის მთავრობათა მხრივ. ბათუმის დაჭერა და ვერაფრით გასამართლებელი თავდასხმა დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოზე ალბად დასაბუთებულ იქნება ვითომდა აჭარის ხალხის თვითგამორკვევის პრინციპით... მთავრობა არ შეურიგდება იმას, რომ ეს დიადი პრინციპი, ოქტომბრის დიდ რევოლუციის მიერ წამოყენებული და ხორცშესხმული, ვისმესგან გამოყენებულ იქმნას რეაქციის იარაღად, აჭარისა და საქართველოს მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ - კატეგორიულ პროტესტს ბათუმის დაჭერის განზრახვის ან ოკუპაციის წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს განზრახული...".[96] რევკომი აცხადებდა, რომ მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა ბათუმის ოკუპაციის მცდელობას და იმედს გამოთქვამდა, რომ ამ ბრძოლაში მხარს დაუჭერდნენ „მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები".

რევკომის სახელით გაკეთებულ განცხადებაში ნახსენები არ იყო, მაგრამ გასაგები იყო, რომ თურქეთი იყო ის ძალა, რომელიც „აჭარის თვითგამორკვევის" საფუძველზე შეეცდებოდა ბათუმის დაუფლებას. ბოლშევიკური ლოგიკით, ეს მოხდებოდა „ანტანტის წაქეზებით". თურქეთთან დაპირისპირება კი ჩაშლიდა კრემლის იმდროინდელ გეგმებს ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით, სადაც რევოლუციური გარდაქმნების შედეგად საბოლოო ჯამში უნდა შექმნილიყო „ახლო აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი".

მოსკოვს და, შესაბამისად, საქართველოში მოქმედ მის ძალას - რევკომის სახით, სერიოზულად აშფოთებდა საქართველოს დემოკრა-

---

[96] გაზ. „კომუნისტი", 9 მარტი 1921 წ.

ტიული რესპუბლიკის ხელისუფლების შესაძლო პოზიცია. თუკი საქართველო საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ომს გააგრძელებდა, მიუხედავად თურქების ბათუმში შესვლისა, ეს სერიოზულად გაართულებდა მოსკოვის გეგმების შესრულებას ბათუმთან დაკავშირებით. ამიტომ რუსეთის ამოცანა იყო არ დაეშვა მოვლენათა ამგვარი განვითარება, სასწრაფოდ მიეღწია საომარი მოქმედებების შეწყვეტისათვის. საბჭოთა რეჟიმი „კომპრომისის" მიღწევის ხასიათზე დგება.

1921 წლის 8 მარტს გაზეთ „კომუნისტში" ჩნდება წერილი „ამხ.ლენინი საქართველოს კომუნისტების ტაქტიკის შესახებ", რომელშიც 3 მარტს ლენინის მიერ საქართველოში გასატარებელ პოლიტიკაზე იყო საუბარი და ეს პოლიტიკა „ჟორდანიას ხელისუფლებასთან" შეთანხმებას არ გამორიცხავდა. საქართველოს რევკომი საომარი მოქმედებების შეწყვეტის მოწოდებით გამოვიდა. ამ ნაბიჯების ერთ-ერთი მიზანი, სავარაუდოდ, საქართველოს ხელისუფლების თურქეთთან შესაძლო ალიანსის გამორიცხვაც იყო. სხვა საკითხია, რომ საქართველოს ხელისუფლება ისედაც არ აპირებდა ამ გზაზე დადგომას.

საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ და ბათუმისათვის გამართულმა ბრძოლამ საფუძველი გამოაცალა თურქეთის მცდელობას მიეღწია რუსეთთან ცოტა ხნის წინ გაფორმებული შეთანხმების რევიზიისთვის. თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ბათუმის გარშემო მიმდინარე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში და თავად ბათუმში, ამის შესახებ ქვემოთ არის საუბარი.

2. 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები ბათუმში და მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია (განმათავისუფლებელი კომიტეტი და ისლამური საზოგადოება)

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაც დაკავშირებული იყო რუსეთისა და თურქეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიასთან. აღნიშნული სახელმწიფოების მოქმედება ურთიერთშეთანხმებული იყო და გამომდინარეობდა სამხრეთ კავკასიაში მათ მიერ გავლენის სფეროების განაწილებასთან.

მოცემულ პერიოდში რეგიონში მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა და ხშირად არაპროგნოზირებადი იყო. 1919-1920 წლებში დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები თანდათან გამოეთიშნენ აქ მიმდინარე გეოპოლიტიკურ თამაშს და საბოოლოდ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა და თურქეთმა გავლენის სფეროები გაინაწილეს.

რუსეთ-თურქეთის გარიგების ჭრილში განვითარდა მოვლენები ბათუმის ოლქთან მიმართებით, რომლის ერთი ნაწილი – ართვინი და არტაანი მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით თურქეთს დარჩა, ხოლო მისი მეორე ნაწილი ბათუმი-აჭარა - საქართველოს. ამ მოვლენებში, ,,დიდი გეოპოლიტიკური თამაშის" პრინციპიდან გამომდინარე, თითქოს უცნაური არაფერი იყო, თუმცა მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბათუმში მაინც ჰქონდა ადგილი რამდენიმედღიან საომარ მოქმედებებს. საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით ოლქში შემოსული თურქი ასკერების განდევნისათვის ბრძოლას ისევ საქართველოს ხელისუფლება იწყებს, თანაც თითქოსდა წითელი არმიის ნაწილების დახმარებით. ასეთი მოვლენების ფონზე საინტერესოა ბათუმში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება შექმნილი ვითარებისადმი.

პირველ მსოფლიო ომამდე ბათუმში მოქმედებდა სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სომეხ-დაშნაკთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) და კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიულ ორგანიზაციები.[97] აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიათა გავლენა ფაქტობრივად ბათუმს და მის შემოგარენს ვერ სცილდებოდა,[98] რაც შეეხება აჭარის სოფლებს, აქ ეს გავლენა ძალზე სუსტი იყო, რადგან პროვინციებში მდგომარეობას უფრო ადგილობრივი გავლენიანი ფიგურები აკონტროლებდნენ.[99]

საერთოდ აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სპეციფიკური მახასიათებელი ის იყო, რომ მასში ლიდერის როლს, როგორც ოსმალთა მმართველობის პერიოდში, ისე 1917-1920 წლებსა და საბჭოთა ხელისუფლების პირველხანებში ყოველთვის აჭარის ადგილობრივი პოლიტიკური ძალები თამაშობდნენ. ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მი-

---

[97] მ. სიორიძე, ,,ყარსის რესპუბლიკა", კრებული ,,საისტორიო მაცნე", ნაკვ. I, ბათ., 1995, გვ. 56.

[98] იქვე.

[99] ე. მესხია, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბათ., 2004, გვ. 15.

ვიჩნიოთ 1878-1917 წლების მონაკვეთი - რუსეთის იმპერიაში ყოფნის დრო, როცა აჭარის ადგილობრივი პოლიტიკური ძალების აქტივობა გარკვეული მიზეზების გამო ჩრდილში მოექცა.

რეგიონის გასაბჭოების წინა წლებში აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ადგილობრივი ორგანიზაციები, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, აქტიურ საქმიანობას ვეღარ ეწეოდნენ. უფრო მეტიც, მათი ელექტორატი ოსმალეთ-ინგლისის ოკუპაციის დროს (1918-1920 წ.წ.) ქალაქიდან ემიგრირებულია საქართველოს სხვა კუთხეებში. ასეთ რეალობაში უფრო გააქტიურდნენ სხვა ძალები, რომელთა შორის მკაფიოდ გამოიკვეთა პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების ტენდენცია. ეს ძალები იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და ბათუმის ისლამური საზოგადოება.

1919 წლიდან 1921 წლის დასაწყისამდე ამ ორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს რეგიონში გავლენის მოპოვებისა და ხელისუფლებისათვის. ამ ძალების პოლიტიკური ორიენტაციები განსხვავებული იყო. განმათავისუფლებელ კომიტეტს 1919-1920 წლებში მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, ხოლო ისლამურ საზოგადოებას - სხვადასხვა გარე ძალები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა მათი დამოკიდებულება 1921 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული მოვლენებისადმი.

წინდაწვე აღვნიშნავთ, რომ წყაროების სიმწირის გამო, ხსენებულ პერიოდში ბათუმთან დაკავშირებული პერიპეტიებისადმი აჭარის პოლიტიკურ ძალთა მიმართების წარმოჩენა სრულყოფილად ვერ ხერხდება. თუმცა მათ მიერ წინა წლებში გამოხატულ აზრში თურქეთისა თუ საბჭოთა რუსეთის მიმართ, ასევე ამ ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებათა შეფასებაში ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისადმი.

ერთადერთი წყარო, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ბათუმში მოქმედი მეჯლისის პოზიციას გამოხატავს, არის მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიერ 1933 წელს ფ. მახარაძისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „იმ დღეებში, როდესაც თბილისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ჩემთან ანგორის მთავრობის დელეგაცია გამოცხადდა და წინადადება მომცა გადაგვესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოგვეტანა დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის

მთავრობას". მ. აბაშიძის ინიციატივით ბათუმში შეიკრიბნენ მეჯლისის წევრები რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა, ისქენდერ ცივაძე, ზია აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე. შეკრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე განმათავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებულები ჰაიდარ აბაშიძე და სულეიმან დიასამიძე, რომლებიც იმავდროულად მეჯლისის წევრებიც იყვნენ. გადაწყდა, რომ შეთავაზებულ წინადადებაზე თურქეთის დელეგაციას უარი ეთქვას. როგორც მ. აბაშიძე აღნიშნავს, შეკრება მოხდა **მეჯლისის წევრთა ძალიან ვიწრო წრეში, რადგანაც ამ საკითხში** „მაინცდამაინც დიდი იმედი არ მქონდა პლენუმის ფართო შემადგენლობისა და დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ **თურქეთის დელეგაციის მოთხოვნილება პლენუმის შემადგენლობის საკმაო ნაწილში მოიპოვებდა დადებით გამოხმაურებას და თანხმობას**".[100]

მემედ აბაშიძის წერილიდან მოტანილი ეს ამონარიდი ერთობ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. თვით ის ფაქტი, რომ მ. აბაშიძეს მეჯლისის ყველა წევრის მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა, მრავლისმეტყველია. როგორც ჩანს, მეჯლისში შედიოდნენ ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა მხარი დაეჭირათ თურქეთის დელეგაციის წინადადებისთვის. ესენი, ალბათ, იქნებოდნენ ბათუმის ისლამური საზოგადოების წევრები ან მათი მხარდამჭერები. ერთ-ერთი მათგანი, როგორც მ. აბაშიძე აღნიშნავს, ყოფილა ჯ. ხიმშიაშვილი. ამ უკანასკნელს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა ზემო აჭარის მოსახლეობაზე. სწორედ ის ახლდა თურქეთის დელეგაციას მეჯლისის წევრებთან შეხვედრაზე.[101]

ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების შემოსვლას არა მარტო ზოგიერთი გავლენიანი ფიგურა მიესალმებოდა, არამედ მათ გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მცირე ნაწილიც. როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ბათუმის ციხის კომენდანტად დანიშნული ი. ფურცელაძე წერს: „პირველი ეშელონი ოსმალთა ჯარებისა, ორი როტა ტყვიისმფრქვევლებით (სულ რაღაც 500 კაცამდე) მოვიდა 11 საათზე 11 მარტს. ბათუმში ოსმალური რაზმის შემოსვლას ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა, დიდი ბრბო ხალხისა მიაცილებდა რაზმს ძახილითა და ფლაგებით".[102]

---

[100] აბაშიძე, თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათ., 1998, გვ. 388-389.

[101] აბაშიძე, თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათ., 1998, გვ. 388.

[102] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 38.

არსებობს დამატებითი წყაროებიც, რომელიც იგივეს ადასტურებს. მაგალითად, იმ ხანად ქართულ ჯარში ექიმის სტატუსით მყოფი იოსებ ასლანიშვილი აღნიშნავს: „ქობულეთში ქემალისტების ხელმძღვანელობით გამართულ მიტინგზე გადაეწყვიტათ „თურქების სამშობლოში" მდინარე ჩოლოქს ქვეით ბათომისაკენ ბოლშევიკების ჯარი აღარ გაეშვათ და ხალხი, მუსულმანი ქართველობა მათი ხელმძღვანელობით თურქული დროშით გაემგზავრა ჩოლოქის მიმართულებით საზღვრის დასაცავად".[103]

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრის, ცნობილი პუბლიცისტის თედო ღლონტის ცნობით, „ქემალისტები აშკარად ცდილობდნენ აეჯანყათ ქართველი მაჰმადიანები ქართველ-რუსის ძალების წინააღმდეგ. ქემალს სურდა ადგილობრივი ხალხის აჯანყების მოწყობით დაემტკიცებია ის აზრი, რომ თვით მაჰმადიან ქართველობას არა სურს საქართველოში დარჩენა, რომ ისინი ოსმალეთს აბარებენ თავის ბედ-იღბალს".[104]

სავარაუდოდ, მოსახლეობის ამ ნაწილის აზრს უნდა გამოხატავდეს 1921 წლის 18-19 მარტის დღეებში ბათუმის მოქალაქეთა შეკრებაზე გამოსული ერთ-ერთი ორატორი, რომლის სიტყვა პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმა შემოინახა წიგნში „თებერვალი". „ქართველი ხალხი მიატოვა მისმა მეთაურებმა. ... მათ ჰქვიოდა ქართული მთავრობა. არ გამოჩნდა მათში არც ერთი პატიოსანი ადამიანი, არც ერთი პატიოსანი მოქალაქე, რომ ჩვენთან მოსულიყო, რომ ეთქვა უბრალო ამბავი მაინც. ნაცვლად ამისა, - გაიპარნენ ისინი. ... წავიდნენ: უსირცხვილოდ, უტიფრად. მიატოვეს თავისი მრევლი. შიშველი და მშიერი ჯარი სიცივეში. ... წავიდნენ და წარიტაცეს ქონება და სიმდიდრე ერისა. ... პურიც კი არ დაუტოვეს მშიერ ქალაქს. ძუძუმწოვარ ბავშვებს წაართვეს რძე - თან წარიტანეს ევროპაში ნაყიდი რძე. ... მათ საგზლათ წაიღეს ხალხის ქონება, სიმდიდრე და სამკაული".[105]

ამ ამბებამდე ორი-სამი თვით ადრე, ოლქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ცნობილმა წარმომადგენლებმა - ისიდორე რამიშვილმა, ჰაიდარ აბაშიძემ, პლატონ მიქაბერიძემ და სხვებმა შემოიარეს. ისინი შეხვდნენ ქობულეთის „თემთა საზოგადოების ყრილობის" დელეგატებს, ქედის მიმდებარე

---

[103] გაზ. "სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 24 აპრილი.
[104] იქვე, 1921 წ., 25 მარტი.
[105] ნ. მიწიშვილი, თებერვალი, თბ., 2009, გვ. 41-42.

სოფლების წარმომადგენლებს, ზემო აჭარის სოფლების მოსახლეობას. სოფლებში ფურტიოში, ხიჭაურში, მერისში და სხვ. გაიმართა მიტინგები და შეკრებები. ამ შეხვედრების ანგარიში თვალნათლივ ცხადყოფს, რომ მოსახლეობა ძირითადად დადებითად იყო განწყობილი ქვეყნის ხელისუფლებისადმი, გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ „თავიანთ ტერიტორიაზე არ მისცემდნენ ასპარეზს საქართველოს ერთიანობის მტრებს".[106]

განსხვავებით ისლამური საზოგადოებისა და მათი მიმდევრებისაგან, განმათავისუფლებელი კომიტეტი და მეჯლისი მუდამ გამოირჩეოდა ქართული პოზიციის სიძლიერით, ყოველთვის ერთიანი საქართველოს იდეას უჭერდა მხარს და პრაქტიკულ ქმედებებსაც ახორციელებდა ამ კუთხით. ეს საკითხი დამაჯერებლადაა შესწავლილი ე. მესხიას, ნ. ზოსიძის, მ. ჩავლეიშვილის, უ. ოქროპირიძის და სხვ. ნაშრომებში, რის გამოც მასზე აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით.

ბოლშევიზმისა და ბოლშევიკური რუსეთისადმი დამოკიდებულება კარგად ჩანს კომიტეტის და მეჯლისის პერიოდული ორგანოს „სამუსლიმანო საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში, მ. აბაშიძის მოხსენებებში და ა.შ. საინტერესოა განმათავისუფლებელი კომიტეტისა და მეჯლისის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც ეს ქვეყანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ეწეოდა. მათ კარგად უწყოდნენ, რას წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთი, რა აგრესიული განზრახვა ჰქონდათ კრემლის მესვეურებს საქართველოსთან მიმართებით და ისიც ჩინებულად ესმოდათ, რომ ბოლშევიკები ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანდნენ. გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" 1920 წლის 31 მარტის ნომრის ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია: ,,საქართველო ის ერთადერთი კუთხეა ყოფილი რუსეთის ტერიტორიისა, სადაც დიდი რევოლუციის (საუბარია თებერვლის რევოლუციაზე – ი. მ.) მონაპოვარი ცხოვრებაში განხორციელებულია, სადაც საუცხოო წესრიგია, სადაც ხალხი ერთიმეორეს არ ჟლეტს, სადაც ტრანსპორტი წესიერად მუშაობს და ცხოვრება წესიერ კლაპოტშია. ბევრჯერ სცადეს ბოლშევიკებმა ამ წესიერი ცხოვრების აფორიაქება, საქართველოს ანარქიის ალში გახვევა; მარა საქართველოს შეგნებული ხალხი არ აჰყვა მათ ფეხის ხმას, არ შე-

---

[106] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2009, გვ. 515.

მოაჭაჭანა საქართველოს ფარგლებში რუსეთის ბოლშევიზმი, არ გაუხსნა გზა ანარქიას".[107]

ბოლშევიკების სურვილი რომ ერთიანი რუსეთის იმპერიის აღდგენა იყო, ეს კომიტეტისა და მეჯლისის წევრებისთვის ადრიდანვე იყო ცნობილი. ,,ადგილობრივმა ბოლშევიკებმა უკვე გამოაცხდეს, რომ ბათუმი საბჭოთა მთავრობას, ე. ი. რუსეთს უნდა გადაეცესო. ბოლშევიკები და დენიკინელები მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან: ეს არის მთლიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა. ... მარა იცოდნენ, რომ ჩვენთვის ეს სრულიადაც არ არის დაფარული. ... იცოდნენ, რომ ჩვენ ვერ გაგვაცურებენ, ... იცოდნენ, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნიან ილუზიას, თითქოს მთელი ბათუმი და ბათუმის ოლქის მცხოვრებლები საქართველოს წინააღმდეგია", ვკითხულობთ 1920 წლის 22 აპრილის გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" ერთ-ერთ პუბლიკაციაში.[108]

ბოლშევიკებისა და საბჭოთა რუსეთის მსგავსი შეფასებები მრავლადაა მოცემული კომიტეტის და მეჯლისის დოკუმენტებში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათთვის კრემლის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში მიუღებელი იყო. კომიტეტმაც და მეჯლისმაც იმთავითვე მკვეთრად ანტიბოლშევიკური პოზიცია დაიჭირეს. თუმცა, საინტერესოა, რატომ არ გამოხატეს თავიანთი მკაფიო დამოკიდებულება თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის დროს. აქ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ის კონკრეტული ვითარება, რომელიც ბათუმის ირგვლივ ამ დროს შეიქმნა. თურქეთის სამხედრო აგრესიამ ისინი აიძულა უფრო იმ ძალისათვის დაეჭირათ მხარი, რომელიც ბათუმს საქართველოს შემადგენლობაში დატოვებდა. მეორე: საკუთრივ ბოლშევიზმის ქართულმა ელემენტმაც რაღაც როლი ითამაშა და მესამე: ალბათ, შექმნილ პირობებში ეს ობიექტური რეალობისთვის ანგარიშის გაწევაც იყო (ყოველ შემთხვევაში, მოგვიანებით, მეჯლისი და კომიტეტის გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში).

კომიტეტის და მეჯლისის წევრებისგან განსხვავებით, აჭარაში თურქეთის ჯარების შემოსვლა, სავარაუდოდ, გარკვეულ მხარდაჭერას ჰპოვებდა ბათუმის ისლამურ საზოგადოებაში. ცნობილია, რომ ამ ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1920 წლის დასაწყისში დახმარების სათხოვნელად

---

[107] მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათ., 1998, გვ. 196.
[108] იქვე, გვ. 218-219.

საკუთარი ემისრები თურქეთში მიავლინა, თუმცა მაშინ ანკარამ ეჭვიც კი გამოთქვა ასეთი ორგანიზაციის რეალურად არსებობის თაობაზე. საგულისხმოა, რომ ისლამურ საზოგადოებას მკვეთრად გამოკვეთილი სტაბილური საგარეო პოლიტიკური პარტნიორი არ ჰყოლია.

1919-1920 წლებში ბათუმის ისლამური საზოგადოების მოღვაწეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს იყო ცვალებადი სტრატეგიის და ტაქტიკის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია. ისლამური საზოგადოება, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, ბათუმში ჩამოყალიბდა 1919 წლის თებერვალში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებისა და ოლქის რუსთა მმართველი საბჭოს ხელშეწყობით, რაც დაკავშირებული უნდა იყოს რეგიონში სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობის გააქტიურებასთან. ისლამური საზოგადოების მიერ საგარეო პოლიტიკურ მოკავშირეთა ხშირი ცვლა აშკარად მიუთითებს, რომ ამ ორგანიზაციას მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური კურსი არ გააჩნდა და მისი სამოქმედო გეგმა უფრო სიტუაციიდან გამომდინარეობდა. ორგანიზაციის პოლიტიკურ ვექტორს განსაზღვრავდა იმჟამად არსებული ვითარება და, შესაბამისად, მისი საგარეო პოლიტიკური პარტნიორები. ნაკლებ დამაჯერებელი უნდა იყოს ამ ორგანიზაციის სრულ პროთურქულ ძალად მიჩნევა. ეს იყო ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, რადიკალური პოლიტიკური ერთობა, რომლის წევრები საგარეო-პოლიტიკური ძალის მხარდაჭერით ცდილობდნენ რეგიონში საკუთარი პოზიციების გამყარებას განმათავისუფლებელი კომიტეტის საპირისპიროდ. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ისინი მიესალმებოდნენ 1921 წლის თებერვალ-მარტში თურქეთის ჯარების აჭარაში შესვლას, მით უფრო, თუ ისინი ჯერ კიდევ, როგორც აღვნიშნეთ, შექმნიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დახმარებას ანკარაში ეძებდნენ.

ისლამური საზოგადოების წევრები (ხ. ბიბინ-ზადე, (ბიბინეიშვილი) ა. ველიოღლი (დავითაძე), ბ. აბუსერიძე, ქესკინ-ზადე და სხვ.), ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დამოუკიდებელი აჭარისტანის შექმნას მოითხოვდნენ და აცხადებდნენ: „ჩვენი ხალხის უმრავლესობის მტკიცე გადაწყვეტილებაა, რათა შეიქმნას ჩვენი ოლქისაგან სახელმწიფო „აჭარისტანის“ სახელწოდებით, რომელშიც შევა ქ. ბათუმი“.[109] საყურადღებოა, რომ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან სულ მალე ეს ჯგუფი სა-

[109] დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999, გვ. 65, 72.

ერთო ენის გამონახვას ახერხებს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან, მათი საერთო „მტრის" - მეჯლისის წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ისლამური საზოგადოების გამოყენებით ახერხებს ბოლშევიკური ხელისუფლება აჭარაში მეჯლისის პოზიციების შესუსტებას, მის დაშლას და ახალი მეჯლისის არჩევას. ახალ მეჯლისში კი პოზიციებს უკვე ისლამური საზოგადოების წარმომადგენლები ფლობდენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული სამხედრო აგრესიის ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა ერთობას და შემოჭრილი მტრის მოსაგერიებლად ძალების მობილიზებას. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „ბოლშევიკების მოღვაწეობის შედეგად მარცხით დამთავრდა მენშევიკთა ყველა ცდა ბათუმსა და აჭარაში შეედგინათ „მოხალისეთა რაზმები".[110] ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს.

საქართველოზე წითელი არმიის ნაწილების თავდასხმისთანავე აჭარაში დაიწყო სამხედრო შენაერთის - ლეგიონის ფორმირება, რომლის მეთაურობა გენერალ ასლან აბაშიძეს დაეკისრა. საქართველოს გენშტაბის ცნობით, „აჭარლები ითხოვდნენ ფრონტზე გაგზავნას და მემედ-ბეგ აბაშიძეს უკვე ჰყავს 300 კაცი".[111]

აღსანიშნავია, რომ აჭარაში შედგენილი ბათუმის ლეგიონი გ. მაზნიაშვილის დაქვემდებარებულ ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა თბილისის დაცვისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მრავალი წარმომადგენელი დაირაზმა ასევე და აქტიურად ჩაერთო ბათუმიდან თურქ ასკერთა განდევნისათვის წარმოებულ საომარ ოპერაციაში.[112]

საინტერესოდ განვითარდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა და მისი წევრების ისტორია გასაბჭოების პირველ წლებში. საქართველოს ოკუპაციამდე კომიტეტის წევრები მკვეთრად ანტისაბჭოურ პოზიციას გამოხატავდნენ. გასაბჭოების მომენტში მეჯლისს მსგავსი განწყობა არ გამოუვლენია. შესაძლოა, ეს იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ ფ. მახარაძე აჭარის მოსახლეობისადმი მიმართვაში რეგიონს ავტონომიას დაჰპირ-

---

[110] ჯ. ჩხეიძე, ბათუმი. ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1959, გვ. 120.

[111] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2009, გვ. 516.

[112] გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 159-160; 207.

და,[113] ავტონომიის საკითხი კი კომიტეტისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი იყო. განმათავისუფლებელი კომიტეტისა და მეჯლისის ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელი (ჯ. ქიქავა, მ. გოგიბერიძე და სხვ.) მალე შეეგუა ახალ რეალობას და საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მაშინ როცა ბოლშევიკებმა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ძველი სახელისუფლო ინსტიტუტები გააუქმეს, ბათუმში მეჯლისის დატოვება განსაკუთრებულ პრეცედენტად აღიქმება. მეჯლისის აღიარება ბოლშევიკური რევკომის მიერ შეხების წერტილს უნდა პოულობდეს 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებასთან. მოსკოვის მოლაპარაკებისას კრემლი უეჭველად საქმის კურსში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ სამუსლიმანო საქართველოში დეკლარირებული ავტონომიის შესახებ. მათთვის არც ის იქნებოდა დაფარული, როგორი პოპულარობით სარგებლობდა ეს საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილში, რა იმედებსა და მოლოდინს უკავშირებდნენ ამ კუთხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები ავტონომიის რეალურ დამკვიდრებას. საგულისხმოა ისიც, რომ რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭებაში თავისთვის სასარგებლო მარცვლებს ხედავდნენ როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე თურქეთის ხელისუფლებაში. ამდენად, არსებული მეჯლისი ავტონომიის რეალიზების პირველი ნაბიჯი იყო შექმნილ ახალ სინამდვილეში. გარდა ამისა, მეჯლისის დატოვება ბოლშევიკური რეჟიმისათვის ნაკარნახავი უნდა ყოფილიყო აჭარის გავლენიანი პოლიტიკური ძალების ლოიალობის მოპოვების სურვილით და რეგიონში შესაძლო ანტისაბჭოთა ფრონტის გაძლიერების საშიშროებით.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ბათუმის ოლქის რევკომიც შექმნის დროიდან არაორდინალურ პირობებში აღმოჩნდა. მოსახლეობა ახალ ხელისუფლებას უყურებდა როგორც მტერს.[114] კომუნისტებს რომ აჭარის მოსახლეობაში მხარდამჭერები არ ჰყავდათ, ეს ნათლად გამოჩნდა ადგილობრივი ორგანოების - სამაზრო და სათემო რევკომების ჩამოყალიბებისას, რომლებ-

---

[113] გაზ. "კომუნისტი", 1921 წ., 20 მარტი.

[114] Борьба за победу советской власти в Аджарии. Документы и материалы, Батуми, 1961, გვ. 381.

შიც ბევრი ხელისუფლებისთვის მიუღებელი პირი გავიდა.[115] ამიტომაც შეცვალეს ტაქტიკა ბოლშევიკებმა და მოსახლეობაზე გავლენის მოსაპოვებლად ქალაქში პირველადი ორგანიზაციების, სოფლად კი ღარიბთა კომიტეტების შექმნა დაიწყეს.

ამრიგად, 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებისადმი, კერძოდ კი ბათუმსა და აჭარაში წითელი არმიის შესვლისა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისადმი განმათავისუფლებელი კომიტეტის და მეჯლისის წევრების (ძირითადი ნაწილის) დამოკიდებულება ნეიტრალური ჩანს. ყოველ შემთხვევაში, წინა წლებში მკვეთრად გამოხატული თავიანთი ანტიბოლშევიკური პოზიცია მათ ამჯერად აქტიურად აღარ დაუცავთ. რაც შეეხება საკითხს ამ ძალის დამოკიდებულების შესახებ ბათუმში შემოსული თურქეთის ჯარებისადმი, იგი უარყოფითი უნდა ყოფილიყო, რადგან კომიტეტიცა და მეჯლისიც რეგიონის დედასამშობლოს წიაღში შენარჩუნებას უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდნენ, თურქები კი ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტას ესწრაფვოდნენ.

საქართველოსადმი მტკიცე და ურყევი ერთგულება გამოამჟღავნა ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ. თვითმხილველთა მოწმობით, მას შემდეგ, რაც ბათუმში თურქეთის მხრივ საშიშროება სრულიად აღმოიფხვრა, "აჭარის რაიონებში თურქეთის ჯარი კიდევ ეწეოდა თავის პროვოკაციულ საქმიანობას. ისინი ცდილობდნენ აეჯანყებინათ ქართველი მაჰმადიანები რუს-ქართველთა ძალების წინააღმდეგ, მაგრამ მათ არ მიემხრო არც ერთი ქართველი მაჰმადიანი, მათ ვერ მოაწყვეს ვერც ერთი აჯანყება".[116] უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხარის მოსახლეობის ამგვარი განწყობაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელმაც ბათუმისა და მთლიანად აჭარის ბედი სასიკეთოდ გადაწყვიტა და ეს რეგიონი საბოლოოდ საქართველოს წიაღში დამკვიდრდა.

---

[115] აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 3-1, ან.1. საქ.7, ფურც.20, 29.
[116] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 25 მარტი.

თავი III. დიპლომატიური ბრძოლა ბათუმის გარშემო

1. ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში

ბათუმისა და მთლიანად აჭარის ბედის გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელსაც წინ საფუძვლიანი განხილვა და მოლაპარაკებათა ორი რაუნდი უძღოდა. ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით გავარკვიოთ, რა მიზნებს ისახავდნენ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და როგორ იქნა მიღწეული რუსეთ-თურქეთის კომპრომისი სხვათა მიწა-წყლის გაყოფის ხარჯზე.

XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგი რუსეთისა და თურქეთის დაახლოებით აღინიშნა. ხანგრძლივი ურთიერთდაპირისპირებისა და მრავალრიცხოვანი ომების შემდგომ ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დათბობა სხვადასხვა გარემოებამ განაპირობა

მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ორივეგან დაემხო იმპერია და ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი. განსაცდელი თავს ჯერ რუსეთს დაატყდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ არა მხოლოდ სამეფო ტახტი აქცია ისტორიის კუთვნილებად, არამედ იმპერიის რღვევა და მეტროპოლიისაგან მისი განაპირა მხარეების ჩამოშორებაც განაპირობა. დროებითი მთავრობისა და რევოლუციური საბჭოების მმართველობა ხანმოკლე გამოდგა. 1917 წლის ნოემბრიდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ბოლშევიკებმა რამდენიმეწლიან სამოქალაქო ომში დაძლიეს როგორც შიდა მოწინააღმდეგე ძალები, ასევე მოიგერიეს უცხოეთის ინტერვენცია და შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება.

ლენინის მთავრობამ ცნობილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით რუსეთი მსოფლიო ომისაგან გამოთიშა, რამაც გერმანიისა და მისი მოკავშირე ოსმალეთის რამდენადმე გაძლიერება გამოიწვია (ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები გადაეცა), მაგრამ საბოლოო წარმატება მაინც ანტანტის სახელმწიფოებს დარჩათ.

გერმანიისა და სამთა კავშირის მარცხმა ოსმალეთის იმპერია და სულთნის ხელისუფლებაც შეიწირა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად თურქეთის სათავეში სრულიად ახალი ძალა – ქემალისტური მოძრაობა მოვიდა, რომელსაც მუსტაფა ქემალი (შემდეგში ათა-თურქი) ხელმძღვანელობდა. 1920 წლის აპრილში ქ. ანკარაში (ანგორა) მოწვეულმა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი მთავრობის მეთაურად აირჩია.

როგორც ლენინისა და ბოლშევიკების, ისე ქემალისა და თურქეთის ეროვნული კრების წინაშე ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო აღიარების პრობლემა იდგა. არც საბჭოთა და არც ანკარის მთავრობას პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები კანონიერ ხელისუფლებად არ სცნობდნენ. საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეულმა ძველმა მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც მათ გარშემო შეკრული რკალის გარღვევას და დაშლილი იმპერიების აღდგენსაც ესწრაფვოდნენ, საერთო ენა და ინტერესები ერთმანეთში გამონახეს. თურქეთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა, ამისათვის საჭირო ფულსა და იარაღს კი რუსეთის გარდა ვერავისგან მიიღებდა. თავის მხრივ, მსოფლიო რევოლუციიის იდეით შეპყრობილი ბოლშევიკთა ბელადები, რომლებიც თურქეთს აღმოსავლეთის მიმართულებით სოციალიზმის გაფართოების მნიშვნელოვან ბაზად განიხილავდნენ, მზად იყვნენ მისთვის დახმარების ხელი გაეწოდათ.

მუსტაფა ქემალის მოწმობით, მას რუსეთის თანადგომის იმედი საბჭოთა არმიის შენაერთების სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან მოახლოებისას გასჩენია.[117] წითელი არმიის ნაწილები სომხეთში 1920 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში, თურქეთ-სომხეთის ომის მიმდინარეობისას გამოჩნდნენ. თურქი ნაციონალისტების თანამშრომლობა ბოლშევიკურ რუსეთთან კი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1920 წლის გაზაფხულზე დასტურდება. აზერბაიჯანის გასაბჭოებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე ვ. ლენინს მოახსენებდნენ, რომ ბაქოში რევოლუციის სასარგებლოდ ერთობ აქტიური როლი ითამაშეს თურქმა ოფიცრებმა და ასკერებმა, რომელთა რაზმმა მუსავატისტთა მთავრობას გზა შეუკრა და არ მისცა ბაქოდან გაქცევის შესაძლებლობა.[118]

---

[117] С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 15.

[118] Ю. А. Багиров, Из истории Советско-турецких отношений (1920-1922 гг.), Баку, 1965, გვ. 31.

ასევე, საბჭოების VIII ყრილობაზე წარსადგენ რსფსრ საგარეო საქმეთა სახლხო კომისარიატის ანგარიშში, რომელიც ამ უწყების მიერ 1919-1920 წლებში გაწეულ მუშაობას წარმოაჩენს, აღნიშნულია: ქემალისტები ჩვენთან კავშირში შემოვიდნენ აზერბაიჯანის მეშვეობით, სადაც მათმა მიმდევარმა ჯგუფმა ხელი შეუწყო გადატრიალებას და ადგილობრივი რევოლუციური მთავრობის მიერ აზერბაიჯანში რუსეთის წითელი არმიის მიწვევას. პირველი მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი თურქი მხედრთმთავარი ხალილ-ფაშა, ხოლო შემდეგ თვით მუსტაფა ქემალმა აღგვითქვა, რომ გავლენას იქონიებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე, რათა ეს უკანასკნელი შემოვიდეს საბჭოთა სახელმწიფოების წრეში.[119]

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა მოსკოვს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და თურქეთისათვის იარაღით, საბრძოლო მასალებითა და თანხით დახმარების თაობაზე მიმართა.[120] თხოვნა კრემლში ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით ჩავიდა. ლენინი მაშინვე ყურადღებით გაეცნო მიმართვას. 3 ივნისს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა ქემალს საპასუხო წერილი გაუგზავნა და მას ,,ევროპელი იმპერიალისტების" წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას დაპირდა. მოსკოვი თურქეთს დიპლომატიური და საკონსულო თანამშრომლობის დაუყოვნებლივ დაწყებასაც სთავაზობდა. მიჩნულია, რომ წერილების გაცვლა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის დიპლომატიურ თანამშრომლობას[121] საბჭოთა მთავრობისა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ურთიერთ აღიარებასაც ნიშნავდა.[122]

მოსკოვიდან პასუხის მიღებამდე, 1920 წლის 11 მაისს, თურქეთის მისია საგარეო საქმეთა კომისრის ბექირ-სამის ხელმძღვანელობით* რუ-

---

[119] Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 724-725.

[120] Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 683.

[121] П. Моисеев, Ю. Розалин, К историии советско-турецких отношении, М., 195, გვ. 18.

[122] С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 17.

*კუნდუხ ბექირ-სამი – წარმოშობით ჩრდილოეთ კავკასიელი დიპლომატი, დედით ადიღე, მამით ოსი, რუსეთის მეფის არმიის გენერლის, 1865 წელს 5 ათასი ჩერქეზი და ოსი მცხოვრების ოსმალეთში მუხაჯირობის ინიციატორის მუსა კუნდუხოვის შვილი (http://ossetians.com/rus/news.php?newsid=145).

სეთს გაემგზავრა. მისიაში შედიოდნენ: იუსუფ ქემალი, იბრაჰიმ თალიბეი, ოსმან-ბეი და გენშტაბის პოდპოლკოვნიკი სეიფი. დელეგაციას ორი ქვეყნის თანამშრომლობის საფუძვლების შემზადება ევალებოდა.

1920 წლის 24 ივლისს თურქეთის დელეგაცია გ. ჩიჩერინმა მიღო. დაიწყო რუსეთ-თურქეთ მოლაპარაკების პირველი რაუნდი - მოსკოვის პირველი კონფერენცია. საბჭოთა მხარეს წარმოადგენდნენ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი, მისი მოადგილე ლევ კარახანი და სხვ.

მოლაპარაკებაზე წამოჭრილ საკითხთა დეტალურად განხილვისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით ჩამოყალიბდა ორი კომისია - პოლიტიკური და სამხედრო.

სამხედრო კომისია თურქეთისათვის ფინანსური დახმარების, სამხედრო ტექნიკის, აღჭურვილობის, საწვავისა და საბრძოლო მასალების გამოყოფის შესაძლებლობებს განიხილავდა, ხოლო პოლიტიკური კომისია ძირითადად ტერიტორიული გამიჯვნის პრობლემით იყო დაკავებული. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურთან შედარებით უფრო სწრაფად სამხედრო სფეროს მიკუთვნებული საკითხები წყდებოდა. ანკარის მთავრობისათვის სამხედრო და ფინანსური შემწეობის თაობაზე შეთანხმება იოლად იქნა მიღწეული. რაც შეეხება საზღვრების გამიჯვნას, კონფერენციაზე იგი სერიოზული უთანხმოებისა და დავის საგნად იქცა. იმ მომენტისათვის რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს უშუალოდ არ ესაზღვრებოდნენ, რადგან მათ შორის სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მდებარეობდნენ. ეს რესპუბლიკები (მათ შორის აზერბაიჯანიც მის გასაბჭოებამდე), დე ფაქტო თუ დე იურე აღიარებული იყვნენ მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს მიერ (საქართველოს დამოუკიდებლობა თვით რსფსრ-მ ცნო 1920 წლის 7 მაისს), არადა მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა სასაზღვრო საკითხი იყო. მოსკოვი და ანგორა ისე მსჯელობდნენ საქართველოსა და სომხეთის მიწაწყლის განაწილებაზე, რომ მათ კანონიერ მეპატრონე ქვეყნებს არაფერს ეკითხებოდნენ.

რუსეთმა პირველი მსოფლიო ომის წინანდელი საზღვრების აღდგენისა და ამ საკითხის ეთნოგრაფიულ საფუძველზე გადაჭრის იდეა წამოაყენა. გ. ჩიჩერინის სიტყვით, უნდა განეხორციელებინათ მოსახლეობის იმგვარი ორმხრივი გადასახლება, რომ საზღვრის ორივე მხარეს შეექ-

მნათ ერთგვაროვანი ეთნოგრაფიული ტერიტორიები.[123] ბექირ-სამიმ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, მან გადაჭრით მოითხოვა ბრესტის საზავო ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების დაცვა და დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული ახალი თურქეთის ქარტიის - ,,ეროვნული პაქტის" აღიარება. ვერ მიიღო რა გ. ჩიჩერინის თანხმობა, თურქი დიპლომატი ამ საკითხებზე სასაუბროდ, მისივე თხოვნით, ვ. ლენინსაც შეხვდა. ლენინი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა, რამაც შესაძლებელი გახადა მოლაპარაკებათა გაგრძელება და ხელშეკრულების პროექტის შემუშავება.

პრეამბულისა და 7 პუნქტისაგან შემდგარ დოკუმენტში ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხს პროექტის მეოთხე პუნქტი ეხებოდა. ამ პუნქტის შესაბამისად, რსფსრ თანხმობას აცხადებდა ეკისრა შუამავლობა თურქეთსა და იმ მოსაზღვრე მესამე სახელმწიფოთა შორის, რომელთა ძალაუფლება ვრცელდებოდა "ეროვნულ პაქტში" აღნიშნულ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. თვით „პაქტში" კი, რომელიც თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1920 წლის 28 იანვარს დაამტკიცა, ჩაწერილი იყო: „მუხლი 2. მიუხედავად სამი აღმოსავლური პროვინციის - ყარსის, არტაანისა და ბათუმის წინა პერიოდში თურქეთთან შეერთებისა, ჩვენ თანახმა ვართ, გადავხედოთ ამ გადაწყვეტილებას პლებისციტის გზით". ისტორიოგრაფიაში არსებობს თვალსაზრისი, რომ ხელშეკრულების ხსენებული პუნქტით საბჭოთა მთავრობა აღიარებდა თურქეთის უფლებას ბათუმზე, ყარსსა და არდაგანზე.[124]

ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მოსკოვში გაფორმებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამ დროს არტაანს საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა, ბათუმი კი ჯერ ისევ ინგლისელებს ეკავათ, მაგრამ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ინგლისმა თავისი სამხედრო კონტიგენტი ბათუმიდან გაიყვანა და ქალაქსა და ოლქზე საქართველოს იურისდიქცია აღდგა. ასეთ რეალობაში კრემლის თუნდაც ირიბი თანხმობა ბათუმისა და არტაანის თურქეთისათვის მიკუთვნებაზე რუსეთის დიპლომატიის ორმაგ სტანდარტს ცხადყოფს (საგულისხმოა ყარსის საკითხიც. მიუხედავად თურქეთისათვის მისი დათმობისა, მოსკოვი ყარსის ოლქს სომხეთის კუთვნილებად ცნობდა იმ სამ-

---

[123] Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 726.

[124] Армянский вопрос. Энциклопедия, Ереван,1991, გვ. 232.

შვიდობო ხელშეკრულების პროექტის თანახმად, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის შორის 1920 წლის ოქტომბერში შემუშავდა, თუმცა ხელმოწერილი არ ყოფილა.[125]

1920 წლის 24 აგვისტოს მოსკოვის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი პარაფირებულ იქნა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ. როგორც რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: „პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტის მცდელობას არ მოჰყოლია წარმატება.[126] აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო, რომელთა შორის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბექირ-სამის ორჭოფული პოლიტიკაცაა დასახელებული (ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა უწყების მეთაური უფრო ძველი - სულთნის თურქეთის მმართველი ფენის ერთგული რჩებოდა, რის გამოც ის 1921 წლის გაზაფხულისათვის თანამდებობას ჩამოაშორეს), თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ხელშეკრულება არ იქნა რატიფიცირებული.[127] ამ ამბებთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებულია იმ დროის საერთაშორისო ფონიც. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის დაახლოებამ შეაშფოთა ანტანტის სახელმწიფოები (მეტადრე საფრანგეთი), რომლებმაც სცადეს ქემალის გადაბირება მისთვის სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის წინადადებითა და სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპენსაციების შეთავაზებით. ანკარისათვის სასურველი ამ დათმობების მიუხედავად, მუსტაფა ქემალი მოერიდა საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირებას, თუმცა ლონდონსა და პარიზთან თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს.

1920 წლის ნოემბრის ბოლოს თურქეთმა რუსეთს მოლაპარაკებათა გაგრძელება და ახალი კონფერენციის მოწვევა შესთავაზა. კრემლი ამ ინიციატივას კმაყოფილებით შეხვდა. 8 დეკემბერს გ. ჩიჩერინმა თურქეთში თანხმობის წერილი გაგზავნა, რომელშიც ხაზგასმული იყო კონფერენციის დაუყოვნებლივ დაწყების აუცილებლობა.

რუსეთ-თურქეთის პირველი კონფერენციის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ აქამდე მოსკოვის გავ-

---

[125]იქვე, გვ. 227.

[126]Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 727.

[127] А. М. Шамсутудинов, Советско-турецкая дружба в годы освободителной борьбы Турции в 1919-1922 г.г., М., 1960, გვ. 3.

ლენა რეგიონში მხოლოდ გასაბჭოებულ აზერბაიჯანზე ვრცელდებოდა, ახლა მას სომხეთიც მიმატებოდა. თურქეთთან ომში (1920 წლის სექტემბერი-ნოემბერი) არარატის რესპუბლიკის კატასტროფულმა მარცხმა კრემლს სომხეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარება გაუადვილა. მაგრამ მდგომარეობა აქ კვლავ რთული და დაძაბული რჩებოდა, რადგან თურქებს სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული ჰქონდათ. რუსეთისათვის ამ გამოწვევის გარდა, არსებითი იყო საქართველოს საკითხის გადაწყვეტაც, რომელიც ასევე თურქეთთან წინასწარ შეთანხმებას და მის ნეიტრალიზებას მოითხოვდა. მით უფრო, რომ თურქებს თვალი ეჭირათ ბათუმზე და იქიდან ინგლისელთა გასვლის შემდეგ არ გამოირიცხებოდა, რაიმე ეღონათ მის ხელში ჩასაგდებად. გ. ჩიჩერინი კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს ანგორაში ბ. მდივნისათვის გადასაცემად აცნობებდა: თუ თურქები ბათუმზე ალაპარაკდებიან, ბ. მდივანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მათ მიერ ბათუმის აღებას და რომ ყველა ტერიტორიული საკითხი გადაწყდება მოსკოვში.[128] იგივეს იმეორებდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა რუსეთის ელჩის ა. შეინმანისადმი გაგზავნილ დეპეშაში, რომელშიც აღნიშნულია: „ბათუმის თურქთა ხელში გადასვლა მიუღებელია“.[129]

მოლაპარაკებათა რაუნდის განახლებამდე აღსანიშნავია მხარეთა ორი განსხვავებული მოთხოვნა, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა. თურქები ცდილობდნენ კონფერენციის მოწვევის ადგილად ქალაქი ბაქო შეერჩიათ. არჩევანს იმით ასაბუთებდნენ, რომ ბაქოდან კომუნიკაციები ანგორასთან უფრო სწრაფი და მარტივი იქნებოდა, რაც დელეგაციის ურთიერთობას საკუთარ მთავრობასთან რამდენადმე გააიოლებდა. კრემლმა წინადადება უარყო მოტივით, რომ „ასეთ შემთხვევაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველა ხელმძღვანელი მოსწყდებოდა თავის სამუშაოს“ და კონფერენციის განახლება კვლავ მოსკოვში ისურვა. ჩიჩერინმა თურქებს აღუთქვა: კრემლი ყველაფერს იღონებს, რომ მოსკოვიდან კავშირი ანგორასთან სომხეთის ან ნოვოროსიისკის მეშვეობით უწყვეტად განხორციელდესო.[130] საგულისხმოა, რომ მოსკოვმა ახალ მოლაპარაკებებში აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების წარმომადგენელ-

---

[128] Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 379.

[129] იქვე, გვ. 374.

[130] იქვე, გვ. 392.

თა ჩართვა მოინდომა, მაგრამ ეს უკანასკნელი იდეა მიუღებელი აღმოჩნდა თურქეთისათვის, რომელსაც სამხრეთ კავკასიის მიმართ თავისი ცალკე და შორსმიმავალი გეგმები გააჩნდა. ინტენსიური მიწერ-მოწერის შემდეგ გადაწყდა, რომ რუსეთ-თურქეთის მეორე კონფერენცია მოსკოვში გაიმართებოდა.

1920 წლის 14 დეკემბერს ანკარის სამთავრობო დელეგაცია იუსუფ ქემალის (თურქეთის სახალხო მეურნეობის მინისტრი, დელეგაციის თავმჯდომარე), რიზა ნურის (საზოგადოებრივი განათლების მინისტრი) და გენერალ ალი ფუადის შემადგენლობით რუსეთში გაემგზავრა და 1921 წლის 18 თებერვალს მოსკოვში ჩავიდა.[131] გენერალი ალი ფუად ჯეზესი საბჭოთა რუსეთში თურქეთის ელჩად დაინიშნა. 19 თებერვალს ანგორას რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელის სტატუსით ქართველი ბოლშევიკი ბუდუ მდივანი ეწვია.

კრემლი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქემალთან შეთანხმებას, რომ მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყებამდე, თურქეთის დელეგაცია პირადად ლენინმა მიიღო და მის წევრებს რუსეთ-თურქეთის მეგობრული კავშირის აუცილებლობასა და პერსპექტივაზე ხანგრძლივად ესაუბრა.[132]

ლენინის განსაკუთრებულ დაინტერესებას კონფერენციის მუშაობით ცხადყოფს გ. ჩიჩერინიც, რომელიც წერს: „მაგონდება თურქეთთან მოსკოვის მეორე კონფერენციის დროს ვლადიმერ ილიას ძე ყოველ საღამოს როგორი ყურადღებით გამომკითხავდა ტელეფონზე, თუ რა გაკეთდა დღის განმავლობაში და რა ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა იგი ამ მოლაპარაკებათა ბედს“.[133]

კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა. საბჭოთა მთავრობას ამჯერად რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გ. ჩიჩერინთან ერთად ცაკის წევრი ჯ. ქორქმასოვი წარმოადგენდა. დელეგაციების ხელმძღვანელთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებათა საფუძვლად მიეღოთ წინა კონფერენციაზე შემუშავებული ხელშეკრულების უკვე პარაფირებული პროექტი, იმ დაშვებით, რომ მასში შეიტანდნენ სათანადო ცვლილებებსა და დამატებებს.

---

[131] С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 42-44.

[132] В. И. Ленин, Соч. т. 42, გვ. 594.

[133] Чичерин Г. В. Статьи и речи по вопросам международной политики, М., 1961, გვ. 283.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციაზე სამი კომისია ჩამოყალიბდა, კერძოდ, პოლიტიკური, იურიდიული და სარედაქციო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური რუსეთი მუსტაფა ქემალს 1920 წლიდან სერიოზულ დახმარებას უწევდა და უფრო მეტს სამომავლოდ პირდებოდა, მოლაპარაკება ორი სახელმწიფოს ოფიციალურ დელეგაციებს შორის არც თუ იოლად მიმდინარეობდა და შესამჩნევად გაჭიანურდა. თურქეთის დელეგაცია ხელშეკრულების თითოეული მუხლის გამო კამათობდა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებზე დავობდა და ყოველ წვრილმანს სავაჭროდ ხდიდა.

თურქი დიპლომატები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ბათუმის საკითხით, თუმცა ახლა მხოლოდ ბათუმს აღარ სჯერდებოდნენ და, წინა კონფერენციისაგან განსხვავებით, ახალციხესა და ახალქალაქსაც მოითხოვდნენ. ისინი თავიანთ უფლებას აღნიშნულ ტერიტორიებზე იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს აქაური მოსახლეობა პროთურქული ორიენტაციისა იყო და რომ თურქეთის ჯარების შეყვანა ამ ოლქებში ადგილობრივ მკვიდრთა სურვილს შეესაბამებოდა. ანკარის მთავრობის წარმომადგენლები არგუმენტად იშველიებდნენ იმასაც, რომ რუსეთმა აღიარა ზემოთ ხსენებული თურქეთის „ეროვნული პაქტი“.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეს დოკუმენტი ბათუმთან მიმართებაში მკაფიო სიცხადით არ გამოირჩეოდა და მისი საბოლოო კუთვნილების საკითხს (ყარსთან და არდაგანთან ერთად) მომავალ პლებისციტს უკავშირებდა.

კონფერენციაზე მწვავე დებატები გაიშალა ნახიჭევანისა და გუმრის პრობლემათა ირგვლივაც. თურქეთის დელეგაცია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და ტერიტორიის საკითხში დათმობას არ აპირებდა.

ვიცოდით რა, რომ საბჭოთა მთავრობა მეტისმეტად იყო დაინტერესებული თურქეთთან შეთანხმებით, დავადექით პოლიტიკურ ტაქტიკას, რომელიც ჩიჩერინს აიძულებდა დაჰყოლოდა ჩვენს პირობებს, აღნიშნავს ალი ფუად ჯებესოი თავის მოგონებებში და დასძენს: მოლაპარაკებებზე მოვახერხეთ შეგვექმნა რამდენიმე კრიზისული მომენტი, რის შედეგადაც საბჭოთა საგარეო სახკომმა ვეღარ შეძლო თავისი ხაზის ეფექტურად გატარება.[134]

---

[134] Али Fuat Cebesoy. Moskova Hatiralan (21/11/1920 - 2/6/1922). «Vatan» Nesriyati. Istanbul, 1955. Vol. II. http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1082-1104.htm

კონფერენციის პროცესში რომ სირთულეები მართლაც წარმოიშვა, ამას არც გ. ჩიჩერინი უარყოფდა. 1921 წლის 1 მარტს იგი რკპ(ბ) ცკ-ს მდივანს ნ. კრესტინსკის წერდა: თურქეთთან ურთიერთობამ უკიდურესად სერიოზული, კრიტიკული ხასიათი მიიღო. თურქეთმა შესაძლოა ორიენტაცია სავსებით შეიცვალოს, რისი შედეგებიც უმძიმესად აისახება მთელ ჩვენს პოლიტიკაზე აღმოსავლეთში. თურქეთის დელეგაცია მოითხოვს, რომ მათი „ეროვნული პაქტი" და გუმრის ზავის პირობები უნდა იყოს ხელშეუხებელი. ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ თურქები დღე-დღეზე დაიკავებენ ბათუმს.[135]

ანგორაში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბუდუ მდივნისადმი გაგზავნილ გ. ჩიჩერინის დეპეშაში, რომელიც იმავე წლის 4 მარტითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: თურქეთის დელეგაცია ბევრს ლაპარაკობს თავის რევოლუციურ მისწრაფებებსა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენთან საერთო ინტერესებზე, მაგრამ საქმით უზომო პრეტენზიებს გვიყენებს. „ეროვნული პაქტი" და გუმრის ხელშეკრულება ფაქტობრივად ნიშნავს ბათუმისა და მთელი სომხეთის (ნაწილობრივ აშკარად, ნაწილობრივ ფარულად) თურქეთის ხელში გადასვლას, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ახლა მიმდინარეობს ვაჭრობა. ჩვენ მივცემთ ყარსსა და არტაანს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გადავცეთ ბათუმი. ბათუმში იქნება საქართველო, ალექსანდროპოლსა და ერევანში - სომხეთი, ხოლო ნახიჭევანი უშუალოდ დამოკიდებული გახდება რუსეთზე.[136]

მოლაპარაკების პროცესში მხარეთა პოზიციები რამდენადმე შეჯერდა, მიუხედავად ამისა, თურქეთის სასაზღვრო ხაზთან დაკავშირებით მაინც რჩებოდა შეხედულებათა სხვადასხვაობა. საბჭოთა დელეგაცია თანახმა იყო ეღიარებინა თურქეთის „ეროვნული პაქტი", მაგრამ მოითხოვდა საზღვრის გარკვეულ კორექტირებას, კერძოდ ბათუმის სექტორში. „ყველაზე დიდი დათმობა, რაზეც შეიძლება დათანხმდეს რუსეთის დელეგაცია იქნება ის, რომ სასაზღვრო ხაზი გატარდეს ასე: სარფი, ქედის მთა, შავშეთის ქედი, არტაანის ოლქის ძველი საზღვარი", - აცხადებდა გ. ჩიჩერინი.[137]

---

[135] Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 407.

[136] იქვე, გვ. 411.

[137] Э. А. Зогребян, Территориально-разграничительные вопросы на второй Московской Русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), в книге - К освеще-

თურქები დათანხმდნენ მხოლოდ ათვერსიან ზოლზე ბათუმის ირგვლივ და რკინიგზის გაყოლებაზე ჩრდილოეთით, რაც მათ ხელში ტოვებდა ბათუმიდან ახალციხისაკენ მიმავალ შოსეს. საბჭოთა მხარე ამის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა, რომ ხსენებული შოსე დარჩენოდა საქართველოს.[138]

ფრაგმენტი საბჭოთა რუსეთში თურქეთის ელჩის ალი ფუად ჯებესოის მოსკოვური მოგონებიდან: თურქეთის დელეგაციის მიერ წამოყენებულ საკითხთა შორის იყო პუნქტი № 8: ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმზე კავკასიელთა სასარგებლოდ უარის სანაცვლოდ, განსაზღვრული პირობითა და გარემოებებით, ჩვენ მოვითხოვეთ შემდეგი: გაგრძელდეს საზღვარი ყარსის აღმოსავლეთით მდინარე არაქსის (არაფჩაი) მთელ გაყოლებაზე. ამ გზით ვუზრუნველყოფდით საკუთარ უსაფრთხოებას და იმავდროულად ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაჭერი შემოუერთდებოდა ჩვენს ქვეყანას. ამოცანად ვისახავდით, მიგვეღწია ჩვენი პირობის დაკმაყოფილებისათვის ხელშეკრულების ფარგლებში და მხოლოდ ამის შემდეგ, უკანასკნელ მომენტში, აგვეღო ხელი ბათუმზე განსაზღვრული პირობით. ამასთან, ყველაფერი ისე უნდა წარმოგვეჩინა, რომ ჩვენ მივდივართ დათმობაზე კავკასიელებთან.[139]

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ხოლო უშუალოდ მოლაპარაკებათა დაწყებამდე ერთი დღით ადრე წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს.

ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დახმარება აღუთქვა ანკარის ხელისუფლებამ, რომელმაც სანაცვლოდ არტაანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ნოე ჟორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა ამ წინადადებას, მაგრამ ისე რომ, წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.[140]

нию проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Ереван, 1991, გვ. 72.

[138]Али Fuat Cebesoy. Moskova Hatiralan (21/11/1920 - 2/6/1922). «Vatan» Nesriyati. Istanbul, 1955. Vol. II. http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1082-1104.htm

[139] იქვე.

[140] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 18-20.

ჟორდანია თავდაპირველად შიშობდა, თურქებს ბათუმი და ახალციხეც არ დაეკავებინათ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ საქართველო ჩრდილოელ მოძალადეს ვეღარ უმკლავდებოდა, თურქეთში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს უფლება მისცა ქემალ-ფაშასთან შეთანხმების უფრო კომპრომისული ვარიანტიც განეხილა. საარქივო დოკუმენტის თანახმად, „საქართველოს მთავრობა აძლევს ანკარის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრებისა შემდეგი პირობით. ამ ოლქების მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება ექნება საქართველოს მთავრობას. ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ამ ოკუპაციის მოხდენაში. ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ საბოლოოდ გამოირკვევა საქართველოს და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში.[141]

რამდენიმე დღის შემდეგ ს. მდივანმა ნ. ჟორდანიას აცნობა, რომ თურქებმა წინადადება მიიღეს, მაგრამ „პირობის დაწერა უხერხულად მიაჩნიათ", სიტყვიერად კი სამმა მინისტრმა მთავრობის სახელით და პირადად აღმითქვა, რომ როგორც კი საქართველოს მდგომარეობა განმტკიცდება, ამ ოლქებიდან დაუყოვნებლივ ჯარს გაიყვანენ.[142]

სინამდვილეში ანკარის ხელისუფლების მისწრაფება სხვა იყო. ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა აჰმედ მუჰთარმა დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა: „მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ჩვენ ჯარებს მიეცათ ბათუმის დაკავების ბრძანება. ქალაქის დაკავების შემდეგ იქ ჩატარდება პლებისციტი და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი".[143]

ცხადია, თურქეთი საკუთარ საქმეს აკეთებდა და საქართველოს ინტერესებზე ნაკლებად ზრუნავდა, მით უფრო, როცა სამხრეთ კავკასიის მიწა-წყლის გაყოფაზე პარალელურად კრემლს უთანხმდებოდა.

---

[141] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. №386. ასევე ნ.გელავა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, - საისტორიო მოამბე, 1998-1999, № 71-72, გვ.262.

[142] იქვე; ასევე, ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 27.

[143] Э. А. Зогребян, Территориально-разграничительные вопросы на второй Московской Русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), в книге - К освещению проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Ереван, 1991, გვ. 68.

კონფერენციის მიმდინარეობისას მოსკოვისათვის ცნობილი გახდა, რომ თურქეთის ჯარები საქართველოს ფარგლებში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით შევიდნენ. კრემლის მესვეურები ეჭვმა შეიპყრო, რომ საქართველო ამ ძალას წითელი არმიის წინააღმდეგ გამოიყენებდა. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა რსფსრ-ში თურქეთის ელჩისაგან სასწრაფო განმარტება ითხოვა. ელჩმა ალი ფუადმა ჩიჩერინისათვის წარდგენილ ნოტაში (1921 წლის 28 თებერვალი) უარყო და კატეგორიულად გამორიცხა საქართველოსთან რაიმე სახის შეთანხმება.[144]

გ. ჩიჩერინის ნოტის პასუხად, რომ თურქებმა არტაანი და ართვინი დაიკავეს, ალი ფუადი აღნიშნავდა: ამ ოლქების თურქთა მიერ ოკუპაციის შესახებ ჩემი მთავრობისაგან არანაირი ცნობა არ მიმიღია, მაგრამ თუ დასახელებული ადგილები მართლაც თურქეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, ეს უბრალოდ, განხილულ უნდა იქნას, როგორც ჩვენი „ეროვნული პაქტიდან“ გამომდინარე ბუნებრივი შედეგი მოსაზღვრე სამ სანჯაყთან მიმართებაში. ამასთან, დასძენდა ელჩი, ეს ოკუპაცია თურქეთის არმიის მიერ იმ ქართველი მუშების მატერიალური დახმარების მნიშვნელობას იძენს, რომლებიც მენშევიკური მთავრობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.[145]

თავის მხრივ, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა აჰმედ მუჰთარმა 1921 წლის 3 მარტს მიმართა რუს კოლეგას და საქართველოში წითელი არმიის მოქმედებასთან დაკავშირებით საქმეში გარკვევა სთხოვა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და საბჭოთა მთავრობის ჯარებით საქართველოში განხორციელებული ოპერაცია ისეთი საკითხებია, რომლებიც თურქეთს უშუალოდ არ ეხება და მათში არც რაიმე ფორმით ჩარევის უფლება გვაქვს. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ჩვენი აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლეობის განწყობას, ყოველგვარი ხმები საქართველოს მუსულმანების წინააღმდეგ და მათი გადმოსახლება ჩვენს საზღვრებში გამოიწვევს მძაფრ უკმაყოფილებას და ხალხის წარმომადგენელთა თავდასხმებს მთავრობაზე, რომელიც საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკის ერთგულია, აღნიშნავდა აჰმედ მუჰთარი. მეორე დღეს გაგზავნილ ახალ ნოტაში კი დასძენდა: ჩვენს მთავრობებს შორის მეგობრობის შენარჩუნების მიზნით და

---

[144] Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 412.

[145] Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 556.

თურქეთისა და წითელ არმიათა შეხლა-შემოხლისათვის ყოველგვარი საბაბის გამოსარიცხად, დაბეჯითებით გთხოვთ, კატეგორიულად უბრძანოთ საქართველოში მოქმედი წითელი არმიის სარდალს არ დაუშვას მისი ნაწილების შესვლა ჩვენს მოსაზღვრე ახალციხესა და ახალქალაქის ოლქებშიო.[146]

მხარეთა ურთიერთპრეტენზიების შედეგად მოსკოვის კონფერენციაზე მოლაპარაკება კიდევ ერთხელ შევიდა ჩიხში. იმის გამო, რომ თურქები არ გადიოდნენ გიუმრიდან, გრძელდებოდა ახალციხისა და ბათუმის ოკუპაცია, კრემლში თურქეთისადმი კეთილგანწყობის ატმოსფერო ერთბაშად შეიცვალა. სამხედრო იარაღის მიწოდება შეჩერდა, ტყვეების დაბრუნების საკითხს გულგრილად ეკიდებოდნენ, იგონებს ალი ფუადი.[147] თურქეთის დელეგაციის წევრებმა ხსნა ი. სტალინთან შეხვედრასა და მასთან მოთათბირებაში დაინახეს.

დიდად საგულისხმოა, რომ კონფერენციის წარმატებით დასრულებაში სტალინზე ამყარებდა იმედს ვ. ლენინიც. 9 მარტს მან ბარათი გაუგზავნა გ. ჩიჩერინს, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თურქები აჭიანურებდნენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებდნენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიემართებოდნენ. ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ ასეთი გაჭიანურების საშუალება - აღნიშნავდა ვ. ლენინი. იგი წინადადებას აძლევდა გ. ჩიჩერინს, რომ ნახევარი საათით შეეწყვიტა კონფერენცია და მასთან შესახვედრად გამოსულიყო. „ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილი იქნეს ბოლომდე".[148]

ლენინის მითითება შესრულდა. თურქეთის დელეგაციის წევრები მართლაც შეხვდნენ რსფსრ ნაციონალურ საკითხთა სახალხო კომისარს. სტალინმა დაარწმუნა ისინი, რომ ხელშეკრულების დაუდებლობა თურქეთისთვისაც საზიანო იქნებოდა, რადგან იგი მისი ინტერესებიდანაც გამომდინარეობს.[149] თურქები მიხვდნენ, რომ ბათუმისათვის დავას აზრი

---

[146] იქვე, გვ. 514-516.

[147] თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა (რეფერატების კრებული), თბ., 1980, გვ 124.

[148] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 45, გვ. 65.

[149] თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა (რეფერატების კრებული), თბ., 1980, გვ. 121.

აღარ ჰქონდა და დათანხმდნენ ხელი აეღოთ მასზე.[150] ამასთან, "ხელმძღვანელობდა რა მეზობელ ქვეყანასთან კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარების კეთილშობილური მიზნებით, საბჭოთა მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა".[151]

მოლაპარაკება შეუფერხებლად გაგრძელდა და უკვე 10 მარტისათვის ყველა ძირითადი საკითხი მხარეთა შორის შეთანხმენულ იქნა. დოკუმენტურად არ ვიცით, რა აღუთქვა სტალინმა თურქებს, მაგრამ ცნობილია, რომ ამ შეხვედრისა და საუბრის შემდეგ მას ასეთი ფრაზა ჩაუწერია: „ჩვენ მაინც უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ძველი პოზიცია (ფორმალურად), იმავდროულად კი უნდა მივიღოთ ზომები ამიერკავკასიის საზღვრების გასამაგრებლად".[152]

სომხური ისტორიოგრაფია (ი. ბარსეგოვი, ე. ზოგრებიანი) მიიჩნევს, რომ სტალინი თურქებს სომხეთის ტერიტორიის ხარჯზე გაურიგდა. ე. ზოგრებიანი, ეხება რა ამ საკითხს, იმოწმებს თურქი ისტორიკოსის თევფიკ ბიიკლიოღლუს ცნობას, რომ თითქოს ბათუმის სანაცვლოდ თურქეთს შესთავაზეს სურამლინის მაზრა.[153]

თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ სომეხ ავტორებს პრეტენზია უნდა ჰქონდეთ ვ. ლენინთანაც, რომლის გარეშე ვერც ერთი სახალხო კომისარი იმ დროს ასეთი რანგის საკითხებს ვერ წყვეტდა. გამონაკლისი არც სტალინი ყოფილა, რადგან მისი ყველა მოქმედება პროლეტარიატის ბელადთან იყო შეთანხმებული. საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ ბუდუ მდივნის წერილი სერგო ორჯონიკიძისადმი, რომელიც მოსკოვის კონფერენციის დღეებშია გაგზავნილი თურქეთიდან აზერბაიჯანში და ეხება სომხეთის საკითხს. ბ. მდივანი წერს: „კობა (ი. სტალინი, - ო. ჯ.) და ილიჩი (ვ. ლენინი, - ო. ჯ.) ოფიციალური დეპეშით მიმითითებენ, რომ თურქებთან არ შეიძლება დავა ყარსის გამო".[154]

---

[150] Хейфец А. Н. Советская дипломатия и народы Востока, 1921—1927, М., 1968, გვ. 98.

[151] ი. დათუნაშვილი, სნეული იმპერიის ნანგრევებზე, კრებულში - ოქტომბერი და აღმოსავლეთი, თბ., 1987, გვ. 168.

[152] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1262-1296.htm#1263

[153] Э. А. Зогребян, Территориально-разграничительные вопросы на второй Московской Русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), в книге - К освещению проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Ереван, 1991, გვ. 70.

[154] იქვე, გვ. 77.

იგივე აზრი კიდევ უფრო კონკრეტულად გამოთქმული აქვს ს. ორჯონიკიძეს. 1921 წლის 11 აპრილს ბაქოს საბჭოს სხდომაზე დასმული შეკითხვის პასუხად, თუ რამ განაპირობა თურქებისათვის ყარსის, არტაანისა და ართვინის დათმობა, ს. ორჯონიკიძემ განმარტა: ჩვენ ანგარიში გავუწიეთ მომხდარ ფაქტს. თურქებს დაშნაკებთან ზავის პირობით უკვე დაკავებული ჰქონდათ ეს ოლქები და მოსკოვის მოლაპარაკებაზე გადაჭრით უარი გვითხრეს მათ გადმოცემაზე. კონფლიქტი თურქებთან ამის გამო ჩვენ არ გვინდოდა. კონფლიქტი მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთისათვის იქნებოდა სახეირო.[155]

მას შემდეგ, რაც ტერიტორიულ გამიჯვნაზე მსჯელობა დამთავრდა, გ. ჩიჩერინმა რუსეთის დელეგაციის სახელით განაცხადა: რაკი თურქეთ-ამიერკავკასიის საზღვრები დადგინდება, თავისთავად ცხადია, რომ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს სუვერენიტეტი თავისი ტერიტორიის ფარგლებში სრულად განხორციელდება და დასადებ ხელშეკრულებებში - ერთის მხრივ თურქეთს, ხოლო მეორეს მხრივ სომხეთსა და საქართველოს შორის ეს სუვერენიტეტი არაფრით იქნება შეზღუდული.[156]

გ. ჩიჩერინის ამ ფრაზამ თურქი დიპლომატების მეტისმეტი დაინტერესება გამოიწვია. ისინი შეეცადნენ, მიეღოთ ამომწურავი პასუხი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებისაგან თუ რა მოიაზრებოდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სუვერენიტეტში და რა შეიძლებოდა მიეჩნიათ მის დარღვევად: აუცილებელია დავადგინოთ, არიან თუ არა ხსენებული რესპუბლიკები დამოუკიდებელნი თუ ასეთებს არ წარმოადგენენ, საჭიროა განისაზღვროს ისიც, რა უნდა ვიგულისხმოთ ამ დამოუკიდებლობაშიო, ითხოვდნენ თურქები.[157]

ეს ინტერესი არ იყო შემთხვევითი. თურქ დიპლომატებს კარგად ახსოვდათ რამდენიმე წლის წინანდელი ისტორია, კერძოდ, როგორ აიძულა ოსმალეთმა ახლად შექმნილი აქაური სუსტი სახელმწიფოები 1918 წლის ივნისის დამდეგს ბათუმში დაედოთ მათთვის არახელსაყრელი ზავი და თურქეთისათვის იმაზე მეტი დაეთმოთ, ვიდრე ეს ბრესტის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

---

[155] http://www.armenianhouse.org/caucasian-albania/061-078.html

[156] Э. А. Зогребян, Территориально-разграничительные вопросы на второй Московской Русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), в книге - К освещению проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Ереван, 1991, გვ. 72.

[157] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108

არ იყო გამორიცხული იგივე გაემეორებინა ქემალის მთავრობასაც ახლა უკვე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოცხადებული აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიმართ. სწორედ ამის სურვილს უნდა მიანიშნებდეს თურქთა ზემოაღნიშნული მოთხოვნა, რაზედაც საბჭოთა დელეგაციის პასუხი დიპლომატიური იყო: სუვერენიტეტის პრინციპთა ყველა შესაძლო დარღვევის წინასწარ და თეორიულად გათვალისწინება შეუძლებელია. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების სუვერენიტეტი თვით ანკარის მთავრობამაც აღიარა. რუსეთი ამ რესპუბლიკებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ვერ დაადგენს, რა შეიძლება იყოს მათთვის მისაღები და რა არა. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებს სათათბიროდ მოსკოვში მოვიწვევთო.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მხარის მიდგომა არსებითად შეიცვალა. თუ იგი კონფერენციის წინ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლების მოლაპარაკებათა პროცესში ჩართვას ესწრაფვოდა, ახლა წინადადება უფრო კომპრომისული გახდა და ამ რესპუბლიკების დელეგაციებთან (რომლებსაც გასაბჭოებული საქართველოც დამატებოდა) თათბირის გამართვის მოთხოვნამდე დავიდა.

თურქეთის მხარემ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სასურველია ზუსტად ვიცოდეთ, რა ჩაითვლება ხსენებული რესპუბლიკების სუვერენიტეტის შელახვადო და დასძინა, რომ თურქეთი თვითონ გამართავს მოლაპარაკებას მათთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, გადაუჭრელ პრობლემებზე შესათანხმებლად.[158]

გ. ჩიჩერინის პასუხი უკვე კატეგორიული იყო: ხელშეკრულებებში, რომლებსაც თურქეთი ხსენებულ რესპუბლიკებთან დადებს, არ უნდა იყოს დაშვებული სუვერენიტეტის არანაირი შეზღუდვა და რომ თურქეთის ყოველგვარი მცდელობა ამ მიმართულებით, საბჭოთა რუსეთის მიერ აღქმული იქნება როგორც მისი საწინააღმდეგო ქმედება, ხოლო ეს რესპუბლიკები მიიღებენ საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერას.[159]

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ცალკე მოლაპარაკებისას რომ თურქები მართლაც მზად იყვნენ, რაღაც დაეთმობინებინათ მათ-

---

[158] იქვე.

[159] http://www.genocide.ru/enc/conference2.htm Московская вторая Русско-турецкая конференция 1921 г.

თვის, ამას ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც მოწმობს. გ. ჩიჩერინი წერს რკპ(ბ) ცკ-ს 1921 წლის 24 მარტს: თურქეთის დელეგაციამ დაბეჯითებით უარყო ჩვენი წინადადება, როგორც კავკასიის დელეგატებთან ერთობლივი კონფერენციის, ისე აქ, მოსკოვში, თურქეთსა და ამ რესპუბლიკებს შორის ხელშეკრულების დადების თაობაზე. ეტყობა, თურქებს სურთ თბილისში ჩვენი უშუალო მონაწილეობის გარეშე ჰპოვონ რაიმე სარგებელი, რისი მიღწევაც ვერ შეძლეს მოსკოვში. მიმდინარე კონფერენციაზე გამართულ დებატებში ამაზე მათ უკვე გადაგვიკრეს სიტყვა. ცხადია, რომ თბილისში ისინი შეეცდებიან კიდევ რაღაც წაგგვლიჯონ.[160]

ამავეს ამტკიცებს გ. ჩიჩერინის 1921 წლის 1 აპრილის წერილიც რკპ (ბ) პოლიტბიუროსადმი ქემალისტებთან მოლაპარაკებამდე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოზიციების წინასწარი შეთანხმების აუცილებლობის შესახებ და ლენინის აღნიშვნები ხსენებულ წერილზე: თურქები შეეცდებიან კავკასიის რესპუბლიკებს ცალ-ცალკე გამოწურონ ისეთი რამ, რაც ვერ მიიღეს ჩვენგან, - განმარტავდა საგარეო საქმეთა სახკომი და დასძენდა: ცენტრალურმა კომიტეტმა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან კატეგორიულად და გარკვევით უნდა მოითხოვოს, რომ თურქეთთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები მათ წინასწარ წარმოუდგინონ ჩვენს მთავრობას სათანადო თანხმობისათვის.

ლენინს უკანასკნელი ფრაზა ორჯერ გაუხაზავს და ბარათზე მიუწერია. „ამხ. მოლოტოვს! ვფიქრობ ეს უდავოა. გთხოვთ, გამოკითხვის წესით პოლიტბიუროს წევრებმა კენჭი უყაროთ და თუ მიღებული იქნება, მაშინვე შიფრით გაუგზავნოთ სამივე რესპუბლიკას“.[161]

რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდა. მოგვიანებით კი, კრემლის ინსტრუქციის შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკამ თურქეთთან არა ცალ-ცალკე, არამედ საერთო ხელშეკრულება გააფორმა (1921 წლის 13 ოქტომბერი, ყარსი), რომელმაც არსებითად მოსკოვის ხელშეკრულების პუნქტები გაიმეორა.[162]

ჩვენ კი დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს - მოსკოვის მოლაპარაკებებს. 1921 წლის 14 მარტის სხდომაზე მხარეებმა ხელშეკრულების თავ-თავიანთი პროექტები წარადგინეს და მათ დეტალურ განხილვას

---

[160] Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т. 2, часть 1, М., 2005, გვ.476.

[161] იქვე, გვ. 479.

[162] Сборнике действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР. Вып. III, М., 1922, გვ.

შეუდგნენ. კონფერენციის დასკვნითი სხდომა 16 მარტს გაიმართა და იგი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. ბათუმის საკითხი ხელშეკრულების მეორე მუხლში ამგვარი ფორმულირებით აისახა:

„Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в Статье 1-й нынешнего договора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанных в настоящей статье договора, будет пользоваться широкой автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и что населению будет предоставлена возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользования Батумским портом без взимания за то специальных сборов".[163]

რაც შეეხება არტაანსა და ართვინს, საქართველოს ეს ორი ისტორიული პროვინცია მოსკოვის ხელშეკრულებამ თურქეთს დაუმკვიდრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება და ურთიერთგარიგება ქართველი საზოგადოების ზურგს უკან მიმდინარეობდა, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ზედაპირულად იყო ინფორმირებული მოსკოვში მიმდინარე კონფერენციის შესახებ. მას შემდეგ, რაც 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს დედაქალაქში აღარ დაედგომებოდათ, და მთავრობის მსგავსად, მათაც დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლეს. ომის გამო ექსტრემალურ პირობებში მომუშავე ქართული პერიოდული პრესა მასალების სიუხვითა და მრავალფეროვნებით ვეღარ გამოირჩეოდა. გაზეთები „ერთობა", „საქართველო", „სახალხო საქმე" ძირითადად ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის გაშუქებითა და სამხედრო შტაბიდან მიღებული ოპერატიული ცნობების გამოქვეყნებით იფარგლებოდნენ. ბოლშევიკური გამოცემებისათვის საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ბედ-იღბალზე უფ-

---

[163] Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 598 .

რო აქტუალური და პრიორიტეტული საბჭოთა ხელისუფლების შენარ-ჩუნება და კომუნისტური აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება იყო.

ქართულ საბჭოთა პრესაში პირველი ინფორმაცია რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა შესახებ მოკლე დეპეშის სახით გაზეთ „კომუნისტში“ 1921 წლის 5 მარტს დაიბეჭდა. 22 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოსკოვში 16 მარტს ხელი მოეწერა საერთაშორისო იმპერიალიზმთან დაპირისპირებული ორი სახელმწიფოს ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას. თვით ხელშეკრულების ზოგადი შინაარსი „კომუნისტმა“ მხოლოდ 23 მარტს გაავრცელა. საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნული იყო: „ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მტკიცედ არის გარკვეული. ბათომი რჩება საქართველოს იმ პირობით, რომ მას ექნება ადგილობრივი ავტონომია და საკუთარი აგრარული რეჟიმის უფლება. ოსმალეთს ექნება საქონლის თავისუფალი ტრანზიტი ბათომით“.[164]

მოსკოვის ხელშეკრულებას გამოეხმაურა იმხანად ახლად გამოცემული ერთადერთი არაბოლშევიკურ ქართული გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტიც“. 26 მარტის ნომერში გამოქვეყნდა თედო ღლონტის სტატია სათაურით „მოსკოვის კონფერენცია და საქართველო“. პუბლიცისტი წერდა: „მოსკოვის კონფერენციაზე ოსმალეთი ძლევამოსილი გამოვიდა. ანტანტის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თვითონ გადაიქცა იმპერიალისტად და კინაღამ მთლიანად აღიდგინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც როგორც გამარჯვებული გერმანიის მოკავშირეს, ეძლეოდა ბათუმ-არტაან-ყარსის ოლქები“. ავტორი მართებულად შენიშნავდა: „ერთი რამ ეჭვგარეშეა: მოსკოვის კონფერენციას გულუხვობას ოსმალეთი დაუფასებს და თუ პირდაპირ ხელს არ შეუწყობს, ალბათ არც შეუშლის, რათა აზიაში ფეხი მოიკიდოს საბჭოთა სისტემამ“.[165]

დაბოლოს, გასარკვევი დაგვრჩა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, შეიცავდა თუ არა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულება საიდუმლო დამატებებს, რომლებიც არც ხელშეკრულების ტექსტთან ერთად და არც ცალ-ცალკე არ გამოქვეყნებულა?

---

[164] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 23 მარტი.

[165] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 28 მარტი.

სომეხი დიპლომატის ლ. ეირამჯიანის აზრით, რომელმაც მოსკოვის ხელშეკრულებას სპეციალური სტატია მიუძღვნა, ხსენებულ დოკუმენტს უნდა ახლდეს გარკვეული სახის დანართი „საიდუმლო ოქმების“ ან კონკრეტული დამატების სახით.[166] ავტორი არაფერს ამბობს, თუ რა შინაარსისა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს „დანართი“, მაგრამ მოგვეპოვება სხვა მასალაც, რომელიც ამ კუთხით მეტ კონკრეტულ მინიშნებას შეიცავს. ცნობილი ქართველი ემიგრანტი შალვა მაღლაკელიძე, იგონებდა რა თავის შეხვედრას დ. ჟლობასთან ბათუმში 1921 წლის მარტში, აღნიშნავდა: ბოლშევიკებს ბათუმი რომ არ დაკარგვოდათ ლენინმა მისი დაკავება დ. ჟლობას დაავალა. როგორც კი წითელი არმიის ნაწილები ხაშურს მიაღწევდნენ, ჟლობა „ბორჯომის გზით ახალციხეში უნდა გაჭრილიყო, გადასულიყო გოდერძის უღელტეხილზე და პირველი ჩასულიყო ბათუმში, იმიტომ რომ **ხელშეკრულება აქვს ლენინს თურქეთან საქართველოს გაყოფაზე, - რომელ ტერიტორიასაც დაიკავებს თურქეთი, მისი იქნება** და ჟლობას მიანდო, რომ დაასწროს თურქებს, მაგრამ დიდი თოვლობა იყო და ვერ გადავიდა, თურქებმა დაასწრეს და ბათუმი დაიკავეს. ... მართალი არიან თურქები, ... ჩვენ **შეთანხმებული ვიყავით: რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ჩვენ გვრჩებაო და რომელსაც თქვენ დაიკავებთ, ის თქვენ გრჩებათო. პირდაპირ წერია საიდუმლო მოლაპარაკებაში ლენინსა და ათათურქს შორის, რომ „ვსე ზემლი ვ რეზულტატე ვაინი, კოტორიე ბუდუტ ზანიატი ლიბო ჩასტიამი ტურეცკიმი, ლიბო ჩასტიამი სოვეტსკიმი, იმ პრენადლეჟატ ეტი სამიე ზემლი.”**

შალვა მაღლაკელიძის სიტყვით, ჟლობას უთქვამს: „ნიკოგდა ნე პრასტიატ მნე ეტოვოო!“ ე.ი. ბათუმი რომ ვერ დავიკავეო. „გლავნოე, პაპაშა ნე პრასტიტ“. პაპაშაო ე.ი. ლენინიო. **ჟლობასგან გავიგე მე, რომა რუსეთსა და თურქეთს დაუნაწილებიათ თურმე საქართველო. ე.ი. საიდუმლო სამხედრო შეთანხმება ყოფილა რუსეთსა და თურქეთს შორის, ინგლისელების დასტურით”**[167] (ხაზი ჩემია - ო. ჯ.).

რუსი სამხედრო მეთაური დ. ჟლობა აღიარებს, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის არსებობდა „საიდუმლო სამხედრო შეთანხმება“, რომლის თანახმად, რუსეთმა და თურქეთმა საქართველოს ტერიტორიები დაინაწ-

---

[166] http://www.yerevan.ru/forum/showthread.php?t=6601

[167] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994, გვ. 88.

ილეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეს შ. მაღლაკელიძეს (იგი 1918-1921 წლებში დანიშნული იყო სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მათ შორის თბილისის გენერალ-გუბერნატორადაც) ეჭვი არ შეაქვს ჟლობას ნათქვამის სისწორეში, მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობელი ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლის მეტისმეტი გულახდილობა მთლად სარწმუნოდ არ გამოიყურება. საკითხავია ისიც, ჩვეულებრივი საკავალერიო დივიზიის მეთაურს რამდენად ეცოდინებოდა იმ დონის კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორიც კრემლისა და ანკარის მთავრობის საიდუმლო გარიგებაა, თუნდაც ასეთი შეთანხმება რეალურად არსებულიყო.

პროფესორი ლევან თოიძე, რომელმაც თავის ნაშრომში შ. მაღლაკელიძის ზემოთ მოხმობილი მოგონება გამოიყენა, ვარაუდობდა, რომ ჟლობა მაღლაკელიძესთან საუბარში „ძირითადად სიმართლეს ამბობდა". ამასთან, მკვლევარი იმასაც დასძენდა, რომ საკითხის საბოლოოდ გარკვევა სხვადასხვა ქვეყნის, უწინარესად კი რუსეთისა და თურქეთის არქივებში დაცული მასალის მოძიებით გახდება შესაძლებელიო.[168]

თვალსაზრისი, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად, საქართველოსთან მიმართებაში, საიდუმლო გარიგებაც შედგა, მართლაც გასაზიარებელია. ამის დოკუმენტური დასაბუთება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა დამატებითი არგუმენტების მოხმობა შესაძლებელია.

1. თურქი მკვლევარი დოღან ავჯიოღლუ ნაშრომში „ეროვნული მოძრაობის ისტორია", განიხილავს რა მოსკოვის ხელშეკრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დოკუმენტის მერვე მუხლზე, რომლის განმარტებისას შენიშნავს: თურქეთის მხარემ იკისრა, რომ ბოლშევიკური საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით, მენშევიკ ქართველებს თურქეთში არავითარი საქმიანობის საშუალება არ მიეცემოდა.[169]

2. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გ. ჩიჩერინი ესაუბრა ანკარის დელეგაციის მეთაურს იუსუფ ქემალს და მას ოფიციალური მოლაპარაკე-

---

[168] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 54.

[169] რ. ყავრელიშვილი, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002, გვ. 60.

ბის ჩარჩოები და გეგმა გააცნო. საბჭოთა დიპლომატს თურქი კოლეგისთვის მიუმართავს: ზოგიერთი გადაწყვეტილება დარჩება საიდუმლოდ, ზოგიერთი აისახება ხელშეკრულების ტექსტში და ამავდროულად, ჩვენ საბოლოოდ მოვილაპარაკებთ დახმარების თაობაზეო.[170]

არანაკლებ საგულისმოა შემდეგიც; როცა საქართველოში შემოჭრისა და მისი გასაბჭოებისათვის ემზადებოდა, რუსეთის წინაშე საქართველოს სრული იზოლაციის ამოცანაც იდგა. კრემლმა დიდი ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოსალოდნელ ომში ამ უკანასკნელს გარედან დამხმარე ძალა არ მოშველებოდა. საქართველოს სავარაუდო თანამდგომთა შორის დასავლეთის სახელმწიფოების გარდა უეჭველად თურქეთიც განიხილებოდა. მეტიც, თურქეთს, როგორც საქართველოს უშუალო მეზობელს და რეგიონში საკუთარი ინტერესების მქონე ქვეყანას, უფრო მომეტებული ყურადღებაც უნდა დათმობოდა. ამის თაობაზე ხაზგასმითაა აღნიშნული XI წითელი არმიის სარდლის გენერალ ა. ჰეკერის საიდუმლო მოხსენებაში კავკასიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრის ს. ორჯონიკიძისადმი, რომელიც 1920 წლის 18 დეკემბრით თარიღდება. ჰეკერი ირწმუნებოდა: თურქეთთან მოსკოვის ურთიერთობის „წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება“, რომ „აუცილებელია შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან“ და რომ: „საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ ყარაბექირის (ქემალისტური თურქეთის) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს“.[171]

რუსი გენერლის ეს ლოგიკური შეხედულება მხარდაჭერას ჰპოვებდა რუსეთის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაშიც. დანარჩენი კრემლის დიპლომატიის საქმე იყო. შეთანხმება შედგა. თურქეთი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამაში დაბეჯითებით არწმუნებდა, რუსეთ-საქართველოს ომში არ ჩაერია. ამ გარემოებამ რუსეთს საქმე საგრძნობლად გაუადვილა. კრემლს საქართველოს წინააღმდეგ მთელი იმ სამხედრო შენაერთების სრულად გამოყენების საშუალება მიეცა, ომში თურქეთის მონაწილეობის შემთხვევაში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანკარის ჯარების შესაკა-

---

[170] Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 407.

[171] საქართველო დაპყრობის 60 წელისთავი, პარიზი, 1981, გვ. 389.

ვებლად იქნებოდა აუცილებელი. თურქეთმა არათუ მოსკოვისათვის აღთქმული ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, არამედ აქტიურად შეუწყო ხელი რუსეთის ხელახალ დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში. ამის სანაცვლოდ მან კრემლის პოლიტიკური ნებით საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მიიღო, რომლის ფართობი 23 600 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 572 ათას სულს შეადგენდა.[172] მარტო საქართველოსაგან მიტაცებული მიწა-წყლის სივრცე 13 046 კვადრატულ კილომეტრს მოითვლიდა.[173]

ამრიგად, ბათუმის კუთვნილების საკითხი ოფიციალურად საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებით გაირკვა. ბათუმი და მისი ოლქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე აჭარას მოიცავს, თავისი ღვიძლი სამშობლოს - საქართველოს ფარგლებში დარჩა. ისტორიული სამართლიანობის ძალით ეს ასეც უნდა მომხდარიყო და საქართველოს ამ კუთხის გარდა არტაანართვინიც უნდა შეერთებოდა, მაგრამ მოსკოვის მოლაპარაკებებზე საკითხი ორი სახელმწიფოს ურთიერთგარიგებამ და პრაგმატულმა შეთანხმებამ გადაჭრა და არა სამართალმა.

2. საქართველოს რევკომი და ბათუმის პრობლემა (1921 წლის მარტი)

აღნიშნული პრობლემა სპეციალურად არავის შეუსწავლია, თუმცა მას მუდამ აქცევდნენ ყურადღებას ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების საკითხს ეხებოდნენ და თავიანთ ნაშრომებში მსჯელობენ ჩვენთვის საინტერესო თემებზეც. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისტორიული პერიოდების იდეოლოგიური და კონიუნქტურული მოსაზრებები, რა თქმა უნდა, თავის დაღს ასვამდა ამ ავტორთა შეხედულებებს, დასკვნებს, ფაქტების ინტერპრეტაციის ხარისხს.

---

[172] С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 50.

[173] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 92.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა დასაბამი მიეცა ისტორიული პროცესების შელამაზებას, ბოლშევიზმის ისტორიული როლის „გათეთრებას“, გამარჯვებული კომუნისტური პარტიის ისტორიის იდეალიზებას, ჩამოყალიბდა ისტორიულ კლიშეთა დიდი უმეტესობა, რომლებმაც არსებობის ათეულ წელს გაუძლეს. ამ უზუსტობების გასწორება ქართველმა ისტორიკოსებმა მხოლოდ კომუნისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ დაიწყეს.

ერთ-ერთი ასეთი გავრცელებული კლიშე – დოგმა იყო ბათუმის დედა-სამშობლოს ფარგლებში შენარჩუნებისათვის ბრძოლაში საქართველოს რევკომის, ბათუმის რევოლუციური კომიტეტის გამარჩეული როლის აღიარება.

როგორც ისტორიოგრაფიული ანალიზი ცხადყოფს, ამის შესახებ წერდნენ როგორც თბილისში, ისე ბათუმში და იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბათუმი თურქების აგრესიისაგან დაიცვა და შეინარჩუნა საქართველოს რევკომმა, აჭარის რევკომმა და ა.შ.

ამ პერიოდის ჩინებული მცოდნე პროფესორი აკ. სურგულაძე წერდა: „სწორედ ამ მომენტში... საქართველო თურქეთის მხრივ ოკუპაციის ახალი საშიშროების წინაშე იდგა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭეოდა ბათუმის მიმართულებას, საბჭოთა ჯარების დროულად შესვლას ბათუმში, სადაც ამ დროს უკვე თარეშობდნენ თურქ ასკერთა ცალკეული რაზმები. ფრონტის სარდლობამ ბათუმის მიმართულებით შექმნა სპეციალური დამკვრელი ჯგუფი... მენშევიკების გაქცევის შემდეგ პატიმარი ბოლშევიკები გაანთავისუფლეს. სასწრაფოდ ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი ს. ქავთარაძის, ს. გუბელის (მეძმარიაშვილის), ი. სტურუას... და სხვათა შემადგენლობით. რევკომი სათავეში ჩაუდგა თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლების ორგანიზაციას...“[174]

ამრიგად, ა. სურგულაძე ბათუმის განთავისუფლებას უკავშირებს საბჭოთა არმიის სამხედრო ოპერაციას და ბათუმის რევკომის აქტიურ საქმიანობას.

აკადემიკოსი ი. კაჭარავა თავის საყურადღებო მონოგრაფიაში ამ საკითხს საერთოდ არ ეხება.[175] პროფესორი კ. შელია განსახილველ თემაზე მსჯელობისას ზოგადთეორიული ანალიზით კმაყოფილდება და ასკვნის:

---

[174] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 699.

[175] ი. კაჭარავა, საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958.

„მენშევიკთა არავითარ რეპრესიებსა და გააფრთებას აღარ შეეძლო შეეჩერებინა აჭარელი ხალხის რევოლუციური აღტკინება“.[176] ჩვენთვის საინტერესო პრობლემას უფრო დეტალურად იკვლევდნენ ის ისტორიკოსები, რომლებიც აჭარის „სოვეტიზაციის“ საკითხის შესწავლით იყვნენ დაკავებულნი. მაგალითად, მ. ჯიჯეიშვილი მიუთითებდა: „ბათუმში თითქოს ორხელისუფლებიანობა შეიქმნა, რამაც მდგომარეობა უფრო გაართულა. ქალაქში ასკერებთან ერთად დათარეშობდნენ ასლან აბაშიძის ბანდები... რევოლუციურმა კომიტეტმა შეამჭიდროვა დაქსაქსული სამხედრო ნაწილები და აღადგინა ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობა. 18 მარტს შუადღისას ასკერებისა და მენშევიკურ ბანდებთან დაიწყო პოზიციური ბრძოლა. მათი ნაწილი განაიარაღეს. ბათუმში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ...“[177]

აჭარის რევოლუციური ისტორიის ჩინებული მკვლევარი პ. ცქვიტარია ამტკიცებდა, რომ „რევკომი (იგულისხმება ბათუმის რევკომი – ა. დ.) გადავიდა ციხის შტაბის შენობაში, დაუყოვნებლივ შეუდგა თურქებისაგან აჭარის განთავისუფლებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორგანიზაციას. შედგენილი იქნა ოთხი მებრძოლი რაზმი ციხიდან განთავისუფლებული კომუნისტებისა და ბათუმელი მუშებისაგან...“ ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ „რევკომმა კატეგორიულად უარყო თურქთა ულტიმატუმი და ამასთან გააფრთხილა, რომ აჭარის მთელი მოსახლეობა – დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი იარაღს აისხამს თავის უფლებების დასაცავად... რევკომის მებრძოლმა რაზმმა ყოფილი მენშევიკური ჯარის ნაწილებთან ერთად თურქები იქიდან იმალე განდევნა“.[178]

ხ. ახვლედიანი თვლის, რომ „ქიაზიმ ბეიმ ძალით დაიკავა სტრატეგიული პუნქტები. მან სედაი მილეთის დახმარებით მოაწყო ბათუმის პროთურქული ორიენტაციის ადამიანთა თათბირი, შეადგინეს რაზმები, რომ გადაეჭრათ გადასასვლელი გზები და წითელი არმია ბათუმში არ შემოეშვათ“.[179]

---

[176] კ. შელია, საქართველოს კომუნისტური პარტია სახალო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში (1921—1925), სოხუმი, 1957, გვ. 114.

[177] მ. ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, ბათუმი, 1957, გვ. 162-163.

[178] პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, ბათუმი,1962, გვ. 181-182.

[179] ხ. ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში 1917-1921 წწ. ბათუმი, გვ. 136.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ შეიცვალა მეთოდოლოგია, ისტორიის ფაქტებისა და მოვლენებისადმი მიდგომის წესი. ეს აისახა ჩვენთვის საინტერესო სამეცნიერო პრობლემის ინტერპრეტაციის ხარისხზეც. მაგალითად, ო. გოგოლიშვილი ამტკიცებს, რომ „1921 წლის 20 მარტს ქართულმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ბათუმი გაწმინდა თურქი ოკუპანტებისაგან. ამან გაუადვილა ბოლშევიკებს დაუფლებოდნენ ბათუმის ოლქს".[180]

ე. მესხია წერს, „მოხალისეებისაგან დგებოდა რაზმები ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით. მემედ აბაშიძეს 300 კაციანი მოხალისეთა რაზმი ყავდა. ბათუმის გვარდია სრულ მზადყოფნაში იყო".[181]

მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და საინტერესო დასკვნების შემცველია პროფესორ ლ. თოიძის გამოკვლევა.[182] თუმცა მიგვაჩნია, რომ ავტორი ზოგჯერ გადამეტებულ სიმპათიებს ავლენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკს ხელისუფლებისადმი, მათ შორის ბათუმის საკითხთან დაკავშირებით.

არ შეიძლება აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობისას არ იქნეს გათვალისწინებული ბოლო წლებში გამოქვეყნებული საყურადღებო და მეტად მნიშვნელოვანი მემუარული შინაარსის ნაშრომები ცნობილი პოლიტიკური (მაგალითად, გრ. ლორთქიფანიძის)[183] თუ სამხედრო (მაგალითად, გ. კვინიტაძის)[184] მოღვაწეებისა, რომლებიც საკუთარ თვალსაზრისს გვთავაზობენ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბათუმის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური ბატალიების შესახებ მსჯელობისას ქართველი ისტორიკოსები ავლენენ მნიშვნელოვან აზრთა სხვადასხვაობას, რაც ბადებს სურვილს, არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გათვალისწინებითა და დამატებითი მასალების მოშველიებით, მკითხველ საზოგადოებას შევთავაზოთ პრობლემის ახლებური ხედვა.

---

[180] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX ს. I მესამედში, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2001. გვ. 210.

[181] ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1918-1921 წწ. (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია), სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003.

[182] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი. თბ., 2009.

[183] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.

[184] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წიგნი II, თბ., 1999.

დავიწოთ იმით, რომ ბათუმი, აჭარა მუდამ გამორჩეულ გეოსტრატეგიულ თავისებურებებს ფლობდა და უძველესი დროიდან ახლო აღმოსავლეთში იქცევდა ყურადღებას თავისი საზღვაო-ეკონომიკური შესაძლებლობებით. ამ მიტაცებულ ისტორიულ ქართულ მხარეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ იმიტომ არ თმობდა ოსმალეთის იმპერია, რომ მას გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ასე იყო XIX საუკუნეშიც. სწორედ ამავე გეოსტრატეგიული მიზეზებით რუსეთმა თურქეთს წაართვა მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორია, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბათუმითურთ. მიუხედავად ცარიზმის მიერ რეგიონში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკისა, ადგილობრივი ქართველი მამულიშვილები (მემედ აბაშიძის ჯგუფი) ცდილობდნენ გაეტარებინათ პროქართული პოლიტიკა, აეღორძინებინა ეროვნული ცნობიერება აჭარაში.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხებისა და 1918 წლის ბრესტის ზავით რუსეთი იძულებული გახდა ბათუმი დაებრუნებინა ოსმალეთისათვის – ამას ითხოვდა გერმანიის იმპერიაც, იმჟამად საქართველოს ყველაზე რეალური „მოკავშირე“. ამან ქალაქსა და რეგიონში გააქტიურა პროთურქული ძალები, რომლებიც ცდილობდნენ დაეკანონებინათ თურქეთის სუზერენიტეტი ოლქის მიმართ.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ „აჭარაში სამი პოლიტიკური ძალა ექიშპებოდა ერთმანეთს – ორი იმპერიული, ერთი – ეროვნული. ორ პირველს უდიდესი მატერიალური შესაძლებლობები, ძლიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, სპეცსამსახურები და სხვა საშუალებები ჰქონდა იმისათვის, რომ წარმატებით ებრძოლა თავისი მიზნებისათვის. ეული და მარტო დარჩენილი იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ავანგარდი იყო საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, ხოლო საფუძველი – ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ეროვნული სხეულის გაერთიანება“.[185]

მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი მსჯელობა ამოსავალი დებულებაა, რომელსაც თავისი ცხოველმყოფელობა დაკარგული არ ჰქონდა 1921 წლისათვისაც. ამას კი აპირობებდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა, რასაც ქვემოთ შეძლებისამებრ წარმოვაჩენთ.

---

[185] ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ.,2009, გვ. 174.

ბრესტის ზავით რუსეთმა დათმო ბერლინის კონგრესის საფუძველზე (1878 წ.) მიღებული, ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი, საქართველოს ისტორიული მიწები. ამ ფაქტმა ამიერკავკასიის სეიმის პროტესტი გამოიწვია, მაგრამ მან თურქთა სამხედრო ექსპანსიას ვერაფერი დაუპირისპირა და საქართველომ დაკარგა ახალციხე-ახალქალაქიც – თურქეთმა „ძლიერის პოზიციიდან" ისიც თავის იმპერიას შეუერთა. გერმანიამ და თურქეთმა, მართალია, ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ ისტორიული ტერიტორიების გარეშე. თურქეთმა დაიკავა ბათუმის ოლქი, მისმა აგენტურამ („სედაი მილეთმა" და ა.შ.) გააძლიერა მუშაობა ქართველ მაჰმადიანებში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

ამასობაში გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ I მსოფლიო ომში და თურქეთი იძულებული გახადა ინგლისისათვის დაეთმო ბათუმი და მისი ოლქი. ინგლისელები ბათუმში დარჩნენ 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ივლისამდე, როდესაც აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს იურისდიქციას დაუბრუნდა. თითქმის ორი წლის განმავლობაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ უკეთესი ვერაფრი მოიფიქრა და კავშირი შეკრა ბათუმის პრორუსულ ძალებთან – გასაგებია: ინგლისი, მეფის რუსეთის მოკავშირე, იბრძოდა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთისათვის". რა თქმა უნდა, ამისათვის იყენებდა როგორც მატერიალურ, ისე სულიერ რესურსებს. ორივე ეს ძალა (თურქული, ინგლისური) ებრძოდა პროქართულ ორიენტაციას, რამაც გარკვეული შედეგიც გამოიღო – პროქართული ძალები იძულებული გახდნენ ოლქიდან წასულიყვნენ, ან გაჩუმებულიყვნენ.

ამასობაში სულ ახალ-ახალ პრეტენზიებს აცხადებდა საბჭოთა რუსეთი, რომელსაც მეფის რუსეთზე მეტი ამბიციები ჰქონდა – იბრძოდა პროლეტარიატის (ანუ ბოლშევიკური რუსეთის) მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. ამიტომ ბათუმმა გამორჩეული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც გეოსტრატეგიულმა ცენტრმა. ამას გარკვეულად ობიექტური მიზეზებიც აპირობებდა. ჯერ ერთი, რუსეთი ვერ შეურიგდებოდა ბაქოს ნავთობის საბადოს (მსოფლიო მოპოვების 40 პროცენტი) დაკარგვას, რაც ორგანულად მისი ექსპორტის მთავარი ცენტრის – ბათუმის ფლობას (ზეგავლენას) გულისხმობდა, და მეორე, ბათუმი - მნიშვნელოვანი ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში - ჩინებული ტრამპლინი იყო რეგიონში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური ექსპანსიისათვის.

ამიტომ საბჭოთა რუსეთს არც ერთ ეტაპზე არ გაუწყვეტია ფიქრი ბათუმის ინკორპორაციაზე პირდაპირ თუ გაშუალებულად. ამაზე საფუძ-

ვლიანად მიგვანიშნებს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ლ. კარახანის საიდუმლო დეპეშა ს. ორჯონიკიძისადმი, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებისთანავე გაუზავნა თავის ქართველ მეგობარს: „ჩვენთვის უფრო სასარგებლოა, რომ ინგლისელები ბათუმიდან განიდევნონ ბურჟუაზიული საქართველოს ხელით, ვიდრე ჩვენი ჯარები ჩაებნენ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება როგორც დროებითი ბუფერი..."[186] დეპეშის ამ ფრაგმენტში აშკარად იკვეთება, რომ რუსეთისათვის მიუღებელი იყო ბათუმის რეგიონში ძლიერი ევროპული სახელმწიფოს ყოფნა. იმჟამად დიდი ბრიტანეთი I მსოფლიო ომში გამარჯვებული, „ანტანტის" წევრი ქვეყანა, საფრანგეთთან ერთად, ფაქტობრივად მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას იწყებდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ქვეყნის ძირეულ საგარეოპოლიტიკურ ინტერესს პასუხობდა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთი, დამარცხების, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიუხედავად, ბათუმის უკან დაბრუნებაზე მაინც ფიქრობდა, განსაკუთრებით კი I მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებისა და ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დენონსაციის შემდეგ.

როგორც აღინიშნა, 1920 წლის ზაფხულში ინგლისი იძულებული გახდა დაეთმო დემოკრატიული საქართველოსათვის ბათუმი. ეს დიდი გამარჯვება იყო საქართველოსათვის, დიდი სიხარული. მაგრამ, უკვე სამი იმპერიის (რუსეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის) სპეცსამსახურების მუშაობამ რეგიონში გარკვეული შედეგი გამოიღო. ო. გოგოლიშვილი სამართლიანად მიანიშნებს, რომ ძალიან მალე პოლიტიკური გაწყობილებები რადიკალურად შეიცვალა, საყოველთაო სიხარული იმედგაცრუებამ და უკმაყოფილებამ შეცვალა.[187] ავტორი ამას დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკით ხსნის. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, რადგან ხელთ გვაქვს პ. გელეიშვილის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც აშკარად მიგვანიშნებს სერიოზულ პრობლემებზე აჭარის რეგიონში: „ამ ოლქში... არც ერთი ახალი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაცა გვყავდა სულ ერთიან-

---

[186] ГАСПИ РФ, ф.85. оп.15, д.6, с.3.

[187] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX ს. I მესამედში, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2001. გვ. 210.

ად მოგვიმდურებია და მტერთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაგვირეკია".[188]

ცნობილია, რომ თავსმოხვეული პრობლემების გამო დაპირისპირება სერიოზული სისხლისღვრით დამთავრდა ქობულეთის სოფელ კოხში.[189] ეს ფაქტი მოხდა 1920 წლის დასასრულს.

ამრიგად, საქართველოს ძალდატანებითი სოვეტიზაციის წინა თვეებში აჭარაში რთული სოციალ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ვითარება იყო, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის აშკარა პრობლემებს ქმნიდა.

ასეთ დროს ბოლშევიკური რუსეთი გამარჯვებული გამოდის სამოქალაქო ომიდან, მან უკვე დაიკავა ბაქო (მსოფლიოში უნიკალური ნავთობის საბადო), სომხეთი, მოაწყო ლორეში ადგილობრივი სომხების დახმარებით ანტიქართული პროვოკაცია, შექმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და 25 თებერვალს დაეუფლა თბილისს. უკვე რეალურად დადგა ბათუმის საკითხი.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ბათუმზე აქცენტს ოფიციალურად აკეთებს 1921 წლის 10 მარტიდან. ამის საფუძველს იძლევა გაზეთ „კომუნისტში" განთავსებული მოწინავე სტატია „მოსალოდნელი ავანტურის წინააღმდეგ", სადაც ავტორი ამტკიცებს: „ის (იგულისხმება „ანტანტა" - ა. დ.) მოინდომებს გადაკიდოს გამარჯვებული მშრომელთა საქართველოს იმ ოლქის ხალხი, რომელიც ამჟამად მისთვის ყველაზე უფრო საინტერესოა: ბათუმის ოლქი, აჭარა. აჭარას ამხედრებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამით საქართველოს შავ ზღვაზე გასავალი გზის – ბათომის – მოწყვეტა ანტანტის მორიგი ამოცანა იქნება".

ამ მოწინავეში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფრაზა: „საქართველოს შავ ზღვაზე გასავალი გზის – ბათომის – მოწყვეტა ანტანტის მორიგი ამოცანა იქნება". ეს აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იმჟამად (10 მარტისათვის) დასაშვებად მიიჩნევდა ბათუმის დაკარგვას, რადგან, სრულიად აშკარაა, რომ თუკი შეძლებდა, „ანტანტა" უარს არ იტყოდა კონტროლი დაემყარებინა ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტზე. ეს ერთი. მეორე – ეს ფრაზა გვიდასტურებს იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს კომუნისტუ-

---

[188] ჰ. გელეიშვილი, პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში, თბ.,1998, გვ. 11.

[189] ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 41.

რი ხელისუფლება ჯერ არ იყო ინფორმირებული რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების შედეგების შესახებ. ეს მოლაპარაკებები მოსკოვში უკვე დაწყებული იყო და მის შედეგებზე აშკარად ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ბათუმის პრობლემა აღელვებდა საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებასაც. ამ ღელვას სხვა საფუძველი ჰქონდა – ისინი შეშინდნენ, რომ მათ მიერ დასახმარებლად მოწვეული თურქები შეეცდებოდნენ აჭარის ინკორპორირებას, რაც ასევე საქართველოსათვის ბათუმის დაკარგვას გულისხმობდა - თურქები დასახმარებლად ნ. ჟორდანიამ თებერვლის რთულ დღეებში მოიწვია, რაც მთლად გონიერი მოქმედება არ უნდა იყოს.

თურქებმა კი სწრაფად დაიკავეს არტაან-ართვინი და წინ, ბათუმისაკენ მოიწევდნენ. თურქები სასტიკად დამარცხდნენ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, დაეშალათ იმპერია, დაკარგეს სუზერენიტეტი არაბულ ქვეყენებზე, და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ ვითარებაში, სურდათ რეაბილიტაცია საკუთარი ხალხის წინაშე – უნდოდათ გარკვეული წარმატების მიღწევა – ამ შემთხვევაში საქართველოს ისტორიული მიწების კვლავ უკან დაბრუნება მათთვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა.

დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებას რომ თავისი ჩადენილი შეცდომის რამენაირად გამოსწორება სურდა, ამაზე მიუთითებს გრ. ლორთქიფანიძის მემუარები, სადაც ხაზგასმულია, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობა საქართველოს რევკომის მოწოდებას მორიგება-გარიგების შესახებ იმის გამო გამოეხმაურა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეძლებოდა თურქეთის აგრესიის შეჩერება.[190]

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წასვლა ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად აიხსნება მხოლოდ ერთი გარემოებით – მათ ეგონათ, რომ საბჭოთა ჯარები შეინარჩუნებდნენ ბათუმს, მათ თავისი სამხედრო კონტინგენტის იმედი არა ჰქონდათ. სწორედ ამიტომ დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობაში სულ უფრო იხრებოდნენ კომპრომისისაკენ საბჭოებთან, რათა საქართველოსათვის შეენარჩუნებინათ ისტორიული კუთხე – აჭარა ბათუმითურთ. ის რომ მოსკოვში თურქეთთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება და წინა პლანზე იდგა ბათუმის კუთვნილების საკითხიც – ეს ნოე ჟორდანიას ხელისუფლებას იმჟა-

---

[190] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 222.

მად, რა თქმა უნდა, არ ეცოდინებოდა. როგორც აღინიშნა, ამის შესახებ გარკვეულ დრომდე, ინფორმაცია, ჩვენი ვარაუდით, არც საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას ჰქონდა.

მიგვაჩნია, რომ საკითხს – იცოდნენ თუ არა მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ საქართველოს პოლიტიკურად დაპირისპირებულმა მხარეებმა, აქვს დიდი მნიშვნელობა მათი პოლიტიკური ქცევის გაგებისათვის, მით უფრო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია. მაგალითად, პ. ცქვიტარია აღნიშნავდა, რომ საქართველოს დაპირისპირებულმა მხარეებმა ამის შესახებ იცოდნენ.[191] ლ. თოიძე კი ფიქრობდა, რომ ამის შესახებ დროზე ადრე არავინ იყო ინფორმირებული.[192] ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიძლება დავუშვათ მესამე თვალსაზრისიც: თუ კი „კომუნისტის" 10 მარტის მოწინავე მიანიშნებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გარკვეულ შიშზე ბათუმის დაკარგვის გამო, რაც ადასტურებს, რომ მათ არ იცოდნენ მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების შესახებ, უკვე ცოტა მოგვიანებით მოიპოვება დადასტურება, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა (მაგალითად, მ. ორახელაშვილმა) იცოდა, რომ ბათუმი დარჩა საქართველოს ფარგლებში (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ).

უკვე 10 მარტიდან გაზეთი „კომუნისტი" ბეჭდავს ოპერატიულ ინფორმაციას „ბათუმის მიმართულება". ამ რუბრიკაში მოტანილია ოფიციალური მასალა საბჭოთა ჯარების გადაადგილების შესახებ: „წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი... ჩვენს ნაწილებს ქედის აღება მოუხდათ უზარბაზნოდ"...

უკვე 11 მარტს გაზეთი „კომუნისტი" აქვეყნებს ინტერვიუს სერგო ორჯონიკიძესთან, სადაც კომუნისტი ლიდერი მოწინააღმდეგე მხარეს სთავაზობს მოლაპარაკებას: „თუ მენშეკვიკები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით საქართველოს ხალხის ფიზიკური გადარჩენის მომხრე არიან, უნდა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ უსარგებლო, უმიზნო... ომი, მიიღონ საბჭოთა მთავრობის წინადადება".

15 მარტს ოფიციოზი ბეჭდავს ინფორმაციას, რომ მოხდა შეთანხმება და ქუთაისში დაიწყება მოლაპარაკება „ყოფილი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ლორთქიფანიძის" მონაწილეობით.

---

[191] პ. ცქვიტარია, დასახ ნაშრომი, გვ. 181.

[192] ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

აი, სწორედ, ქუთაისში მოლაპარაკების დროს, საბჭოთა მხარის მოქმედება მიანიშნებს, რომ მ. ორახელაშვილისათვის უკვე ცნობილი იყო მოსკოვის შეთანხმების შედეგი. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ მოსკოვმა თავისი ინტერესების გამტარებელ საქართველოს რევკომს უკვე აცნობა თურქეთთან მიღწეული შეთანხმების შესახებ, რომ ბათუმი საქართველოს იურისდიქციაში დარჩა.

მოლაპარაკების დროს გრ. ლორთქიფანიძე აყენებდა წინადადებას ბათუმის ოლქის შენარჩუნების მიზნით მომხდარიყო შეთანხმება დაპირისპირებულ მხარეებს შორის, მაგრამ „რევკომის წარმომადგენლებმა გრ. ლრთქიფანიძის წინადადება უარყვეს და თავის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვეს დაუყოვნელივ ეცნო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სრული კაპიტულაცია გამოეცხადებინა". მოლაპარაკების სტენოგრამაში დაფიქსირებულია მ. ორახელაშვილის შემდეგი ფრაზაც: „ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი **მეორეხარისხოვანია** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ იცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა".[193] ორახელაშვილის მიერ ბათუმის საკითხის მეორე პლანზე გადატანა ადასტურებს, რომ მისთვის უკვე ცნობილი იყო მოსკოვის ხელშეკრულების შედეგები, რომლის ძალითაც ბათუმი და ბათუმის ოლქი რჩებოდა საქართველოს გარკვეული პირობებით.[194]

მართლაც, მ. ორახელაშვილი 16 მარტს, ღამით 12 საათზე ურეკავს ქუთაისში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს გრ. ლორთქიფანიძეს და ინტერესდება – ხომ არ გადასცეს მენშევიკებმა თურქებს ბათუმი და მისი ოლქი, რაზეც გრ. ლორთქიფანიძემ უპასუხა, რომ მართალია ქალაქში არიან თურქი ასკერები, მაგრამ ქალაქი იურიდიულად და ფაქტობრივადაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხელისუფლებას ექვემდებარებაო.

მიუხედავად სიძნელეებისა, მაინც მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით გადაწყდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებელი ლიკვიდაცია; საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მოხსნა თავისი ფრონტი საბჭთა ჯარების წინააღმდეგ, საშუალება მისცა რევოლუციური კომიტეტის

---

[193] გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[194] Документы внешней политики СССР, т. 3. М., 1960. გვ. 601.

განკარგულებაში მყოფ ჯარებს შესულიყვნენ ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან და ა.შ.[195]

რა ვითარება იყო ბათუმში?

მას ამ დროს სამხრეთიდან თურქი ასკერები უახლოვდებოდნენ, აღმოსავლეთიდან - XI არმიის მებრძოლები. გოდერძის უღელტეხილი დაიკავა რუსეთის საოკუპაციო ჯარების ერთ-ერთი სარდლის დ. ჟლობას კავალერიამ. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ თვითონ ბათუმში იყვნენ ძალები, რომლებიც თურქეთის შემოსვლას (სედაი მილეთის მომხრეები), ან რუსეთის დაბრუნებას (პრორუსული მოსახლეობა) ელოდნენ, გასაგები გახდება, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ამ ქალაქში კომფორტულად ვერ იქნებოდა. ამაზე აშკარად სხვა წყაროებიც მიუთითებენ.

იმჟამად ბათუმში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ და სამხედრო მდგომარეობაზე ჩინებული ცნობების შემცველია გენერალ გიორგი კვინიტაძის მემუარები. საერთოდ, ამ სამხედრო მოღვაწის ცნობებს ახასიათებთ სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისადმი ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ გენერალი ობიექტურად აშუქებს ქალაქში შექმნილ ვითარებას: „მთავრობაში არეულობა სუფევდა. მთავრობის თავმჯდომარისაგან (ე. ი. ნ. ჟორდანიასაგან – ა.დ.) მხოლოდ აქ შევიტყვე, რომ თურქებს მათი ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ ართვინის ოლქი და არდაგანი დავუთმეთ. გამოკვეთილად უნდა აღვნიშნო: მთავარსარდალმა არაფერი იცოდა თურქებთან გამართული მოლაპარაკების შესახებ...“[196]

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს მთავრობა გარკვეულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ეწეოდა, რათა მდგომარეობა გამოესწორებინა, რომ სწორედ მათი ენერგიული მოქმედების შედეგად მოხერხდა ბათუმის შენარჩუნება. მაგრამ ირკვევა, რომ ბათუმში ანტისამთავრობო განწყობილება ყოველდღიურად იზრდებოდა. გენერალი კვინიტაძე იგონებს, რომ „ბათუმში მთავრობისადმი მეტად მტრული დამოკიდებულება შეიქმნა. ჩემთან უამრავი ხალხი მოდიოდა, მათ შორის პოლიტიკური მოღვაწეებიც და მეუბნებოდნენ, მთავრობამ ხალხს უღალატა, ქვეყნის თავდაცვაზე არ ზრუნავდაო... ისინი მთავრობის დაპატიმრებას მოითხოვდნენ...“[197]

---

[195] სუიცსა, ფ. 281, აღ. 1, ს.3 ფურც. 8.

[196] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წიგნი II, თბ., 1999, გვ. 121.

[197] იქვე, გვ. 128-129.

ეს ცნობა მეტად ფასეულია, თუ ის მართალია. ირკვევა, რომ ბათუმში ნ. ჟორდანიას მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, რომელშიც პოლიტიკური მოღვაწეებიც იყვნენ ჩარეული. გენერალი არ ასახელებს იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც მას სთავაზობდნენ „დაეპატიმრებინა“ ნ. ჟორდანია და მისი ჯგუფი. აშკარაა, რომ მთავრობის უძლურობამ, არაორგანიზებულობამ, განსაკუთრებით კომუნისტური რუსეთის აგრესიის პირველსავე დღეებში, გამოიწვია საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მისდამი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება.

როგორც ჩანს, განსაკუთრებული კრიტიკის საგანი მთავრობის თურქეთის მიმართ ზედმეტად ლოიალური პოზიციაც უნდა გამხდარიყო, რისი შედეგიც იყო თურქი პატრულის გამოჩენა ბათუმის ქუჩებში. ეს კი, როგორც დასტურდება, 11 მარტს უნდა მომხდარიყო.

მკვლევარი ლ. თოიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 16-17 მარტს ბათუმში მიმდინარე მოვლენების აღწერას, თურქეთის აგრესიის ესკალაციას და მის შესაძლო შედეგებს, ქიაზიმ-ბეის არაადეკვატურ მოქმედებებს“[198]

ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშერულების შემდეგ ბათუმის კუთვნილების საკითხი ფაქტობრივად გადაწყდა საქართველოს სასარგებლოდ და ამას უდიდესმი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თურქეთი იმჟამად რუსეთის მხარდაჭერას აუცილებლად საჭიროებდა და ამიტომაც წავიდა ასეთ კომპრომისზე: პირველი მსოფლიო ომის შედეგები თურქეთისათვის არა ნაკლებად დამანგრეველი იყო, ვიდრე რუსეთისათვის – იმპერია დაიშალა, დამარცხდა, იძულებული გახდა და ხელი მოაწერა მისთვის დამამცირებელ მუდროსის ზავს, რამაც მისი როლი რეგიონში საგრძნობლად დასცა. ამან გამოიწვია ძლიერი რევოლუციური ცვლილებები ქვეყანაში, ძალუმად გამოამჟღავნა ანტიანტანტური ტენდენციები და რუსეთთან კავშირის დამყარების სურვილი, რათა მისი მატერიალური თუ სამხედრო დამხმარებით ის მაინც შენარჩუნებინა, რაც დარჩა ოდესღაც ძლიერი მსოფლიო იმპერიისაგან. ამიტომ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლება რუსეთთან ასე მალე ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი მუხლის დარღვევაზე ვერ წავიდოდა, ბათუმს ასე პარტიზანულად თავის იმპერიას ვერ შეუერთებდა. ამ ვითარების ლოგიკურობას მკვლევარი ლ. თოიძეც გრძნობს, როცა აღნიშნავს: „ვითომ თურ-

---

[198] ლ. თოიძე, დასახ ნაშრომი, გვ. გვ. 31-40.

ქეთი ამ ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევას მისი გაფორმების მეორე დღესვე აპირებდა?"[199]

ეს კითხვა ლოგიკურად იბადება, ამიტომაც გვიჩნდება მოსაზრება, რომ თურქი სამხედრო ჩინოვნიკი ქიაზიმ-ბეი შეიძლება მოქმედებდა ცენტრთან შეუთანხმებლად, თავისი „პატრიოტული" გრძნობების საფუძველზე და გარკვეულწილად ითვალისწინებდა ბათუმის თურქოფილური მოსახლეობის სურვილსაც (მსგავსი ანალოგია შეიძლება მოვიტანოთ II მსოფლიო ომის ისტორიიდან, როცა გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ გერმანიის ვერმახტის პრაღის დაჯგუფება აგრძელებდა ბრძოლას მოკავშირეთა წინააღმდეგ და მხოლოდ 8 მაისს დაჰყარა იარაღი). ქიაზიმ-ბეის ქმედებები ბათუმში (თავისი პერსონის გენერალ-გუბერნატორად გამოცხადება, ცენტრალური ხელისუფლების სახელით აჭარაზე თურქეთის სუზერენიტეტის გავრცელება, ადგილობრივი მოსახლეობისაგან პროთურქული რაზმების შექმნა და ა.შ.) აშკარად არღვევდა მოსკოვის ხელშეკრულებას და კრემლზე დაიმედებული ათა-თურქი ბათუმის გულისთვის მოსკოვს არ გადაიმტერებდა. ამ თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება.

მისაღებია პროფესორ ო. ჯანელიძის შეხედულებაც, რომ მართალია, თურქეთი მოსკოვთან მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ ლონდონის კონფერენციაზეც ცდილობს თავისი პოზიციების დაცვას მოკოვის ზურგს უკან. სამართლიანია შენიშვნა: „ანტანტის სახელმწიფოებთან თურქეთის დაახლოების პერსპექტივამ კრემლი დააჩქარა გაეფორმებინა ხელშეკრულება ანკარასთან".

ჩვენი მხრივ დავამატებთ: სავარაუდოა ისიც, რომ სწორედ ამ შიშმა აიძულა რუსეთი დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ბათუმის ოლქით და აღარ იზრუნა 1878 წლის ბერლინის კონგრესით მიღებული ტერიტორიების დაბრუნებაზე, რის გამოც ოლთისი, კოლა-არტაანი და სხვა მიწები დარჩა თურქეთის სახელმწიფოს შემადშენლობაში.

ახლა ისევ ბათუმში არსებულ ვითარებას დავუბრუნდეთ.

ქიაზიმ-ბეის რომ ბათუმში ძლიერი დასაყრდენი გააჩნდა, ამაზე მიუთითებს ხ. ახვლედიანის ერთი ცნობა: როცა „ქიაზიმ-ბეიმ ძალით დაიკავა სტრატეგიული პუნქტები, მან სედაი მილეთის დახმარებით მოაწყო პროთურქული ორიენტაციის ბათუმელი მოქალაქეების თათბირი. შეად-

---

[199] იქვე, გვ. 30

გინეს რაზმები (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), რომ წითელი არმია ბათუმში არ შემოეშვათ".[200]

აშკარაა, რომ თურქებს იმჟამად ბათუმში სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდათ, რახან ადგილობრივი მომხრეებისაგან „რაზმებს" (ე.ი. ბევრი იყვნენ ასეთები) ადგენდნენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მ. აბაშიძის ინიციატივით შეიქმნა ქართველ მაჰმადიანთა 300 კაციანი რაზმი, რომელიც იბრძოდა ბათუმის შესანარჩუნებლად საქართველოს იურისდიქციაში".[201]

ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება 18 მარტს იტალიის გემით მიდის საზღვარგარეთ, წასვლის წინ ბათუმის ციხიდან ათავისუფლებს ბოლშევიკებს და ფაქტობივად ძალაუფლებას მათ გადასცემს. ბათუმის ციხეში მაშინ, როგორც მტკიცდება, ბევრი ბოლშევიკი იყო დაპატიმრებული, მათ შორის სერგო ქავთარაძე, ვანო სტურუა, შალვა დადიანი, თენგიზ ჟღენტი. მათ სასწრაფოდ შექმნეს რევოლუციური კომიტეტი, რომლის, როგორც ამტკიცებენ, პირველი დადგენილება ბათუმის ასკერებისაგან განთავისუფლება იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არ არის ერთი აზრი კომუნისტების რაოდენობის შესახებ ბათუმში იმ დრამატულ დღეებში. დასახელებულია 300 კაცი[202], 1000 კაცი.[203] თუ ბათუმის ციხიდან გაანთავისუფლეს 1ᲡᲘᲘ კომუნისტი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებდნენ ბათუმის „სოვეტიზაციაში", თურქებისაგან ბათუმის ოლქის გაწმენდის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „კომუნისტის" 1921 წლის 22 მარტის ნომერში არის ცნობა, რომ „მენშევიკური საქართველოს მთავრობა იტალიის გემით წავიდა სტამბოლში საფრანგეთის ნაღმოსნების მფარველობით. ყველა განძეულობა და დიდი ქონება მთავრობამ თან წაიღო. პოლიტიკური ტუსაღები ათასამდე კაცი ციხიდან გამოუშვეს. 17-18 მარტს მოეწყო რევკომი სერგო ქავთარაძის მეთაურობით".

მიუხედავად ამისა, ეს ციფრი (1000 კომუნისტი), ჩვენს ეჭვს მაინც იწვევს, რადგან 1921 წელს საქართველოს კომპარტიაში სულ 9000 კაცი

---

[200] ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[201] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2009, გვ. 516.

[202] მ. ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, ბათუმი, 1957, გვ. 162.

[203] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, გვ. 31.

იყო გაერთიანებული და გამოდის, რომ თითქმის მეათედი – ბათუმის ციხეში იყო მოთავსებული.

ნ. ჟორდანიას ხელისუფლების საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ ბათუმში, როგორც აღინიშნა, შეიქმნა რევკომი სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით. ეს მოხდა 18 მარტს.

რევკომის მთავარი ამოცანა აჭარის თურქი ასკერებისაგან განთავისუფლება იყო. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებს დაახლოებით 1000 კაცამდე თანაპარტიელი ჰყავდათ, ისინი მარტო, სამხედრო ხელმძღვანელის გარეშე, ბათუმის განთავისუფლების ოპერაციას წარმატებით ვერ განახორციელებდნენ, ამიტომაც ს. ქავთარაძემ საბრძოლო მეთაურობა შესთავაზა გენერალ გ. მაზნიაშვილს. არსებობს ს. ქავთარაძის განკარგულება, რომლის თანახმად რევკომი გ. მაზნიაშვილს ნიშნავს ბათუმის გარნიზონის სარდლად.[204]

ბათუმის რევკომის ეს გადაწყვეტილება აშკარად მიგვანიშნებს, რომ რევკომს საკუთარი ძალებით ოლქიდან თურქების განდევნა არ შეეძლო (ეს ერთი ვარიანტი). შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ბათუმის რევკომს, როგორც ოფიციალურ სტრუქტურას, თურქებთან აშკარად დაპირისპირება არ უნდოდა, არ სურდა რაიმე საფრთხე შექმნოდა ჯერ კიდევ „მელანშეუშრობელი" მოსკოვის ხელშეკრულებას (მეორე ვარიანტი).

ასეთ ვითარებაში გამოინახა ჩინებული გამოსავალი: დემოკრატიული საქართველოს ბათუმში დარჩენილ მხედრობას და მის სარდალს გიორგი მაზნიაშვილს დაევალათ სათავეში ჩადგომოდნენ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ბრძოლას თურქი ასკერების ინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ბათუმის რევკომი ხელს არ შეუშლიდა, პირიქით, წააქეზებდა იმ ქართველ კომუნისტებს, რომლებიც ქართველ მხედრობასთან ერთად იბრძოლებდნენ ბათუმის განთავისუფლების საქმეში.

ეს ისტორიული ფაქტი მეტად დიდმნიშვნელოვანია, რადგან ადასტურებს, რომ კრიზისულ ისტორიულ ვითარებაში არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელია იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაპირისპირებული ერთი ქვეყნის მოქალაქეების მონოლითური კავშირი დიდი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად.

ამრიგად, ბათუმის გათავისუფლების საშვილიშვილო საქმეში დემოკრატიული საქართველოს რეგულარული ჯარის ნაწილებს შეურთ-

---

[204] ხ. ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში 1917-1921 წწ., გვ. 136.

დნენ ქართველი კომუნისტებიც. მათ ერთობლივად მოახერხეს ბათუმსა და მთლიანად აჭარაში თურქი ასკერების ავანტურის ლიკვიდაცია.

მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად გვეჩვენება, რომ ბათუმი და მისი ოლქი ქართველმა მხედრობამ, გენერალ გ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რუსების დაუხმარებლად (ცნობილია, რომ რუსები თავს იკავებდნენ აშკარად თურქებთან დაპირისპირებისაგან), გაანთავისუფლა თურქების შესაძლო ოკუპაციისაგან. ქართველმა მხედრობამ უზრუნველყო არა მარტო ბათუმის შენარჩუნება, არამედ სულ მალე მთლიანად გაწმინდა აჭარის რეგიონი ტყეებში მიმალული თურქი ასკერებისაგან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრამატულ დღეებში ქართული ოფიციოზი არაფერს ბეჭდავდა ბათუმისა მის გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხოლოდ 22 მარტს დაიბეჭდა ფ. მახარაძის დეპეშა „აჭარა განთავისუფლდა", რომელშიც ის მიმართავს აჭარის მოსახლეობას, ულოცავს რა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, პირდება: „...დღეიდან აჭარა და აჭარის ხალხი სრულიად თავისუფალი და სრულიად ხელშეუხებელი იქნება. აჭარის ხალხს მიენიჭება ავტონომიური მმართველობა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე. გაუმარჯოს ავტონომიურ საბჭოთა აჭარას".

ამრიგად, საქართველოს გასაბჭოებისთანავე ბათუმის დაუფლების საკითხი დღის წესრიგში დადგა – ამას აპირობებდა ბათუმის ოლქის უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული თავისებურება, რასაც ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება ვერ შეელეოდა და ამ ეტაპზე მის გაშუალებულ ფლობაზე (საქართველოს საზღვრებში) დათანხმდა; მიუხედავად მოსკოვის ხელშეკრულებისა, თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო წრეები ცდილობდნენ ბათუმის კუთვნილების საკითხი სადავო გაეხადათ. საქართველოს ერთიანობის იდეამ უკანა პლანზე გადაიტანა პოლიტიკური დაპირისპირება და სწორედ ქუთაისის შეთანხმების წყალობით მოხდა ეროვნული ენერგიის კონცენტრაცია, რამაც ბათუმი გადაარჩინა; როგორც საქართველოს, ისე ბათუმის რევკომის დამსახურება ბათუმის დაცვის საქმეში ნომინალურია. საკითხი გადაწყდა ორი დიდი მოთამაშის - თურქეთისა და ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელთა მორიგების საფუძველზე. ხოლო მიღებული შეთანხმება რომ აუცილებლად შესრულებულიყო, ამ საქმეში გადაწყვეტი სიტყვა თქვა ქართულმა მხედრობამ.

3. ბათუმის საკითხი 1921 წლის 17-18 მარტის ქუთაისის მოლაპარაკებაში

1921 წლის მარტის პირველ ნახევარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობა გამოუვალი გახდა. წითელმა არმიამ თითქმის მთელი საქართველოს დაპყრობა მოასწრო. მართალია, ქართული მხედრობა თავდაპირველად მომხდურს მედგრად დაუხვდა, მისთვის უბრძოლველად მშობლიური მიწის ერთი გოჯიც არ დაუთმია, მაგრამ ომის მსვლელობაში გამოიკვეთა, რომ რუსეთთან დამარცხება გარდაუვალი იყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის წინააღმდეგობაც შესუსტდა. წითელი არმია ბათუმში შესაჭრელად ემზადებოდა.

თბილისის დატოვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ ქუთაისში დაბინავდა, შემდეგ კი ბათუმში გადაინაცვლა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქემალისტური თურქეთის ზურგიდან დარტყმამ. სწორედ საომარი ოპერაციების პერიოდში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები, რომელზედაც საქართველო არ იყო დაშვებული. თურქეთი საქართველოს მთავრობას არდაგან-ართვინის საფასურად დახმარებას აღუთქვამდა. თითქოს ამ მოტივით შემოვიდნენ თურქეთის ჯარები აჭარაში, მაგრამ ბათუმის დაკავების მეორე დღეს ანკარის მთავრობამ ბათუმის ანექსია გამოაცხადა. პარალელურად, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მეორე მუხლით თურქეთმა საბჭოთა საქართველოს დაუმტკიცა სუვერენული უფლებები ბათუმზე, სამაგიეროდ თვითონ არტაანისა და ართვინის ოლქები დაისაკუთრა.

როგორც ითქვა, რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით ბათუმის საკითხი არსებითად გადაწყდა. იგი საქართველოს უნდა დარჩენოდა, მაგრამ ქართულ ჯარებს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ამის შემდეგაც მოუხდა ბრძოლა ბათუმის განთავისუფლებისათვის. „მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საკითხი ორი უცხო ქვეყნის მთავრობათა ბეჭედდასმულ ქაღალდზე უკვე გარკვეული და გადაწყვეტილი იყო, მშვიდობიანი გზით მის მოგვარებას საიმედო პირი არ უჩანდა. საბოლოო სიტყვა ... მაინც ხიშტს უნდა ეთქვა“.[205]

---

[205] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 9-10.

მას შემდეგ, რაც თურქების ნამდვილი მიზანიც გამოაშკარავდა და ნოე ჟორდანიას ხელისუფლებისათვის ცხადი გახდა, რომ წითელ არმიასთან ომი წაგებული იყო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახადა საქართველოს რევკომთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. 1921 წლის 12 მარტს გ.ლორთქიფანიძემ რევკომს „რადიო ცნობა" გაუგზავნა, სომარი მოქმედების დროებითი შეჩერება და მოლაპარაკებების დაწყება ითხოვა.[206]

გრ. ლორთქიფანიძის სიტყვით, კითხვა დადგა იმის შესახებ „თუ როგორი სახით დარჩენილიყო დამარცხებული საქართველო: ორათ გახლეჩილი რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომელსაც რჩებოდა ბათუმი და მისი ოლქი, თუ ხელი შეეწყო იმისათვის, რომ საქართველოს მაქსიმალური მთლიანობა შენახულიყო, რომ ბათუმიც თავისი უფროსი მოძმე ტფილისის ბედში ყოფილიყო, თუმცა რუსეთის კირთების ქვეშ. მაგრამ ეგრეთ წოდებულ საბჭოთა საქართველოს ნაწილათ. და არჩევანიც, რასაკვირველია, ამ უკანასკნელზე შეჩერდა".[207]

შექმნილ მძიმე ვითარებაში, დემოკრატიული საქართველოს მესვეურებმა პირველი რიგის ამოცანად თურქეთის ანექსიის აღკვეთა დასახეს და ამ საქმეში რევკომის მიერ შეთავაზებულ, საბჭოთა ძალების გამოყენების წინადადებაზე დათანხმდნენ. „საქართველოს მთავრობამ ... გადასწყვიტა რუსეთის ფრონტზე ბრძოლის შეჩერება, ოსმალეთის ფრონტზე შეტევა, ბათომის გადარჩენა და მისი დანარჩენ საქართველოსთან დატოვება. აქედან წარმოიშვა გადაწყვეტილება: მიღებულ იქნას რუსეთის წინადადება სომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ; ... საქართველოს არ უნდა, რომ „ოსმალეთს დარჩეს მისი ერთი ნაწილი ბათომის ოლქის სახით და ამიტომ ის ხსნის რუსეთის საწინააღმდეგო ფრონტს, ებრძვის ოსმალეთს და ამ ბრძოლაში მას არამცთუ ხელი არ უნდა შეუშალოს რუსეთის მხედრობამ, არამედ დახმარებაც უნდა გაუწიოს".[208]

ამ მხრივ საყურადღებოა გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მამია ორახელაშვილის პირდაპირი მავთულით საუბრი, რომელიც წინ უძღოდა 1921 წლის 17 მარტს ქუთაისში მათ უშუალო შეხვედრას.

მ. ორახელაშვილი ეკითხება გ. ლორთქიფანიძეს:

---

[206] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 16 მარტი

[207] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 221.

[208] იქვე, გვ. 221-222.

- სინამდვილეში საქართველოს წარმომადგენელი ამ მოლაპარაკებას არ დასწრებია და არც ხელი მოუწერია ხელშეკრულებაზე.

- რაღა მიზანი აქვს ჩვენს შეხვედრას და რაზე უნდა ვითათბიროთ ჩვენ, თუ ბათომის ოკუპაცია თუ გინდ თქვენი თანხმობით, უკვე ფაქტია?

გ. ლორთქიფანიძე პასუხობს:- „ ... აქამდე ჯერ არა არის ოკუპაცია არც როგორც ფაქტი და არც როგორც უფლება და ჩვენ ნებადაურთველად არავის შეუძლიან ბათომის და ოლქის ოკუპაცია, თუ არა იარაღით დაპყრობით.

მ. ორახელაშვილი: საკითხი ტერიტორიული მთლიანობისა უდიდესი საკითხია, ხოლო თქვენ უკუაგდეთ სასურველი გადაწყვეტა ამ საკითხის უცხოელ შეიარაღებული ძალის შემოშვებით ბათომში, მაშინ როდესაც რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე მოსკოვში სრულიად გადაწყვეტილია საკითხი, რომ ბათომი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში. შეთანხმებაზე ხელი უწერია საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს მიხა ცხაკაიას.*

გ. ლორთქიფანიძე: იურიდიულად და ფაქტიურად ბათომი ჩვენ ხელშია და თუ იგი არავინ დაიპყრო, მისი ბედის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ჩვენთან მოლაპარაკების შემდეგ...

მ. ორახელაშვილი: ჩვენის ღრმა რწმენით ბათომს ემუქრის აუცილებელი საფრთხე, ერთადერთი ხსნა არის ჩვენი ჯარი დაუყოვნებლივ შეყვანილ იქნას ბათომში და მთელი თქვენი ჯარი დამორჩილდეს ჩვენს სარდლობას ბათომის დასაცავად და მის შესანარჩუნებლათ საქართველოსთვის. თუ დასთანხმდებით და ცარიელ ვაგონებს გამოგზავნით, ჩვენი ჯარი დღესვე შევა ბათომში.

გ. ლორთქიფანიძე: დიახ, ბათომს ნამდვილად შეიძლება ემუქრებოდეს და ეტყობა ემუქრება კიდეც საფრთხე ორის მხრივ. საფრთხე მარტო სამხრეთიდან რომ იყოს, მაშინ დარწმუნებული ვართ, მოვიგერიებთ მას, ამიტომ ჩვენ ენერგიული წინადადებას გაძლევთ მკვიდრი დროებითი ზავის ჩამოგდებით ხელფეხი გაგვიხსნათ და შეგვაძლებინოთ სამხრეთისაკენ ვიბრუნოთ პირი. დავიცვათ ქალაქი და ოლქი. დროით დავიწყოთ მოლაპარაკება მტკიცე იმედით, რომ ამ საკითხში ჩვენ ვიპოვით არა მარტო საერთო ენას, არამედ საერთო გადაწყვეტილებას და საერთო საქმეს.

მ. ორახელაშვილი: თუ თქვენ დასთანხმდებით, ... ჩვენ დაუყოვნებლივ წამოვალთ, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპუბლიკის ტერიტორიის სიმთელის და კერძოდ ბათომის დასაცავად, ჩვენ ვთვლით ბათომისკენ გალაშქრების დაგვიანებას - მის დაკარგვის თანასწორად, რაც გვაიძულებს დაუყოვნებლივ დავიწყოთ შეტევა ბათომისაკენ.

გ. ლორთქიფანიძე: ... ჩვენი ძალაუფლება სრულიად საკმაოა და ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენ დავიცავთ ბათომს და ოლქს ფორმალურ ლიკვიდაციის წამამდე.[209]

მამია ორახელაშვილი პრინციპულად მოითხოვდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წითელი ჯარის ნაწილები ბათუმისაკენ უბრძოლველად გაეტარებინა, განსაკუთრებით, გოდერძის უღელტეხილით მიმავალი ჟლობას კავალერია. გრიგოლ ლორთქიფანიძე ამის წინააღმდეგი იყო, „ეს მოუთმენლობა არათუ ხელს არ შეუწყობს ბათომის საკითხის გადაწყვეტას, ... არამედ უფრო გააძნელებს და ვიღაც მესამეს გაახარებს“, აცხადებდა იგი და მოითხოვდა, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ აბელ ენუქიძეს მიეღო გადამჭრელი ზომები.

გ. ლორთქიფანიძის დაჟინებით ა. ენუქიძე მართლაც ჩაერია საქმეში და ბათუმისაკენ დაძრული წითელი არმიის დაჯგუფებისათვის მიცემული შეტევის ბრძანება გაუქმებულ იქნა, მაგრამ ჟლობას ნაწილის წინსვლა არ შეუჩერებიათ.[210]

ბათუმის ბედისადმი საქართველოს დემოკრატიული და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება კიდევ უფრო მკაფიოდ მათ შორის გამართულ საზავო მოლაპარაკებაზე გამოიკვეთა.

მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს სსრ რევკომის რწმუნებულთა შორის ზავის საკითხზე 1921 წლის 17-18 მარტს ქალაქ ქუთაისში შედგა. დემოკრატიულ რესპუბლიკას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და ქვეყნის სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, მრჩეველი სამხედრო საკითხებში ი.გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ი.დგებუაძე და მდივანი დ.შარაშიძე. ხოლო საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს მისი თავმჯდომარის მოადგილე მამია ორახელაშვილი, სამხედრო საქმეებში რწმუნებული შ.ელიავა და მდივანი ღამბაროვი წარმოადგენდნენ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა რსფსრ-ს წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით.

---

[209] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 20 მარტი. ასევე, გრ. ლორთქიფანიძე და ქუთაისის საზავო მოლაპარაკება, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1996, № 9–10, გვ. 27.

[210] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 20 მარტი; ასევე, ო. ფხაკაძე, ქუთაისის მოლაპარაკება (1921), სამეცნიერო კრებული „ქართული დიპლომატია“, 2003, № 10.

შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მეორე წარმომადგენელი ალექსანდრე სვანიძე.[211]

სხდომის დასაწყისშივე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ საქართველოს რევკომის დელეგაციას განუცხადა: „საქართველოს მთავრობას მდგომარეობა აიძულებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს ტერიტორიის მთლიანობის დაცვას და არავითარ შემთხვევაში ნებით თუ უნებლიეთ არ შეუწყოს ხელი ბათუმის და მისი ოლქის ოსმალეთის მიერ დაპყრობას. ... საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობს იმ აზრით და მისწრაფებით, რომ ყოველგვარი ღონე იხმაროს საქართველოს მთლიანობის დასაცავად, მიუხედეავად იმისა თუ როგორი შინაგანი წყობილება იქნება დღეს ან ახლო მომავალში საქართველოში".[212]

ქვეყნის ერთიანობის, ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთვის შენარჩუნება გრ. ლორთქიფანიძემ პირველი რიგის ამოცანად დასახა უშუალოდ მოლაპარაკების პროცესშიც. მისი სიტყვით: „დღეს ყველაზე დიდი საშური საკითხი და პირველ რიგში განსახილველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება. ... რადგან დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არა აქვს საშუალება იბრძოლოს ორ ფრონტზე, მან აირჩია, რომ როგორიც არ უნდა იყოს და რა წყობილებაც, ბათუმის ოლქი დარჩეს საქართველოს ფარგლებში" ... „ჩვენ ვდგავართ იმ პრინციპულ ნიადაგზე, რომ როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს".[213]

განსხვავებული იყო საქართველოს რევკომის რწმუნებულის მამია ორახელაშვილის პოზიცია. გ. ლორთქიფანიძის განცხადების პასუხად იგი აღნიშნავდა: „ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი მეორეხარისხოვანია. ჩვენი პირველი მოთხოვნილება ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობამ იცოდეს საქართველოში მომხდარი გადატრი-

---

[211] გაზ."ერთობა", 1992, მარტი, № 2.

[212] ჟურნ. „კავკასიონი", XX, პარიზი, 1981, გვ. 13-14.

[213] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 10.

ალება და აღიაროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია".[214]

მოლაპარაკების მონაწილეთა დიალოგიდან მკაფიოდ წარმოჩნდა ამ ორი პიროვნების ეროვნული ცნობიერების ურთიერთდაპირისპირება. როგორც ვნახეთ, გ. ლორთქიფანიძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო მ. ორახელაშვილი პირიქით, წინა პლანზე საბჭოური ხელისუფლების აღიარებას აყენებდა და ტერიტორიის პრობლემას ერის მომავლისათვის მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ეს იმაზედაც მიგვანიშნებს, რა მძიმე გამოცდის წინაშე იდგა სამომავლოდ ქართველი ერი.[215]

მოლაპარაკების მსვლელობისას მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: „1. მოხდეს დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა, 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს, შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან... 3. არაუგვიანეს ვიდრე 15 მარტისა თანრთვით, ბათუმში, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე, საჯავახოდან ვიდრე ბათუმამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება, 4. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მხედრობისადმი".[216]

იქვე გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა და საზღვარგარეთ გასახიზნად ემზადებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რომ რკინიგზით დაჩქარებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში. ეს აუცილებელი იყო თურქი ასკერებისაგან ბათუმის გათავისუფლების დასაჩქარებლად.[217]

---

[214] ჟურნ. „კავკასიონი", XX, პარიზი, 1981, გვ. 13-14; ასევე, გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 10.

[215] შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006, გვ. 474.

[216] ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ. 109-110.

[217] იქვე, გვ. 110.

იმავე ქუთაისის მოლაპარაკებაზე, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა წამოაყენა მოთხოვნა, რომ იმ შემთხვევაში დაუჯდებოდნენ ბოლშევიკები მოლაპარაკების მაგიდას, თუ საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება მოახდენდა კაპიტულაციის წინასწარ აღიარებას, მაგრამ გრიგოლ ლორთქიფანიძისაგან კატეგორიული უარი მიიღო და შემდეგ მანვე, დიპლომატიური წიაღსვლებით მოახერხა იმ შეთანხმების მიღწევა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გრიგოლ ლორთქიფანიძე აღნიშნავს: ის ფაქტი, რომ ქუთაისის მოლაპარაკება წარმოებდა ქართულ ენაზე, რომ „რუსეთის მთელი დელეგაცია თავისი თავმჯდომარით ანუ „შუაკაცით", რუსეთის აღმასკომის მდივნით აბელ ენუქიძეთი, შედგებოდა სულ ქართული მოდგმისა და გვარის ხალხით და თვით კონფერენციის მუშაობაც კი შესაძლებელი შეიქმნა არა საერთაშორისო დიპლომატიურ ენაზე - ფრანგულზე და არც გამარჯვებული რუსის ხალხის ენაზე, არსებითად ვერაფერს სცვლიდა და ვერც მალავდა ვერც მაშინ და ვერც მერმე რუსეთის გაშმაგებულ იმპერიალისტურ სახეს".[218]

ქუთაისის მოლაპარაკების საქმის კურსში ვ. ლენინიც იყო. ამ მოლაპარაკების შედეგებზე იგი პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1921 წლის 11 აპრილს და რომელზედაც განიხილეს კონცესიების საკითხი, აღნიშნავდა: ,,ერთი ცნობით, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ადრე დადო კონცესია, რომელიც საერთოდ ჩვენთვის მისაღებია. წინასწარ საერთოდ მე შევძელი ის, რომ დავუკავშირდი ქართველ ამხანაგებს და ვესაუბრე ამხანაგ ენუქიძეს, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს, თვითონაც ქართველს, რომელიც იქ იყო და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადო ერთი, მართალია არასაკონცესიო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლად გვაძლევენ საქართველოს 1/6 ნაწილს და ინარჩუნებენ ხელშეუხებლობის გარანტიას. ამხანაგ ენუქიძის მონაწილეობით ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ. ასე რომ, დადებითიც მოვიგეთ და უარყოფითიც – ისიც, რომ შევიძინეთ ტერიტორია არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსათვის – ბათუმი და მისი მიდა-

[218] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 222.

მოები და ისიც, რომ დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არც თუ მცირე რაოდენობისა".[219]

გრ. ლორთქიფანიძე მიიჩნევდა, რომ ქუთაისის დროებითი საზავო ხელშეკრულება „საქართველოს რევკომმა" ოფიციალურად გააუქმა და დასძენდა: „მთელი პიკანტობა ამ გაუქმებისა იმაში მდგომარეობს, რომ მტრის დელეგაცია შესდგებოდა ამ რევკომის, ე. ი. მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის ორახელაშვილის, საგარეო მინისტრის სვანიძის, სამხედრო მინისტრის ელიავასა და რუსეთის ცენტრ. აღმასკომის მდივან ენუქიძისაგან. მაშ რომელღა რევკომს შეეძლო არ დაემტკიცებინა ხელშეკრულება? საქმე იმაშია, რომ მათ ბატონს, ესე იგი რუსეთის ჯარის მთავარსარდლობას, ის არ მოეწონა და თავის ქართულ გვარიან აგენტებს მათი გაცემული თამასუქი თავზე გადააფხრიწა და ამ სანაქებო საქმეზედაც მათვე დააკრევინა დასტური".[220] გ.ლორთქიფანიძის ეს აზრი აისახა ისტორიოგრაფიაშიც.[221]

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ქუთაისის ხელშეკრულება რევკომს არ დაურღვევია. ამ ხელშეკრულებამ თავისი დანიშნულება შეასრულა, სამხედრო მოქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებსა და წითელ არმიას შორის შეწყდა. საბჭოთა ჯარები უბრძოლველად შევიდნენ ბათუმში. თუ ხელშეკრულების დარღვევად იმ ფაქტს მივიჩნევთ, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ნაწილებმა მონაწილეობა არ მიიღეს თურქ ასკერთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ბათუმსა და მისი ოლქიდან ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედრობამ გარეკა, ეს სრული სიმართლეა.

თავის მოგონებათა წიგნში „ჩემი წარსული" ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბოლშევიკურ რევკომთან მოლაპარაკებას „დროის მოსაგებად" დათანხმდა.[222] რისთვისღა ჭირდებოდა „დროის მოგება" ემიგრაციაში გასახიზნად გამზადებულ მთავრობას, რომელიც უკვე უცხოურ გემზე იყო გადასული და გეზი კონსტანტინოპოლისაკენ ეჭირა? მსგავსი კითხვა თავის დროზე ცნობილმა

---

[219] ვ.ლენინი, თხზ., ტ.45, თბ., 1972, გვ.313.

[220] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 223.

[221] ო.ფხაკაძე. ქუთაისის მოლაპარაკება (1921), „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, თბ., 2003, X, გვ.517-518.

[222] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 126.

ქართველმა ემიგრანტმა რევაზ გაბაშვილმაც დასვა და ხაზი გაუსვა, რომ ნოე ჟორდანიას ეს საკითხი „ბუნდოვნად აქვს ახსნილი“.[223]

ქართველი ბოლშევიკი ლიდერები და მათ კვალზე საბჭოური ისტორიოგრაფიაც (მცირე გამონაკლისის გარდა) მიიჩნევდა, რომ რევკომთან მოლაპარაკებით მენშევიკური მთავრობა დროს იმ განზრახვით აჭიანურებდა, რათა ბათუმში შემოსული თურქეთის ჯარები წითელ არმიასთან დაეპირისპირებინა და ამით თავი გადაერჩინა. ეს მოსაზრება სათავეს 1921 წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ფილიპე მახარაძის სტატიიდან იღებს, რომელშიც აღნიშნულია: „დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ როცა ისინი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, - ო.გ.) ბ. ლორთქიფანიძეს გზავნიდნენ ქუთაისში ჩვენთან მოსალაპარაკებლათ, იმათ მხოლოდ ერთი აზრი ქონდათ: მოიგონ დრო, დააგვიანონ ჩვენი ჯარების შესვლა ბათომში და შესძლონ ბათომიდან გაპარვა“.[224]

ქუთაისის შეთანხმების შეფასება შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. პროფესორ ლევან თოიძის აზრით, რუსეთთან ომში უკვე დამარცხებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება, სიტუაციის გათვალისწინებით და საქართველოსათვის ბათუმის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილება გონივრულ ნაბიჯს წარმდგენდა.

„დაიკარგებოდა უამისოდ ბათუმი?“ - კითხვას სვამს მკვლევარი და თვითონვე პასუხობს: „ალბათ არა. საფიქრებელია, რუსეთი ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ბათუმი, ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფორპოსტი, მის მიერ დაპყრობილ საქართველოს (ე.ი. ფაქტობრივად თვით რუსეთს) დარჩენოდა. ეს ხომ ასეც გაფორმდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით... ბათუმის საკითხში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უცხოეთში გახიზვნის წინა დღეს ბათუმის საკითხში სწორი გადაწყვეტილება მიიღო. შეუთანხმდა ბოლშევიკურ მთავრობას, განეხორციელებინა ერთობლივი სამხედრო ღონისძიებები ბათუმის შესანარჩუნებლად. იმ მომენტში მთავარი

---

[223] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება. მრავალტომეული, 3, თბ., 1992, გვ. 346.

[224] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 22 მარტი.

იყო თურქებს არ მისცემოდათ საშუალება დაპატრონებოდნენ ბათუმს და შემდეგ მეგობარ რუსეთთან დაეწყოთ ვაჭრობა.[225]

მართლაც, ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა უკანასკნელი საზრუნავი იყო მთავრობის საქართველოში ყოფნის ბოლო დღეებში, ამას ნოე ჟორდანიას მოგონებათა ერთი ფრაგმენტიც მოწმობს: ნოე ჟორდანია წერს: „ბათუმში დაპატიმრებული ბოლშევიკები გავანთავისუფლეთ: მოვიდნენ ჩემ ვაგონში მოსალაპარაკებლათ. საუბარი იყო მოკლე: ჩვენი საერთო ინტერესია მხოლოდ ერთი - ბათუმის საქართველოს საზღვრებში დარჩენა, რა გინდ წყობილება იყოს აქ; თუ შეგიძლიათ ამ ხაზზე იმოქმედეთ, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ოსმალოს ბათუმიდან გასარეკათ. – განუცხადე მე. ამით დავშორდით“.[226]

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წითელ არმიას შესაძლებლობა მისცა უბრძოლველად ევლო დასავლეთის მიმართულებით და შესულიყო ქ. ბათუმში. მთავრობამ თავის მხრივ, განახორციელა ღონისძიებანი ბათუმის ოლქში თურქეთის აგრესიის აღსაკვეთად. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ძალისხმევით ქართულმა საჯარისო შენაერთებმა ბათუმისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან თურქები საბჭოთა ჯარების დაუხმარებლად განდევნეს.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ (მთავრობა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ნაწილი) სამშობლო დატოვა და პარიზს მიაშურა. მთავრობამ კაპიტულაციას ემიგრაციაში გახიზვნა ამჯობინა იმ იმედით, რომ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიბრუნებდა საქართველოს.

---

[225] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 14.

[226] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 126.

თავი IV. თურქეთის ჯარის განდევნა ბათუმიდან

1. სად გადაწყდა ბათუმის ბედი

1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს მიეკუთვნა, ართვინი და არტაანი ყარსის ოლქთან ერთად კი თურქეთის მფლობელობაში გადავიდა. როცა ლენინი და მუსტაფა ქემალი სხვათა ხარჯზე ამგვარ ურთიერთგარიგებას აფორმებდნენ, საქართველოში ჯერ კიდევ ომი გრძელდებოდა. ქვეყანა მის საზღვრებში შემოჭრილ წითელი არმიის ნაწილებს ებრძოდა და ბოლშევიკურ აგრესიას უმკლავდებოდა. ამ ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს სამხედრო ძალებით თანადგომა აღუთქვა თურქეთის დიდი ეროვნული კრების ხელისუფლებამ ანუ, იმ დროინდელი სახელწოდებით _ ანკარის მთავრობამ. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, თურქების შეთვაზება არ ყოფილა გულწრფელი და ანგარებას მოკლებული. მეტიც, მათი მოქმედება საქართველოში არა „მოკავშირე“ და „მეგობარი“ სახელმწიფოს მხარდაჭერად, არამედ პირიქით, განსაცდელში ჩავარდნილი მეზობლის ყელში წვდომად, მის უბედურებაზე ხელის მოთბობის მცდელობად წარმოჩნდება.

მუსტაფა ქემალი თვითონვე წერს: „ჩვენი კატეგორიული ულტიმატუმის შედეგად 1921 წლის თებერვალში ქართველებისაგან მივიღეთ თანხმობა დაგვეკავებინა არტაანი, ართვინი და ბათუმი“. მაგრამ თურქეთის მხრიდან აშკარა ძალმომრეობა რომ დამალოს, დასძენს: „ამ ოლქების დაკავებას თან ახლდა მოსახლეობის მისალმება, რომელიც მოუთმენლად ელოდა შეერთებას თურქეთთან“.[227]

სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ზოგიერთი ფენის წარმომადგენლებში მართლაც შეიმჩნეოდა თურქეთისადმი კეთილგანწყობა, მაგრამ ქემალის მონათხრობი ერთობ გაზვიადებულია. მის ჯარებს აქ ხალისით და კმაყოფილებით კი არ მიეგებნენ, არამედ იარაღით ხელში აღუდგნენ და ბრძოლით უკანვე გააბრუნეს.

ამ ამბების თვითმხილველის, ქართველი ექიმის იოსებ ასლანიშვილის სიტყვით, „საერთო აზრი, რომელიც იმ დღეებში ტრიალებდა ყველა

---

[227] М. Кемаль, Путь новой Турции, т. III, М., 1934, გვ. 119.

ქართველში და მასთანავე უმთავრესად მთელ ჯარში სარდლობიდან დაწ-ყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე, იყო ერთი, რადაც არ დაგვიჯდეს, ბა-თომი უნდა შერჩეს საქართველოს რესპუბლიკას, ბათომი უნდა შერჩეს ქართველ ერს. ... ეს აზრი ნათელი იყო ყველასათვის და ამ აზრმა გაიმარ-ჯვა".[228]

რა ვიცით ამ საკითხის ირგვლივ, ინფორმაციის რა ბაზა, წყაროებისა და ლიტერატურის რა ერთობლიობა მოგვეპოვება? არსებობს გარკვეული საარქივო მასალა, ზოგი მიკვლეული და გამოქვეყნებული და ზოგიც ჯერ კიდევ სიძველეთსაცავეთა თაროებზე დავანებული. გაგვაჩნია იმ წლების ჟურნალ-გაზეთების, საბჭოური ისტორიოგრაფიისა და პოსტსაბჭოთა პე-რიოდის კვლევათა მონაცემები, მაგრამ განსახილველი პრობლემა სათანა-დო სისრულით დღემდე არ არის შესწავლილი და გაშუქებული. ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ პუბლიკაციები შეიცავენ მასალებს 1921 წლის გაზაფხულზე სამხრეთ დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობ-ის შესახებ, მოიპოვება ცნობები ბათუმში წითელი არმიის შენაერთების შესვლის, თურქი ასკერების განდევნის, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების, ადგილობრივი რევკომის პირველი ღონისძიებების თაობა-ზე და სხვ. მაგრამ ეს მასალა არ იძლევა ზუსტ პასუხს კითხვაზე: სად გა-დაწყდა ბათუმის ბედი. მოსკოვში თუ ბათუმის ფორტებზე? კრემლის კაბი-ნეტებში თუ ბრძოლის ველზე? ვისი დამსახურებაა ბათუმის დედა სამშობ-ლოს წიაღში შენარჩუნება - საბჭოთა წითელი არმიის, ბოლშევიკური რევ-კომის თუ დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალიტეტისა და მხედრო-ბის? ამის გარკვევა არა მარტო შემეცნებითი თვალსაზრისითაა საინტერე-სო, არამედ ღირებულია თავისი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელო-ბის გამოც. თანამედროვე და მომავალმა თაობებმა მკაფიოდ უნდა იცოდ-ნენ, სად გადის ზღვარი ლეგენდებსა და სინამდვილეს შორის, ვისი სახე-ლები არ უნდა მიეცეს დავიწყებას, ვინ რა ამაგისა და ღვაწლისთვის უნდა იყოს პატივდებული და დაფასებული.

ზემოთ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ მეტად საგულისხმოდ მიგ-ვაჩნია, გავერკვეთ: შეეძლო თუ არა თურქეთს დაერღვია 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულების მუხლები მათზე ხელმო-წერიდან რამდენიმე დღის შემდეგ? მსგავსი კითხვა პროფესორმა ლევან

---

[228] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 6 მაისი.

თოიძემაც დასვა და თვითონვე უპასუხა: „ძნელი დასაჯერებელია. მეტიც, გამორიცხულია".[229]

მე ასეთი კატეგორიული ვერ ვიქნები და თუ რატომ, ქვემოთ წარმოჩნდება.

ერთი შეხედვით, მართლაც წარმოუდგენელია, რომ საბერძნეთთან ომში მყოფ ანკარის ხელისუფლებას საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირება გაებედა. ეს ალოგიკური მოქმედება იქნებოდა, რადგან რუსეთი ანტანტასთან დაპირისპირებული და საბერძნეთთან მეომარი თურქეთის მოკავშირე იყო, - კრემლი ქემალს იარაღითა და ფულით ეხმარებოდა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი პოლიტიკა ზოგჯერ მარტივ ლოგიკას არ ცნობს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა ლოგიკაზე მეტად ანგარიში სხვა ფაქტორებსა და გარემოებებს გაეწიოს.

რა ფაქტორები გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვამბობთ, რომ თურქეთი დაუშვებდა რუსეთთან კონფრონტაციას ბათუმის გამო?

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ თურქეთი არ მოერიდა რუსეთის განაწყენებას და მოსკოვის მოლაპარაკების პარალელურად, ლონდონში მიმდინარე კონფერენციაზე, კრემლის ზურგს უკან, საფრანგეთთან დაახლოებაც მოახერხა. იმ დღეებში პარიზულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ფორმდება ოსმალეთ-საფრანგეთის შეთანხმება, რომელსაც შეუერთებიან რუმინეთი და პოლონეთი.[230]

ასეთივე ცნობა კრემლს ანგორიდან ბუდუ მდივანმაც მიაწოდა. საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტყობინებოდა: აქ ვრცელდება ხმები, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბექირ სამი ბეიმ უკვე მოაწერა ხელი საფრანგეთთან შეთანხმებას, რის გამოც თურქეთის მთავრობისაგან მოვითხოვე სათანადო განმარტებაო.[231] თურქეთის ელჩი რუსეთში ალი ფუად ჯებესოი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, აცხადებდა, რომ გავრცელებული ცნობები უსაფუძვლოა და სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ ცნობილია, რომ თურქეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით თურქი დიპლომატი საგანგებოდ კრემლში მიიწვიეს და მას ი. სტალინისათვის განმარტებების მიცემა მოუხდა.[232]

---

[229] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 30.

[230] Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т.2 , часть 1, М., 2005, გვ. 452.

[231] МИД СССР. Документы внешней политики СССР, т, IV, М., 1960, გვ. 14-15.

[232] А. Жевахов, Ататюрк. Жизнь замечательных людей, М., 2008, გვ. 188.

თავის მხრივ, თურქებიც საქმის კურსში იყვნენ, რომ მოსკოვი ლონდონთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და ეჭვით უცქერდნენ თურქეთის ზურგს უკან ინგლისს-რუსეთის გარიგებას.[233]

ანტანტის სახელმწიფოებთან თურქების დაახლოების პერსპექტივამ კრემლი დააჩქარა, გაეფორმებინა ხელშეკრულება ანკარასთან.

საინტერესოა, რომ ინფორმაცია იმხანად თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სიმონ მდივანსაც მოეპოებოდა. იგი ჯერ კიდევ 1921 წლის 26 თებერვალს წერდა საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს: „ლონდონის ამბები აცვლევინებთ ამათ (თურქებს, - ო. ჯ.) პოზიციას ჩვენს სასარგებლოდ“, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ევროპაში მყოფ აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „სრული დარწმუნებული ვარ, თუ საფრანგეთი შეუთანხმდება ოსმალეთს და მას მეგობრად იგულებს, ოსმალეთი დაუყოვნებლივ დაიწყებს მოქმედებას კავკასიიდან რუსების გასადევნად. ... გარდა ამისა, საფრანგეთს აქვს საშუალება ოსმალეთის შემწეობით ინგლისზედაც იქონიოს გავლენა. ... ეს უკანასკნელი გარემოება ძლიერ ამაგრებს ოსმალეთის სურვილს საფრანგეთთან დაკავშირებისა, რომლისთვისაც ოსმალეთი დღეს მზად არის“.[234]

თურქეთ-საფრანგეთის შეკავშირება რომ საქართველოსათვის სასარგებლო შედეგებს მოიტანდა, ამაში ქართველ ელჩს თურმე თავად მუსტაფა ქემალიც არწმუნებდა.[235]

აღსანიშნავია, რომ ლონდონში მყოფი ბექირ სამი ბეი სპეციალურად ინახულა აკაკი ჩხენკელმაც. თურქმა დიპლომატმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს განუცხადა, რომ „ბათუმსა და მის პროვინციაზე ოსმალეთს არა აქვს პრეტენზიები, საკითხი დგას მხოლოდ არტაანზე“.[236]

1921 წლის 9 მარტს ლონდონში მართლაც დაიდო თურქეთ-საფრანგეთის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური შეთანხმება, რაც თურქეთის დიპლომატიის დიდ წარმატებადაა მიჩნეული. აღსანიშნავია ისიც, რომ 13 მარტს ლონდონში თურქებმა პოლიტიკური შეთანხმება იტალიის

---

[233] რ. ყავრელიშვილი, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.., 2002, გვ. 57.

[234] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 25-26.

[235] იქვე.

[236] გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ., 13 დეკემბერი.

მთავრობასთანაც გააფორმეს,[237] მაგრამ ამ დოკუმენტებში საქართველოს სასარგებლო არაფერი თქმულა.

ბათუმთან დაკავშირებით, შესაძლოა თურქებს იმედს რსფსრ-თურქეთის 16 მარტის ხელშეკრულების მერვე მუხლიც აძლევდათ, რომელშიც აღნიშნულია: „დადგენილია, რომ ამ მუხლში მოხსენიებულ თურქეთის ტერიტორიად იგულისხმება თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის უშუალო სამხედრო და სამოქალაქო მმართველობაში მყოფი ტერიტორია". მას შემდეგ, რაც თურქეთის ჯარის ნაწილები ქალაქში შევიდნენ, კიაზიმ ბეიმ თავი სწორედ მთავრობის სახელით ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. ამდენად, მთელი ოლქის ფაქტობრივ სამხედრო და სამოქალაქო მმართველად თითქოს ის უნდა მიჩნეულიყო, მაგრამ ხელშეკრულების მეორე მუხლით ხომ ბათუმი საქართველოს უნდა დარჩენოდა?

ახლა საჭიროა გავარკვიოთ, კიაზიმ ბეი და თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი კიაზიმ ყარაბექირი, რომლის ნაწილებმაც ბათუმი დაიკავეს, დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს და ისე მოქმედებდნენ თუ თავიანთ ნაბიჯებს ანკარის ხელისუფლებას უთანხმებდნენ.

XI წითელი არმიის ისტორიის მკვლევრის მ. ტრასკუნოვის ერთ-ერთ ნაშრომში ვხვდებით საყურადღებო ფრაზას: „თურქეთის არმიის სარდალი, რეაქციონერი გენერალი კიაზიმ ყარაბექირ ფაშა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთისადმი და მალულად ებრძოდა ქემალისტებს, ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდა საბჭოთა ჯარების წინსვლას".[238] ავტორს გამოთქმული აზრის დასაბუთება არაფრით უცდია. არ ჩანს, რას ეფუძნება მისი უაპელაციო განცხადება, რომ თურქი გენერალი მალულად ებრძოდა ქემალისტებს.

ვერ გამოვრიცხავთ, რომ ცნობილ და გავლენიან სარდალს მართლაც არ ჰქონოდა მეგობრული ურთიერთობა მუსტაფა ქემალთან. 1919 წლის შემოდგომაზე ყარაბექირი ანკარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნას იმედოვნებდა, მაგრამ ქემალმა და მისმა გუნდმა არჩევანი სხვაზე შეაჩერეს და მინისტრთა კაბინეტის შედგენა ლალი რიზა ფაშას მიანდეს.[239]

---

[237] М. Кемаль, Путь новой Турции, т. III, М., 1934, გვ. 420-421.

[238] მ. ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962, გვ. 113.

[239] М. Кемаль, Путь новой Турции, т. II, М. 1932, გვ. 36-37.

1924 წელს კიაზიმ ყარაბექირ ფაშამ ჩამოაყალიბა პროგრესულ-რესპუბლიკური პარტია და თურქეთის მეჯლისში მმართველი ქემალისტური პოლიტიკური ძალის - სახალხო პარტიის ოპოზიციურ ფრაქციად მოგვევლინა. 1925 წელს ეს პარტია აკრძალულ იქნა და დაიშალა.[240] ბექირ ფაშა კიდევაც დააპატიმრეს. ცნობილია ისიც, რომ ყარაბექირი 1930 წელს მთლიანად გადავიდა მუსტაფა ქემალის ოპოზიციაში და არმიაც დატოვა.[241] (მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა ისმეთ ფაშამ ყარა-ბექირი დააბრუნა პოლიტიკურ ასპარეზზე. იგი არჩეული იყო თურქეთის პარლამენტის სპიკერად), მაგრამ გამოდგება ეს იმის არგუმენტად, რომ გენერალი 1921 წლის გაზაფხულზეც დაპირისპირებული იყო მუსტაფა ქემალთან? ვფიქრობთ, რომ ვერა.

კიაზიმ ყარაბექირ ფაშას სულთნისა და ხალიფატის მიმდევრად წარმოაჩენს საბჭოთა დიპლომატი ს. არალოვიც, რომელიც 1921 წლის დეკემბრიდან მოყოლებული რამდენიმე წლის განმავლობაში რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო თურქეთის რესპუბლიკაში.

ს. არალოვიც კიაზიმ ყარაბექირს, ისე როგორც რსფსრ-ში თურქეთის ელჩს ალი ფუად ჯებესოის, ქემალის ძველ მტრად მოიხსენიებს.[242] შესაძლოა მ. ტრასკუნოვი ს. არალოვის ამ შეხედულებას იზიარებდეს, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში კიაზიმ ყარაბექირის მოქმედებას თურქი „გენერალ-გუბერნატორის თვითნებობასა“ და „პირად ავანტიურას“ უწოდებდა გ. ჩიჩერინიც. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი 1921 წლის 14 მარტს თურქეთის მთავრობასთან კრემლის სრულუფლებიან წარმომადგენელს ბ. მდივანს წერდა: „ყარაბექირმა მოითხოვა სერგოსაგან, რომ წითელი ნაწილები არ შევიდნენ არც ბათუმში, არც ახალციხეში და არც ახალქალაქში, რადგან თითქოს ეს ადგილები რუსეთმა დაუთმო თურქეთს. ეს სიცრუეა, არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ... ყარაბექირის ცდა, შეაშინოს სერგო, ცხადია, გენერლის პირადი ავანტიურაა. მთავრობის აკრედიტებული წარმომადგენლების ოფიციალურ გადაწყვეტილებათაგან განსხვავებული ამგვარი თვითნებობის წინააღმდეგ საჭიროა გამოხატოთ პროტესტი“.[243]

---

[240] Аралов С. И. Воспоминания советского дипломата 1922-1923, М., 1960, გვ. 153-154.

[241] М. Кемаль, Путь новой Турции, т. III, М., 1934, გვ. 43.

[242] Аралов С. И. Воспоминания советского дипломата 1922-1923, М., 1960, გვ. 219.

[243] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1132-1162.htm#1132

იგივე გ. ჩიჩერინი 1921 წლის 15 მარტს ს. ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „ყარაბექირის ცდები, მიაღწიოს ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის თურქეთისათვის გადაცემას, უეჭველად თვითნებობაა. თურქეთის დელეგაცია ყოველდღიურად უამრავ დეპეშას იღებს ანკარიდან, და იგი სავსებით კმაყოფილია ჩვენი შეთანხმებით, რომლითაც ბათუმი საქართველოს, ართვინი, არტაანი და ყარსი კი თურქეთს რჩება.[244]

მაგრამ ასე არ ფიქრობდა თურქეთში რსფსრ ელჩი ბუდუ მდივანი. მისი სიტყვით: მართალია, ამჟამად (1921 წ. 18 მარტი, - ო. ჯ.) ანკარას ბრძანების შესაბამისად ბათუმი ყარაბექირის ჯარებს უჭირავთ, მაგრამ ყარაბექირი და მეთაურთა შემადგენლობა ყველანი ამ ნაბიჯის წინააღმდეგნი არიან.[245] ამ მხრივ საყურადღებოა თვით კიაზიმ ყარაბექირის 1921 წლის 2 მარტის დეპეშა თურქეთის გენერალური შტაბისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „საბჭოთა რუსეთმა, ბათუმის აღების სურვილით, შეიძლება არაფერი კითხოს თურქეთის მთავრობას და ბათუმისა და მისი მხარის დასაკავებლად დაიძრას. ამგვარ მდგომარეობაში ბათუმის შესანარჩუნებლად აუცილებელია იქ იმყოფებოდეს სამხედრო ძალა“. აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას ბათუმთან დაკავშირებით საკუთარ აზრსაც აცნობებდა, წერდა: „ბათუმს, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთისათვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამის გამო, ბათუმის დაკავებას მიზანშეწონილად არ მივიჩნევო“.[246]

შესაძლოა, ბუდუ მდივანს ჰქონდა ინფორმაცია თურქეთის მაღალ სამხედრო წრეებში ბათუმის გამო აზრთა სხვადასხვაობის შესახებ და ამიტომაც მიიჩნევდა, რომ თუ მოსკოვი მტკიცედ მოითხოვს, თურქეთი ხელს აიღებს ბათუმზე, - უკიდურეს შემთხვევაში დაიჟინებენ მის ინტერნაციონალიზაციას, რადგან ასეთი იყო თურქეთის უმაღლესი წრეების აზრი საქართველოს განადგურებამდე.[247]

---

[244] Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т.2, часть 1, М., 2005, გვ. 452-453.

[245] იქვე, გვ. 467.

[246] რ. ყავრელიშვილი, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.., 2002, გვ. 59.

[247] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108

საკითხში გასარკვევად მეტად საგულისხმოა 1921 წლის 19 მარტით დათარიღებული ი. სტალინის დეპეშა ს. ორჯონიკიძისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „თურქეთთან უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულებით, ბათუმი საქართველოს რჩება. ყარაბექირმა ეს უნდა იცოდეს, მაგრამ ჟელიგოვსკის დაფნის გვირგვინი, როგორც ჩანს, მას მოსვენებას უკარგავს. შეეცადე, ძლიერი დარტყმით განდევნო თურქები ბათუმიდან, შემდეგ კი ეს გაუგებრობით ახსნა. ინიციატივა უნდა იკისროს სარდლობამ. საქართველოს მთავრობა ჩუმად უნდა იყოს და ჩრდილში დარჩეს".[248]

საინტერესოა, ვინ იყო ჟელიგოვსკი და მის რა წარმატებაზეა აქ საუბარი? გენერალი ლუციან ჟელიგოვსკი იყო პოლონეთის ერთ-ერთი არმიის მეთაური 1920 წელს, რომელმაც დაიკავა ქალაქი ვილნო, თითქოსდა პოლონეთის ხელისუფლებისათვის შეტყობინებისა და იუზეფ პილსუდსკის თანხმობის გარეშე, ჩაატარა პლებიცისტი და თავი მის მიერვე შექმნილი პოლიტიკური ერთეულის - „შუა ლიტვის" უმაღლეს მმართველად გამოაცხადა. 1922 წელს მანვე მიაღწია ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობას პოლონეთთან შეერთებაზე.[249] (მოგვიანებით გენერალ ჟელიგოვსკის პოლონეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, ხოლო 1935 წელს პოლონეთის სეიმის წევრიც გახდა).

ჟელიგოვსკის მაგალითი არც საბჭოთა რუსეთის სინამდვილისათვის იყო უცხო. ოფიციალური კურსის შენიღბვა, ვითომც უმაღლესმა ხელისუფლებამ არ იცის, რას ჩადიან მისი ხელქვეითები, იქნებიან ისინი სამხედროები, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირები - კრემლის პოლიტიკის ნაწილი იყო და დღემდე რჩება. საილუსტრაციოდ ს. ორჯონიკიძის მაგალითს მოვიხმობთ:

1920 წლის აპრილში, როცა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ბაქო დაიკავეს და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, სერგო ორჯონიკიძემ XI არმიის ნაწილები საქართველოსაკენ დაძრა, ხოლო მოსკოვში დეპეშა აფრინა, - რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, „ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო."

საბჭოთა ისტორიოგრაფია ს. ორჯონიკიძის ამ ნაბიჯს ქართველი ბოლშევიკის ინიციატივად ნათლავდა და მის მოქმედებას კრემლის მესვეურთაგან მიჯნავდა. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო: საქართვე-

---

[248] Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т. 2, часть 1, М., 2005, გვ. 469.

[249] http://ru.wikipedia.org/wiki/Срединная_Литва

ლოს საზღვრებში წითელი ჯარით შემოჭრა სერგო ორჯონიკიძის თვითნებობა კი არა მოსკოვის ნებართვით მოწყობილი აქცია იყო. სხვა შემთხვევაში ლენინი და სტალინი ორჯონიკიძეს დარწმუნებას არ დაუწყებდნენ, - ვითარების შეცვლის გამო წამოწყებული შეტევა შეაჩერე, ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ ხაზს ეწინააღმდეგებაო, - მას რევოლუციის კანონების შესატყვისად, უბრალოდ, დახვრეტდნენ.

ახლა უკვე კარგადაა ცნობილი ჯერ კიდევ 1920 წელს გაცემული ლენინური დირექტივაც, რომელშიც ხაზგასმულია: „ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით".[250]

როცა საბჭოთა ხელისუფლება ასეთ პოლიტიკას წარმატებით მიმართავდა, საკვირველია, რატომ მიიჩნევდნენ ამ ხელისუფლების წარმომადგენელები შეუძლებლად, რომ თურქეთის მთავრობასაც იგივე მეთოდით ესარგებლა და საქმე არ გვქონდეს გენერლის „თვითმოქმედებასთან"?

შეიძლება თუ არა დაშვება, რომ კიაზიმ ყარაბექირ ფაშას არ ჰქონდა ინფორმაცია მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერისა და ბათუმის საქართველოსთვის მიკუთვნების შესახებ? თუ სიმართლედ მივიჩნევთ თურქეთის მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის აჰმედ მუჰთარის 1921 წლის 21 მარტის ნოტას გ. ჩიჩერინისადმი, რომ ანკარაში მხოლოდ დღეს მივიღეთ ხელშეკრულების ტექსტი და ისიც გადმოცემის პროცესში საკმაოდ შერყვნილი სახითო, მაშინ ამგვარი დაშვება ლოგიკურია. მით უფრო, რომ მოსკოვსა და ანკარას შორის კავშირგაბმულობის მექანიზმს რუსეთში თურქეთის ელჩი ალი ფუადიც უჩიოდა. 1921 წლის 10 მარტს თურქი დიპლომატი გ. ჩიჩერინს წერდა: ჩემმა მთავრობამ მოლაპარაკებების ადგილად ბაქოს ნაცვლად მოსკოვი იმიტომ აირჩია, რომ დარწმუნებული იყო, ანკარასთან კავშირი ზუსტი და სწრაფი იქნებოდა. მაგრამ დეპეშები შეფერხებებით გადაიცემა, რაც ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის საზიანოაო.[251]

აჰმედ მუჰთარის ნოტის პასუხად გ. ჩიჩერინმა თურქეთში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელს ბ. მდივანს მისწერა: „თურქები ჩვენს ჯარებზე თავდასხმებს და საქართველოს ტერიტორიების დაკავებას ხსნიან ხელშეკრულების უცოდინრობით. ამას ბოლო უნდა მოეღოს. აუცილებელ-

---

[250] ო. ჯანელიძე, ორი რუსეთი, წიგნში - საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, I, თბ., 2007, გვ. 10.

[251] МИД СССР. Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959, გვ. 581-582.

ია მტკიცებულება, რომ ხელშეკრულების შინაარსი ცნობილია თურქეთის მთავრობისათვის".[252] ცხადია, ჩიჩერინს პირდაპირი მტკიცებულება სჭირდებოდა, თორემ მანამდე თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის რწმუნებული რსფსრ-ს საქმეებში სავფეტ ბეი საგანგებოდ ჰყავდა გაფრთხილებული, რომ თურქეთის წარმომადგენლობისათვის მოსკოვში გადაცემული შეტყობინება, კრემლის მიერ ბუნებრივად განიხილება, როგორც თურქეთის მთავრობის საქმის კურსში ჩაყენება.[253]

თუ ჩიჩერინი პირდაპირ მტკიცებულებას მოითხოვდა, ჩვენ ირიბიც გამოგვადგება: საფიქრებელია, რომ აჰმედ მუჰთარის ნოტა ასე დაგვიანებით შემთხვევით არ გაიგზავნა და იგი ბათუმის ამბების გასამართლებელ ერთგვარ ალიბად იყო გააზრებული - ზუსტად არ ვიცოდით ხელშეკრულების შინაარსი და ამიტომ არ ვთმობდით ქალაქსო, თორემ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ 1920 წლის 24 აგვისტოს - მოსკოვის რუსეთ-თურქეთის I კონფერენციაზე იყო შემუშავებული. ამას გარდა, ცნობილია, რომ ბათუმის საკითხზე თურქეთისა და რუსეთის დელეგაციები მოსკოვში საბოლოოდ 10 მარტს შეთანხმდნენ და ეს ინფორმაცია თურქეთის სახელისუფლო და სამხედრო წრეებისათვის უცხო აღარ იქნებოდა, რასაც მუსტაფა ქემალის ერთი ჩანაწერიც ცხადყოფს.[254]

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად დამატებით არგუმენტსაც მოვიშველიებთ: არსებობს დოკუმენტი (იგი ზემოთაც დავიმოწმეთ), რომლის თანახმად, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი აჰმედ მუჰთარი იმხანად მეჯლისში გამოსვლისას ხაზს უსვამდა: „ბათუმის დაკავების შემდეგ ჩავატარებთ პლებისციტს და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი"[255] (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).

საგულისხმოა ასევე, რომ სიტყვა პლებისციტი გვხვდება ანკარის მთავრობის რამდენიმე მინისტრის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის სიმონ მდივნისათვის 1921 წლის თებერვლის ბოლოს გადაცემულ თურქეთ-საქართველოს შეთანხმების პროექტშიც. თურქები წინადადებას აყენებდნენ და მოითხოვდნენ: მას შემდეგ, რაც მათი ჯარები

---

[252] Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т. 2, часть 1, М., 2005, გვ. 473.

[253] МИД СССР. Документы внешней политики СССР, т, IV, М., 1960, გვ. 14-15.

[254] М. Кемаль, Путь новой Турции, т. III, М., 1934, გვ. 242.

[255] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108

ბათუმის ოლქსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს დაიკავებდნენ, ამ რეგიონში ჩაეტარებინათ პლებისციტი.[256]

მოსახლეობის გამოკითხვა თავიანთ სასარგებლოდ თურქებს 1918 წელსაც ჰქონდათ გამოყენებული, როცა ბრესტის ზავით მათთვის მიკუთვნებულ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებში ოსმალეთისათვის სასურველი შედეგები უხეში დარღვევებით მიიღეს, მაგრამ მისი კანონიერება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. არადა, პლებისციტი მაშინ სინამდვილეში ღია წესით, შანტაჟის, ძალადობისა და ანტიქართული აგიტაციის პირობებში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმთან დაკავშირებით 1921 წლის თებერვალ-მარტში ხშირად ბეჭდავდა სტატიებს თურქული პერიოდული პრესა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტრაპიზონის გაზეთ „ისტიკბალი“-ს („მომავალი“) პუბლიკაციები „ჩვენი ბათუმი“, „ბათუმი სრულიად თურქული ქალაქია“ და სხვა, რომლებშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ „თურქები მზად არიან ერთსულოვნად იბრძოლონ ბათუმისათვის“.[257]

ყოველივე ზემოთქმული გვიმტკიცებს რწმენას, რომ ბათუმისათვის ბრძოლაში გენერალი ყარაბექირი და პოლკოვნიკი კიაზიმ ბეი მარტო არ ყოფილან და მათ ზურგს თურქეთის მთავრობა და საზოგადოებრივი აზრი უმაგრებდა.

სხვათა შორის, ასეთი შეხედულება იმხანად ქართულ პერიოდულ პრესაშიც გამოითქვა. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 20 მარტის ნომერში აღნიშნავდა: „ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული, თუ რა განზრახვები აქვს ქ. ბათომის და აჭარის მიმართ ანკარის მთავრობის მეთაურთ. მართალია, მათმა წარმომადგენლებმა მოსკოვის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით ბათომი და მისი ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში, როგორც მისი ნაწილები; ოსმალეთი ხელს იღებს მათზე; მოსკოვმა შეძლო მისი პრეტენზიების შეკვეცა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, მითუმეტეს სახელმწიფოთა შორის შეხლა შემოხლაში, მიღწეულ შეთანხმებას _ ქაღალდის სახით, მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ეძლევა. ... ხშირად, ვინტოვკები და მისი ხიშტები ასწორებენ ქაღალდის, ამა თუ იმ სახელმწიფოს, არახელსაყრელ მუხლებს. ამგვარი „შესწორების“ შეტანა მოსკოვში დადებულ

---

[256] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 27.

[257] К. Юст, Анатолийская печать, Тб., 1922, გვ. 39; 88.

ხელშეკრულებაში განუზრახავს, როგორც ეტყობა, ანკარის ნაციონალურ კრებას და მის უმაღლეს სარდლობას".[258]

თურქეთის მთავრობის მესვეურებს და არა ურჩ სამხედროებს მიაწერდა ბათუმის ავანტიურას ფედერალისტური პარტიის ცნობილი მოღვაწე თედო ღლონტიც. მისი პუბლიკაციის თანახმად, რომელიც გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში" 1921 წლის 25 მარტს გამოქვეყნდა, „ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს, როგორც ასეთს, აღარა ჰყავს პატრონი, რომ რევკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზემოთ გამოთქმული დეკლარაციაა, რომ საკმაოა საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა, ვინც შესძლებს ასეთ ცერემონიალს.

ქემალის მთელი პოლიტიკა არსებითად სრული უყურადღებობა იყო საქართველოს რევკომისადმი, მისი სისუსტის აღიარება, მისი სახელის დაცემა. მაშ სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ... ქემალის პოლიტიკა, როცა ანკარამ მოსკოვის თათბირის შემდეგ იურიდიულად აღიარა საქართველო და მესხეთი და სამაჰმადიანო საქართველო იცნო როგორც განუკვეთელი ნაწილი საქართველოს რესპუბლიკისა და ამის შემდეგ ქემალის ჯარის ნაწილები არა თუ არ გადიან საქართველოს ტერიტორიებიდან, პირიქით, ბრძოლას აწარმოებენ მაშინ, როცა ტერიტორიას იჭერს საქართველოს რევკომის ძალა?[259]

ამიტომ სწორი იქნება, დავეთანხმოთ პროფესორ ლევან თოიძეს, რომელიც წერდა: „უფრო ლოგიკური ჩანს შემდეგი: ანკარის მთავრობა იმედოვნებდა, რომ თუ მისი ჯარი ბათუმს აჭარაში წითელი არმიის ნაწილების შესვლამდე დაიკავებდა და მოსკოვს ფაქტის წინაშე დააყენებდა, წითელი არმია თურქეთის ჯართან ბათუმისათვის ომს არ გამართავდა".[260]

ანკარის ხელისუფლებაში სავარაუდოდ ასე ფიქრობდნენ: რაკი რუსეთმა თურქეთის ხელშეწყობით საქართველოში მთავარ საწადელს მიაღწია, - იგი დაამარცხა, გაასაბჭოვა და თავის გავლენას დაუმორჩილა, მისი ერთი ქალაქისათვის მოსკოვს, შესაძლოა, თავი აღარც გამოედო. ამიტომაც ბათუმი სამხედრო შენაერთებით დაიკავა. თუ შერჩებოდა, ხომ კარგი, თუ

---

[258] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ., 20 მარტი.

[259] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 25 მარტი.

[260] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 30.

არადა, ჯარის ნაწილების ევაკუაციას წინ რა ედგა. სინამდვილეშიც ასე მოხდა.

თურქებმა იცოდნენ, რომ ბათუმი და მისი ოლქი რამდენიმე ხნის წინ რუსეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს „უდავო შემადგენელ ნაწილად" (1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის ხელშეკრულების IV მუხლი, 1 პუნქტი), ანკარის ხელისუფლებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ს. მდივანიც უხსნიდა, რომ „ბათუმი და მისი ოლქი არის თვალი და გული საქართველოსი, ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლია", რომ „კონსტიტუციით დადგენილია ბათუმისა და მისი ოლქის ავტონომია",[261] მაგრამ, როგორც ჩანს, ანკარაში სრულად არ იცნობდნენ საბჭოთა რუსეთის ლიდერების აზრს ბათუმის მნიშვნელობაზე, რომ „ბათუმი არის კავკასიის კარიბჭე და საბჭოთა სამყაროსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შავი ზღვის ერთადერთი პორტი და რომ ნავსადგური და მასთან დამაკავშირებელი რკინიგზა თუ შოსე აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეთ საბჭოთა რესპუბლიკებს და ამ შემთხვევაში - საქართველოს სსრ-ს".[262] კრემლის მესვეურთა თვალთახედვით, „ბაქო უბათუმოდ არაფერია". ამასთან, განსაკუთრებულია ბათუმის გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან მასზე გადის აზიის სიღრმეში მიმავალი ეკონომიკური და სტრატეგიული გზები და სხვ.[263] აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისას, როცა რუსეთს გაუჩნდა ალტერნატივა - კავკასიაში ოსმალეთისაგან მიეღო ან ფულადი კონტრიბუცია ან ტერიტორიები, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ტერიტორია ამჯობინა და განაცხადა: „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი".[264] მართალია, ბრესტის ზავით ლენინმა ბათუმი გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს დაუთმო, მაგრამ თურქეთთან მოლაპარაკების მომენტისათვის ეს ხელშეკრულება კრემლის მიერ უკვე კარგა ხნის ანულირებული იყო.

როგორც ვნახეთ, სტალინი არ გამორიცხავდა ბათუმისათვის თურქეთთან საბჭოთა ჯარით დაპირისპირების შესაძლებლობას. მეტიც, იგი

---

[261] კრებული „საისტორიო მოამბე", 1998-199, № 71-72, გვ. 254.

[262] http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108

[263] А. Ментешашвили, Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с советской Россией и Антантой. 1918-1921 гг. http: //www.pseudology.org/chtivo/Avtandil.htm

[264] საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 2004, გვ. 190.

ორჯონიკიძეს კიდევაც ურჩევდა, იმოქმედე და მერე თავის მართლება არ გაგვიჭირდებაო. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. საბჭოთა რუსეთი თურქეთთან ომს მართლაც „მოერიდა“.

თუ გაზეთ „პრავდას“ ვერწმუნებით, 1921 წლის 19 მარტს ბათუმში შესულ წითელი არმიის ნაწილებს აქ თურქი ასკერები არ დახვედრიან.[265] ბოლშევიკური გამოცემის ეს ცნობა მართალი არ არის. მაგრამ კომუნისტურ ისტორიოგრაფიაში ისიც აღნიშნულია, რომ ბათუმის განთავისუფლება და მისი დედა სამშობლოს წიაღში შენარჩუნება XI წითელი არმიის, საქართველოსა თუ ბათუმის ბოლშევიკური რევკომების დამსახურებაა. „ბათუმის რევკომი გადავიდა ციხის შტაბის შენობაში და დაუყოვნებლივ შეუდგა თურქებისაგან აჭარის განთავისუფლებას. ... რევკომის მებრძოლმა რაზმმა ყოფილი მენშევიკური ჯარის ნაწილებთან ერთად ... წითელი არმიის დახმარებით მოძალადე თურქები აჭარიდან საბოლოოდ განდევნა“, ვკითხულობთ ერთ ნაშრომში.[266]

„ბათუმის მიმართულებით მოქმედი წითელი არმიის ნაწილებს მიეცათ მითითება: სწრაფი მარშით სამთო გადასასვლელების და სხვა დაბრკოლებების ყველა სიძნელეთა გადალახვით, უმოკლეს ვადაში დაიკავონ ბათუმი. ... მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებით თურქებს ბათუმი უნდა დაეცალათ, მაგრამ ისინი ამ მოთხოვნას არ ასრულებდნენ.

რევკომი მედგრად ებრძოდა თურქებს. ამასობაში წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შემოვიდნენ. 21 მარტისათვის ბათუმი თურქებისაგან გაიწმინდა. მალე თურქებმა, ს. ორჯონიკიძის მოთხოვნათა საფუძველზე, აჭარაც დასტოვეს“,- ხაზს უსვამს სხვა ავტორი.[267]

ზემოთ მოხმობილ მ. ტრასკუნოვის გამოკვლევის თანახმად, „98-ე ბრიგადის 292-ე მსროლელი დივიზიის დახმარებით ქართველმა ჯარისკაცებმა წითელი დროშის ორდენის ორგზის კავალერის ივანე ნიკოლოზის ძე ზოლოტოვის მეთაურობით განდევნეს თურქები ბათუმიდან. აი რას წერს თავის მოგონებებში ი. ნ. ზოლოტოვი ამ ბრძოლების შესახებ:

„ქიაზიმის ნაწილები ბრძოლებს აწარმოებდა ჩვენთან. პირველი და მეორე ბატალიონის ერთობლივმა დარტყმამ გადაწყვიტა საქმის ბედი. თურქეთის ჯარები ტყვედ დანებდნენ თავიანთი შტაბით. ...მას შემდეგ,

---

[265] გაზ. „Правда“, 1921 წ., 22 მარტი.

[266] პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები. წიგნი მეორე (1914-1921 წ.წ.), ბათუმი, 1962, გვ. 182-183.

[267] ჯ. ჩხეიძე, ბათუმი. ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1959, გვ. 120-122.

რაც ჩვენ ხელთ ვიგდეთ ბარცხანა, ბათუმის მხრიდან ცეცხლი შეწყდა. ... კიაზიმ კარა ბექირმა თანხმობა განაცხადა მოეხსნა თავისი პოსტები".[268]

2002 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ერთ საინტერესო წიგნში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ტერიტორიიდან კიაზიმ ყარაბექირ ფაშას ბანდების განდევნის ორგანიზებაში ქმედითი მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რსფსრ-ს საელჩოს სამხედრო ატაშემ პავლე სიტინმა".[269] ქართულ წყაროებში სიტინთან დაკავშირებით საწინააღმდეგო ინფორმაცია არსებობს. მაგალითად, საარქივო დოკუმენტის თანახმად: როცა ადგილობრივმა რევკომმა იმხანად ბათუმში მყოფ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშეს ქალაქის დაცვაში მონაწილეობა შესთავაზა პ. სიტინმა „ზოგიერთი მოსაზრებით" ამაზე უარი თქვა.[270]

რაც შეეხება რუსეთის ელჩის ა. შეინმანის მოქმედებას ბათუმისათვის ბრძოლის დღეებში, ამის თაობაზეც ურთიერთგამომრიცხავი მასალა მოგვეპოვება. სერგო ქავთარაძის ცნობით, მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვედი და ბათუმის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო - რევკომი ჩამოვაყალიბეთ, „მაშინვე წავედი მენშევიკების მიერ ევაკუირებულ რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელ ა. შ-თან, რომ მასთან ერთად განმეხილა ბათუმში თურქების შემოჭრის საკითხი.

- თქვენ უნდა მიიღოთ საჩქარო ზომები ამ ფაქტთან დაკავშირებით, - ვუთხარი მე. საქართველოში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება ... ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი. ... თქვენ ერთადერთი წარმომადგენელი ხართ რსფსრ-ის, რომლის ჯარებიც მოქმედებენ საქართველოში და თქვენ მოვალე ხართ შეუდგეთ მოლაპარაკებას თურქებთან, რათა მათ დაუყოვნებლივ დატოვონ საბჭოთა ტერიტორია. ... ეს თქვენი მოვალეობაა...

- არა, ჩემი აზრით, ეს არ უნდა შედიოდეს ჩემს მოვალეობაში. ... მე სამხედრო კაცი არა ვარ. ... მე არ მიყვარს სროლა. ... უკეთესია, რომ თქვენ საჩქაროდ გამამგზავროთ თბილისში."

„გაოცებული დავრჩი ასეთი პასუხით, მაგრამ ცხადი იყო, რომ შეშინებული კაცის დარწმუნება და დაჯერება არ შეიძლებოდა და მასთან ლაპა-

---

[268] მ. ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ.,1962, გვ. 114-115.

[269] В. Лурье, В. Кочик. ГРУ: дела и люди, СПб., 2002, გვ. 310-311.

[270] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 31.

რაკი ამ მიმართულებით მხოლოდ დროის დაკარგვა იყოო“ - დასძენს ს. ქავთარაძე.[271]

XI წითელი არმიის 292-ე დივიზიის მეთაურის ცნობით, ბათუმთან მიახლოებისას მას მიუღია უშუალო უფროსისა და საქართველოში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის შეინმანის ბრძანება, შევიდეს ქალაქში და გადავიდეს სამხედრო საბჭოს განკარგულებაში, მაგრამ თურქი ასკერები ამის საშუალებას არ აძლევენ.[272]

სრულიად საწინააღმდეგოდაა ვითარება აღწერილი ქართველი მედიკოსის იოსებ ასლანიშვილის პუბლიკაციაში, რომელიც 1921 წლის მაისით თარიღდება: „საერთო აზრი, რომელიც იმ დღეებში ტრიალებდა ყველა ქართველში და მასთანავე უმთავრესად მთელ ჯარში სარდლობიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე, - წერს ასლანიშვილი, - იყო ერთი, რადაც არ დაგვიჯდეს, ბათომი უნდა შერჩეს საქართველოს რესპუბლიკას, ბათომი უნდა შერჩეს ქართველ ერს. ... ეს აზრი ნათელი იყო ყველასათვის და ამ აზრმა გაიმარჯვა, ვინაიდან გაიმარჯვა ქართული ჯარის ყველა იმ ნაწილმა, რომელიც იბრძოდა იმ დღეებში ბათომისათვის, რომელიც იცავდა ბათომს თურქების ურდოებისაგან“ და რომ, „ბრძოლა სწარმოებდა სამფეროვანი ქართული დროშით“.[273]

ზუსტად იგივეს მოგვითხრობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბათუმის დაცვისათვის ბრძოლის ორგანიზებაში. გ. ლორთქიფანიძე წერს: „გალომებული ეკვეთა მტერს ქართველი მხედრობის ნაშთი, უკუაქცია იგი და თავის სისხლითა და ძვლებით სამარადისოთ ჩააქვიტკირა ყოფილ აზიზიეს და აწ პატრიოტთა მოედანზე საქართველოს დროშის ფოლადის ტარი. ... რუსეთის მხედრობამ არავითარი დახმარება არ გაუწია ქართულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ. ... აქაური რუსული ფრონტის სარდალი, ცნობილი გენერალი ჟლობა საჯაროთ აცხადებდა, რომ ბოროტი ხმები ავრცელებენ თითქოს რუსები ოსმალებს ებრძვიან, ნამდვილად კი ეს ქართველებისა და ოსმალების ომიაო. და ეს სრული სიმართლე იყო - მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მხედრობა ებრძოდა ოსმალთა ბრიგადებს და მხოლოდ და მხოლოდ მისი თავდადებული ბრძოლით იქნა განდევნილი სა-

---

[271] ს. ქავთარაძე, 1921 წელი. თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, №11, გვ. 146.
[272] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 36.
[273]გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 6, 13 მაისი.

ქართველოს ისტორიული დაუნდობელი მტერი ბათომის ქუჩებიდან და სერებიდან".[274]

საყურადღებოა ცნობილი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის გერონტი ქიქოძის მოგონების ფრაგმენტიც. ცნობილია, რომ გ. ქიქოძე საქართველოს რევკომის დავალებით მიხაკო წერეთელსა და თედო ღლონტთან ერთად თბილისიდან საგანგებოდ გაიგზავნა ბათუმში ნოე ჟორდანიასთან მოსალაპარაკებლად. მემუარისტის სიტყვით: „ჯერ კიდევ ჟორდანიას მთავრობა ბათუმიდან გასული არ იყო, რომ ქალაქში თურქების ჯარის ნაწილები შემოვიდნენ. ისინი თავდაპირველად წყნარად დადიოდნენ ქუჩებში, შემდეგ მოულოდნელად თავს დაესხნენ ფორტებს და რამდენიმე მათგანი დაიჭირეს. მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ ქართველი ჯარის მხრივ და დიდად დაზარალებულებმა ჯერ ფორტები დაცალეს, ხოლო შემდეგ ქალაქი დატოვეს. ამ ბრძოლაში წითელი არმიის ნაწილებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ცხადი იყო, მათ ნაბრძანები ჰქონდათ წინააღმდეგობა არ გაეწიათ თურქებისათვის. ... ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა ისეთმა პატრიოტმა ოფიცრებმა, როგორიც იყვნენ ძმები პეტრე, ლადო და დავით ქარუმიძეები, ფრიდონ წულუკიძემ, რიგითმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით სტუდენტების წრეებიდან. ამრიგად, ბათუმი ... შენარჩუნებულ იქნა რუსეთის წითელი არმიის მიერ დამარცხებული ჯარის წყალობით".[275]

ნათქვამი რომ გადაჭარბებად არ წარმოჩნდეს, დავიმოწმებთ ზოგიერთი საბჭოთა სამხედრო მეთაურისა და ბოლშევიკი ლიდერის შეხედულებასაც.

მე-18 ცხენოსანი დივიზიის უფროსი დ. ჟლობა, რომელიც ბათუმში პირველი შეუძღვა რუსეთის წითელი არმიის შენაერთებს, ოპერატიულ ცნობაში ს. ორჯონიკიძეს წერდა: როცა მოწინავე ნაწილები მიუახლოვდნენ ქალაქს, მე გავგზავნე პარლამენტარები. მათი დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ ქართველ მებრძოლთა შენაერთებს ... გაენადგურებინათ ოსმალები, რომლებიც ცდილობდნენ დაეპყროთ ქალაქი.[276]

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის სიტყვით, „მენშევიკების ჯარის ნაწილებს, რომლებიც მაშინ ბათომში იმყოფებოდნენ ვერ წარმოედგინათ, რომ მთავრობა, რომელსაც ისინი იარაღით

---

[274] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ.219, 222.

[275] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 28, 60.

[276] Борьба за победу советской власти в Аджарии. Документы и материалы, Батуми, 1961, გვ. 377.

ხელში იცავდნენ, თვითონ გაიქცეოდა თავისი თავს გადასარჩენად, და იმათ კი „მტერს" ჩაუგდებდა ხელში. ...

საქართველოს მხედრობამ ... გადასწყვიტა ბათომის დაბრუნება საბჭოთა საქართველოსათვის და ეს თავისი სისხლით განახორციელა".[277]

საჭიროდ მიგვაჩნია, შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს: არსებობს თვალსაზრისი, რომ მოსკოვის მეორე კონფერენციაზე 1921 წლის 10 მარტს საზღვრების საკითხზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, თურქეთის დელეგაციამ ივალდებულა, დაუყოვნებლივ მოეთხოვა თავისი მთავრობისაგან, გაეწმინდა ყველა ის ტერიტორია, რომლებიც აღმოჩნდნენ დადგენილი სასაზღვრო ხაზების მიღმა.[278] ვერბალური ვალდებულების პარალელურად, გასარკვევია, როდის შევიდა ძალაში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულება. ტექსტში დოკუმენტის ამოქმედების თარიღი მითითებული არ არის. ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის ორმხრივი შეთანხმება ძალაში შედის ან ხელშეკრულების დადებისთანავე - ხელმოწერის ფაქტით, რაც სათანადოდ აღინიშნება დოკუმენტში ან კიდევ რატიფიკაციის შემდეგ.

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ძმობისა და მეგობრობის მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა იმავე წლის 20 ივლისს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო 31 ივლისს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ. რაც შეეხება სარატიფიკაციო სიგელებს, მათი გაცვლა 1922 წლის 22 სექტემბერს ყარსში განხორციელდა. თუ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება ფაქტის ძალით არ ამოქმედებულა და მან ძალმოსილება მხოლოდ რატიფიკაციის შემდეგ შეიძინა, გამოდის რომ ეს დოკუმენტი თურქეთის მხარეს ბათუმის საკითხში ხელ-ფეხს ვერ შეუბორკავდა და მის მოქმედებას იურიდიულად ვერ შეზღუდავდა. ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო დასაფასებელი და საპატიო ხდება ბათუმის შესანარჩუნებლად ქართველი მხედრობის მიერ გაწეული ძალისხმევა და თავდადება.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამშობლოს დატოვებისა და ბათუმიდან ემიგრაციაში გამგზავრების წინ საპატიმროში მყოფი ბოლშევიკები ციხიდან გაანთავისუფლა, რომელთაც ქალაქის სამართავად დროებითი ხელისუფლე-

---

[277] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 239-240.

[278] С. И. Кузнецова, Установление Советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 47.

ბის შედგენა შესთავაზა. ბათუმის ბოლშევიკურ რევკომს სათავეში სერგო ქავთარაძე ჩაუდგა.

ქართველი გენერლებისა და ოფიცრების წინადადებით რევკომმა ბათუმიდან თურქთა განდევნის საქმე გენერალ გიორგი მაზნიაშვილს მიანდო. პატრიოტმა გენერალმა უყოყმანოდ იკისრა დიდად საპასუხისმგებლო საქმე, სათავეში ჩაუდგა ქალაქში მყოფ ქართული ჯარის ნაწილებს და მომალადე თურქებს ენერგიულად შეუტია. ქართული მხედრობის დასახმარებლად ფეხზე დადგა ადგილობრივი მაჰმადიანების პროქართული ჯგუფი ახმედ ქიქავასა და აბდულ თხილაიშვილის მეთაურობით. მაზნიაშვილის განკარგულებაში გამოცხადდნენ ბათუმის მიმდებარე სოფლების მცხოვრებნი ოსმან მიქელაძის წინამძღოლობით,[279] ასევე მოხალისე არტილერისტთა და სხვა რაზმები.

სამხედრო მოქმედებანი ორ დღეს გაგრძელდა. თურქებმა მარცხი განიცადეს და იძულებულნი გახდნენ პოზიციები დაეთმოთ. 1921 წლის 20 მარტის 12 საათისათვის ბათუმსა და მის ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო.

ამრიგად, ბათუმის ბედი საბოლოოდ არა კრემლის კაბინეტებში, არამედ თვით ბათუმის ფორტებზე - ბრძოლის ველზე გადაწყდა, ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედრობამ შეასრულა, რომელმაც თავისი უკანასკნელი შერკინება ეროვნული დროშით წარმატებით დააგვირგვინა და ქვეყნის მთავარი საზღვაო კარიბჭე საქართველოს შეუნარჩუნა.

---

[279] ო. გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, „კლიო“, 2001, № 11, გვ. 144.

2. „თქვენი ვაჟკაცობა ისე არასოდეს სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ახლა!“ (ქართული მხედრობა და ბათუმის განთავისუფლება)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალა არაორდინალურად იყო მოწყობილი. მუდმივი ჯარი - რეგულარული არმია ძირითადად 2 ქვეითი დივიზიის, ერთი საკავალერიო და ერთი საარტილერიო ბრიგადისაგან შედგებოდა. უშუალოდ ქვეყნის საზღვრების დაცვისათვის შეიქმნა არმიის განსაკუთრებული ნაწილი „სანაპირო ჯარი“. სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წლით განისაზღვრებოდა (აქედან ნამდვილი სამხედრო სამსახური გრძელდებოდა 2 წელი, თადარიგში ყოფნა 15 წელი, ხოლო ლაშქარში - 8 წელი). ლაშქარი მოიაზრებოდა რეზერვად, რომელიც საგარეო საფრთხის ან ომის შემთხვევაში ქუდზე კაცის პრინციპით 17-დან 50 წლამდე მამაკაცთაგან იკრიბებოდა. ცნობილი სამხედრო მოღვაწეების, გენერალ-ლეიტენანტ ვასილ გაბაშვილისა და იმ დროს გენერალური შტაბის პოლკოვნიკის გიორგი კვინიტაძის მიერ 1918 წელს შედგენილი „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის“ თანახმად, რეგულარული არმიის დაკომპლექტება ტერიტორიულ პრინციპს უნდა დამყარებოდა. ჯარის ფორმირების ამგვარი პრინციპი, გარდა იმისა, რომ არმიასა და მოსახლეობას შორის კავშირს უზრუნველყოფდა, მობილიზაციის დროსა და ხარჯებსაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა, მაგრამ იგი პრაქტიკაში სრულად არ განხორციელებულა.

არმიის პარალელურად, არსებობას განაგრძობდა ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოციალ-დემოკრატიის მიერ ჩამოყალიბებული წითელი გვარდია, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახალხო გვარდია უწოდეს.[280] ამ უკანასკნელს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი უწევდა. გვარდია თავისი მთავარი შტაბის მეშვეობით, მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა და არა სამხედრო სამინისტროს.

„საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის დებულების“ შესაბამისად, უწყების ყოველი დარგის ხელმძღვანელობა სამხედრო

---

[280] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 112-113.

მინისტრს ევალებოდა, ომიანობის დროს კი მოქმედი შეიარაღებული ძალების მეთაურად, საგანგებო დეკრეტით, მთავარსარდალი ინიშნებოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ეროვნული არმიის ფორმირება ნაჩქარევად, რთულ პირობებში, დროისა და ფინანსური დეფიციტის ვითარებაში მიმდინარეობდა ამ გარემოებებს არ შეიძლებოდა კვალი არ დაეტყო მის ორგანიზაციაზე. მაგრამ არანაკლები იყო სუბიექტური ფაქტორის როლიც, კერძოდ, მმართველი ძალის, - სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება მუდმივი ჯარისადმი. მენშევიკები უპირატესობას თავიანთ პარტიულ გვარდიას ანიჭებდნენ. სახალხო გვარდიაც რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა სისტემის ნაწილი იყო და მის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა, თუმცა, ზევრი თანამედროვის დახასიათებით, იგი უპირველესად პარტიული სამხედრო ფორმირება იყო, რომლის მოვლა-პატრონობაზე მთავრობა უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე რეგულარული არმიის შენახვასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე. გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვით, „გვარდია ნებიერი იყო, არმია გერი".[281]

საქართველოს რუსეთის არმიაში ნამსახური, ომებში გამოწრთობილი მრავალრიცხოვანი გენერალიტეტი და ოფიცრობა ჰყავდა. მათი დიდი ნაწილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს სამსახურში, მზად იყო, თავისი წვლილი შეეტანა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად უნდობლობას და არაადეკვატურ დამოკიდებულებას განიცდიდა. გარკვეულწილად ამითაც აიხსნება, რომ არმიის შექმნას სერიოზული ხარვეზებიც ახლდა, თუმცა მაინც შესაძლებელი გახდა ბრძოლისუნარიანი და მობილური, 20-30 ათას კაციანი არმიის ჩამოყალიბება.[282]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო შენაერთებმა დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის, ისე რესპუბლიკის ფარგლებში სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. მათ სხვადასხვა დროს წარმატებით მოიგერიეს მეზობელ სახელმწიფოთა მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული შემოტევები: აღკვეთეს სომხეთის რეგულარული ჯარის თავდასხმა, შეაჩერეს დენიკინის მოხალისეთა არმიის შემოჭრა აფხაზეთში, უკ-

---

[281] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 160.

[282] ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 122.

უაგდეს აზერბაიჯანიდან საქართველოს საზღვრებისაკენ დაძრული საბჭოთა წითელი ნაწილები და სხვ.

1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიას საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის შენაერთები დაუპირისპირა. ქვეყნის მასშტაბით საყოველთაო მობილიზაცია ვერ განხორციელდა, მაგრამ საქართველოს ცალკეულ კუთხეში შექმნილი შეიარაღებული რაზმები იმთავითვე ჩაებნენ შემოჭრილ მტერთან ბრძოლაში. დამპყრობელი ჯარი „დიდის თავდადებითა და მხნეობით იბრძოდა თავისი ერისა და რუსული სამშობლოს სახელისა და მოგებისათვის“.[283] მომხდურთ კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში განსაკუთრებით მედგრად დაუხვდნენ თბილისის სამხედრო სასწავლებლის აღსაზრდელები - იუნკრები, რომელთაც დროებით შეაჩერეს კიდეც მოწინააღმდეგის წინსვლა. 19 თებერვალს სოღანლუღის მისადგომებთან დატყვევებულ იქნა 1600-მდე რუსი წითელარმიელი და სხვა, მაგრამ თბილისის დაცვა ვერ მოხერხდა. 24 თებერვლის ღამეს ქართულ საბრძოლო შენაერთებს უკან დახევა და დედაქალაქის დატოვება ებრძანათ.

დედაქალაქის დატოვებამ, რომელიც სასწრაფოდ დაიკავა წითელმა არმიამ, დამთრგუნველად იმოქმედა ქართულ მხედრობაზე. უკანდახეული ჯარის მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა შესამჩნევად დაქვეითთა. იკლო დისციპლინამ, აქა იქ თავი იჩინა დეზერტირობამაც და სხვ. ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ემიგრანტ რევაზ გაბაშვილის სიტყვით, თბილისის შემდგომ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს მხოლოდ „პატარ-პატარა“ ბრძოლა გაუმართა ავჭალასა და მუხათგვერდთან, შემდეგ გორთან, საშუალო ბრძოლა მოხდა სოფელ ოსიაურთან და „ცოტა კიდევ ქუთაისის სადგურზე“.[284]

წითელი არმიის შეჩერება იგეგმებოდა საჯავახოს მიდამოებში, სადაც თავი მოიყარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 10 ათასამდე ჯარისკაცმა, მოეწყო სათანადო სიმაგრეები და სხვა, მაგრამ ამ ბრძოლის გამართვას ხელი შეუშალა საქართველოს დასახმარებლად მოწვეული თურქეთის არმიის მოქმედებამ ბათუმში.

ბათუმში, რომელიც ქვეყნის უპირველესი სანავსადგურო ქალაქი იყო, ქუთაისიდან უკანდახევის შემდეგ დროებით ბინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამაც დაიდო. ყოველივე ამის გამო,

---

[283] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 215.

[284] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება, ტ. 3, თბ., 1992, გვ. 536.

ქალაქში აუცილებლად უნდა მდგარიყო ჯარის გარკვეული ოდენობა. ეს კონტიგენტი წარმოადგენდა ზურგს, ვინაიდან მოწინავე პოზიციებად იმ პერიოდში მიიჩნეოდა საჯავახო-ნატანების ხაზი, სადაც დაბანაკებული იყო ქართული არმიის მთავარი ნაწილები. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ცნობით, 1921 წლის მარტის შუა რიცხვებისათვის ბათუმში მყოფი საქართველოს მხედრობის რიცხვი დაახლოებით 3 ათასს კაცს შეადგენდა.[285]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრებში საბჭოთა ჯარების შემოჭრისთანავე, ბათუმსა და მის ოლქში მობილიზებულ იქნა სამხედრო შენაერთი, რომელიც წყაროებში ზოგჯერ მე-9 ბატალიონის,[286] ბათუმის ბატალიონის[287] ან კიდევ მე-9 ლეგიონის სახელწოდებით იხსენიება.[288] ეს შენაერთი მაშინვე ფრონტზე გაემართა, მონაწილეობა მიიღო თბილისის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში, შემდეგ კი საქართველოს ჯარისა და გვარდიის სხვა ნაწილებთან ერთად უკან იხევდა. საფიქრებელია, რომ საჯავახოში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებს შორის ბათუმის ბატალიონიც იქნებოდა.

ბათუმის დაცვა დავალებული ჰქონდა ასპინძის ბატალიონს, რომელიც დაბანაკებული იყო ქალაქის ყაზარმებსა და სტრატეგიულ ფორტებზე.[289] ჯარის ამ ნაწილში 1921 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა შემდეგში ცნობილი ქართველი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე. მისი თქმით, აქვე იმ დროს მსახურობდნენ ასევე ქუთაისელი კოჩა პატარიძე, შალვა ტურაბელიძე და კოწო დოღონაძე. აკაკი ვასაძე თანამებრძოლთა შორის ასახელებს უფროს ლეიტენანტ მაჭავარიანს, მეორე ასეულის ლეიტენანტ ჩიხლაძეს და მეტყვიამფრქვევე ქარქაშაძეს (ზემო იმერეთიდან). ბატალიონის „კაპტინარმუსი“ ყოფილა პარმენ ლორია.[290]

ცნობილი ბათუმელი მწერალი და დრამატურგი პარმენ ლორია თავის ერთ „თვითანგარიშში“ მიუთითებს, რომ მას, 1918-1921 წლების განმავლობაში რამდენიმე ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. 1918 წლის გაზაფხულზე იგი ოსმალთა აგრესიისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და ბათუმის დამცველთა შორისაა. აქ ტყვედაც ჩავარდნილა, მაგრამ განთა-

---

[285] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 194.

[286] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 159.

[287] ს. კედია, თებერვალი. 1921 წელი, ჟურნ. „ლაშარი“, 1991, გვ. 140.

[288] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 159-160.

[289] ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 99.

[290] იქვე, გვ. 10-11.

ვისუფლებისთანავე ისევ ქართულ ჯარს დაბრუნებია. იბრძოდა ბორჩალოს მაზრაში შემოჭრილი თურქი ჩეთნიკების წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე დაშნაკური სომხეთის თავდასხმას იგერიებდა. მწერლის სიტყვით, „შემდეგ შავშეთ-ერუშეთის, ყარსისა და არდაგანის მხარეების შემოვლა და ზოგან ბრძოლაში მონაწილეობის მიღება“ მომიხდაო.[291] სამწუხაროდ, პ. ლორია არაფერს გვეუბნება 1921 წლის მარტის ამბებსა და ბათუმისათვის ბრძოლაში თავის მონაწილეობაზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დამატებითი კვლევისა და ძიების აუცილებლობას წარმოშობს.

ბათუმის განთავისუფლებაში მონაწილეობა მიუღია ასევე შემდეგში ცნობილ ქართველ ადვოკატს, იმ ხანად ლეიტენანტ ევგენ ღვალაძეს, რომელიც 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის „თეთრი გიორგის“ ჯვრით იყო დაჯილდოებული.[292]

მკვლევარი როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ბათუმისათვის ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიეღო შემდეგში თვალსაჩინო ქართველ მეცნიერსა და ეროვნულ მოღვაწეს პავლე ინგოროყვას.[293] ეს საყურადღებო ვარაუდი მოკლებულია არგუმენტირებას და ამ შემთხვევაშიც საჭიროდ რჩება კონკრეტული წყაროს მოძიება.

ცნობილი ბოლშევიკის, ბათუმის რევოლუციური კომიტეტის პირველი თავმჯდომარის სერგო ქავთარაძის ცნობით, „ჯარისკაცთა შორის დიდი უმრავლესობა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან იყო“.[294]

ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ გასახიზნად გემზე გადასვლის წინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას სამხედრო ძალების მთავარსარდალ გენერალ გიორგი კვინიტაძისათვის ქართული ჯარის დემობილიზაციის ბრძანების გაცემა დაუვალებია.

გ. კვინიტაძის სიტყვით, „ეს უცნაური ბრძანება“ „არარეალური და შეუსრულებელი იყო“. გენერალს ბრძანება საჯავახოში არ გადაუცია, რადგან ტელეგრაფის სადგური იმ დროს უკვე თურქთა ხელში ყოფილა და დოკუმენტის რკინიგზით გაგზავნაც შეუძლებელი აღმოჩენილა. აღსანიშ-

---

[291] აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 61, ანაწ. 1, საქმ. 46, ფურც. 1. ცნობა მოგვაწოდა პროფ. კახა სურგულაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

[292] http://ka.wikipedia.org/wiki/ევგენ_ღვალაძე

[293] რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 2003, გვ. 199.

[294] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, № 11, გვ. 146.

ნავია, რომ დემობილიზაციის ბრძანება მთავარსარდალს არც ბათუმის გარნიზონისათვის მიუცია, რადგან იგი „თურქების მიერ გამვლენილი აგრესიის გამო ვითარებას არ შეესაბამებოდა“. მეტიც, გიორგი კვინიტაძეს ფორტებზე დაყენებული ჯარის ნაწილებისათვის თურქების მხრიდან მტრული მოქმედების შემთხვევაში პოზიციების მტკიცედ დაცვა დაუვალებია.[295]

საკუთრივ ბათუმში მდგარ სამხედრო ნაწილებისთვის კი მთავარსარდალს „წესრიგის აღსადგენად და მორალის განსამტკიცებლად“ ალღუმი ჩაუტარებია. იუნკერ ნ. მათიკაშვილის მოგონების თანახმად, აღლუმს საზოგადოება აღფრთოვანებითა და იმედით შეჰყურებდა. „ამნაირ ჯარებით ნახავთ ბედს შეატრიალებს გენერალი კვინიტაძე“ - ისმოდა აქეთ-იქიდან“.[296]

პოლკოვნიკი ვ. თევზაძე გადმოგვცემს, რომ ბათუმში წითელი არმიის წარმომადგენლობის შემოსვლისას გ. კვინიტაძის ვაგონში განიხილებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ქართული მხედრობისა და საბჭოთა ნაწილების ერთობლივი მოქმედების საკითხი. „მთავრობისა და მთავრსარდლის ეს აქტი გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ გვსურდა ბოლშევიკებს დაეკავებინათ საქართველოს მთელი ტერიტორია, რომელიც მას ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოსვლამდის, ე.ი. 1921 წლის 11 თებერვლამდის და რომელიც ცნობილი იყო როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მიერ“.[297]

გენერალმა გიორგი კვინიტაძემ ემიგრირებულ მთავრობასთან ერთად ბათუმი 1921 წლის 18 მარტს დატოვა. ქართული სამხედრო შენაერთები, მათ შორის ბათუმში დისლოცირებული ბატალიონიც, მეთაურის გარეშე დარჩნენ. ერთი თანამედროვის სიტყვით, „ჯარი გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო და ასეთ გართულებულ მომენტის დროს წყურვილით აღსავსე, უცდიდა მთავრობას, უცდიდა მხედარს, მთავარსარდალს, მბრძანებელს, რომელიც თავის ცოდნით, თავის გამოცდილებით გაუძღვებოდა ჯარს, მისცემდა მას შესაფერის გეზს“.[298]

ცნობილია, რომ ბათუმის დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც საქართველოს მთავრობის უცხოეთში გახიზვნის შემდეგ ქალაქში ძალაუფლებას დაეპატრონა, ქართული ჯარის ხელმძღვანელობა გიორ-

---

[295] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 126-127.

[296] ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1990, № 1, გვ. 90-91.

[297] ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990, გვ. 52.

[298] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 6 მაისი.

გი მაზნიაშვილს დაავალა. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების რეკომენდაციით, მამაცი გენერალი რევკომმა საჯავახოდან ბათუმში საგანგებოდ გაიწვია. სერგო ქავთარაძის მოგონების თანახმად, ხანში შესული გენერალი, რომელიც თითქოს ოჯახთან ერთად თურქეთში გახიზვნას აპირებდა, დახვრეტის იძულებით დაუთანხმებიათ, სათავეში ჩადგომოდა ქალაქის დაცვას და თურქებისაგან მის გაწმენდას.[299] ს. ქავთარაძის ცნობა რამდენადმე გადაჭარბებული ჩანს. გ. მაზნიაშვილი სამშობლოს დატოვებას არ აპირებდა, ხოლო რაც შეეხება ბათუმის განთავისუფლების სამხედრო მეთაურობას, მან ეს გადაწყვეტილება საქმეში გარკვევისა და ქართველ გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფთან მოთათბირების შედეგად მიიღო.

ბათუმში გამგზავრებულმა გიორგი მაზნიაშვილმა თან იახლა კახეთის პარტიზანული რაზმი, რომელიც შედგებოდა 50 მებრძოლისა და 2 ტყვიამფრქვევისაგან.[300] წყაროებიდან არ ჩანს, რომ უშუალოდ ბრძოლის დღეებში გენერალს საჯავახოდან სხვა რომელიმე ნაწილიც გამოეხმოს.

გ. მაზნიაშვილზე არჩევანის შეჩერება სწორი გადაწყვეტილება იყო. მისი დანიშვნით, როგორც იოსებ ასლანიშვილი შენიშნავდა, „ჯარს სათავეში მოექცა ისეთი სარდალი, რომელსაც არაერთი და ორი გამარჯვება უნახავს ქართველ ჯართან ერთად საქართველოს დაცვის საქმეში“.[301]

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართული მხედრობის დასახმარებლად ფეხზე დადგა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის მაჰმადიანების პროქართული ჯგუფი ახმედ ქიქავასა და აბდულ თხილაიშვილის მეთაურობით. მაზნიაშვილის განკარგულებაში გამოცხადდნენ ბათუმის მიმდებარე სოფლების მცხოვრებნი ოსმან მიქელაძის წინამძღოლობით,[302] ასევე მოხალისე არტილერისტთა და სხვა რაზმები.

გ. მაზნიაშვილმა ბათუმის ციხის რაიონი ორ მებრძოლ უბნად გაყო. ქალაქის ერთი ნაწილი, რომელიც გარს ეკვროდა ბარცხანისა და კახაბრის ფორტებს, დაუქვემდებარა გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო მეორე ნაწილის დასაცავად, სტეფანოვკისა და ანარიის სიმაგრეთა უფროსად დანიშნა გენერალი ართმელაძე.[303]

---

[299] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, № 11, გვ. 147.

[300] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 197.

[301] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 6 მაისი.

[302] ო. გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, „კლიო“, 2001, № 11, გვ. 144.

[303] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 202.

ქართულმა შენაერთებმა დაიჭირეს პოზიციები ნავსადგურიდან საბარგო სადგურამდე. მათი ცდა იყო, აეძულებინა ოსმალები, დაეყარათ იარაღი, მაგრამ თურქები უკან დახევას და ქალაქის დატოვებას არ აპირებდნენ.

რევკომის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ოსმალებთან შეტაკება გამოერიცხათ. მათთვის ცნობილი იყო, რომ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას" საბჭოთა რუსეთსა და ანკარის მთავრობას შორის. ამიტომ ისინი განუწყვეტლივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქიაზიმ ბეისთან, რომ საქმე უსისხლოდ დაესრულებინათ. „ქიაზიმ-ბეი ერთის მხრივ არწმუნებდა დელეგატებს, რომ ის მზადაა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს შექმნილი მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთის ჯარების უფროსებისაგან დეპეშით მოითხოვდა მაშველ ჯარებს". ამ დეპეშებს ქართველები იჭერდნენ და ადგენდნენ შტაბში.[304]

ბათუმსა და მის ოლქში შემოსული „მოკავშირე" თურქების რეგიონიდან გაძევების მთელი სიმძიმე რამდენიმე პატრიოტ გენერალსა და ოფიცერს, დასახელებულ ასპინძის ბატალიონს, კახეთის მცირერიცხოვან რაზმსა და ადგილობრივ მოხალისეებს დააწვა. თუ სერგო ქავთარაძის მოგონებებს ვენდობით, სახალხო გვარდიის ნაწილებს, რომლებიც ქალაქში თავიანთ რამდენიმე მეთაურთან (ა. დგებუაძე, ვ. ჯიბლაძე) ერთად იმყოფებოდნენ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ.[305]

საბრძოლო ოპერაციების წარმატებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის განთავისუფლების საერთო მეთაურის, გიორგი მაზნიაშვილის მაღალი ავტორიტეტი ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის, გამოცდილი გენერლის მხედართმთავრული ნიჭი და საბრძოლო ტაქტიკა.

თანამედროვეთა შეფასებით, გიორგი მაზნიაშვილი იყო „კაცი უბრალო, კარგი მეომარი, ჯარისათვის საყვარელი, რომელსაც ჯართან ბევრი ჭირ-ვარამი, ბევრი გაჭირვება უნახავს, მაგრამ ამ ჯართან მრავალი კარგი და ღირშესანიშნავი გამარჯვებებიც. ... ვისაც ახსოვს ჩოლოქი, გაგრა, სოჭი, სოღანლუღი, ვისაც ახსოვს ამ რაიონებში, საქართველოს ამ ისტორიულ ადგილებში ბრძოლები ქართულ ჯარისა, იმას ახსოვს რასაკვირველია მხე-

---

[304] იქვე, გვ. 203.

[305] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი", 1957, № 11, გვ. 149.

დარი გიორგი მაზნიაშვილი, რომელსაც თავზარი დაუცია მტრისათვის და მტრის თვალშიც კი პატივისცემის და ქების ღირსი გამხდარა".[306]

აკაკი ვასაძე ასე ახასიათებს ქართული ჯარის სარდალს: „განუყრელი, ხორკლიანი ბზის ჯოხით მძიმედ დააბიჯებდა ტანმორჩილი გენერალი, თავისი უბრალოებიით დავით კლდიაშვილს უფრო მაგონებდა, ვიდრე ჩვენს სხვა ახოვან გენერლებს. რაღაც შინაგანი ნებისყოფა გამოსჭვიოდა ამ უბრალო ჭაღაროსნიდან".[307]

გიორგი მაზნიაშვილს ამ სიტყვებით მიუმართავს ფრონტის ხაზზე მდგომი ჯარისკაცებისათვის: „დღეს, დილის ათ საათზე, საქართველოს ბოლშევიკური პარტიის თხოვნით და ჩემდამი რწმუნებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქმედი არმიის სახელით, ულტიმატუმი წარვუდგინე ოსმალეთის ჯარების სარდლობას, რომ ხვალ, ათი საათისათვის, მათ მიერ უკანასკნელად დაკავებული ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფი, კახაბერიის სამხედრო სიმაგრეები დატოვონ და გავიდნენ მთლიანად ბათუმის ოლქიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგებზე პასუხს აგებს ოსმალეთის ჯარის სარდლობა ამ თვითნებური მოქმედებისათვის. იმედი მაქვს, მხარს დამიჭერთ, მამულისშვილნო! თქვენი ვაჟკაცობა ისე არასოდეს სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ახლა!"

„დედა შეერთოს ცოლად იმას, ვინც ამ საქმეში უკან დაიხიოს", - უპასუხეს მწყობრიდან და ჯარისკაცებმა ერთხმად დააგრიალეს: ვაშაა!!! [308]

იმ დროისათვის ბათუმსა და მის მისადგომებთან რამდენიმე სამხედრო სიმაგრე იყო მოწყობილი. მათ შორის: ანარიის, სტეფანოვკის, ბარცხანის, კახაბრის, ჰამიდიეს, დიდი და პატარა სამებისა და სხვ.

ბათუმისათვის ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს კახაბრის ფორტი წარმოადგენდა. ამ ფორტის დაკავებით ოსმალები ბათუმის ფაქტობრივი მფლობელნი ხდებოდნენ. ამიტომაც გ. მაზნიაშვილმა მთელი ყურადღება აქეთკენ გადმოიტანა. კახაბრისაკენ მაშველი ნაწილიც დაძრა. რადგან მისი რეზერვი მწირი იყო, მხედართმთავარმა წითელი კავალერიის მეთაურ დ. ჟლობასთან შეთანხმებით, ანარიისა და სტეფანოვკის ფორტებზე დროებით რუსი ცხენოსნები დააბინავა, ხოლო იქ მდგომ ქართულ გარნიზონებს ქალაქის გამოვლით კახაბრის ფორტის გაძლიერება უბრძანა.

---

[306] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 6 მაისი.

[307] ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 104.

[308] იქვე.

ამ ნაწილებს ბათუმის სხვადასხვა ქუჩაზე რიგი დაბრკოლების გადალახვა და თურქ ასკერებთან ხანმოკლე ბრძოლები მოუხდა. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხედრობამ ამოცანის შესრულება წარმატებით შეძლო და შეუერთდა კახაბრის ფორტის გარნიზონს.

ბრძოლები ქართულ ჯარსა და თურქ ასკერებს შორის, რომელთა რიცხვი დაახლოებით 3 ათას ხუთასს კაცს მოითვლიდა,[309] კიდევ რამდენიმე ადგილას გაიმართა. თურქებმა ვერ შეძლეს დაეკავებინათ ფრონტის ხაზად ქცეული საბარგო სადგური, რადგან აქ ქართული მხედრობა მამაცურად დაუხვდა მოწინააღმდეგეს. უშედეგოდ დასრულდა ასკერთა მცდელობა ხელთ ეგდოთ შენობა, რომელშიც რევკომი განთავსებულიყო. ახლად შექმნილმა ქართულმა ცხენოსანმა რაზმმა ოსმალები უკუაქცია.

ერთ-ერთი მთავარი შეტაკება ბარცხანას ფორტზე აღინიშნა. აქ თავი გამოიჩინეს პოლკოვნიკმა ფრიდონ წულუკიძემ და მისმა ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც მოულოდნელად შეიჭრა მტრის განლაგებაში. ნახევარ საათიანი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა. ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი რიცხვით 220-მდე დაატყვევეს და მთავარსარდლის შტაბში გაგზავნეს.[310]

მთავარი ბრძოლა 1921 წლის 19 მარტს შედგა. ოსმალებმა გაძლიერებული იერიში მიიტანეს კახაბრის ფორტზე, სადაც განლაგებული იყო მეორე საარტილერიო დივიზიონის ბატარეა მაიორ პეტრე ქარუმიძის მეთაურობით. ამ საბრძოლო ერთეულის შემადგენლობაში შედიოდნენ პეტრეს ღვიძლი ძმები, ოფიცრები ლადო და დავით ქარუმიძეებიც.[311] ქართველი არტილერისტები ბრწყინვალედ მოქმედებდნენ, თურქები მათ წინააღმდეგ ვერას აწყობდნენ, მაგრამ საგრძნობი იყო დანაკარგიც. პეტრე ქარუმიძეს თითქმის ყველა მსროლელი და მემიზნე მოუკლეს ან დაუჭრეს. ზარბაზნებიდან სროლა უკვე ოფიცრებს უხდებოდათ. რადგან ქალაქში არტილერიის სხვა ნაწილი არ იყო, საჭირო გახდა ზარბაზნიდან სროლის გარკვეული გამოცდილების მქონე ჯარისკაცების მოძიება. გ. მაზნიაშვილის განკარგულებით ბათუმის მცხოვრებლებს შორის მოაგროვეს 20-მდე ასეთი მოხალისე, რომლებიც ოპერატიულად გაგზავნეს პ. ქარუმიძის მისაშველებლად.

---

[309] ლ.თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ.39

[310] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 204.

[311] გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 60.

კახაბერთან დამარცხებული მტერი დაეშვა სტეფანოვკის სიმაგრისაკენ, მაგრამ იქ ჩასაფრებულმა მეოთხე ათასეულის გუნდმა „ცეცხლი დააყარა, რის შედეგად ოსმალთა შენაერთი სავსებით დაირღვა და გაიფანტა“.[312]

თურქებმა დიდი ზარალი განიცადეს. მათ მრავალი ჯარისკაცი და ორი თვალსაჩინო შტაბის ოფიცერი დაკარგეს. „კახაბრის ღელეები სავსე იყო მოკლული ასკერების გვამებითო“, იგონებდა გ. მაზნიაშვილი.[313]

ოსმალო ასკერები ავრცელებდნენ ხმებს, რომ „ქართველებს მოუვიდათ ფრანგების და ინგლისელების მაშველი ძალები, რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენდნენ ფორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ“.[314] ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. საფრანგეთის ესკადრამ ადმირალ დიუმენილის ბრძანებით, მართლაც გაუწია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საარტილერიო მხარდაჭერა აფხაზეთში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილების მოგერიებაში, დაბომბა მათი პოზიციები გაგრის მისადგომებთან, სოფელ პილენკოვოში (განთიადი), გუდაუთისა და ახალი ათონის რაიონში,[315] მაგრამ ბათუმისათვის ბრძოლაში უცხოურ ხომალდებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

აჭარაში თურქ ასკერთა შემოსვლის დღეებში ბათუმის ნავსადგურში საფრანგეთისა და იტალიის რამდენიმე მცურავი საშუალება იდგა. ისინი სრულ სამხედრო მზადყოფნაში იყვნენ, მაგრამ ბრძოლაში არ ჩარეულან. მათი როლი აქედან ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს მთავრობის წევრთა, პოლიტიკოსთა და სამხედროთა ნაწილის ევაკუაციით შემოიფარგლა. შეტაკების მთელმა სიმძიმემ სახმელეთო ბრძოლებზე გადაიარა. 20 მარტისათვის ბათუმის მიდამოები უკვე მთლიანად გაწმენდილი იყო თურქებისაგან. ოსმალო ასკერების განდევნაში მონაწილეობა არ მიუღია ბათუმში გოდერძის უღელტეხილით გადმოსულ არც საბჭოთა კავალერიას, რომელსაც დ. ჟლობა მეთაურობდა, და არც ქუთაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაგზავნილი ვაგონებით შემოყვანილ წითელი არმიის ქვეითთა შენაერთებს. „მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მხედრობა ებრძოდა ოსმალთა ბრიგადებს და მხოლოდ და მხოლოდ მისი თავდადებული ბრძოლით იქნა განდევნილი საქართველოს ისტორიული დაუნდობელი მტერი ბათომის ქუჩებიდან და სერები-

---

[312] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 13 მაისი.

[313] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 207.

[314] იქვე, გვ. 206.

[315] თ. ჩაჩანიძე, ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, ჟურნ. „არსენალი“, 2006, № 6, ივნისი, გვ. 41-42.

დან“.[316] საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის სიტყვით, „საქართველოს მხედრობამ ... გადასწყვიტა ბათომის დაბრუნება საბჭოთა საქართველოსათვის და ეს თავისი სისხლით განახორციელა“.[317]

გერონტი ქიქოძეც გვიდასტურებს, რომ „ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა ისეთმა პატრიოტმა ოფიცრებმა, როგორიც იყვნენ ძმები პეტრე, ლადო და დავით ქარუმიძეები, ფრიდონ წულუკიძემ, რიგითმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით სტუდენტების წრეებიდან. ამრიგად, ბათუმი ... შენარჩუნებულ იქნა რუსეთის წითელი არმიის მიერ დამარცხებული ჯარის წყალობით“.[318]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი გ. ლორთქიფანიძე წერს: „გალომებული ეკვეთა მტერს ქართველი მხედრობის ნაშთი, უკუაქცია იგი და თავის სისხლითა და ძვლებით სამარადისოთ ჩააქვიტკირა ყოფილ აზიზიეს და აწ პატრიოტთა მოედანზე საქართველოს დროშის ფოლადის ტარი“.[319]

ობიექტურობა მოითხოვს, გვერდი არ ავუაროთ ერთ საჩოთირო საკითხსაც, რომელიც ასევე ბათუმს უკავშირდება. საქმე ეხება ქართველ ოფიცერთა ჯგუფის განზრახვას, შეეპყროთ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, ხოლო ზოგიერთ მათგანს ფიზიკურადაც გასწორებოდნენ.

გენერალ გიორგი კვინიტაძის გადმოცემით, ,,რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბათუმს, მით უფრო იზრდებოდა მთავრობისადმი უარყოფითი განწყობილება.” თვით ქალაქში ეს განწყობილება აშკარა მტრულ დამოკიდებულებაში გადაზრდილა: ,,ჩემთან უამრავი ხალხი მოდიოდა, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებიც, და მეუბნებოდნენ, მთავრობამ ხალხს უღალატა, ქვეყნის თავდაცვაზე არ ზრუნავდაო და ა.შ და ა.შ. ისინი მთავრობის დაპატიმრებას მოითხოვდნენ. ხალხი მოდიოდა და საიდუმლო საუბრის მიზნით აუდიენციას ითხოვდა. მოდიოდნენ ოფიცრებიც, რომლებიც იგივეს დაუფარავად, ხმამაღლა აცხადებდნენ” - იგონებდა მთავარსარ-

---

316 გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 219, 222.

317 ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 239-240.

318 გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 60.

319 გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 219.

დალი.[320]ამასვე მოწმობს შალვა ამირეჯიბიც, რომელიც წერდა: ,,ბათუმში ოფიცერთა ერთ ჯგუფს სურდა მთავრობის დატუსაღება".[321]

საგულისხმოა, რომ ხსენებულ ფაქტს არც ნოე ჟორდანია უარყოფს. მოგვიანებით იგი აღიარებდა, რომ ბათუმში მართლაც გაჩაღდა აგიტაცია ოპოზიციურ პარტიებში: ,,გამოდიოდნენ მომხრედ მთავრობის დაშლის, ან დარჩენის, ბოლშევიკებთან მორიგების და სხვ. ... რადგანაც ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრების, საიდუმლოდ გადაწყვიტეს ჩვენი დატყვევება. შესდგა საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი. ერთ დღეს ვხედავ ვაგონიდან, ვიღაც საეჭვო ცხენოსანთა ბანდა მოგვიახლოვდა და აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. მხოლოდ ამით დაინტერესებულმა გავიგე სინამდვილეო".[322]

ეს ამბავი უფო კონკრეტულად მოთხრობილი აქვს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას მეუღლეს სოფიო ჩიჯავაძე-კედიას, რომელიც მომსწრე და თვითმხილველი იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქართველოში მოღვაწეობის ბოლო დღეებისა. მის მოგონებათა წიგნში ვკითხულობთ: ,,ბათუმში სპირიდონთან მოვიდნენ ქართველი მხედრები სუსლიკა ანდრონიკაშვილი, ჩრდილელი, ორი გვარდიელი, სხვების გვარი არ მახსოვს, ესენი აპირებდნენ მთავრობის დატუსაღებას და ზოგიერთის მოსპობასაც კი. სპირიდონმა ეს ხალხი გააჩერა: ,,ჩვენთვის ტერორი მისაღები არ არის, დაე, წავიდნენ ცოცხლები სადაც უნდათო".[323]

ნოე ჟორდანიას მემუარების საპასუხოდ გამოცემულ ბროშურაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე აღნიშნავს: ,,ჩემთან მოვიდნენ ოფიცრები და პოლიტიკური მოღვაწენი და მკითხეს, როგორ შევხედავ იმას, თუ ისინი დაიჭერენ მთავრობას. ვუპასუხე მოკლედ: გადაივლით ჩემს გვამზე".[324]

ქართველი გენერლის სიტყვით, ,,ამის ნებას ვერ მივცემდი, რადგან საკმაოდ პატიოსანი ვიყავი საიმისოდ, რომ არა მხოლოდ არ დამეშვა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, არამედ თუნდაც გულგრილად მეყურებინა

---

[320] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 128-129..

[321] ო. ჯანელიძე, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, კრებულში - რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები, თბ., 2009, გვ. 66.

[322] ნ. ჟორდანია, მემუარები, თბ, 1990., გვ. 126.

[323] ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 299.

[324] გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, პარიზი, 1954, გვ. 28.

ამგვარი უკანონო აქტისათვის; ვერ მივცემდი მთავრობის დაპატიმრების ნებას მისი ცხოვრების ურთულეს მომენტში, მაშინ, როდესაც იგი თავს ყველასაგან მიტოვებულად თვლიდა. ... ცხოვრების მძიმე მომენტში უარის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც ბედმა დამაკავშირა, უნამუსობა იქნებოდა".[325]

როგორც ვნახეთ, ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ და გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ ჩაშალეს ემიგრაციაში მიმავალი მთავრობის შეპყრობის გეგმა, რაც სწორი და გამართლებული გადაწყვეტილება იყო.[326]

თუ ამ ინციდენტს არ ჩავთვლით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედრობა ბათუმში მთლიანად მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ჯარში სიხალისე, წესრიგი და გამარჯვების რწმენა სუფევდაო, იგონებენ თვითმხილველნი.[327]აკაკი ვასაძე გვიდასტურებს: „ქართველი ოფიცრები იბრძოდნენ „როგორც შეშვენის ნამდვილ მამულიშვილებს, ნამდვილ მეომრებს, თავის მიწა-წყალს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ იცავენ!"[328] ბრძოლაში არანაკლები სიმამაცე გამოიჩინეს ქართველმა ჯარისკაცებმაც.

რამ გამოიწვია ოფიცერთა და ჯარისკაცთა ამგვარი შემართება? ცნობილია, რომ „არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირმშოა ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი. არმია სარკესავით აირეკლავს თავისი ხალხის ყველა კეთილ და მანკიერ თვისებას, მისი ძლიერებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარისხი შეესაბამება ხალხის შინაგანი ძლიერებისა და განვითარების ხარისხს. ... არმია თერმომეტრივით ზომავს ხალხის სიძლიერისა და განვითრების ხარისხს. ხალხში გავრცელებული განწობილება მყისვე აისახება არმიაში".[329]

საქართველოს მოსახლეობამ ერთსულოვანი ლოიალობა შეინარჩუნა საკუთარი ხელისუფლების მიმართ. ამას თვალნათლივ მოწმობს ის გარემოება, რომ საბჭოთა ჯარების ინტერვენციის შედეგად თბილისიდან დევნილი ნოე ჟორდანიას მთავრობის ზურგში ხალხის შურისძიებისა და რისხვის ტალღა არ აზვირთებულა. „არც ერთი შინაგანი გართულება, არც ერ-

---

[325] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 129.

[326] ო. ჯანელიძე, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, კრებულში - რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები, თბ., 2009, გვ. 67.

[327] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 13 მაისი.

[328] ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 110.

[329] გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგნ. II, თბ., 1999, გვ. 160.

თი უბრალო წესიერების დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე, არც ერთი თოფის გავარდნა საქართველოს მხედრობის ზურგს უკან. ... მხედრობასთან ერთად უკან იხევს დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც თვით ფრონტზე და ფრონტის ზურგში მცველები და დარაჯებიც კი არ დასჭირებია. აი, ასეთი სამოქალაქო დისციპლინა და წესიერება დაიცვა მთელმა საქართველომ, ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფოილო-შაგალის ფრონტიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის ნაპირებამდე," წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.[330]

მცხოვრებთა განწყობა ბათუმსა და მის ოლქში იმხანად, შეიძლება ითქვას, რომ შეუდრეკელი იყო. მოსახლეობის ნაწილში შეიმჩნეოდა პანიკა, მაგრამ უმრავლესობას თავი ღირსეულად ეჭირა. ამ ამბების უშუალო შემსწრე, ქართველი ექიმი იოსებ ასლანიშვილი გადმოგვცემს: „საერთო აზრი, რომელიც იმ დღეებში ტრიალებდა ყველა ქართველში და მასთანავე უმთავრესად მთელ ჯარში სარდლობიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე, იყო ერთი, რადაც არ დაგვიჯდეს, ბათომი უნდა შერჩეს საქართველოს რესპუბლიკას, ბათომი უნდა შერჩეს ქართველ ერს. ... ეს აზრი ნათელი იყო ყველასათვის და ამ აზრმა გაიმარჯვა".[331]

იგივე ი. ასლანიშვილის სიტყვით, „მრავალი ახალგაზრდა შეეწირა იმ დღეს საქართველოს მთლიანობის დაცვის იდეას, მრავალი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა ბათუმის ირგვლივ. იბრძოდა ქართველი მშრომელი ხალხი ბათომის შესანარჩუნებლად, იბრძოდა ქართული იდეით გამსჭვალული და ბევრმა არც კი იცოდა, რომ ყოველივე განკარგულებას იძლეოდა უკვე საბჭოთა მთავრობა. ... ეს ჯარის ნაწილებში ბევრმა არ იცოდა, მაგრამ ბრძოლა მაინც სწარმოებდა, ბრძოლა სამფეროვან ქართული დროშით საქართველოს თავისუფლებისათვის".[332]

დასასრულს, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს. სახელდობრ, როგორ იყო უზრუნველყოფილი ბათუმის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ქართული მხედრობა სურსათითა და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ამის საილუსტრაციოდ სათანადო დოკუმენტური ცნობები არ შემორჩა. მემუარულ წყაროებში, რომელიც საბჭოთა პერიოდს განეკუთვნება, ეს საკითხი რამდენადმე ტენდენციურად, პირდაპირ თუ ვიტყვით, ირონიულადაა წარმოჩენილი. მაგალი-

---

[330] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 37.

[331] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 6 მაისი.

[332] იქვე, 13 მაისი.

თად, ზემოთ არერთგზის დამოწმებულ აკაკი ვასაძის მოგონებების თანახმად, ქართველი ჯარისკაცის ულუფა ბათუმში ასე გამოიყურება: დილით – ჩაი სახარინითა და გაფიცხებული მჭადით, რომელსაც გაუცრელი ფქვილისგან ფურნეში აცხობდნენ. პირველ საათზე – სადილი: ლობიო და ისევ გაუცრელი ფქვილისაგან გამომცხვარი მჭადი, საღამოს – ისევ ჩაი სახარინით.[333]

საფიქრებელია, ამ პასაჟით აკაკი ვასაძე საბჭოთა ცენზურის თვალის ახვევას ცდილობდა, რომ შთამომავლობისათვის მოგონებებში ჩართული ისტორიული მოვლენის ამსახველი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოენახა, თორემ მისივე მონათხრობიდან ჩანს, რომ ჯარისკაცებს ზურგჩანთებში ინგლისური ხორცის კონსერვიც ედოთ, ხოლო როდესაც მისი ნაწილი სამეგისა და კახაბრის ფორტებისაკენ გაგზავნეს, მთავარსარდლის ბრძანებაში აღნიშნული იყო: დაიძარით საჭურვლითა და სურსათით დატვირთულნიო.[334]

ბათუმში იმ დროს პურის მარაგი რომ იყო, ამას გიორგი მაზნიაშვილიც გვიდასტურებს. გენერლის თქმით, როცა ქიაზიმ ბეიმ თავის ჯართან ერთად ბათუმის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, მისი გარნიზონისათვის საგზლად ერთი დღის სამყოფი პურიც ითხოვა. ,,ქიაზიმ ბეის თხოვნა მაშინვე დავაკმაყოფილე და საკმაო პური გავუგზავნე", ვკითხულობთ გ. მაზნიაშვილის მოგონებებში.[335]

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ზოგადად გაჭირვება იგრძნობოდა, ჯარისა და გვარდიისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე შესაბამის საწყობებში უხვად მოიპოვებოდა. ამ მარაგით საქართველოს რევკომი დღიდან თბილისში შემოსვლისა, ორი კვირის განმავლობაში უფასოდ კვებავდა დედაქალაქის მცხოვრებლებს,[336] რომელთა ოდენობა იმ პერიოდისათვის ... 200 ათას სულს აღემატებოდა.[337]

აკაკი ვასაძის მოგონებებიდან ისიც ირკვევა, რომ ფრონტზე მყოფ ქართველ ჯარისკაცებს ფეხზე ,,ბატინკები" ეცვათ და სათადარიგო ,,ბიაზის საცვლებიც" გააჩნდათ, მაშინ როდესაც რუსი წითელარმიელი ,,გაცრეცილ ქურთუკში" და ,,ქალამნებში" იყო ,,გამოწყობილი".[338]

---

[333] ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 101.

[334] იქვე, გვ. 102, 106.

[335] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 208.

[336] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება, ტ. 3, თბ., 1992, გვ. 170.

[337] თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989, გვ. 106.

[338] ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 111.

ქართველი მსახიობის მონათხრობი სინამდვილეს შეეფერება. საბჭოთა წითელი ჯარი ჩაცმა-დახურვის მხრივ დიდად რომ არ გამოირჩეოდა, ეს ალტერნატიულ წყაროებშიცაა ასახული.[339] რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, მათთვის ტანსაცმლისა და სხვა სამხედრო აღკაზმულობის საკმაო მარაგი არსებობდა. გიორგი მაზნიაშვილი გადმოგვცემს: მომარაგების სამინისტროს საცავში იმდენი სამხედრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყო, რომ ამ ფორმით 1921 წლის მაისში, 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმია თავიდან ფეხებამდე შეიმოსა.[340]

ამრიგად, 1921 წლის მარტში ბათუმის დაცვა და საქართველოს შემადგენლობაში მისი შენარჩუნება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა. მათ შორის არსებითი იყო: ბათუმში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ადგილობრივი მოსახლეობის პატრიოტული განწყობა, ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების საბრძოლო შემართება, გამოცდილი სარდლის გიორგი მაზნიაშვილის მხედართმთავრული ნიჭი და უნარი.

3. საქართველოს გენერალი

ისტორიამ სრულყოფილი ნუსხაც კი ვერ შემოგვინახა იმ მამულიშვილებისა, რომლებმაც საქართველოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის მანძილზე ბოლომდე პირნათლად მოიხადეს თავისი მხედრული თუ მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე. მათ შორისაა გენერალი გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი (1870-1937).

როდესაც გ. მაზნიაშვილის ნათლულს, ქართველ მწერალს ელიზბარ მაისურაძეს ჰკითხეს, თუ რა მიაჩნდა მას გენერლის ყველაზე დიდ დამსახურებად ქართველი ერის წინაშე, მან უყოყმანოდ უპასუხა - ,,აჭარის თურქთაგან გათავისუფლება".

მართლაც, გენერალი მაზნიაშვილი იყო უკანასკნელი მხედართუფროსი, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის

---

[339] ო. ჯ. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1991, გვ. 40.

[340] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 170.

შემდეგაც კიდევ ერთხელ გაიბრძოლა სამშობლოს ერთიანობა-მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

გიორგი მაზნიაშვილის სამხედრო წრთობა ადრეულ ასაკში დაიწყო. ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წ.წ) მან ისეთი გმირობა გამოიჩინა, რომ როცა მძიმედ დაჭრილი პეტერბურგში გადაიყვანეს, პირადად იმპერატორმა ინახულა ლაზარეთში და თავისი ხელით მიაბნია მკერდზე წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ჯვარი, ხოლო მოწყალების დად თავისი ორი ასული დაუნიშნა. ახალგაზრდა ოფიცერი მალე გამოჯანმრთელდა, მაგრამ მარცხენა ხელი გაფუჭებული დარჩა და ვეღარ ამოძრავებდა, ფეხშიც მძიმედ იყო დაჭრილი და მას შემდეგ მუდმივად ჯოხით დადიოდა. ამის მიუხედავად, სამხედრო სამსახური არ მიუტოვებია. მისი მხედრული ნიჭი მკაფიოდ წარმოჩნდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვარშავისათვის ბრძოლებში.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. მაზნიაშვილი 30-წლიანი სამხედრო სტაჟით დაბრუნდა სამშობლოში და მეორე ქართული დივიზია შეადგინა. ამის შემდეგ სახელოვან სარდალს ვხედავთ ყველგან, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა; ის ებრძოდა ოზურგეთსა და ახალციხეში შემოჭრილ ოსმალებს, აფხაზეთიდან განდევნა დენიკინის ჯარები და განახორციელა ღრმა რეიდი ქ. ტუაფსამდე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესებს იცავდა სომხეთთან ომში, ებრძოდა წითელ საოკუპაციო ჯარებს საქართველოში შემოჭრის დღიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე და სხვ.

გენერალი მაზნიაშვილი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. მისი საფიცარი ხატი მხოლოდ საქართველი იყო და, როგორც თვითონვე წერს მემუარებში, ემსახურებოდა მხოლოდ საქართველოს ინტერესებს.

1921 წლის მარტში, როდესაც საბჭოთა რუსეთი ამთავრებდა საქართველოს ანექსიას, თურქებმა ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით და საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების მიტაცება განიზრახეს. მარტის დასაწყისიდან მათ თანდათან დაიკავეს არტაანი, ართვინი, ბორჩხა და ბათუმისაკენ გამოემართნენ. 10 მარტს თურქები უკვე სოფელ სარფში იყვნენ. მალე ბათუმის მიდამოებში 3.500-ზე მეტმა თურქმა ჯარისკაცმა მოიყარა თავი პოლკოვნიკ ქიაზიმ-ბეის მეთაურობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან წითელი არმიის თავდასხმისთანავე

დაკარგა ინიციატივა და უკანდახევით ბათუმში ჩავიდა. საერთო ქაოსი და დაბნეულობა გადაედო ქართულ ჯარსაც.

ამ დროს ბათუმში 3 ათასამდე საქართველოს ჯარისკაცი იყო, მაგრამ ისინი იმდენად დემორალიზებულნი იყვნენ, რომ სერიოზულ სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდნენ. ასეთ ვითარებაში თურქები გააქტიურდნენ. უკვე 16 მარტს ბათუმში გამოჩნდა მათი პატრული. ქიაზიმ-ბეი გეგმავდა ქართული ჯარის განიარაღებას. 17 მარტს თურქები მცირე შეტაკებით დაეუფლნენ ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფს, მილიციის შენობას, ყაზარმებს, რადიოსადგურებს და სხვა დაწესებულებებს. დაიწყეს აგრეთვე ბათუმის სიმაგრეების (პორტების) დაკავება. ამავე საღამოს ქიაზიმ-ბეიმ თავი ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა და გამოაქვეყნა ბრძანება № 1, რომლითაც ეს მხარე თურქეთის ხელში გადადიოდა.

ძალაუფლებაწართმეული და სამშობლოდან დევნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან ემიგრაციაში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ამის მიუხედავად, ის თავის ვალად რაცხდა, არ დაეშვა ძლივს აღდგენილი, თუნდაც უკვე გასაბჭოებული საქართველოს მთლიანობის დარღვევა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ გადადგა მორიგი პატრიოტული ნაბიჯი და საჯავახოში, სადაც უკანდახეულმა საქართველოს სარდლობამ ჯერ კიდევ 6 მარტს ააფეთქა მდინარე რიონზე სარკინიგზო ხიდი, ბათუმიდან გაგზავნა ცარიელი ეშელონები, რათა მე-11 წითელი არმიის სარდლობას დაეჩქარებინა ბათუმში ჯარების შემოყვანა და თურქთაგან მისი დახსნა. ამავე მიზნით ნ. ჟორდანიას მთავრობამ ციხიდან გაათავისუფლა ბოლშევიკები. მათ იმავე ღამით ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით შექმნეს ბოლშევიკური ხელისუფლების დროებითი ორგანო - რევკომი. 18 მარტს დილით კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა.

გენერალმა მაზნიაშვილმა ბათუმში თურქების შემოსვლა რომ შეიტყო, ფრონტი დროებით სხვას გადააბარა და 17 მარტს ღამით კახელ პარტიზანთა 50-კაციანი რაზმით სასწრაფოდ ჩავიდა ბათუმში. აქ მდგომარეობა უკიდურესობამდე დაძაბული იყო, წითელი არმიის შემოსვლა კი ჭიანურდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. საქართველოს უძველესი კუთხის - აჭარის მტრისაგან გამოხსნა ისევ ქართველებს უნდა ეტვირთათ.

ასეთ ვითარებაში შესაშური პატრიოტიზმი გამოიჩინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკვე დაშლის პირას მყოფი არმიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ბათუმიდან თურქების განსადევნად გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით.

გ. მაზნიაშვილმა სასწრაფოდ შექმნა სამხედრო შტაბი. ბათუმის გამაგრებული რაიონი გაყო ორ მებრძოლ უბნად. მათგან ბარცხანისა და კახაბრის პორტების რაიონი დაუქვემდებარა გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი ,,სტეფანოვკისა" და ანარიის პორტებით - გენერალ დათა ართმელაძეს.

სამხედრო მოქმედების დაწყებამდე იურიდიული მხარე იყო მოსაწესრიგებელი. ამიტომაც აჭარის რევკომმა 18 მარტს დილით გამოსცა ბრძანება, რომლითაც გ. მაზნიაშვილი ,,ირიცხებოდა საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად". ამის შემდეგ გ. მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი - ერთი საათის განმავლობაში დაეცალა დაკავებული სიმაგრეები, დაწესებულებები და შესდგომოდა თავისი ჯარების გაყვანას ბათუმის ოლქიდან. ულტიმატუმის დრო ამოიწურა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

რევკომი ცდილობდა საქმე უსისხლოდ დაემთავრებინა და ,,განუწყვეტელ" მოლაპარაკებას აწარმოებდა ქიაზიმ ბეისთან, მაგრამ ეს უკანასკნელი, ერთის მხრივ, არწმუნებდა რევკომს, რომ მზადაა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს კონფლიქტი, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი სარდლობისაგან დეპეშებით მოითხოვდა მაშველ ჯარს. ასეთ ვითარებაში დიპლომატიური სალამ-ქალამის დრო აღარ იყო. ამიტომაც გენერალმა მაზნიაშვილმა შეტევის დაწყება ბრძანა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბარცხანის პორტს, რომელიც თურქებს ეკავათ და ბათუმში შემომავალ რკინიგზას კეტავდა. 18 მარტს, საღამოს, მათ გააჩერეს ბათუმისაკენ მიმავალი საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი და განაიარაღეს. ამ მომენტით ისარგებლეს ქართველმა ცხენოსნებმა და ბარცხანის პორტში შეიჭრნენ. მალე მთელი განრიზონი გაანადგურეს, 218 ასკერი კი დაატყვევეს.

მდგომარეობა მაინც დაძაბული იყო. თურქები გამალებით უტევდნენ კახაბრის ფორტს. მისი დაკავების შემთხვევაში მათი პოზიციები ბათუმში გაძლიერდებოდა. ამიტომ აუცილებელი იყო კახაბრის განრიზონის გაძლიერება მაშველი ჯარით.

იმავე 18 მარტს, საღამოს, გოდერძის უღელტეხილის გადმოვლით, სოფელ აჭარისწყალში შემოვიდნენ წითელი დივიზიის ნაწილები დ. ჟლობას მეთაურობით. გენერალი მაზნიაშვილი შეხვდა ჟლობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ,,სანამ არ მიიღებს არმიის უფროსისაგან ინსტრუქციებს, ოსმალების წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებს". არც დ. ჟლობას და არც სხვა წითელ მეთაურს სარდლობისაგან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამბის არანაირი ინსტრუქცია არ მიუღია. ამის მიზეზი

იყო მოსკოვში რსფსრ-თურქეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკება, რაც 16 მარტს დამთავრდა „ძმობისა და მეგობრობის" ხელშეკრულების ხელმოწერით. ამ ხელშეკრულებით საქართველო კარგავდა არტაანს, ართვინს და სხვა ვრცელ სამხრეთ-ქართულ ტერიტორიებს. ბუნებრივია, ახლად დამეგობრებული და დაძმობილებული ქვეყნის წინააღმდეგ მოსკოვის მთავრობა იარაღს ამჯერად მაინც არ გამოიყენებდა.

ბოლოს ჟლობა დათანხმდა სტაფანოვკისა და ანარიის პორტების ქართული განრიზონები დროებით შეეცვალა და იქ თავად დაბინავებულიყო. ამ სიმაგრეებიდან გამოთავისუფლებული ქართული ჯარით მაზნიაშვილმა კახაბრის ფორტის გარნიზონი გააძლიერა.

19 მარტს, დილიდანვე თურქებმა გაძლიერებული იერიშები მიიტანეს კახაბრის ფორტზე, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერისტებმა მაიორ პ. ქარუმიძის მეთაურობით. საგრძნობი იყო მათი დანაკარგიც. ამიტომ გ. მაზნიაშვილის განკარგულებით ბათუმის მცხოვრებლებს შორის მოაგროვეს 20 მოხალისე, რომლებიც ოდესღაც არტილერიაში მსახურობდნენ და პ. ქარუმიძის განკარგულებაში გაგზავნეს.

თავზარდაცემულ ასკერებს არც კი სჯეროდათ, რომ ასეთი მძიმე დარტყმა მათ საქართველოს ჯარმა მიაყენა. დ. ჟლობას მოწმობით: „აჭარისწყლიდან დაწყებული ბათუმამდე მთელ გზაზე ერთი ერთმანეთს მოსდევდნენ ასკერები, რომლებიც ყველას ეუბნებოდნენ, რომ ქართველებს მოუვიდათ ფრანგების და ინგლისელების მაშველი ჯარები, რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენდნენ პორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ".

ამრიგად, 18-19 მარტის ბრძოლებში ბათუმის შემოგარენი მტრისაგან უკვე მთლიანად გაწმენდილი იყო. მხოლოდ ქალაქში რჩებოდნენ მტრის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯარები, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებში. გ. მაზნიაშვილს მათი განდევნა მეორე დღეს, 20 მარტს, დილით ჰქონდა გადაწყვეტილი.

შექმნილ ვითარებაში ქიაზიმ-ბეიც იძულებული გახდა ეცნო მის მიერ ორგანიზებული ავანტიურის ჩაშლა და ბათუმის უბრძოლველად დატოვებაზე თანხმობა ეთხოვა. ასე რომ, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა დასახული ამოცანა. 20 მარტს, შუადღის შემდეგ ბათუმში და აჭარაში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო.

18-20 მარტის ბრძოლებში ქართველებმა 90-მდე კაცი დაკარგეს. მათგან 40 წაასვენეს ახლომახლო სოფლებში, დანარჩენები კი 23 მარტს მხედრული პატივით დაკრძალეს თავისუფლების მოედანზე გაჭრილ საძმო საფლავში.

საქართველოს ახალი ხელისუფლება გეგმავდა შეედგინა ცალკე ქართული წითელი დივიზია, რომლის შემადგენლობაც 30 ათასი კაცით განისაზღვრა. დივიზიის მეთაურად დაინიშნა გიორგი მაზნიაშვილი. ისიც ჩვეული ენერგიით შეუდგა ახალი ქართული ჯარის ფორმირებას, ივნისის შუა რიცხვებში დივიზიაში უკვე ირიცხებოდა 17 ათასი წითელარმიელი. მაგრამ ეს კარგი წამოწყება მალე შეუსაბამობაში აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის იმპერიულ ამბიციებთან. ამიტომაც იმავე 1922 წლის ივლისში ქართული წითელი დივიზია ფაქტობრივად დაიშალა და მისი რაოდენობა სიმბოლური ციფრით - 5 ათასი კაცით განისაზღვრა. თავად გ. მაზნიაშვილი ,,კონტრრევოლუციონერობის" ბრალდებით დააპატიმრეს, ორწელიწადნახევარს ციხეში ამყოფეს, ხოლო შემდეგ 5 წლით სამშობლოდანაც გააძევეს.

ხაზგასასმელია, რომ გენერალ გ. მაზნიაშვილისათვის უცხო იყო სამშობლოს დატოვებაზე ფიქრიც კი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო დღეებში გ. მაზნიაშვილს, როგორც მაღალ სამხედრო თანამდებობის პირს, შესთავაზეს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წასვლა, მაგრამ ის ბათუმში დარჩა და ეს მხარე სამშობლოს შეუნარჩუნა.

უფრო ადრე, თბილისიდან ჯარების ევაკუაციის წინ, როდესაც მოსახლეობა პანიკამ მოიცვა და ქალაქის დაცლის საშიშროება შეიქმნა, გ. მაზნიაშვილმა მოუწოდა თავის მეგობარ პოეტებს პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს დარჩენილიყვნენ თბილისში და ყველაფერი ეღონათ დედაქალაქის დარბევისგან გადასარჩენად.

თავის მშობლიურ კასპის მიდამოებში კი უკანდახეულ გენერალს თანასოფლელი გლეხებისათვის დაუბარებია - არსად გამქცევი არა ვარ, სახლ-კარს კარგად მიმიხედეთ, მალე დავბრუნდებიო.

ვერც სამშობლოდან გაძევებულს გაუძლო გულმა უცხოეთში. საბჭოთა მთავრობას თხოვნით მიმართა და დროზე ადრე დაბრუნდა უკან. ზამთრობით თბილისში ცხოვრობდა, სხვა დროს კი თავის ბაღ-ვენახს უვლიდა მიწასთან შეზრდილი ნააზნაურალი.

რაც შეეძლო, ქველმოქმედებასაც ეწეოდა. თავის სოფელ სასირეთს წყაროს წყალი გაუყვანა, დაწყებითი სკოლაც ააშენა, სადაც მეზობელი სკოლის ბავშვებიც სწავლობდნენ. მტკვარზე კი ბორანი ააგო, თანასოფლელებს

მიმოსვლა და მდინარის გაღმა ნაპირზე მინდვრების დამუშავება გაუადვილა, განსაკუთრებით მომეტებულად ბავშვები უყვარდა და როდესაც სოფელში გორიდან სავაჭროდ ჩამოსული ებრაელები გამოჩნდებოდნენ, ყველა ბავშვს რაღაც სათამაშოთი დაასაჩუქრებდა.

სოფელსაც უყვარდა ქვეყნისა და მშობელი ხალხის მოამაგე მოხუცი გენერალი. მაგრამ შავ 1937 წელს ვერ გადაურჩა. სექტემბრის ერთ შაბათ საღამოს დააპატიმრეს და მალევე დახვრიტეს. იგივე ბედი ეწია მის უფროს ვაჟ ვანოსაც. ესეც არ აკმარეს გ. მაზნიაშვილის განაწამებ ოჯახს, ეზო-მამული და სახლ-კარი ჩამოართვეს და ბედის ანაბარად მიაგდეს...

არც გენერალ გ. მაზნიაშვილის თანამებრძოლებს დაუფასდათ ამაგი და თავდადება. პირიქით, დამოუკიდებლობადაკარგულმა და ბოლშევიზმის ტყვეობაში მოქცეულმა საქართველომ მისი თავისუფლებისათვის დაცემულთა საფლავებსაც კი ვერ უპატრონა. ამის ერთი ტრაგიკული მაგალითი იყო ბათუმში, თავისუფლების მოედანზე, ერთ დროს დიდი პატივით დაკრძალული, შემდეგ კი ასფალტქვეშ მოქცეული და მანქანების სათრეშოდ გადაქცეული საძმო საფლავი.

საბედნიეროდ, ისტორიის ეს კიდევ ერთი ,,თეთრი ლაქა" საბოლოოდ ამოიშანთა და აჭარის გათავისუფლებისათვის, საქართველოს ერთიანობისათვის დაცემულ გმირთა სავანეს თავისი ადგილი და მნიშვნელობა დაუბრუნა. მართალია, გენერალ გ. მაზნიაშვილის საფლავი ჯერ კიდევ უცნობი რჩება, მაგრამ მისი მეთაურობით ნაბრძოლი და დაცემული ქართველი მამულიშვილების საძმო სავანეში უნდა ვიგულოთ აგრეთვე განსასვენებელიც დემოკრატიული საქართველოს უკანასკნელი გენერლისა, რომელიც თაობების მეხსიერებაში რჩება ვაჟკაცობისა და გაუტეხლობის სიმბოლოდ.

ამ საძმო საფლავთან მისულმა საქართველოს ყველა მოქალაქემ თუ სტუმარმა ღირსი პატივი უნდა მიაგოს გ. მაზნიაშვილისა და მისი გმირების თავგანწირვას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული მეობის გადარჩენისათვის, რისთვისაც დღეს ასე ბობოქრობს და იბრძვის ქართველობა.

4. ჟლობას დივიზიის მისია

ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს კავკასიის პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა. ამ მიმართებით განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭებოდა სტრატეგიულად და ეკონომიკურად ძალზე ხელსაყრელი სამხრეთ კავკასიის შეერთებას, საიდანაც გაცილებით რეალური გახდებოდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში სოციალისტური იდეებისა და თვით რევოლუციის ექსპორტის პერსპექტივა.[341]

წითელი არმიის მეშვეობით აზერბაიჯანისა (1920 წლის 28 აპრილი) და სომხეთის (1920 წლის 2 დეკემბერი) გასაბჭოების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საქათველოში იძულებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხი, მაგრამ იმხანად ლენინის მთავრობამ საქართველოს ოკუპაციის განხორციელება მიზანშეუწონლად მიიჩნია. პირიქით, რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატი ცდილობდა საქართველოსადმი კეთილმეზობლური განწყობილების ხაზგასმას. ვიქტორ ნოზაძის სამართლიანი შენიშვნით, ,,მოსკოვს" მალულად უნდა მოემზადებინა ოსმალეთის მხრივ მეგობრული განწყობილება საქართველოს ოკუპაციის მიმართ, მიეღო მისგან ნეიტრალიტეტის დაპირება, მეორე მხრივ - მოსკოვი ღიად და აშკარად მსოფლიოს არწმუნებდა, რომ იგი საქართველოს ხელს არ ახლებს და მის დამოუკიდებლობას პატივს სცემს.[342]

კავკასიაში განსაკუთრებული ინტერესები გააჩნდა თურქეთსაც, მაგრამ მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანტანტის ქვეყნების აშკარა ანტი თურქული პოლიტიკა. ამან კი საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის დაახლოება გამოიწვია, რაც 1921 წლის 16 მარტის მათ შორის „ძმობისა და მეგობრობის" მოსკოვის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. რუსეთს შესაძლებლობა მიეცა გაეაქტიურებინა პოლიტიკაა სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს პოლიტიკური წრეები ცდილობდნენ საბჭოთა რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად თურქეთიც გამოეყენებინათ. სწორედ ამ გათვლით, საქართველოს მთავრობამ თურქეთს დასტური მისცა დაეკავებინა ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი, ვიდრე „საბოლოოდ გამოირკვევოდა საქართველოსა და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში".[343] სამწუხაროდ, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ თურქეთი ორმაგ თამაშს ეწეოდა, სარგებლობდა საქართველოს

---

[341] ნ. ზოსიძე, რუსეთ-თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში 1919-1921 წწ., საქართველო და მსოფლიო, ბათუმი 2009, გვ. 239.

[342] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 93.

[343] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის, ფონდი, საქმ. № 387.

მძიმე მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის „გულუბრყვილობით" და თავისი ინტერესების განხორციელებას ცდილობდა. 1921 წლის 17-19 მარტის მოვლენებმა ეს პრაქტიკულად დაადასტურა.[344]

1921 წელს 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებით თურქეთმა ბათუმის ოლქის ნაწილი რუსეთს „დაუთმო". რუსეთ-თურქეთის ეს გარიგება სამხრეთ კავკასიის რეგიონში მათი სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული. თუმცა ანკარის მთავრობა ამ პირობის დარღვევას აპირებდა იმ იმედით რომ, თუ თურქეთი დაასწრებდა და წითელი არმიის შესვლამდე დაიკავებდა ბათუმს, რუსეთი, რომელსაც ქემალი ანტანტის ინტერვენციის ვითარებაში მოკავშირედ მიაჩნდა, მასთან ომს მოერიდებოდა.

ამით უნდა აიხსნას, რომ ახალციხისა და ახალქალაქის დაკავების შემდეგ თურქებმა ბათუმის ოკუპაცია განახორციელეს. პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო დიდი ეროვნული კრების დადგენილებით სამუსლიმანო საქართველო თურქეთის ნაწილად გამოცხადდა.

საბჭოთა რუსეთი, რომლის ჯარებს ამ დროისათვის უკვე დაკავებული ჰქონდათ თბილისი და საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქთა ამგავრ თვითნებობას ვერ შეურიგდებოდა. მოსკოვს, ცხადია, მოკავშირე თურქეთთან ომი არ სურდა, ამიტომ მის წინააღმდეგ სხვა საშუალებებით უნდა ემოქმედა. კრემლისთვის ყველაზე უკეთესი იქნებოდა თუ წითელი არმიის ნაწილები სწრაფად შევიდოდნენ ბათუმში და მოსკოვის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს ფაქტობრივად გააკონტროლებდნენ. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ თურქთა აგრესია თვითონ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უნდა მოეგერიებინა საბჭოთა ჯარების მხარდაჭერით, ოღონდ საბრძოლო ოპერაციებში ამ უკანასკნელის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ცხადი გახდა თურქთა ნადვილი მისწრაფება, რომ მათ ბათუმისა და აჭარის მისაკუთრება მოინდომეს, ნოე ჟორდანიამ ბოლშევიკებთან დაზა-

---

[344] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2009, გვ. 28.

ვება ამჯობინა. ქუთაისში გამართულ მოლაპარაკებაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გრიგოლ ლორთქიფანიძე პირველი რიგის ამოცანად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებს მიიჩნევდა. იგი რევკომის დელეგაციისაგან მოითხოვდა, არ დაეთმოთ ბათუმი და გამოენახათ საერთო ენა ქალაქის გასანთავისუფლებლად.[345]

ემიგრაციაში გამგზავრების წინ საქართველოს მთავრობამ ერთობ არაორდინალური ნაბიჯი გადადგა - ბათუმის ციხიდან გაათავისუფლა ბოლშევიკი ლიდერები სერგო ქავთარაძე, ვანო სტურუა, თენგიზ ჟღენტი და სხვები (სულ 15-20 კაცი), რომელთაც შესთავაზეს აეღოთ ქალქში ძალაუფლება და მიეღოთ ზომები ბათუმიდან თურქეთის ჯარის განდევნისთვის. სერგო ქავთარაძე შემდგომში ასე იგონებდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან, ნოე ჟორდანიასთან საუბარს: ,,მე თქვენ მოგიწვიეთ რათა მოგელაპარაკოთ ... საქართველოს მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო ... მე მოგმართავთ თქვენ როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს ... მიიღოთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა, არ დაანგრიონ და არ მოსპონ კულტურული და ისტორიული განძეულობა, რომელიც შექმნილია ჩვენი ხალხის მიერ".[346]

ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს ბათუმის რევკომი ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის გადმოცემის თანახმად: ,,რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენერლებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის, ე.ი. მეკისრნა ქართული ჯარების სარდლობა... ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შესძლებდა. მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის ატეხილ ომში. ... მე გადავწყვიე რადაც უნდა დაგვჯდომოდა წითელი ჯარების მოსვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა".[347]

არც ქიაზიმ ბეგი იყო გულხელდაკრეფილი. იგი ეუფლებოდა სტრატეგიულ ობიექტებს და თავის ხელისუფლებას დამატებით ჯარს სთხოვდა ბათუმის შესანარჩუნებლად.

---

[345] ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 147.

[346] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ,,მნათობი", 1957, №11, გვ. 145.

[347] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი 1990, გვ. 200-201.

ამასობაში ბათუმისაკენ მოიწევდნენ საბჭოთ არმიის ქვედანაყოფებიც. XI წითელი არმიის სარდალმა ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასული ჯარის ნაწილებისათვის ერთიანი ხელმძღვანელობა დანიშნა მე-9 დივიზიის მეთაურს ნ. ვ. კუიბიშევისა და პოლიტკომისარ მ. ლისოვსკის სახით. სამხედრო შენაერთებს მიეცათ მითითება: „სწრაფი მარშით სამთო გადასასვლელების და სხვა დაბრკოლებების ყველა სიძნელეთა გადალახვით, უმოკლეს ვადაში დაიკავონ ბათუმი“.[348]

შემორჩენილია ბათუმის მიმართულებით მოქმედი სამხედრო ჯგუფის შტაბის 1921 წლის 17 მარტის დირექტივა, რომელიც ხელმოწერილია შტაბის უფროსის ა. იანოვსკის მიერ (შემდეგში გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნიერების დოქტორი, პროფესორი).[349] დირექტივაში აღნიშნულია:

„292-ე მსროლელი ლეგიონის მეთაურს! ასლი 98-ე მსროლელი ბრიგადის მეთაურს!

ცხენოსანთა მე-18 დივიზიის მეთაურმა არ დაკარგოს არც ერთი წუთი მაქსიმალური სალაშქრო სიჩქარით და მოკლე დროში დაიკავოს ქ. ბათუმი.

16 მარტს საღამოსათვის დივიზიამ მიაღწიოს სოფ. ახალდაბას, რომელიც მდებარეობს 40 კილომეტრზე ბათუმის აღმოსავლეთით.

ქ. ბათუმის ჩრდილო ნაწილის დაკავება ნაბრძანები აქვს 98-ე მსროლელი ბრიგადეს 292-ე მსროლელ ლეგიონს“.[350]

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებით, დ. ჟლობას კავალერიას (მე-18 დივიზია) XI არმიის სარდლობამ განსაკუთრებული მისია დააკისრა. მის მებრძოლებს ბათუმი მანამდე უნდა დაეკავებინათ, ვიდრე იქ თურქი ასკერები შეაღწევდნენ.[351]

გამოთქმულ თვალსაზრისს ამყარებს ცნობილი ქართველი ემიგრანტის შალვა მაღლაკელიძის ცნობაც, რომლის თანახმად, ბოლშევიკებს ბათუმი რომ არ დაკარგვოდათ, ლენინმა მისი დაკავება დ. ჟლობას დაავალა. ამ უკანასკნელს თურქებისთვის უნდა დაესწრო, რისთვისაც წითელი არმიის ნაწილების ხაშურის შესვლისთანავე, ჟლობა „ბორჯომის გზით ახალცი-

---

[348] ჯ. ჩხეიძე, ბათუმი. ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1959, გვ. 121.

[349] ჟურნ. „Вопросы истории“, 1951; № 9, გვ. 154.

[350] ა. გიორგობიანი, გმირული ბრძოლების დაუვიწყარი დღეები, თბ., 1967. გვ. 206.

[351] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, „მნათობი”, 1957, №11, გვ. 148.

ხეში უნდა გაჭრილიყო, გადასულიყო გოდერძის უღელტეხილზე და პირველი ჩასულიყო ბათუმში“.[352]

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში არსებობს სხვა შეხედულებაც, კერძოდ გამოთქმულია აზრი, რომ დ. ჟლობას და მის სამხედრო შენაერთს დავალებული ჰქონდათ ბათუმში მყოფი საქართველოს მთავრობის შეპყრობა.

ვ. გურულის სიტყვით, „მე-11 არმიის სარდლობას ნაბრძანები ჰქონდა არ დაეშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ემიგრაცია. ვ. ლენინის გეგმა ასეთი იყო: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დაპატიმრების შემდეგ ნოე ჟორდანია უნდა აეძულებინათ მთავრობის სახელით ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტზე და გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა. პარალელურად დამფუძნებელი კრება, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მოიხსნიდა თავის უფლება მოსილებას. ამ ორი დოკუმენტის – მთავრობის განცხადება გადადგომის შესახებ და დამფუძნებელი კრების განცხადება უფლებამოსილების მოხსნის შესახებ - ძალით საქართველოს რევკომის მიერ ძალაუფლების აღება კანონიერ აქტად გამოცხადდებოდა, საბჭოთა რუსეთის აგრესიაც შეინიღბებოდა. სწორედ ამიტომ მიიჩქაროდა ბათუმისაკენ: ჟლობას კავალერია გოდერძის უღელტეხილით, ხოლო მე-11 არმიის ძირითადი ნაწილები - ლიხის ქედით“.[353]

ო. ჯანელიძე მიიჩნევს, რომ საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ესწრაფვოდა ხელში ჩაეგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები და ისინი კაპიტულაციაზე დაეყოლიებინა. „თუ მთავრობა თავის გადადგომას ოფიციალურად გამოაცხადებდა და საბჭოთა ხელისუფლებას აღიარებდა, ხოლო დამფუძნებელი კრება უფლებამოსილებას ნებაყოფლობით მოიხსნიდა ... სუვერენული სახელმწიფოს ძალადობრივი დამხობის ნაცვლად, მომხდარი ფაქტი ხელისუფლების ლეგიტიმურ

---

[352] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994, გვ. 88.

[353] ვ. გურული, ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953, თბ. 1999, გვ. 112.

ცვლილებად მოინათლებოდა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი კი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სამართალმემკვიდრედ იქცეოდა".[354]

„არსებობდა ამ გეგმის განხორციელების ორი გზა: საქართველოს კანონიერ მთავრობასთან გარიგება, ანდა უარის შემთხვევაში - ხელისუფლების შეპყრობა და მისი იძულება". მოსკოვმა ორივე სცადა. ლენინის მითითებით, საქართველოს რევკომმა ნოე ჟორდანიასთან ბათუმში საგანგებო დელეგაცია გაგზავნა და მას საქართველოში დარჩენა შესთავაზა. ლენინი მოითხოვდა, რომ „მოეძებნათ მისაღები კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან".

ნ. ჟორდანიამ ბოლშევიკთა წინადადება არ მიიღო და დელეგატები უარით გაისტუმრა. „ალბათ მაშინ იყო, რომ ჟლობას და მის კავალერიას ებრძანა, გოდერძის უღელტეხილით სასწრაფოდ ბათუმში გადასულიყო და ხელთ ეგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა".[355]

აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ სპეციალურ ლიტერატურაში იძებნება დამატებითი მასალებიც. მაგალითად, დ. ჟლობასადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორი ი. სანენკო საყურადღებო ფაქტს აღნიშნავს. იგი წერს: გოდერძის უღელტეხილის გადავლით ბათუმისაკენ მიმავალ დ. ჟლობას კავალერიას წინ თურქი პოლკოვნიკი შემოხვდა, პროტესტი განაცხადა, რომ წითელარმიელები ბათუმისაკენ მიემართებოდნენ და მათ შეჩერება მოსთხოვა. ჟლობამ უპასუხა: როგორც წითელი არმიის მეთაურს, მე არა მაქვა არავითარი მტრული განწყობა თურქეთის ჯარისა და მთავრობისადმი. „მაგრამ ბათუმში იმყოფებიან ქართველი კონტრრევოლუციონერები. მათ ხალხის ზღვა სისხლი აქვთ დაღვრილი და ამისათვის პასუხი უნდა აგონ. ამიტომაც მივიჩქარი იქით, ვასრულებ რა ჩემი არმიის ბრძანებას".[356]

საგულისხმოდ მოსჩანს ასევე ერთი დეტალი საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მამაია ორახელაშვილსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძეს შორის 1921 წლის 16 მარტს სატელეფონო საუბრიდან. გ. ლორთქიფანიძის წინადადებაზე, მებრძოლ მხარეთა დროებითი დაზავების მიზნით, შეჩერდეს ბათუმისაკენ მიმავალი ყველა საბჭოთა ნაწილის

---

[354] ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 147-148.

[355] ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002, გვ. 145-146.

[356] Я. Саненко, Дмитри Жлоба, Краснодар, 1974, გვ. 132.

წინსვლა, მ. ორახელაშვილმა უპასუხა: „ბათუმისაკენ მომავალი სამხრეთის ჯგუფის (იგულისხმება ჟლობას კავალერია, - ჯ. კ.) შეჩერება შეუძლებელია მრავალი მიზეზით, რომელთა შესახებ პირდაპირი მავთულით ლაპარაკი შეუძლებლათ მიგვაჩნია“.[357]

გ. ლორთქიფანიძის დაჟინებით, საბჭოთა მხარემ გააუქმა ქუთაისიდან ბათუმისაკენ დაძრული წითელი არმიის დაჯგუფებისათვის მიცემული შეტევის ბრძანება, მაგრამ ჟლობას ნაწილის წინსვლა არ შეუჩერებიათ.[358]

დავიმოწმებთ კიდევ ერთ ინფორმაციას. ცნობილია, რომ ბათუმში გამაგრებულმა თურქეთის ჯარების მეთაურმა ქიაზიმ-ბეიმ, მას შემდეგ, რაც შეტყო რომ ქალაქისაკენ საბჭოთა ცხენოსანი დივიზია მოემართებოდა, ხერხი იხმარა, ჟლობას მოტყუება განიზრახა და საბჭოთა სარდალს შეუთვალა, თითქოს - ბათუმში ინგლის-საფრანგეთის ჯარი და ფლოტია შემოსული, მოსკოვის 16 მარტის შეთანხმებით რუსეთმა ბათუმი თურქეთს დაუთმოო. ამ ხერხმა გასჭრა. ჟლობა კავალერიით შეჩერდა გოდერძის უღელტეხილზე და სერგო ორჯონიკიძეს შეატყობინა, რომ დიდთოვლობის გამო წინ ვერ მიდიოდა. „ორჯონიკიძემ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში რაზმის კომისარს ჟლობას შეპყრობა დაავალა. შეშინებული ჟლობა წაუძღვა რაზმს და ურელტეხილიც წარმატებით გადმოლახა“.[359]

სამხედრო ისტორიკოსი მ. ტრასკუნოვი საქმეს რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიჩენს: მისი სიტყვით, ბათუმიდან ახლოს ჟლობამ სერგო ორჯონიკიძისაგან მიიღო შემდეგი დირექტივა: ,,როგორიც არ უნდა იყოს დაბრკოლება, უნდა დაძლიოთ და სამ დღეში შეხვიდეთ ბათუმში. ბათუმი დიდი ქალაქია და იქ საჭიროა თქვენი ტაქტი და უნარი. მუსლიმან მოსახლეობასთან უნდა იყო უაღრესად თავაზიანი და ფრთხილი, ხოლო თურქეთის ჯარებთან - როგორც მოკავშირეებთან. მოსკოვში მიღწეული რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების თანახმად ბათუმი. ახალციხე, ახალქალაქი დარჩება საბჭოთა საქართველოს. ველოდები ტელეგრამას ბათუმიდან. სალამი სახელოვან მე-18 დივიზიას. მაგრა გკოცნი”.[360]

„დივიზიის უფროსმა დ. პ. ჟლობამ, რომელიც ბათუმში შევიდა XI არმიის ნაწილებთან ერთად უმოკლესი გზით გოდერძის უღელტეხილის გავლით, ამ რთულ ლაშქრობაში გამოიჩინა არა მარტო მებრძოლი მეთაურ-

---

[357] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 18 მარტი.

[358] იქვე, 20 მარტი.

[359] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი. თბ., 2009, გვ. 35.

[360] მ. ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962, გვ. 112-113.

ის უნარი, არამედ დიდი დიპლომატიური ტაქტიც“, დასძენს მ. ტრასკუნოვი,[361] მაგრამ არსებითი ის იყო, რომ ჟლობამ ვერ შეასრულა მთავარი დავალება, მისმა კავალერიამ ვერ დაატუსაღა ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომელმაც მოასწრო და ბათუმიდან ემიგრაციაში გაიწიზნა. სწორედ ამის გამო განაცხადა იმ ხანად ვ. ლენინმა, რომ „დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არც თუ მცირე რაოდენობისა“.[362]

დ. ჟლობას კავალერია იმ დროს შემოვიდა ბათუმში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებსა და თურქ ასკერებს შორის დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერი განსაკუთრებული გააფრებით ცდილობდა კახაბრის ფორტის დაჭერას, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა ბათუმი გაეკონტროლებინა. გ. მაზნიაშვილი იგონებს: ,,ბარცხანის მთელი გარნიზონი განადგურებული იქნა, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი დაატყვევეს ... საღამოს 9 საათზე მე ვიყავი გენ. ვარდენ წულუკიძის შტაბში სადგურზე, სადაც ჩვენმა მზვერავებმა მოიყვანეს ერთ ცხენოსანი კაზაკი. ჩემს შეკითხვაზე, ვინ არის... მიპასუხა, რომ ის არის გამოგზავნილი დივიზიის უფროსის, ამხ. ჟლობასაგან აჭარისწყლიდან და ეძებს ქართული ჯარების უფროსს ... ვკითხე, საიდან მოხვდნენ ისინი აჭარისწყალზე, კაზაკმა მიპასუხა, რომ ისინი მოდიან ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით“.[363]

ქართველთა მთავარსარდლობას არ ჰყოფნიდა სამხედრო ძალები თურქთა შემოტევების მოსაგერიებლად და ქალაქის დასაცავად, ამიტომ გადაუწყვეტიათ ჟლობას კავალერია გამოეყენებინათ ამ მიზნით. გენერალი გ. მაზნიაშვილი დაწვრილებით გვიამბობს: ,,ამხ. ჟლობას დივიზიას თუ დავაბინავებდით სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე, თავისუფლდებოდა ამ ფორტების გარნიზონები და მე საშუალება მეძლეოდა ეს გარნიზონები გამეგზავნა კახაბრის ფორტზე დასახმარებლად. ამიტომ ჩვენ მივეცით კაზაკს მორიგე ავტომობილი, გავაყოლეთ ერთი ოფიცერი და გავგზავნე ამხ. ჟლობასთან. ოფიცერს დავავალეთ გადაეცა ამხ. ჟლობასთვის, რომ ქართული ჯარების უფროსები სთხოვენ მას დაუყონებლივ მოვიდეს სადგურზე. 2 საათის შემდეგ ჟლობა თავისი შტაბის უფროსით მოვიდა ჩემთან და ჩვენ ერთად წავედით რევკომის თავჯდომარესთან. ამხ. ჟლობამ მოახსენა ს. ქავთარაძეს, თუ როგორ შეასრულა მან დაკისრებული ამოცანა და

---

[361] იქვე, გვ. 113.

[362] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, თბ., 1972, გვ. 313.

[363] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი 1990, გვ. 204-205.

თხოვა საშუალება მიეცა მისთვის გაეგზავნა დეპეშა არმიის უფროსისათვის, ხოლო მისთვის მიეცა სადგომი დივიზიის დასაბინავებლად~.[364]

გ. მაზნიაშვილმა მოითხოვა, რომ ჟლობას რაზმი ჯერჯერობით არ შემორყვანათ ქალაქში და დაებინავებინათ იგი სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე. დ. ჟლობამ განაცხადა, რომ სანამ არ მიიღებს არმიის უფროსისაგან ინსტრუქციებს, ოსმალეთის წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებს. მაგრამ დროებით თანახმაა დაბინავდეს ხსენებულ სიმაგრეზე.[365]

დივიზიის დაბინავების შემდეგ დიმიტრი ჟლობამ მე-11 არმიის მთავარსარდალს ა. ჰეკერს და კავკასიის ფრონტის სამხედრო - რევოლუციური საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ჩემდამი რწმუნებული ნაწილები შევიდნენ ბათუმში 1921 წლის მარტის 19-ს. 17 საათზე და 18 წუთზე. ქედასთან და აჭარისწყალთან მიახლოებისას ქემალისტების სარდლობამ ყოველი ღონე იხმარა რამდენიმე საათით ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა ... მიუხედავად ამისა ქ. ბათუმის დასაჭერად გავუშვით კავალერია ... როდესაც მოწინავე ნაწილებმა ქალაქს მიაღწიეს მე წარმომადგენლები გავგზავნე. მათი უკან დაბრუნებისას გამოირკვა, რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალები, რომელთაც განუზრახავთ ქალაქის დაკავება".[366]

აღნიშნული დეპეშა მეტყველებს მისი შემდგენელის ობიექტურობაზე. ამას საგანგებოდ ხაზს უსვამს ლ. თოიძე: „ნამუსიანად შედგენილი დეპეშაა. საკუთარი როლი გადაუჭარბებლად არის ნაჩვენები, ქართული მხედრობისა - ობიექტურად".[367]

სხვათაშორის იგივეს მიუთითებს სერგო ქავთარაძეც, იგონებს რა ბათუმისათვის ბრძოლის ამ კრიტიკულ პერიოდს: „გვიან ღამით მე მაცნობეს, რომ ქალაქში შემოვიდა ჟლობას ცხენოსანი ჯარის შტაბი თვით უფროსის მეთაურობით. მე მივიღე ჟლობა და მისი შტაბი და გავიგე მათგან, რომ ისინი ბათუმის გასათავისუფლებლად იყვნენ წამოსული. ჟლობა - მაღალი, ხმელი, წელში ოდნავ მოხრილი ყუბანელი კაზაკი, მზით შერუჯული სახით და რუხი თვალებით. მას თითქოს დაენანა კიდეც, რომ ქალაქი, რომ-

---

[364] იქვე, გვ. 205.

[365] იქვე, გვ. 206.

[366] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 22 მარტი.

[367] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი. თბ., 2009, გვ. 48.

ლის აღება და გაწმენდა ჰქონდა ნაბრძანები, განთავისუფლებული დახვდა".[368]

ჟლობას კავალერიის ქალაქის მოსადგომებთან განლაგებით გიორგი მაზნიაშვილმა გადააჯგუფა სამხედრო ძალები და ენერგიულად შეუტია თურქებს. ქალაქი და მისი მისადგომები უკვე გაწმენდილი იყო ოსმალთა ძალებისგან, რჩებოდა ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში ჩასაფრებული მცირე რაზმი. ამის შემდეგ თურქთა სარდლობამ ბათუმის დატოვება გადაწყვიტა. გ. მაზნიაშვილი იგონებს: ,,20 მარტს, დილის 9 საათზე ჩემთან გამოცხადდა ქიაზიმ-ბეის მდივანი და მისი სახელით გადმომცა, რომ ქიაზიმ-ბეიმ გადაწყვიტა დასცალოს ქალაქი და გადავიდეს თავის საზღვრებზე ჭოროხს იქით ... მთხოვა დამეთმო მათთვის ერთი დღის საგზალი პური, რადგან სამი დღეა გარნიზონს არაფერი უჭამია ... ქიაზიმ-ბეის თხოვნა მაშინვე დავაკმაყოფილე. 20 მარტს 12 საათიდან ბათუმში და მის ოლქში არც ერთი შეირაღებული ჯარისკაცი აღარ იყო".[369]

20 მარტს ბათუმში ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახალხო კომისარი და სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი შალვა ელიავა. მალე ბათუმში შემოვიდა წითელი არმიის დივიზია ნ. კუიბიშევის მეთაურობით. რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმს ეწვია სერგო ორჯონიკიძეც.

1921 წლის მარტის ამ მძიმე დღეების შედეგად ბათუმი საქართველომ შეინარჩუნა. მართალია, საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდა, მაგრამ აჭარა თავის მშობლიურ წიაღში დარჩა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ქართულმა ლაშქარმა შეასრულა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით. წითელი არმიის მონაწილეობა მხოლოდ ფორმალური იყო. სამართლიანად მიუთითებს ლ. თოიძე: ,,ბათუმი კანონიერ პატრონს - საქართველოს დარჩა. აქ ქართულმა იარაღმა იმარჯვა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გაერთიანებულ ქართულ (პირობითად მენშევიკურ და ბოლშევიკურ) მხედრობას ზურგს წითელი არმიის ნაწილებიც უმაგრებდნენ, თუმცა მათ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ".[370]

მიუხედავად ასეთი მინიმალური წვლილისა, წითელი არმიის მე-18 დივიზიის მეთაურმა დ. ჟლობამ საჩუქრად თვით საქართველოს მთავრობის თავჯდომარის ნ. ჟორდანიას ეტლი დაიმსახურა. ამ ფაქტს გ. მაზნიაშ-

---

[368] ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ,,მნათობი", 1957, №11, გვ. 148.

[369] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი 1990, გვ. 208.

[370] ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი. თბ., 2009, გვ. 52.

ვილი ასე იგონებს: ,,კავალერიის დივიზიის უფროსი ამხ. ჟლობა კაცს კაცზე გზავნიდა და მოითხოვდა გადამეცა მისთვის ეტლი და ცხენები, ამხ. ორჯონიკიძემ ბრძანა, დამეკმაყოფილებინა ამხ. ჟლობა და გადამეცა მისთვის ჟორდანიას ყოფილი ეტლიცა და ცხენებიც".[371]

თავი V. ხსოვნა

1. საძმო საფლავი ბათუმში

1990 წელს ბათუმის ცენტრალურ მოედანზე ისევ გამოჩნდა საძმო საფლავი, რომლის ბაზალტის ქვა იუწყება: "აქ განისვენებს 1921 წლის მარტში საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული 50 მამულიშვილი".

ფაქტია, რომ წარწერა მწირი ინფორმაციის შემცველია. ამიტომ საძმო საფლავის მნახველს უჩნდება კითხვები: ვინ არიან ეს გმირები? რა ვითარებაში დაიღუპნენ? საბჭოთა ხელისუფლების დროს რატომ იქნენ ასე მივიწყებულნი?

ამ კითხვებზე პასუხისათვის 90 წლის წინანდელ ისტორიას უნდა მივმართოთ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელი დღეები გავიხსენოთ, როდესაც საბჭოთა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, ხუთი მხრიდან შემოესია დამოუკიდებელ საქართველოს და მოახდინა მისი ანექსია.

საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეულმა საქართველოს მთავრობამ უნიათობა გამოიჩინა ქვეყნის თავდაცვაში, თითქმის უბრძოლველად დატოვა თბილისი, უკან დაიხია ბათუმისაკენ და ბოლო თავდაცვითი ხაზი მდ. რიონზე მოაწყო.

უმწეო მდგომარეობაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ დაუშვა სხვა საბედისწერო შეცდომაც, როდესაც ენდო ანკარის (თურქეთი) მთავრობის წინადადებას ბოლშევიკების შემოსევისაგან თურქეთის ჯარების დახმარებით ბათუმის ერთობლივად დაცვის თაობაზე. მალე ბათუმის მიდამოებ-

---

[371] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი 1990, გვ. 211.

ში თავი მოიყარა 3500-ზე მეტმა ასკერმა პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის მეთაურობით.

ამ დროს ბათუმში 3 000-მდე საქართველოს ჯარისკაცი იყო, თუმცა საერთო დაბნეულობა მათაც გადაედო. ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ თურქები. 16 მარტს ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა მათი პატრული. მათ თანდათან დაიკავეს ქალაქის ფოსტა, მილიციის შენობა, ყაზარმები, რადიოსადგური. დაიწყეს, აგრეთვე, ბათუმის სიმაგრეების (ფორტების) დაკავება. იმავე საღამოს ქიაზიმ ბეიმ თავი გამოაცხადა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და გამოაქვეყნა ბრძანება №1, რომლითაც ეს მხარე თურქეთს უნდა მიერთებოდა

საქართველოს მთავრობისათვის აშკარა გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნა. ამიტომ ნოე ჟორდანიამ არჩია ბოლშევიკებთან შეთანხმება მათი ჯარების ბათუმში გადმოყვანის დასაჩქარებლად, რათა არ დაეშვა აჭარის დაკარგვა. ამ მიზნით მან ბათუმიდან თავისი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე მიავლინა ქუთაისში საქართველოს ბოლშევიკურ რევკომთან მოსალაპარაკებლად, ხოლო საჯავახოში ცარიელი ეშელონები გაგზავნა. ბათუმის საპყრობილედან ბოლშევიკებიც გაათავისუფლა სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით, რათა მათ გამოეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლება და აღეკვეთათ ქიაზიმ ბეის ავანტიურა.

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების გამო (ის დასრულდა 16 მარტს „ძმობისა და მეგობრობის" ხელშეკრულებით), ბოლშევიკების სარდლობა აჭიანურებდა აჭარაში ჯარების შემოყვანას. მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა. ბათუმის მომავალი სასწორზე იდო. ამ დროს შესაშური პატრიოტიზმი და თავდადება გამოიჩინეს საქართველოს უკვე დამარცხებული და დაშლილი არმიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, ბათუმელმა მოქალაქეებმა. მათ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით სახელდახელოდ შეადგინეს სამხედრო შტაბი და რაზმები.

ჯარისკაცთა შორის დიდი უმრავლესობა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან იყო.[372]

გ. მაზნიაშვილმა ბათუმის გამაგრებული რაიონი გაყო ორ მებრძოლ უბნად: კახაბრისა და ბარცხანის ფორტები დაუქვემდებარა გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი "სტეფანოვკისა" და ანარი-

---

[372] ს. ქავთარაძე, 1921 წელი. თებერვალი, ჟურნ. „მნათობი",1957, №11, გვ. 146.

ის ფორტებით - გენერალ დათა ართმელაძეს.[373] 18 მარტს დილით გენერალმა მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი, რომ ერთი საათის განმავლობაში დაეცალა დაკავებული სიმაგრეები, დაწესებულებები და დაეწყო ჯარის გაყვანა. ულტიმატუმის დრო უპასუხოდ ამოიწურა. ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა. იმავე დღეს გაათავისუფლეს ბათუმის შემოგარენის სიმაგრეები. მძიმე ბრძოლები იყო ბარცხანისა და კახაბრის ფორტებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბარცხანის სიმაგრეს, რომელიც აკონტროლებდა ბათუმში შემომავალ რკინიგზას. ამიტომ თურქები მას გააფთრებით იცავდნენ. ქართველებმა იერიშით აიღეს ეს სიმაგრე. გაანადგურეს მოწინააღმდეგის მთელი გარნიზონი, დაატყვევეს 200-ზე მეტი ასკერი.

19 მარტს თურქებმა დილიდანვე მიიტანეს იერიში კახაბრის ფორტზე. მისი დაკავების შემთხვევაში, მათ შეეძლებოდათ დაუბრკოლებლად მიეღოთ დამხმარე ძალები სამშობლოდან და განემტკიცებიათ ქალაქ ბათუმში მყოფი მათი ნაწილების მდგომარეობა. მოწინააღმდეგის კონტრშეტევა უშედეგოდ დამთავრდა და დიდი ზარალით დაიხია უკან. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერისტებმა მაიორ პ. ქარუმიძის მეთაურობით. საგრძნობი იყო ქართველთა დანაკარგიც. ამიტომ გენერალ მაზნიაშვილის მითითებით, ბათუმის მცხოვრებთა შორის მოაგროვეს ადრე არტილერიაში ნამსახურევი ოცი მოხალისე და მაიორ ქარუმიძის რაზმში ჩარიცხეს.

ქართველთა წარმატება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ დამარცხებით თავზარდაცემულ ასკერებს თურმე არც კი სჯეროდათ, რომ ასეთი მძიმე დარტყმა მათ მიაყენა ბოლშევიკებთან ომწაგებული საქართველოს ჯარმა.

საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსის მ. ტრასკუნოვის სიტყვით, ბათუმისათვის ბრძოლაში ქართველ მეომრებთან ერთად XI არმიის ჯარისკაცებიც დაღუპულან და ისინი ერთად დაუსაფლავებიათ ცნობილ აზიზიეს მოედანზე.[374] მ. ტრასკუნოვის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. ბათუმში საბჭოთა წითელარმიელები თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო არ

---

[373] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 202.

[374] მ. ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962, გვ. 115.

დაიღუპებოდნენ, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილებს საომარ ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ.[375]

საბჭოთა ჯარის მეთაურის დ. ჟლობას ცნობით: „აჭარიწყლიდან დაწყებული ბათუმამდე მთელ გზაზე ერთმანეთს მისდევდნენ დაჭრილი ასკერები, რომლებიც ყველას ეუბნებოდნენ, რომ ქართველებს მოუვიდათ ფრანგების და ინგლისელების მაშველი ძალები, რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენდნენ ფორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ".[376]

ამრიგად, 18-19 მარტის ბრძოლებით ბათუმის შემოგარენი მთლიანად გაიწმინდა მოწინააღმდეგის ჯარისაგან. მხოლოდ ქალაქის მილიციის და ფოსტის შენობაში იყო გამაგრებული მათი ნარჩენები. მათზე იერიში გ. მაზნიაშვილს 20 მარტს დილით ჰქონდა გადაწყვეტილი. შექმნილი ვითარებაში ქიაზიმ ბეიც იძულებული გახდა, ეღიარებინა მის მიერ ორგანიზებული ავანტიურის ჩაშლა და თავისი ჯარის ნარჩენებით აჭარა დატოვა.

ბათუმისთვის ბრძოლებში, გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, ქართველთა მხრივ დაიღუპა 84 მებრძოლი,[377] მაგრამ არის სხვა მონაცემებიც. დაღუპულთაგან 30-ზე მეტი ნათესავებმა გადაასვენეს მშობლიურ სოფლებში, ხოლო დანარჩენი 50 თავდადებული 23 მარტს დღის პირველ საათზე მხედრული პატივით დაკრძალეს ბათუმის ცენტრალურ ("აზიზიეს") მოედანზე, მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის (იქ დღეს 12 სართულიანი კორპუსია) წინ გათხრილ საძმო საფლავში.

ერთი თანამედროვე პუბლიცისტის სიტყვით, „17-18 მარტს ქართველები ომობდნენ ლომებივით. ჩვენ ამ დღეებში დავკარგეთ ძვირფასი ამხანაგები ბათუმის ქუჩებში, მაგრამ მათმა სისხლმა საქართველოს დაფნის გვირგვინს ჩაუმატა კიდევ ახალი ფურცლები და ყველას აჩვენა, რომ ქართველი ჯარისკაცი ... გმირია ავანტიურისტებთან ბრძოლაში და ნებას არავის მისცემს წელში გასტეხოს და გააუბედუროს საქართველო".[378]

აჭარის სახელმწიფო არქივის, მემუარული ლიტერატურის და რესპოდენტთა მონათხრობის საფუძველზე ჯერჯერობით ნაწილობრივ გავარკვიეთ საძმო საფლავში დაკრძალული შემდეგი 24 გმირის ვინაობა: **მაყვალა**

---

[375] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995., გვ. 219, 222; ასევე, გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 60; ასევე, ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 239-240.

[376] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 206.

[377] იქვე, გვ. 209.

[378] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 25 მარტი.

ყანჩაველი, ტატაშ ემხვარი, გრიგოლ ანჩაბაძე, პეტრე ზუხბაია, იასონ გვარამია, ერასტო კირია, ილარიონ ბალიშვილი, პეტრე აკობია, სილონ წურწუმია, სანდრო მინჯია. სტუდენტები: მიტო ჩიკვაიძე, კუკური ზარანდია, ლადო მეტრეველი; პრივატ-დოცენტი შოთა ვადაჭკორია: მიქელაძე, მუსხელიშვილი და არტილერისტი სეფისკვერაძე (მათი სახელები და სადაურობა დასადგენია); სერგო ივანეს ძე ჟორჟოლიანი (1901 წ. დაბად., წყალტუბოს რნ. სოფ. მაღლაკიდან), თომა ონისიმეს ძე კვიცარიძე (1902 წ. დაბად. წყალტუბოს რნ. სოფ. ოფურჩხეთიდან), სოკრატე ივანეს ძე კუკულაძე (1896 წ. დაბად. ლანჩხუთის რნ. სოფ ჩიბათიდან), გივი ცომაია (სამეგრელოდან), ვანო შიოს ძე ბიჭიკაშვილი (კასპიდან), ბათუმში მანთაშევის ქარხნის მუშა გიორგი დავითის ძე ჩაჩიბაია (მარტვილიდან, სოფ. კიწია), იაკინთე სილიბისტროს ძე ურუშაძე (1899 წ. დაბად. ოზურგეთის რნ. სოფ. თხინვალიდან). მთხრობელთა გადმოცემით ბათუმის სამმო საფლავში ასევე დაკრძალული უნდა იყოს ორი მოხალისიე ჩოხატაურის რნ. სოფ. ნაბეღლავიდან დიომიდე არსენის ძე კოროშინაძე (დაბ. 1896 წ.) და მისივე თანატოლი სიმონ ეგნატეს ძე ჯინჭარაძე. აგრეთვე, შავშეთიდან ლტოლვილი ამბარცუმ მაჩხელიანი.

მოხერხდა აგრეთვე ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპული და აქედან მშობლიურ ადგილებში წასვენებული 21 თავდადებულის ვინაობის გარკვევა. ესენია: ოფიცერი სულავა, კონსტანტინე ესაძე, იამანიძე, იობიძე, ლანჩხუთის რნ. სოფ. ჭინათში დაუკრძალავთ გერმანე კვაჭაძე, ოზურგეთის რნ. სოფ. ასკანაში - მანასე ლადიკოს ძე დოლიძე, ბათუმის მაზრის სოფ. ორთაბათუმში ალი ხასანის ძე ასათიანი, სამტრედიის რნ. სოფ. ტოლებში - ანთიმოზ ირაკლის ძე ლორია, ლანჩხუთის რნ. სოფ. ქვიანში ნიკოლოზ ივლიანეს ძე წულაძე, ზეპირი გადმოცემით გურიაში წაუსვენებიათ: ლორია, ბოცვაძე, შანიძე, გეგუჩაძე, ბოლქვაძე, ძნელაძე (მათი სადაურობა და სახელები დასადგენია). დიდი ქართველი მსახიობი აკაკი ვასაძე თავის მემუარებში წერს, რომ ბათუმიდან წაუსვენებიათ, აგრეთვე, ქუთაისელი შალიკო ტურაბელიძე და "ზემოური იმერელი ქარქაშაძე".[379]

პროფ. რამაზ სურმანიძემ, თავის რესპოდენტთა ინფორმაციებზე დაყრდნობით, ბათუმში დაცემულ და თავიანთ სოფლებში გადასვენებულ გმირთა სია კიდევ ოთხი მებრძოლით შეავსო. მათგან ორი ხულოს რაიონიდანაა: ლეო კერესელიძის ქართული ლეგიონის ლეიტენანტი სულეიმან ირემაძე - სოფ. ღორჯომიდან და სოფ. კორტოხის მკვიდრი შაინიძე (სახე-

---

[379] ა. ვასაძე, მოგონებები, თბ., 1977, გვ.108-110.

ლი უცნობია). ლანჩხუთის რნ. სოფ. ნიგოითში დაკრძალეს **აკაკი სტეფანეს ძე ნარსია** და **სარდიონ ნესტორის ძე ფირცხალაიშვილი.**

ბოლშევიკურმა მთავრობამ ბათუმის საძმო საფლავში დაკრძალული ეროვნული გმირები გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დაღუპულ მებრძოლებად. საძმო საფლავზე სათანადო მონუმენტიც აღმართეს თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავით. მაგრამ ხალხის მეხსიერებაში საძმო საფლავის ბინადარნი კვლავ რჩებოდნენ თავისუფალი და ერთიანი საქართველოსათვის დაცემულ გმირებად. ხალხის ასეთი განწყობის გამო ბოლშევიკებმა საძმო საფლავში დაკრძალულთა შესახებ ხსოვნა თანდათან მოაქციეს დავიწყების ბურუსში. საფლავს ჩეკისტები მეთვალყურეობდნენ. ამის გამო მოქალაქეები იქ მისვლას ერიდებოდნენ.

1920-იანი წლების დამლევს საძმო საფლავთან ლენინის ძეგლი აღმართეს (შემდეგ მოპირდაპირე მხარეს გადაიტანეს) და მოედანსაც მისი სახელი უწოდეს. ბუნებრივია, რომ ერთ მოედანზე ორ ქანდაკება შეუთავსებელი იყო. ამიტომ საქართველოსთვის თავდადებულთა სვეტი თეატრის უკან სკვერში გადაიტანეს ისე, ტყუილად, უმისამართოდ. საძმო საფლავი კი ასფალტით დაფარეს და გზად აქციეს.

ძირძველ ბათუმელთა ხსოვნაში მაინც ცოცხლობდა დავიწყებას მიცემული და ასფალტქვეშ მოქცეული საძმო საფლავი. ამიტომ ახალი თაობის ბათუმელებმა მისი მიკვლევა და აღდგენა გადაწყვიტეს. საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი შეფერხებების მიუხედავად, 1990 წლის 19-28 მაისს მოედანზე ჩატარდა საკვლევაძიებო სამუშაოები. მესამე დღეს გამოჩნდა 4 დაღუპულის ნეშტი. ამან გააათკეცა საზოგადოების დაინტერესება. ათასობით ადამიანი მოდიოდა როგორც ქალაქიდან, ისე აჭარის სოფლებიდან და ერთმანეთს დაუზარებლად ენაცვლებოდა მიწის სამუშაოებში.

საძმო საფლავში სულ აღმოჩნდა სამ რიგად დაკრძალული 50 ნეშტი. მათგან ერთი ქალისა.

საძმო საფლავის აღმოჩენამ შეაკავშირა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და აღმსარებლობის ადამიანები. მათ ერთად უპატრონეს გმირთა ძვლებს, სათუთად ჩაასვენეს ახალ კუბოებში და თეატრის ვესტიბიულში გადაასვენეს. 2 ივნისს გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. პარაკლისი გადაიხადა ბათუმის სამღვდელოებამ მამა დავით შიოლაშვილის (დღეს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი) ხელმძღვანელობით.

3 ივნისს ათასობით მოქალაქემ კიდევ ერთხელ მოიხარა ქედი საქართველოს ერთიანობისათვის დაცემული გმირების წინაშე და იმავე მოედანზე კვლავ ძველ განსასვენებელს მიაბარა მათი ნატანჯი ძვლები.

დაკრძალვიდან ერთი კვირის შემდეგ გამოცხადდა კონკურსი საძმო საფლავის მოედნის რეკონსტრუქციისა და მოწყობისათვის. ჩატარდა კიდეც კონკურსის ორი ტური. მაგრამ ასლან აბაშიძის აჭარის ხელისუფლების სათავეში მოსვლის (1991 წ.) შემდეგ წარსული ისტორიისადმი დამოკიდებულება სუბიექტურ ჩარჩოებში მოექცა. ამის გამო ვერ მოხერხდა საძმო საფლავზე მემორიალის აღმართვა. შეიზღუდა იქ საზოგადოების ჯგუფური, თავისუფალი მისვლაც.

2005 წლიდან ბათუმის საძმო საფლავს ისევ დაუბრუნდა თავისი მნიშვნელობა და 23 მარტს ეს თარიღი ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც ბათუმში საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულთა ხსოვნის დღე.

2. ბათუმისათვის ბრძოლის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში

1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები, - საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, - არა მარტო საისტორიო მეცნიერების აქტუალური საკვლევი თემა გახდა, არამედ, საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული ფურცლები შთამბეჭდავად ასახა ქართულმა ლიტერატურამაც. ქართველმა მწერლებმა რომანებში, მოთხრობებში, ლექსებსა თუ პიესებში ჩვენი ახლო წარსულის ეს დიდი ტრაგედია მხატვრული დამაჯერებლობით გადმოსცეს და რეალური ისტორია თავისებურად შეაფასეს. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ ერის მოწინავე შვილების ოპტიმიზმი, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ინტერესები გაზარდა, ერის წინაშე მომავლის ახალი პერსპექტივები გაჩნდა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთის იმპერიული ზრახვები „მშრომელი ხალხის“ სახელით მოსულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო თვალნათელი გახადა. საბჭოთა რუსეთი იმპერიის რეანიმაციას ახდენდა და კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობასთან შერიგებას არ აპირებდა. ასეც მოხდა. 25 თებერვლის აქტი რუსეთის კოლონიურ უღელში საქართველოს ხელახალ შეყვანას მოასწავებდა. თუ თებერვლის აქტს კომუნისტური პროპაგანდა განთავისუფლებასა და ქვეყნის გადარჩენას უწოდებდა, ქართველი ერის პროგრესული ნაწილი მას უბედურებად და თავისუფალი საქართველოს დაპყრობად მიიჩნევდა. კოჯორთან და ტაბახმელასთან დაღუპულ ქართველ გმირებს

ლექსებს უძღვნიდნენ და გულწრფელი სტრიქონებით დასტიროდნენ პოეტები - კოტე მაყაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები.

ტაბახმელასთან დაღუპული ქართველი იუნკრების სახე მრავალჯერ გაკრთა ქართულ პოეზიაში, თუმცა ეს დიდ მოქალაქეობრივ რისკთან და გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. ბოლშევიკური რეჟიმი კრძალავდა მათ ხსენებასაც კი. ქართველი პოეტების განსაკუთრებული ემოცია გამოიხატა კოჯორთან დაღუპული 17 წლის მოწყალების დის, პოეტ კოტე მაყაშვილის ასულის - მარო მაყაშვილისადმი. პოეტმა რაჟდენ გვეტაძემ მას მიუძღვნა ლექსი - „ტირილი პროსპექტზე, მთვარიან ღამეში (მარო მაყაშვილისადმი)“. **„მე არ გიცნობდი ამორძალო, სწორო თამარის, / მაქვს სანანებლად თქვენი სახის უნახველობა, / მაგრამ ამბობენ, რაფაელის უნდა ხელობა / თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის..“.**[380]

დაღუპული ქალიშვილი მწარედ დაიტირა მამამ - კოტე მაყაშვილმაც, რომელიც ამ დროს ქართველ მწერალთა გაერთიანებას ედგა სათავეში. შვილის და სამშობლოს დაღუპვის ერთ სიბრტყეზე წარმოსახვით პოეტი კიდევ უფრო ხაზს უსვამდა საქართველოსა და მის ერთგულ შვილთა ტრაგედიას, რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია-ანექსიით რომ დატრიალდა. მაყაშვილთა გოდებაში პოეტი უთუოდ გულისხმობდა 1920 წლის 3 მაისს თბილისის სამხედრო სასწავლებელზე ბოლშევიკების თავდასხმის დროს გარდაცვლილ იუნკერს - მიხეილ მაყაშვილს, რომლის დედის განცხადებამ მაშინ მთელი საქართველო ააფორიაქა: დაე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის ზვარაკი იყოს ჩემი ვაჟიო. ქართველი დედებისათვის ეს განცდა და სამშობლოსადმი ამგვარი დამოკიდებულება არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. საქართველოს გადარჩენის საიდუმლოება დედების ამგვარ ცნობიერებაშიც იდო. **„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, /თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი. / გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით, / საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით.../ ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი, / სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი?..“**[381]

---

[380] რ. გვეტაძე, ღამეები, თბ., 1921 წელი.

[381] კ. მაყაშვილი, ერთტომეული, თბ., 1997, გვ.74

ანტირუსულ პროტესტს იოსებ გრიშაშვილი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავდა: **„დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს / და წყევლის იმას, ვინც ჩრდილოელ ველურ ყაჩაღებს / გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა“.**[382] სიტყვა „თერგდალეული“ აქ სპეციალურადაა მოხმობილი იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ გათელეს ფეხქვეშ და ჩაკლეს ჩრდილოეთის ველურმა ყაჩაღებმა, ანუ ბოლშევიკ-კომუნისტებმა ილიასა და სხვა ქართველ პატრიოტთა ეროვნული მიზნები, როგორ შემოამტვრიეს თავისუფალი საქართველოს კარი და დაამხეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო.

1921 წლის ბოლოს გამოსულ ჟურნალ „ხომალდში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის ლექსი - „შორეული ნაპირი“, სადაც მე-11 არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და 25 თებერვლის აქტი კრწანისის ტრაგედიასთან არის გათანაბრებული. **„და ერის ტანჯვის გამომსახველი, /იზრდება გულში ორი მწვერვალი, / ერთი ნაღველის ორი სახელი: / კრწანისის ველი და თებერვალი..“.**

თბილისის ომის ტრაგედია განსაკუთრებული შთამბეჭდავი ძალითაა ასახული კოლაუ ნადირაძის ცნობილ ლექსში - „25 თებერვალი, 1921 წელი“. აბაშელის მსგავსად, ისიც ავლებს კრწანისის ტრაგედიასთან პარალელს, მეტიც, საკუთარი შვილებისგან გაყიდულ სამშობლოს პოეტი ჯვარცმულ ქრისტეს ადარებს, ქართველ ხალხი კი გოლგოთაზე სისხლითა და ცრემლით ამავალ საზოგადოებად მიაჩნია. ლექსი არა მარტო კოჯორთან და ტაბახმელასთან ფიზიკურად განადგურებულ გმირებს, არამედ ერის ჩაკლულ სულსაც წარმოაჩენს.

ეს ლექსი მოგვიანებით, 80-ინი წლების ბოლოს დაიბეჭდა. მართალია, „პერესტროიკის“ ხანა იყო და ცოტა დემოკრატიაც, მაგრამ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მყარად იდგა და პოეტს ამგვარ თემაზე წერის უფლებას არავინ მისცემდა. ცნობილი ცისფერყანწელთა ორდენის წევრი უკვე ხანდაზმული იყო და ამგვარ აკრძალვებს აღარ მოერიდა, ლექსი კრებულში „გააპარა“, რისთვისაც რედაქტორ-გამომცემლები დაისაჯნენ, თუმცა პოეტი გადარჩა დასჯას. მოვლენების ცოცხალმა მოწმემ და საქართველოს იმ დიდი ტრაგედიის თვითმხილველმა დიდხანს ვერ დაიტია დამალული განცდა და მშვენიერ ლექსად აქცია. **„იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები, სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები, სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი, სად გმირთა სისხლით ნა-**

---

[382] ი. გრიშაშვილი, ავლაბარი, ჟურნ. `ცისარტყელა~, 1920, # 4.

პოხიერი, თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, - წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით. თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი..."[383]

სიონის დუმილი ერის იმ სულჩაკლულობაზე მიუთითებს, რაზეც ასე მხატვრულად და ოსტატურად წერდა გრიგოლ რობაქიძე. ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ უნებურად ავლებ პარალელს იმ მოგონებებთან, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მოღვაწეებს ეკუთვნის. როგორც ჩანს, შთაბეჭდილება თითქმის ერთნაირი - მძაფრი და შემაძრწუნებელი იყო ყველა თვითმხილველისათვის. მაგალითად, უფრო ადრე დაწერილი ზურაბ ავალიშვილის მოგონება 1921 წლის 25 თებერვალზე იმდენად ჰგავს კოლაუ ნადირაძის სტრიქონებს, რომ ერთი და იგივე ადამიანის განცდა გეგონება. **ზურაბ ავალიშვილი: „25 თებერვალს, 1921 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები შემოდიოდნენ თბილისში, წინ მოუძღოდათ წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ კომისართაგანი. მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი..".**[384]

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველ მწერალთა მთელი არმია მუშაობდა საქართველოს დამპყრობთა - ორჯონიკიძე-მახარაძის, ლენინ-სტალინის, ზინოვიევ-ვოლოდარსკის, ბუხარინ-ტროცკისა და სხვა ანტიგმირების გმირად წარმოჩენისათვის, ქართულ მწერლობაში ცრუპანეგირიკული მოტივის დასამკვიდრებლად.

ქართულმა პროზამაც დიდი ადგილი დაუთმო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას 1921 წელს. განსხვავებით პოეტებისაგან, საბჭოთა პროზაიკოსებმა ეს მოვლენა, ძირითადად, ტენდენციურად წარმოადგინეს. მწერალთა განსაკუთრებული ინტერესი თბილისის ომმა და ბათუმის ამბებმა მიიპყრო, რადგან აქ გათამაშდა ტრაგედიის ფინალი, ერთმანეთს შეეჯახა აჭრაში შემოჭრილი ოსმალო დამპყრობლების, წითელი რუსეთის ბოლშევიკური არმიისა და მისგან დამხობილი დამოუკიდებელი საქართველოს საჯარისო ფორმირებები, რომელთაგან ყველას საკუთარი მიზნები ამოძრავებდა. მიუხედავად მიზნების დიამეტ-

---

[383] პოეტის ასი სტრიქონი, თბ., 1982, გვ.49

[384] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ.382.

რული სხვაობისა, ქართველი (რუსი) ბოლშევიკებისა და ეროვნული ხელისუფლების ძალებმა დროებით დაივიწყეს ერთმანეთისადმი სიძულვილი და მტრობა და ერთად შეუტიეს თურქ ოკუპანტებს. მართალია, ქემალისტური თურქეთიც და ლენინური საბჭოთა რუსეთიც საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდნენ და საშინაო ვითარებაც დაძაბული ჰქონდათ, ისინი მაინც არ ივიწყებდნენ იმპერიულ ამბიციებს და საქართველოც ორივესთვის მიმზიდველ დასაპყრობ ობიექტს წარმოადგენდა. ამ ამბიციამ და დამპყრობლურმა მადამ მათ კინაღამ დაავიწყა ის ფარული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რითაც აძლიერებდნენ ერთმანეთს და უპირისპირდებოდნენ მათი იმპერიების დასანგრევად განწყობილ ანტანტის ქვეყნებს. ლენინის მთავრობა თურქებს ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღითა და ფულით ამარაგებდა, მაგრამ სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული რეგიონების დათმობას მისთვის არ აპირებდა. დამოუკიდებელი საქართველო ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ახერხებდა და როდესაც ის დაამარცხა საბჭოთა რუსეთმა, თურქეთს თავისი ძველი ინტერესები საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებზე კვლავ გაუჩნდა და სასწარაფოდ შემოიყვანა ჯარი მისი ხელახალი ანექსიისათვის. როდესაც ბრესტის ზავით აჭარა რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო, თურქებმა განახორციელეს ქართული ტერიტორიების ანექსია. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ბრესტის ზავით ოსმალეთისთვის მიცემული საქართველოს ისტორიული მიწა-წყალიც მის შემადგენლობაშიAაღიარა. მუდროსისა და სევრის ზავებით ხელ-ფეხშებორკილ ოსმალეთს აღარ ძალუძდა საქართველოს მიმართ დამპყრობლური გეგმების განხორციელება და, გარეგნულად შეურიგდა მის დაკარგვას. 1921 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იგი გათამამდა და ოსმალური ჯარი ჯერ არტაან-ართვინში, შემდეგ კი აჭარაში - ბათუმში შემოვიდა. აზერბაიჯანზე დიდი გავლენის მქონე თურქეთს ამ დროისათვის ბაქო უკვე დათმობილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთისთვის, მას აწი ადვილად ვეღარ დაეპატრონებოდა და, თუ ბათუმს მაინც ჩაიგდებდა ხელთ, ამ სტრატეგიული ქალაქის საშუალებით დამპყრობლურ მიზნებს ნაწილობრივ მაინც შეისრულებდა. და აი, ორი მოკავშირე, საქართველოს ორი დამპყრობი-ოკუპანტი ბათუმში შეხვდნენ ერთმანეთს. აქვე იყო ქართველ პატრიოტთა დამარცხებული არმია, ადამიანები, რომლებსაც ბოლშევიკური ურჩხული სამშობლოდან მიერეკებოდა და სამუდამოდ წყვეტდა საყვარელ ქვეყანას. ამ ეროვნული ძალების წინაშე დილე-

მად აღიმართა არჩევანი: ან უნდა გაცლოდა ბრძოლის ველს, ოსმალებსა და წითელ რუსებს შორის საჯიჯგნად მიეტოვებინა აჭარა და ბათუმი, ან უნდა გაეყარა თურქები აჭარიდან და ისე გადაეცა რუსი დამპყრობლებისათვის. ორი საშინელებიდან დამოუკიდებელი საქართველოს ლიდერებმა ნაკლები საშინელება აირჩიეს. მათ ამჯობინეს აჭარა გასაბჭოებული საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო, ვიდრე თურქი დამპყრობლების ხელში გადასულიყო. ამიტომ, დაიწყო დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლების რევკომთან მოლაპარაკება აჭარის ერთობლივად დაცვის თაობაზე.[385]

1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება დემოკრატიული საქართველოს მთავრობასა და რევკომის წარმომადგენლებს შორის. მათ ხელი მოაწერეს შემდეგ შეთანხმებას: „1. შეწყდეს საომარო მოქმედება; 2. დემოკრატიული მთავრობა ახდენს საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგო ფრონტის ლიკვიდაციას; 3. დემოკრატიული მთავრობა ტოვებს ტერიტორიის იმ ნაწილსაც, რომელიც აქამდე მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევკომის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდნენ ბათუმის ოლქში, დაიცვან იგი თურქთა შემოსევებისაგან; 4. საჯავახოდან ბათუმამდე კვლავ რჩება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაცია და რევკომის ჯარი აქ შედის როგორც დემოკრატიული მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი ძალა“.[386]

ამის შემდეგ ბათუმში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური მატარებელი გაგზავნა სამტრედიაში და დააჩქარა ბათუმში საბჭოთა ჯარის შეყვანა, თუმცა წითელარმიელებს ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. საქართველოს საჯარისო ნაწილებმა აჭარა გაწმინდეს თურქი ასკერებისაგან, გადასცეს იგი ბოლშევიკ მეთაურებს და მათმა ნაწილმა ქვეყანა ამის შემდეგ დატოვა, ნაწილი სამშობლოში დარჩა და იმ ანტიბოლშევიკურ აჯანყებებში ჩაება, 1921-1924 წლებში საქართველოში რომ მიმდინარეობდა და უამრავ ადამიანს რუსი ოკუპანტებისგან სამშობლოს განთავისუფლების წყურვილით აღაგზნებდა.

ზოგადად, ასეთია ბათუმის ბრძოლების ისტორია, 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები აჭარაში. საბჭოთა კონიუნქტურა ამ მოვლე-

---

[385] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 326.

[386] ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალადატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 137-138.

ნებს ისე წარმოსახავდა, რომ მთავარ „დამნაშავედ“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება გამოსულიყო: აქებდა კომუნისტურ ხელისუფლებასა და რუსულ პოლიტიკას. თუმცა რეალური ისტორია გადამალული და საარქივო დოკუმენტები ხელმიუწვდომელი იყო მეცნიერებისა თუ ლიტერატურის მუშაკებისთვის, ზოგიერთები მაინც ახერხებდნენ კონსპირაციული მასალების მოპოვებასა და მოვლენების საბჭოური კლიშეებით წარმოსახვას. ამგვარ მიდგომას იჩენდა ქართული მწერლობაც. მის ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, სპეციალური დავალებით, აძლევდნენ ცხრაკლიტულში ჩაკეტილ საარქივო მასალებზე მუშაობის უფლებას და ისტორიული მოვლენების ბოლშევიკურ-კომუნისტურ ჭრილში წარმოჩენას ავალებდნენ.

ამგვარი ტიპის პირველი ფართომასშტაბიანი მხატვრული ტილო, - რომანი-ტეტრალოგია **„პირისპირ“** 1917-1921 წლების ისტორიულ მოვლენებზე გასული საუკუნის 30-იან წლებში **ალექსანდრე ქუთათელმა** შექმნა. მწერალი საუკეთესოდ იცნობდა რეალურ ვითარებას, ისტორიის სცენაზე ამ დროს მდგარ პიროვნებებს, საგარეო და საშინაო მოვლენებს და რომანში მათ გარკვეულ ადგილსაც უთმობდა. ფაქტების მისეული ინტერპრეტაცია სწორხაზოვანია: მწერალი გმობს „ანტანტის იმპერიალისტებს“, საქართველოს უბედურების წყაროდ ქართველ მენშევიკებს მიიჩნევს, მამულიშვილებად და ერის გადამრჩენებად კი რუსი ბოლშევიკების სატელიტ ქართველ ბოლშევიკებს, მთავარი გმირიც, რა თქმა უნდა, ბოლშევიკი და „პატრიოტი“ ქართველი კომუნისტია. ქართველი მენშევიკებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი ცინიზმი ჩანს რომანის ყველა გვერდზე, თუნდაც საბჭოთა რუსეთის საელჩოს გახსნისა და ელჩის - სერგეი კიროვის თბილისში ჩამოსვლისადმი მიძღვნილ თავში მოტანილი ლენინის სიტყვებიდან. ელჩის შესახვედრად მოსულ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ნიკოლოზ ქარცივაძესა და ეროვნული გვარდიის მეთაურს ვალიკო ჯუღელს მწერალი კარიკატურულ ტიპებად ხატავს და დასცინის მათ დამოკიდებულებას კიროვის მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი მრავალრიცხოვანი დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებისადმი. თუმცა ქუთათელი პოსტმფაქტუმ აღწერს ამ ამბებს და უკვე კარგად ეცოდინებოდა, რომ ქარცივაძე და ჯუღელი სწორ დასკვნას აკეთებდნენ (ეს მართლაც საბჭოთა რუსეთის მიერ მოვლინებული სპეციალური მისია იყო, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობა ევალებოდა და დაამხო კიდეც), მაგრამ მაინც მათ აკრიტიკებს და დიპლომატიური მისიის საბაბით ჩამოსულ

რუს ანტიქართველებს დადებით ადამიანებად, საქართველოს კეთილისმსურველებად წარმოგვიდგენს. მწერალი რეალობას ისე ხატავს, თითქოს რუსი ბოლშევიკები კი არ იყვნენ ჯაშუშებად გამოგზავნილი, არამედ ქართველი მენშევიკები იყვნენ მათთვის მიჩენილი ჯაშუშები. „საგანგებო რაზმის გადაცმული თანამშრომელნი კიროვს, წარმომადგენლობის მუშაკებს გარშემოერტყნენ და ამ წუთიდან დღე-ღამ ზვერავდნენ და ნაბიჯის თავისუფლად გადადგმის უფლებასაც კი არ აძლევდნენ“.[387]

აქ ავტორმა ცოტა დროს გადაუსწრო, თუმცა იქვე დაბრუნდა და ქარცივაძე-ჯუღელის კიროვისადმი მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მათი გამოსვლის ტონით გახარებულ კიროვს „დიდი ლენინის მოსკოვის პარტიულ აქტივზე გამოსვლა“ გაახსენა. ის გამოსვლაც მენშევიკების დამარცხებას წინასწარმეტყველებდა და საქართველოს ხელისუფლების დახვედრამაც იგივე იმედი ჩაუსახა კიროვს, რასაც არც მწერალი გადმოსცემს უბრალოდ: მას ლენინის სიტყვა და კიროვის განცდაც საქართველოსთვის გულშემატკივარ ადამიანთა პოზიციად აქვს წარმოდგენილი. კიროვთან შესახვედრად მისული ქართველები, მათ შორის ამ ვრცელი რომანის მთავარი გმირი კორნელი მხეიძე აღფრთოვანებულია მისი ნიჭით, სამართლიანობით, თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნობითაც კი. ასეთ ყალბ კლიშეებსა და კონიუნქტურას ეფუძნებოდა საბჭოთა ლიტერატურა და „მასების“ ზომბირებას ახდენდა.

რაც შეეხება ბათუმის ამბებს, ამ ეპიზოდშიც ნეგატივი პოზიტივია, სიმართლე ტყუილი და დანაშაული, ღალატი - პატრიოტის ქმედება და სამშობლოს გულშემატკივარი ადამიანები - მხდლები, გამყიდველები, მატყუარები და საქართველოს დამღუპველები არიან. თავს წამძღვარებული აქვს რუსი ბოლშევიკი მეთაურის ჟლობას სიტყვები: „ბათუმში ქართული ჯარის ნაწილებმა აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება და დაამარცხეს თურქები, რომლებიც ქალაქის აღებას ცდილობდნენ“. ბათუმში ქართული ჯარის ნაწილები საბჭოთა ხელისუფლებას როგორ აღიარებდნენ, როდესაც აქ ისეთი პატრიოტები იბრძოდნენ თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომლებიც არასდროს შერიგებიან ბოლშევიკურ რეჟიმს და ზოგი 1924 წელს ამ შეურიგებლობის გამო დახვრიტეს, ზოგი ემიგრაციაში გადაიხვეწა. ამათ შორის იყო ჟლობასთვის მეტად საპატივცემულო ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. საქართველოს დამოუკიდებლობის ამ მძვინვარე მტერს ქაქუცა ტვერსკის პოლკიდან იცნობდა. ეს პოლკი თურქეთის ფრონტზე,

---

[387] ა. ქუთათელი, პირისპირ, წიგნი II-IV, თბ., 1972, გვ. 420.

თუქურმიშაში იდგა I მსოფლიო ომის დროს. ჟლობას ისე გახარებია ბათუმში ქაქუცასთან შეხვედრა, რომელიც ახლადშექმნილ ქართულ ცხენოსან დივიზიაში იყო და მთელი არსებით საძულველ ბოლშევიკ ოკუპანტებს ებრძოდა, რომ ჩამომხტარა ცხენიდან და ძველი ჩვეულებით წამოუძახია; „ოხ, თქვენო ბრწყინვალებავ“-ო. ჟლობა რაღაცით ჰგავს (თუმცა ბოლშევიკები რაღაცით ყველა ერთმანეთს ჰგავდა) ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ გმირებს - „შმიდტის“ კაპიტანს - კუზმა კილგასა და მეზღვაურს - ვასკა ხრიტანიუკს. ისტორიული დოკუმენტების კითხვისას თითქოს მათი დამახინჯებული სახე თუ გადაგვარებული სული ტივტივდება, თუმცა გააჩნია ვინ კითხულობს ამ დოკუმენტებს. „პირისპირის“ ავტორისთვის ეს ხალხი რატომღაც ლამაზია და მჭერმეტყველი, წარმოიდგინეთ, რუსეთის იმპერიაში ორატორობით სახელგანთქმულ ირაკლი წერეთელსა და კარლო ჩხეიძეზე ბრწყინვალენიც კი. კიროვი ხომ მოსწონს, მაგრამ, რა ქნას, რომ ჟლობას აზრებიც გოეთესა და ტოლსტოის ციტატებივით ეძვირფასება და ეპიგრაფად უმძღვარებს მეტად მნიშვნელოვანი, ეპოქალური დატვირთვის მქონე რომანის თავს. აი, რა იყო რომანის მისია: ქართველ ხალხს უნდა ერწმუნა საქართველოს დამოუკიდებლობის შეუძლებლობა, მისი ყოფილი მთავრობის საიდუმლო გარიგება გარეშე მტრებთან და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ძირძველი ქართული ტერიტორიების გასხვისების ფაქტი. ეს ტერიტორიები ოდესღაც რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს (არადა, კი არ დაუბრუნა, იმპერიას შეუერთა, იქ მცხოვრები ქართველები ოსმალეთში გაყარა და ამ ადგილებში უცხო ეთნოსი ჩამოასახლა), ახლა ქართველი „მოღალატეები“ მას ართმევდნენ ქართველ ხალხს და თურქებს გადასცემდნენ. ამ ოთხნაწილიანი რომანის მიზანი ამგვარად ესახებოდათ მის დამკვეთებს, შემსრულებელი კი მორჩილად მისდევდა კონიუნქტურას, ერთგულად ასრულებდა დამკვეთთა სურვილს. იქამდე მიდის მისი მწერლური ფანტაზია, რომ მომხდარ ამბებში (ლენინი ხომ გმირია) ქემალ-ფაშაც არაფერ შუაშია, მემარჯვენე ქემალისტები არიან დამნაშავე, რომლებიც არ დაემორჩილენ ლენინის ერთგულ მეგობარს - ქემალს: „მემარჯვენე ქემალისტებმა ხელი არ აიღეს თავის განზრახვაზე, ყარაბექირ ფაშამ გადაწყვიტა საქართველოში მომხდარი ამბებით ესარგებლნა. თავისი აგენტების მეშვეობით და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლების დახმარებით იგი ჟორდანია-რამიშვილის მთავრობასთან მოლაპარაკებას შეუდგა. მასთან დადებული საიდუმლო შეთანხმების თანახმად, თურქეთის ჯარების დახმარების საფასურში, საქართველო უთმობდა

თურქეთს, გარდა მის მიერ დაკავებული ტერიტორიისა, ბათუმის ოლქსაც. რაც შეეხება ბათუმს, არწმუნებდა რამიშვილი სარდლობას და დამფუძნებელი კრების დეპუტატებს, თურქეთის ჯარები ქალაქს დროებით დაიკავებენ და მერმე დაუყონებლივ დასცლიან მას, როდესაც საქართველოში ბოლშევიკური საფრთხე გაივლისო."

მწერალი აღწერს ბათუმში შემოსული ოსმალური ჯარის შტაბის უფროსის - თალაათ-ბეის მოქმედებას, ქართული ჯარის სარდლობისთვის ბათუმის ციხის გადაცემის მოთხოვნას. 11 მარტს ბათუმის დაკავებას და ბარცხანის ყაზარმებში შესვლას. ასკერები ისე იქცეოდნენ, რომ დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლები მიხვდნენ შეცდომას, - რა ამაოდ ჩაეჭიდნენ თურქების დახმარების იმედს. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს რევკომთან მოლაპარაკება, აღიარეს საკუთარი ნებით ხელისუფლების დატოვება და ის რევკომს გადააბარესო. არ ვიცი, რომელ ფაქტებს ეყრდნობოდა მწერალი სხვა მოვლენების შეფასებისას, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ოფიციალურად ვინმესთვის რომ არ გადაუცია ხელისუფლება, ეს ნამდვილადაა ცნობილი. მწერალი არც ამ ბრალდებას აჯერებს ამ ადამიანებს და იმაზე მიანიშნებს, რომ მათ მაინც ეკუთვნოდათ სამშობლოდან გაძევება, რადგან ეს სამშობლო მტრებს მიაჩუქესო. ქართული ისტორიოგრაფია ოსმალების შემოჭრასა და არტაანართვინის თუ ბათუმის დაკავებას დიდი ხანია, რაც იკვლევს (ლევან თოიძე, ოთარ ჯანელიძე, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე, ოთარ გოგოლიშვილი და სხვ.). განსხვავებით ქართველ მწერალთაგან, ისტორიკოსები ობიექტურად აანალიზებენ მომხდარ მოვლენებს, საქართველოს გარშემო შექმნილ საგარეო ვითარებას და მის პერსპექტივებს. მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით გადაწყდა ბათუმის რუსეთისადმი კუთვნილების საკითხი, რაც შეეხება საქართველოს მთავრობის პოზიციას, ოთარ ჯანელიძე იმოწმებს ლევან თოიძის თვალსაზრისს და წერს: „ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დახმარება აღუთქვა ანკარის ხელისუფლებამ, რომელმაც სანაცვლოდ არტაანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ნოე ჟორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა ამ წინადადებას, მაგრამ ისე რომ, წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერ-

ია“. აქვე საუბარია ქემალისტური თურქეთის ორმაგ თამაშსა და მის მზაკვრულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.[388]

ალექსანდრე ქუთათელის მიერ რომანის ფინალში აღწერილი დიალოგი სერგო ქავთარაძესა და ნოე ჟორდანიას შორის, მიუხედავად მწერლის სრულიად საწინააღმდეგო მიზანდასახულობისა, სიმართლეს მაინც ვერ ფარავს. დღევანდელი მკითხველისათვის ამ დიალოგიდან ყველაფერი ცხადია, - დამარცხებული საქართველოს მთავრობის მეთაურის სიტყვების სიწრფელეც და საქართველოს ტრაგიზმიც.

„- მე მოგიწვიეთ თქვენ იმისათვის, - დაიწყო მან (ნ. ჟორდანიამ, - დ. ჭ.) სულიერად დაცემული კაცის დახშული ხმით, - რომ მანამდე სანამ ჩვენ საქართველოს დროებით დავტოვებდეთ, მოგელაპარაკოთ, - ჟორდანიამ თავი მოაბრუნა და სარკმელს მიაშტერდა. სარკმელს ღამის წყვდიადი მოსწოლოდა. ვაგონში სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. პრეზიდენტმა ისევ ქავთარაძეზე გადაიტანა თავისი შუქჩამქრალი, უვნებო, მოცისფრო თვალები და განაგრძო: - ჩვენ იძულებული ვართ დროებით დავტოვოთ საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ საჯავახოს ფრონტზე 15 ათასი მეომარი გვყავს, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იქნებოდა. დიდ რუსეთთან ომი პატარა საქართველოს ძალ-ღონეს აღემატება. რუსეთი ძალადობის გზას დაადგა, მაგრამ ქვეყანა ჩალით როდია დახურული. რუსეთი პასუხს აგებს დე-იურე საქვეყნოდ ცნობილ დამოუკიდებელ საქართველოზე ამ უმსგავსო, უპრეცედენტო თავდასხმისა და მისი დაპყრობის გამო.

- ეს დაპყრობა და თავდასხმა არ გახლავთ, - შეედავა პრეზიდენტს ქავთარაძე, ეს აჯანყებული ქართველი მშრომელი ხალხისადმი ხელის გაწოდება და დახმარებაა.

არავითარი აჯანყება, - არ აცალა აზრის დამთავრება ჟორდანიამ, - ქართველი ხალხი არ აჯანყებულა, თქვენმა ორჯონიკიძემ და მისმა მეგობრებმა მოისყიდეს და ააჯანყეს ბორჩალოს, სანაინისა და შულავერის არაქართული მოსახლეობა, თავს დაგვასხეს სომხები და მერე საბჭოთა ჯარები შემოგვისიეს...“[389]

ამავე დიალოგში ნოე ჟორდანია თხოვს ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელს, არ იძიონ შური პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებ-

---

[388] ო. ჯანელიძე, წინამდებარე კრებული; ასევე, ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 24.

[389] ა. ქუთათელი, პირისპირ, წიგნი II-IV, თბ., 1972, გვ. 420.

ზე, არ დაანგრიონ ისტორიული ძეგლები და არ გააპარტახონ საქართველო. ამ თხოვნას სერგო ქავთარაძე აღშოთებული ხვდება და პასუხობს, რომ კომუნისტები მათზე ნაკლებად არ აფასებენ ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობას. მწერალიც ყველაფრით ამჟღავნებს, რომ ამავე აზრისაა და კომუნისტებს თანაუგრძნობს. არადა, სწორედ ოციან წლებშივე კომუნისტებმა დაანგრიეს ქართული ეკლესია-მონასტრები, პოლიტიკური ნიშნით უამრავი ადამიანი გაანადგურეს, რეპრესიები განიცადეს იმ ქართველმა მწერლებმაც, რომლებიც სიმართლეს წერდნენ და ხელისუფლებას გუნდრუკს არ უკმევდნენ. ქართველ მწერალთა მეორე ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა და ნაყალბევ ისტორიას მხატვრულად აფერადებდა, თითქოს ვერც ხედავდა იმ ტრაგედიას, „კაენის სულის აღზევებად" რომ გადადიოდა საქართველოზე.

საქართველოს უახლოესი წარსულის ეს ტაბუირებული წლები ბევრ სხვა მწერალსაც იზიდავდა.

დრამატურგ **ვალერიან კანდელაკის** პიესა - **„დრო - 24 საათი"** აღნიშნული პერიოდის გაცოცხლებასა და მოვლენების ობიექტურად წარმოსახვას ისახავდა მიზნად. დრამატურგს წიგნში სხვა ისტორიული პიესებიც აქვს შეტანილი, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრებში. როგორც წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ნოდარ დუმბაძე წერდა, ბევრმა მათგანმა სპექტაკლებზე მაყურებელთა დასწრების მხრივ რეკორდიც მოხსნა. ეს პიესაც ერთ-ერთი წარმატებული იყო და მაყურებელს საინტერესოდ სთავაზობდა საქართველოს გასაბჭოების, რუსი და ოსმალო დამპყრობლების მიერ მისი ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტს. პიესას „ქართული ქრონიკა" ერქვა.[390] მასში გადმოცემულია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბოლო ბრძოლები წითელ არმიასთან, ბათუმის ციხეში დაპატიმრებული ბოლშევიკების განცდები, საქართველოს მთავრობის საზღვარგარეთ წასვლა და რევკომის საქმიანობა. პიესაში სერგო ქავთარაძის და სხვა ბოლშევიკი მეთაურების პროტოტიპებს ვხვდებით, გენერლები: გიორგი მაზნიაშვილი, სუმბათაშვილი, ანდრონიკაშვილი და სხვები პირდაპირ მოქმედ გმირებად არიან წარმოდგენილნი. მწერალი სარკაზმსა და ირონიას არ იშურებს დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მიმართ, მათ მარცხს გარდუვალობად წარმოადგენს და მთავარ მოქმედ გმირად გაურკვეველი სოციალური ინტერესების მქონე ადამიანს წარმოსახავს. თუ გავითვა-

---

[390] ვ. კანდელაკი, დრო 24 საათი, პიესები, თბ., 1982, გვ. 67.

ლისწინებთ იმას, რომ ბოლშევიკური იდეოლოგია სწორედ ამგვარ ადამიანებს ეყრდნობოდა, მწერლის მიერ მთავარ გმირზე გაკეთებული არჩევანი მის ერთგვარ მხატვრულ გამარჯვებად უნდა ჩავთვალოთ. საინტერესოა დიალოგები როგორც ციხეში მჯდარ ბოლშევიკ პატიმრებს, ასევე სამთავრობო ჯარის მეთაურებს შორის. მწერალი ბოლშევიკების კრიტიკას ამ დიალოგებში ოსტატურად ახერხებს. ბათუმის ციხეში, სადაც ბოლშევიკი ლიდერები დახვრეტას ელოდებიან, შეჰყავთ უბრალო აჭარელი ბიჭი, ასკერის ტანსაცმელში გადაცმული რიფათა. ბიჭს საქართველო უყვარს, მაგრამ სულერთია მისთვის, ვინ იქნება აქ ბატონი, ოსმალო, მენშევიკი თუ ბოლშევიკი ქართველი. ესაა, ბოლშევიკების ცოტა ეშინია, მაგრამ ეს შიშიც მალე გაუვლის.

„- სერგო: ასკერი ხარ?

- რიფათა: რიფათა ვარ გოგიტიძე. პატრული მთლად აბდალი ყოფილა, ვეუბნები, ქართველი ვარ, მეუბნება ჯაშუში ხარო. რაფერ, ჯო? ვეუბნები, ქართულია ჩემი დედა-ენა, რიფათა ვარ გოგიტიძე. ახლა ჯარისკაცები სახლში გარბიან, შენ თოფით ამდგარხარ, ამას ვინ დაგიჯერებს, ინტერნაციების დრო დადგა, შენც ალბათ ასკერის ტანსაცმლით შემოიპარე, ბოლშევიკების ჯაშუში ხარო. ნენე! ჯო! აგი რომ გავიგონე, კინაღამ ჭკუაზე შევქანდი, მე არ მენდობა, ასკერის ბლუზა-შარვალს უჯერებს! აი ბლუზა-შარვალი, თოფი და მოწყობილობა მე და გენერალმა მაზნიაშვილმა ოჩხამურთან დავიხელეთ. გენერლის გაგონებაზე სიცილით თავი მოიკლეს. მაი ხვანჯი ბაბუაშენს დაუკაკანეო, მითხრეს და ასე ხირხიცით და კრაჭუნით შემკოჭეს, ფორანზე დამაგდეს და აგერ მომათრიეს.

- სერგო: რომელი ნაწილიდან ხარ, ბიჭო?

- რიფათა: რაის ნაწილი. სოფელში ამბავი ამოიტანეს, საქართველო ბათუმში იღუპებაო და ჩამოვედი.

- სერგო: პირდაპირ ციხეში?

- რიფათა: პირდაპირ არა, საღამომდე ქუჩაში ვიფრატუნე.

- სერგო: ქალაქში რა ამბავია?

- რიფათა: ნენეს გამომცხვარი ჭადი რომ არ მქონოდა, სული გამშპეზოდა. ხალხს მართალი უთქვამს, მენშევიკებს ერთი გენერალი მაზნიაშვილი ჰყავთო ჭკვიანი.

- სერგო: მაზნიაშვილი უპარტიოა.

- რიფათა: რავა ჯო, პარტიაში ჭკვიანი კაცი არ შედის?

_ კალანდაძე: შენ ცოტა ენას მოუკელი!“

ამ დროს რიფათა შეხედავს მეორე პატიმრის მხარზე შემდგარ გოგელიას, რომელსაც რაღაცის ჩამოღება უნდა ზედა საწოლიდან და შეჰსერგო: გოგელია უცებ გადმოხტება კალანდაძის მხარიდან და უყვირებს:

„- რა გაბღავლებს, ბიჭო?

- რიფათა: სულს მოიბრუნებს და ეტყვის: უცბად, იმხელაზე რომ იყავი აყანყალებული, ბოლშევიკი მეგონე.

_ გოგელია: რაო, ვინ მეგონეო?

_ რიფათა: ბოლშევიკი (იცინის), თურმე ოინბაზი ყოფილხარ!

_ სერგო: რიფათა, ბიჭო, რას ამბობენ, ბოლშევიკები როგორები არიანო?

- რიფათა: რქიანები არიანო.

- სერგო: რქიანები?

- რიფათა: ხოჯამ მითხრა, ვინც რქიანი შეგხვდება, ყველა ბოლშევიკიაო".

კიდევ უფრო საინტერესოა ბოლშევიკ-რევოლუციონერ კალანდაძესთან რიფათას დიალოგი რევოლუციის შესახებ. რიფათა ეკითხება, რა არის რევოლუციაო, კალანდაძე პასუხობს, რომ ეს არის გადატრიალება. გადატრიალება რაღააო, - კითხულობს რიფათა. კალანდაძე, რომ გააგებინოს, სკამს გადაატრიალებს და აჩვენებს. - ეს რაა, აქ დასაჯდომი რომ არააო? რევოლუციას დასაჯდომად არ სცალია, წინ მიდის ჭენებ-ჭენებით, - ეუბნება კალანდაძე. სანამდე ირბენს, ჯო, - კითხულობს რაფათა, სანამ მთელ მსოფლიოს არ შემოივლისო, - არწმუნებს კალანდაძე. რომ შემოივლის, მერე სად დაჯდებაო, არ ისვენებს რაფათა. უპასუხეო, - კალანდაძის პასუხი თავადაც აინტერესებს სერგო ქავთარაძეს. კალანდაძე: ტაბურეტი გადავატრიალე და ვინც ზედ იჯდა, ისინი ქვეშ მოირაგვა. - რიფათა: - მერე?

- კალანდაძე: მერე ამ ტაბურეტს გადმოვატრიალებ და მე და შენ დავჯდებით ზედ". ეს აღარ მოეწონა რიფათას, აღალარებისა და ბეგების სკამზე თუ ჩვენ დავჯექით, ეს რა სამართლიანობააო, უკვირს...

მენშევიკური მთავრობის კრიტიკასთან ერთად, ასე ოსტატურად დასცინოდა თეატრის სცენიდან ქართული მწერლობა ბოლშევიზმსაც. მეტი საბჭოთა ცენზურის პირობებში მწერალს არ შეეძლო.

მწერალმა და ხელოვნებათმცოდნე **ოთარ ეგაძემ** ამ თემას ისტორიული ტეტრალოგიის პირველი წიგნი - **„დღენი ჩვენი ბრძოლებისა"** მიუძ-

ღვნა.[391] წიგნი 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდა და, მიუხედავად საბჭოთა კავშირში მიმდინარე „პერესტროიკისა“ და დემოკრატიული ძვრებისა, მაინც ვერ აცდა იდეოლოგიურ შტამპს. მწერალმა თხზულებას პოლიტიკური რომანი უწოდა და ამით განაცხადიც გააკეთა, რომ მხატვრულზე მეტად, რომანს საზოგადოებისათვის უცნობი პოლიტიკური მოვლენების ასახვის პრეტენზია ჰქონდა. რომანში ცხრაასიანი წლებიდან მოყოლებული 1921 წლამდე მიმდინარე მძაფრი ეროვნული და სოციალური კონფლიქტებია გადმოცემული. თხზულებაში წარმოდგენილნი არიან ამ დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი: პარტიული ლიდერები, მწერლები, სამხედრო პირები და ხელოვნების მუშაკები. ესენი არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, გოლა ჩიტაძე, სტალინი, ლენინი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, სერგო ქავთარაძე, ბუდუ მდივანი, მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ქემალ-ფაშა, ანტონ დენიკინი და სხვა. წიგნში უამრავი, ეპოქის კარგად თუ ავად გამორჩეული ადამიანების მთელი გალერეაა მოცემული. მრავალპარტიული სპექტრის ფონზე იხატება ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის, ბოლშევიკ ტიტე ცამიწაძის სახე. ტექსტში ბევრი ისტორიული პასაჟი და მოვლენა მწერლის მიერ თავისებურად, უფრო სწორად სოცრეალიზმისებურადაა ინტერპრეტირებული, თუმცა ჩვენ ამ ყველაფერს ვერ შევეხებით. გამოვყოფთ მხოლოდ ქუთაისის შეხვედრასა და ოსმალეთისგან იმჟამად ოკუპირებული ბათუმის ირგვლივ გამართულ მსჯელობას. განსხვავებით ალექსანდრე ქუთათელისაგან, რომელსაც ქუთაისის შეხვედრაზე დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლის - გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელი მიხეილად აქვს წარმოდგენილი, აქ მწერალი ისტორიულ რეალობას ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემს. ესაა, გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მამია ორახელაშვილის დიალოგს ისე წარმართავს, რომ მკითხველის სიმპათია ამ უკანასკნელის მხარეზე იყოს. თუმცა, მწერლის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ კომუნისტურ ხანაში დაწერილ რომანში ის ცალმხრივი არ არის და გრიგოლ ლორთქიფანიძეს ათქმევინებს სიმართლეს ბათუმთან დაკავშირებულ მთავრობის პოზიციაზე. ამ დიალოგის დროს ლორთქიფანიძეს ეუბნება ორახელაშვილი, რომ მოსკოვში გამართულ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებას დაესწრო ქართველი ბოლშევიკი მიხა ცხკაია. როგორც საბჭოთა საქართველოს წარმომად-

---

[391] ო. ეგაძე, დღენი ჩვენი ბრძოლებისა, თბ., 1988.

გენელმა, მან ხელიც მოაწერა დადებულ ხელშეკრულებას, სადაც გადაწყდა ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის საქართველოსთვის კუთვნილების საკითხი. დიალოგში საუბარია ქართველ ელჩზე მოსკოვში - გერასიმე მახარაძეზე. იგი ფაქტობრივად გამოკეტილი ჰყავდათ კრემლში საქართველოში მიმდინარე მოვლენების დასრულებამდე. ოთარ ეგაძისთვის გერასიმე მახარაძის საარქივო ფონდიც მისაწვდომი ყოფილა, რაც ამ დროის ჯერ კიდევ არ იყო სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი. ეგაძე, ქუთათელისგან განსხვავებით, არ საუბრობს საქართველოს ხელისუფლების მიერ ოსმალეთთან ფარულ შეთანხმებასა და ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ მისთვის საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დათმობაზე. ეს უფრო ადრინდელი ბოლშევიკური პროპაგანდის ნაწილი იყო, რასაც მწერლობა თითქოს ისტორიული სინამდვილიდან იღებდა. ამ სინამდვილეში, დასამარცხებლად განწირული ეროვნული მთავრობა ეძებდა გამოსავალს, გზას ქვეყნისა და მისი მომავლის გადასარჩენად, მას არც ერთი დოკუმენტი არ შეუქმნია ისეთი, რომელსაც საქართველოს ოკუპანტები მის დასაპყრობად გამოიყენებდნენ.

რა თქმა უნდა, ამ ისტორიულ ტრაგედიას უფრო მძაფრად წარმოაჩენდა მწერლის მეტი მხატვრული ოსტატობა და პერსონაჟების ფსიგოლოგიური ხასიათების გამოკვეთა. თუმცა, ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეულ ქართულ საზოგადოებას ამგვარი ნაწარმოებებიც ეხმარებოდა სიმართლესთან მისაახლოებლად.

The Struggle for Batumi

March 18-20, 1921

Summary

The monograph is dedicated to the study of the diverse materials preserved in scientific literature, periodicals and memoirs which deal with the developments in Batumi, and over Batumi *Oblast*, in March, 1921, on the final stage of the Russian-Georgian war.

In the beginning of the 1921 Georgia was found in strained geopolitical situation. At that time Georgia was the only independent state in the Caucasus. England and other countries of the West were not trying to maintain their positions in the Caucasus. The Soviet Russia and Turkey became the sole players in the region. These two countries were trying to make a good use of each-other in their struggle against the West on the one hand, while dividing the South Caucasus through their negotiated agreement on the other hand. Georgia was left alone against the Soviet Russia, which was aimed at its conquest. Thus, Georgia could rely only on its own efforts to repel the aggression of the Red Army.

The strained geopolitical situation was further aggravated due to the improper assessment of the international standing of the country by those-days political elite; unfortunately, the Georgian political elite could not detect the deadly threat coming to the country. The *de-jure* recognition of Georgia by the Western countries at the end of the January of 1921 was considered as the breakthrough in the securing independence of Georgia. Moreover, the great neighbors of the country – The Soviet Russia and Turkey – officially provided her with the promises of the neighborly relations.

In February, 1921, after the Russian attack on Georgia, Turkey promised to give a hand to the government of Georgia and under this pretext came with its army in the Southern part of the Georgian Democratic Republic. In parallel of these developments, during the negotiations in Moscow, Russia and Turkey were looking for the agreement on the future divide of Georgia.

The problem of belonging of Batumi became the acute issue during the Russian-Turkish negotiations and was particularly stressed in the Agreement of Moscow, of March 16, 1921. The soviet Russia was ready to cede Kars and Ardagan, but was resisting giving up Batumi. Finally, the parties agreed on the

partition of the contested territories: Kars, Artaan and Artvin were handed over to Turkey, while Batumi and Adjara were left to the Georgian Soviet Socialist Republic; with legitimized right of the autonomous government to Adjara. It seems the government of Ankara hoped that if its army had occupied Batumi in Adjara before the Soviet Army came for it, Moscow would face the reality on ground and the Red Army would not have fought against Turkey for Batumi. Ankara believed that as Russia fulfilled its main aim in Georgia with the assistance of Turkey – had defeated it, Sovietized and put it under its influence – Moscow would not fight much for its only one city. That's why Turkey occupied Batumi with military units.

The government of the Democratic Republic of Georgia decided to stop the war against the Soviet Army and concentrated on the front line against Turkey in order to protect Batumi and save it for the rest of Georgia. This was the main issue of negotiations launched in Kutaisi, on March 17-18, 1921, between the representatives of the government of the Democratic Republic of Georgia and delegation of the Revolutionary Committee of Georgia, headed by M.Orakhelashvili.

The negotiations launched in Kutaisi resulted into the Peace Agreement: the warrior parties concluded the peace. The government of the Democratic Republic of Georgia made it possible for the Red Army to march westwards and enter to the city of Batumi; although they did not participate in the military activities against Turkey. The task of liberation of Batumi from the Turkish units was coped with the army of the Georgian Democratic Republic. Under the resolution of the Revolutionary Committee of Batumi, the Georgian military forces were headed by the famous general Giorgi Mazniashvili. The fate of Batumi was solved not in the study-rooms of Kremlin, but on the real battlefield of Batumi.

5 б n 3/535

ავტორები

ალექსანდრე დაუშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ოთარ გოგოლიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ჯემალ კარალიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ირაკლი მანველიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მალხაზ მაცაბერიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ერმილე მესხია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

მალხაზ სიორიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების გამგე.

კახა სურგულაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, სრული პროფესორი.

როინ ყავრელიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯის რექტორი, სრული პროფესორი.

დოდო ჭუმბურიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის

ოთარ ჯანელიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

281.804
3